კვირის პალიტრა

გზა

N6 (244) 10/II. ... ლი 60 თ.

მკვლელი გაიშიფრა — ლუბა ელიაშვილის დეტექტივი

1168
2005

„თავიდან ამოიგდეო, — მეუბნება, მაგრამ გულს ხომ ვერ უბრძანებ!..“

მარტვილელი გოგონა ნინო ბურჯანაძის ვაჟზე უგონოდ შეყვარებულია

ცხინვალელი ტყვე — „გაქცევაზე ვფიქრობდი, მაგრამ...“

ქეთა თოფურიამ მოსკოველები გააოგნა

თემა: ამბიციური ადამიანები ანუ როგორ მივაღწიოთ წარმატებას

გამოვიდა თებერვლის ნომერი

ლიტერატურული პოლიფონია

პოეზია

- დავით მელონაძე
- შალვა მაკალათაძე
- გიორგი ყვარელიძე

მონატრება

- ედიშერ ყიფიანი
  ცაში ასროლილი ქუდები
- რამაზ ომიდაშვილი
  დუელი
- ანა მარგველაძე
  სიკვდილი, ქალაქი
- რამაზ ბოლაძე
  ბოლო ბარი
- ანატოლ ყოლოთი
  თერთმეტი წუთი (მსოფლიო ბესტსელერი)
- ანტონაკაცა
  უსიერ ტყეში

№ 2 (5), თებერვალი, 2005

ფასი 1.5 ლარი

!134! გვერდი

თქვენ ხრმა გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

№6 (244)
10 - 16 თებერვალი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
თუ გინდათ ისიამოვნოთ, უყურეთ გამორთულ ტელევიზორებს... 3
პოლიტიკა
მიზანმიმართული შანტაჟი თუ მიუტევებელი არაპროფესიონალიზმი?.. 4
ჭრელი მსოფლიო 4, 6
ოფსაიტი
ელიზბარ ჯაველიძე: „მოსალოდნელია ეროვნული ჯანყი ჭინჭრებითა და კომბლებით“ 7
კონფლიქტის ზონა
ცხინვალელი ტყვე – ლადო ჩალაური: „ბაქცევაზე ვფიქრობდი. მათ პრიმიტულად მოწყობილი ცხენ აქვთ...“ 10
გატაცება
მარტვილელი გოგონა ნინო ბურჯანაძის ვაქზე უგონოდ შეყვარებულია 12
კრიმინალი
- 23 წლის ახალგაზრდამ 5 თვის მანძილზე ზედიზედ სამი განგრახ მკვლელობა ჩაიდინა 14
- ყაჩაღები მძღოლებს სეტონით თიშავდნენ 16
თამადა
„მარჯვენას მოვჭრიდი იმ ქართველს, ვინც ღვინო პირველად გააფუჭა!“ 18
ტესტი
ერთგული მკითხველი 19
თემა
ამბიციური ადამიანი ანუ მოითხოვეთ ცხოვრებისგან მაქსიმუმი, რომ მინიმუმზე მეტი მაინც მიიღოთ 20
გემოვნება
კეთილი ანონიმების ენერგეტიკით დამუხტული ნივთები და გაცოცხლებული კველმანების კომერციული მაღლი 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან 26
ადამიანი
სიღნაღელი დიდედა 26
მარტივი კითხვები
როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ მის რჩეულს იგი ნამდვილად მოეწონა? 28

მოითხოვეთ ცხოვრებისგან მაქსიმუმი, რომ მინიმუმზე მეტი მაინც მიიღოთ

ის დრო, როცა ამბიცია მანკიერებად მიიჩნეოდა, წარსულს ჩაჰბარდა. ახლა პიროვნების დადებითი მხარეების ჩამოთვლისას, თავისუფლად ამბობენ, რომ ის მიზანსწრაფული და ამბიციურია...

ჩემი რესპონდენტები ფსიქოლოგები არიან...

20

„ქმთა შკვე „ა სტუდიოს“ სრულუფლებიანი წევრია“

„ეს ყველაფერი ხელოვნურადაა აგორებული...

მთლად ასეც არ არის საქმე. მათ ასე კატეგორიულად არ დაუსვამთ საკითხი – არ უნდა გათხოვდეო. თუ საჭირო იქნება, გათხოვდი, მაგრამ ამით საქმე არ უნდა გაფუჭდესო“

58

მარტვილელი გოგონა ნინო ბურჯანაძის ვაქზე უგონოდ შეყვარებულია

„პირველად ანგარიით 1 წლის წინ მოვიხიბლე, როცა ტელევიზორში ვნახე. ჩემთვის სიურპრიზი იყო, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ დროს, თავისუფლების მოედანზე ქალბატონი ნინოს გვერდით შევნიშნე. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.“

12

„ქრონიკული“ პატიმარი მსოფლიო რეკორდზე „იქაჩება“



ქართველები რომ უნიკალური ხალხი ვართ, ამას ფიციმტკიცი აღარ სჭირდება. ამ ცოტა ხნის წინ შემატყობინეს, რომ ერთ-ერთი პატიმარი ზონაში რეკორდის დამყარებას აპირებს. დავადგინე მისი ვინაობა და „ქსივი“ შევუგზავნე...

52

გზავნილები

„მაგარი ნაშაა, მინდა, მოვიტაცო და დავმალო...“ 29

ჯანმრთელობა

- წვენსაწური 32
- თქვენი ბიჭუნას სველი შარვალი 33

დღესასწაული

მირქმა 34

ტაქარი

აქვს თუ არა ერისკაცს ფსკვნილის ტარების უფლება? 35

სენი

მძიმე დაავადებით დასნეულებული ბიჭის გადასარჩენად დედა სასწაულს ელოდება 36

ოჯახი

რატომ არ მოსწონთ ამირან შალიკაშვილი შვილებს?.. რამდენი ცოლის მოყვანა შეეუძლია ქართველ კაცს?.. 39

ქართული დეტექტივი

ლუბა ელიაშვილი. ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო (დასასრული) 41

ვარსკვლავი

უბერებელი გოლდი ჰოუნი სხვებსაც ახარებს და თავადაც სიცოცხლით ტკბება 47

ბომონდი 49

ფავორიტები

მარია ანასტასიას შეურიგდა, ანა ცუნამით დაზარალებულებს ეხმარება 51

ზონა

„ქრონიკული“ პატიმარი მსოფლიო რეკორდზე „იქაჩება“ 52

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 54

ავტო 55

საპატარძლო

„წავალ იქ, სადაც ჯაზის სამშობლოა...“ – უმგზითვო მოძღერალს მოწიფული მამაკაცები ხიბლავს 56

ჭორ-მართალი

„ქეთა უკვე „ა სტუდიოს“ სრულუფლებიანი წევრია 58

ჰოროსკოპი

კვირის (14-20 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

მაშენებელი ნატურა ხართ თუ მომხმარებელი? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

უმგზითვო მოძღერალს მოწიფული მამაკაცები ხიბლავს



ამჯერად მკითხველი მამაკაცების გულს გავახარებთ და „საპატარძლოდ“ „ნუცას სკოლის“ ერთ-ერთ გამარჯვებულს, თათია ხაბურზანიას წარმოგიდგენთ. ჩემი რესპონდენტი აღიარებს, რომ დიასახლისის ამპლუაში მაინცდამაინც თავს ვერ მოგაწონებთ...

56

გაცოცხლებული ძველმანების კომერციული მადლი

„სავარძელი 400 დოლარად ძვირია?.. ზოგჯერ 250-ად ვყიდი. უცხოელები 600-ს იხდიან. ერთი ფრანგი ქალი ჩემგან 500 დოლარად ყიდულობს სავარძელს და პარიზის ცენტრში მდებარე მაღაზიაში 1.200 დოლარად ყიდის.“

23

უბერებელი გოლდი ჰოუნი



მის ფილმოთეკაში სერიოზული დრამატული როლები ძნელად თუ მოიძებნება. მსუბუქი ჟანრის მსახიობთა შორის გოლდი ჰოუნი ის იშვიათი გამონაკლისია, რომელსაც საკუთარი იმიჯი სრულიად აკმაყოფილებს და ტრაგიკულ როლებზე არ ოცნებობს...

47

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

ლუბა ელიაშვილი



თავს გადამხდარმა შოკმა თავისი შედეგი გამოიღო: ლოგინად ჩავვარდი, ორი დღე მაღალი სიცხე მქონდა და ირაკლი მაღრაძე მმრუნველი მამასავით მიელიდა. ჩემმა რეიტინგმა რედაქციაში მაქსიმუმს მიაღწია, მაგულიც კი მობრძანდა ჩემს მოკრძალებულ ბინაში ანანასებითა და ბანანებით ხელდამშვენებული.

41

თუ გინდათ, ისიამოვნოთ, უყურეთ გამოთიულ ტელევიზორებს



დიდი ხანი არ გასულა, რაც ჩვენს ტელეეკრანებზე ასაკობრივი ცენზის აღმნიშვნელი დამღები გამოჩნდა და მუდმივი პრობლემა მშობლებსა და შვილებს შორის, ტელევიზორთან ჯდომის რეგლამენტირებისა უცებ „მოგვარდა“... ანუ, თუ 14 წლის ბიჭმა ეკრანზე დაინახა მისი ასაკისათვის ყველაზე საინტერესო კადრი, როგორ იტანჯება საცოდავი ქალი მამაკაცის ქვეშ და მაინც მორჩილად ეძახის – მიდი, მიდიო! – შეამჩნევს თუ არა ნიშანს – 15, უმალვე ტელევიზორს გათიშავს და მოთმინებით დაელოდება, როდის გახდება 15 წლის...

ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ რატომაა მხოლოდ ფილმებზე ასეთი ნიშნები და არა სხვა გადაცემებზე – მაგალითად, საინფორმაციო პროგრამებსა და პოლიტიკურ ტოქშოუებზე?.. იქნებ, იმიტომ, რომ ტელემაგნატებს ჰგონიათ, მოზარდებს პოლიტიკა ისედაც არ აინტერესებთ და მაინც არ უყურებენო?.. როგორ გეკადრებათ, „თქვენო უტელედიდებულესობავ“, მოზარდებს ხომ ყველაფერი აინტერესებთ, რაშიც „ბოევიკური“, „უჟასური“ და სექსობრივი აღვირახსნილობის ელემენტებია ჩადებული!

მაგალითად, ამას წინათ, საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა, დედაქალაქის ეს სპეტაკი უწყება, ამავე ქალაქის მერის გვარს რომ შეადარა „პრო“-წინსართის დამატებით, სიტყვამ ისეთი ჟღერადობა მიიღო და ისეთი დაგნარიც ატყდა, რომ გულით შევეცადე, სხვა არხზე გადამერთო, მაგრამ ვერაფრით „გამოვაძვრე“ ჩემი შვილი ტელევიზორიდან: კმაყოფილებისგან ხარხარებდა და იძახდა – რა კარგი რამ ყოფილა პოლიტიკა, „ტომი და ჯერი“-ზე უფრო სასაცილოაო (დარწმუნებული ვარ, ყველა ოჯახში იგივე სიტუაცია იქნებოდა და ქართულმა პოლიტიკამ ათიათასობით გულშემატკივარი შეიძინა ბავშვების სახით)...



მოკლედ, ან პარლამენტმა უნდა დააჩქაროს ეთიკის კოდექსის მიღება-განხორციელება და მას მიჰბაძოს ყველა სახელმწიფო უწყებამ, რომლის მოღვაწეობაც ეთერში შუქდება, ან არა და, საერთოდ ავკრძალოთ საინფორმაციო პროგრამების ყურება ოჯახებში და ამისათვის გამოიყოს სპეციალური ადგილები სადარბაზოში, მეზობლის გარაჟში ან სულაც – კორპუსის სახურავზე...

თუკი გაცდენებსა და დაგვიანებებზე შემოიღეს პარლამენტში ფულადი ჯარიმები, ხომ უკეთესი იქნება, ჩხუბის, გინებისა და აყალმაყალის გამოც მოუხსნან ხელფასები პარლამენტისა და საკრებულოს დეპუტატებს და მერე ისწავლიან ჭკუას. თუმცა, მთლად ყველაფერსაც ვერ ავუკრძალავთ, რაც არ უნდა იყოს, ქართველები ემოციური ხალხი ვართ. ამიტომ რაღაცების უფლება მივცეთ. მაგალითად, თუ 3-5 ლარს გადაიხდის, შეეძლოს, „სამი თითის კომბინაციის“ ჩვენება რიგითი დეპუტატისათვის, 10 ლარად კი – კომიტეტის თავმჯდომარისთვისაც; ავტოკალმის სროლას, რაც ახლა ძლიერ მოდურია, შეიძლება, სხეულის დაზიანება მოჰყვეს, ამიტომ იგი შეიცვალოს ფურცლების თავზე გადახვევით; ხოლო თუ ფეხსაცმლის სროლა უნდა მაინცდამაინც, ამის უფლება მხოლოდ მაშინ მიეცეს, როცა რბილძირიანი და დაბალქუსლიანი ანუ სპორტული სტილის ფეხსაცმელი აცვია. თუ არ აცვია, სხვას გააძროს და მორჩა...

მესმის, რომ პოლიტიკოსთა მუშაობის იმ დონეზე დახვეწა, როგორიც მე ახლა წარმოგიდგინეთ, ასე უცებ (ერთ და ორ წელიწადში) არ მოხდება. ამიტომ მანამდე, ტელეჟურნალისტებმა კეთილი უნდა ინებონ და ეკრანზე მაყურებელთა ასაკის შემზღუდავი ნიშნები გააკრან: „კურიერს“ – 25 წლამდე, „მზერას“ – 20 წლამდე, „ქრონიკას“ – 18 წლამდე, „კავკასიას“ – U...

იგივე უნდა ითქვას მუსიკალური არხების პროგრამებზეც: რამდენი ქართული სიმღერაა დღეს ჰიტად აღიარებული, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვის და ზრდასრული მომღერლის დუეტი ასრულებს და რომელშიც სიყვარულზე, მოფერებასა და ღამით სიზმარში მოალერსებაზეა ლაპარაკი!.. რას ვუკრავთ ტაშს?!. ამის გულისათვის აშშ-ში ჯექსონს სამუდამო პატიმრობა ელის, ჩვენ კი, „ბრავო-ბისს“ ვუძახით... ამიტომ ასეთ მუსიკალურ გადაცემებზეც უნდა გაჩნდეს ნიშანი – 70 ან 80 – ჯობია...

ყველაზე მართალი კი ისაა, რომ თუ გვინდა, ტელევიზორმა სიმშვიდე და სიამოვნება მოგვანიჭოს, გამოვრთოთ და ისე ვუყუროთ...

P.S. ორი მეზობლის საუბარი:

– წუხელ კინაღამ მოვკალი ჩემი შვილი. ჩაურთავს ტელევიზორი და პარლამენტიდან რეპორტაჟს უყურებდა.

– შენი 15 წლისაა, ჩემი კი – თორმეტისაა სულ და ვერ ვაცილებ „საინფორმაციოებს“.

– რა არის, რა საშინელებაა! ხომ შეიძლება, ხანდახან ეროტიკაც გაუშვან, გაგვერყვნა ბავშვები!..

პროვოკატორი

ცუდი კბილები პოლიციელის პრესტიჟს ლახავს

ფილიპინელი პოლიციელები მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელი ღიმილის მქონენი გახდებიან. საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებამ ისინი უფასოდ უზრუნველყო კრიალა პროთეზებით. თავდაპირველად, კბილები, აქციის – „ახალი ღიმილი უკბილოთათვის“ – პროგრამით რიგდებოდა და ძირითადად, ქალაქ მანილის ბაზრობების ხელმოკლე მოვაჭრეებისთვის იყო გათვალისწინებული. მაგრამ შემდეგ, ხელისუფლებამ მოიფიქრა, რომ ცუდი კბილები ეროვნული უსაფრთხოების სისტემის წარმომადგენელთა პრესტიჟისთვის საზიანოა და გადაწყვიტა, სწორედ კანონის დამცველთათვის დაერიგებინა კრიალა პროთეზები. თავდაპირველად, 50 დოლარად ღირებული ხელოვნური კბილები 200-მა ოფიცერმა მიიღო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილიპინელი პოლიციელის საშუალო ხელფასი თვეში სულ 150 დოლარს შეადგენს, ნათელი გახდება, რომ მომხიბვლელი ღიმილის ყიდვა მათთვის ხელმიუწვდომელი იქნებოდა. ბუნებრივია, რომ ბევრი მათგანისთვის ეს მართლაც, კარგი საჩუქარი აღმოჩნდა. ერთ-ერთი პოლიციელის აზრით, ის 10 წელი ოცნებობდა პროთეზის შეძენაზე, რადგან თითქმის ყველა საკუთარი კბილი, დემონსტრანტებთან შეტაკებისას დაკარგა.

■

ერთჯერად ჭიქაში 9,5 მლნ დოლარი იპოვეს

ბრიტანეთში, ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველებმა პლასტიკატისგან დამზადებულ ერთჯერად ჭიქაში იპოვეს ლატარიის ბილეთი, რომლის მფლობელმაც თითქმის 10 მლნ დოლარი მოიგო. სანუკვარი ბილეთის საყოველთაო ძებნა მაშინ დაიწყო, როცა ლატარიის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ბედნიერი მილიონერი არა და არ გამოცხადდა. გათამაშების შედეგების შეჯამებისას გაირკვა, რომ სამიდან ერთ-ერთი მოგებიანი ბილეთი (რომელმაც 5 მლნ გირვანქა სტერლინგი მოიგო) უკვალოდ გამქრალიყო... ერთი თვის შემდეგ, ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველთა ჟინიანმა ჯგუფმა, ბოლოს და

ახალი პრემიერი — ახალი მთავრობა. მთავრობის ახალი თავმჯდომარის შესაძლო კანდიდატების ირგვლივ ბჭობას შეენაცვლა სჯა-ბაასი იმაზე, თუ რა შეიცვლება ქვეყნის პოლიტიკაში, ისტებლიშმენტში, საერთოდ, სახელისუფლებო სისტემაში.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ზურაბ ჟვანიას შემცვლელს პრეზიდენტი შეკვეცილ უფლებამოსილებასა და განახევრებულ ძალაუფლებას უბოძებს, უახლოეს მომავალში კი, სავარაუდოდ, მინისტრთა კაბინეტი საერთოდ გაუქმდება და ქვეყანა ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს განახორციელებს. მანამდე კი, კვლავ აქტუალური რჩება კითხვები: ქმნის თუ არა, გასულ კვირას მომხდარი ფაქტების ერთობლიობა, საქართველოში „დინამიკური ქაოსის“ დამკვიდრების საფრთხეს და რატომ არ საუბრობს ხელისუფლება ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ძალისმიერ ვერსიაზე, როცა

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უკვე არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნდა? როგორც პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, ამ მოვლენების ერთობლიობა იმ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ მიზანმიმართული დივერსია ხორციელდება...

მიზანმიმართული შანტაჟი თუ მიუტევებელი არაპროფესიონალიზმი?!

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

– ჟვანია იყო იმ მასშტაბის პოლიტიკოსი, რომ მისი გარდაცვალება უამრავი მითქმა-მოთქმის მიზეზი მაინც გახდებოდა, მიუხედავად იმისა, თუ რა ოფიციალურ ვერსიას გააჟღერებდა ხელისუფლება. რომის სამართალი შეიცავდა ასეთი ფაქტების გამოსაძიებლად საჭირო სპეციალურ ინსტრუქტაჟს, რომლის შესაბამისადაც უნდა დადგენილიყო არა ის, თუ ვისი ხელით აღსრულდა დანაშაული ანუ ვინ იყო შემსრულებელი, არამედ შემკვეთის ვინაობა. თუ ჟვანია მოკლეს, მაშინ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნაწილი, საქართველოსა და მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ არსებული შეთქმულებისა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: პრივატიზაციის პროცესი, კორუფციასთან ბრძოლა, საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსი... არც იმ განაწყენებული, პრივილეგიადაკარგული ადამიანების გამორიცხვა შეიძლება, რომლებიც ახალ რეალობას ვერ ეგუებიან და შურისძიების მიზნით, ყველაფერზე მოაწერენ ხელს. არ ვიცი, რამდენად გამართლებულია იულიუს კეისართან სააკაშვილის შედარება და ანტონიუსთან ჟვანიას გაიგივება, მაგრამ თამაშიდან პრემიერის უდროოდ გასვლა ძალიან ჰგავს კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას. ავანტიურისტთა მთავარი პრობლემა იყო, როგორმე შეეჩერებინათ ანტონიუსი, მათ ეს მოახერხეს და კეისარი, მისი ქვეშევრდომისგან სულ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მოკლეს. ჩვენ ასეთი ფინალი ღმერთმა გვაშოროს!..

— ანტონიუსის მაგალითი ქართველ პოლიტიკოსებს არ გახსენებიათ. თუმცა, გამსახურდიასთვის კოსტავას ჩამოშორებასა და საეჭვო ვითარებაში ჟვანიას გარ-

დაცვალებასთან დაკავშირებით პარალელები უკვე გაავლეს.

— გამსახურდიას წინააღმდეგ შეთქმულება, სწორედ კოსტავას ჩამოშორებით დაიწყო. კოსტავა, რომელიც გარკვეულ დონეზე აბალანსებდა გამსახურდიას პოლიტიკას, თავიდან მოიშორეს. დაახლოებით იმავე ფუნქციას ასრულებდა ჟვანია დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში. მისი სიკვდილის შემდეგ კი, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დრამატული სიცარიელე დარჩა. თუმცა, ახლა, 90-იანი წლების დასაწყისი არ არის. საქართველოს სტაბილურობით დაინტერესებული არიან აშშ და მთელი ევროპა, ამიტომ ქვეყნის პირველი პირის თავიდან მოშორება ადვილი ნამდვილად არ იქნება...

— ჟვანიას გარდაცვალება საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან კორექტივებს ვერ შეიტანს. მაგრამ შიდაგადანაწილების პროცესი აუცილებლად დაიწყება და პირველ რიგში, ეს ალბათ საკადრო პოლიტიკას შეეხება. მეთანხმებით?

— პოლიტიკური კურსის ცვლილება, ბუნებრივია, არ მოხდება. შიდარეორგანიზაციის თვალსაზრისით კი, მნიშვნელოვანი სიახლეებია მოსალოდნელი. ძალიან სიმპტომატურად მომეჩვენა ქალბატონი ელენე თევდორაძის განცხადება, რომ ხელისუფლებაში „ბურჯანაძე-დემოკრატები“ და „ნაციონალები“ მოვიდნენ სამკუთხედის ფორმით, ამიტომ, მისივე აზრით, სამართლიანი იქნებოდა, თუ „დემოკრატი“ ჟვანიას ადგილას სხვა „დემოკრატი“ დაიკავებდა, რითაც შევინარჩუნებდით რევოლუციურ სამკუთხედს. ამ აზრის მომწოდებლებს ალბათ დაავიწყდათ, რომ ჟვანიას, პრემიერის პოსტი ეკავა არა პარტიული ნიშნით, არამედ იმიტომ, რომ ის იყო ჟვანია. არ მინდა, რომ ნოსტალგიამ შეგვიპყროს გუნდური პრინციპის გამო, რომელიც ბოლოს, კლანურ მმართველობაში გადაიზრდება ხოლმე... ჩემი აზრით, „დემოკრატებისთვის“ პრემიერის თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემა საქართველოს ფეოდალიზმში დაბრუნების ტოლფასი იქნებოდა.

— მაგრამ ახალი პრემიერ-მინისტრი სწორედ „დემოკრატების“ წარმომადგენელია. თქვენი აზრით, რატომ შეაჩერა პრეზიდენტმა არჩევანი ნოღაიდელზე?

— პრეზიდენტის გადაწყვეტილება გარკვეულწილად კომპრომისულია. თუმცა ამ კომპრომისის მოტივებზე ამჯერად საუბარი არ მსურს. ნოღაიდელის გაპრემიერება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პრეზიდენტი ცდილობს, ყურადღება გაამახვილოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ყოფილ ფინანსთა მინისტრს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ამ სფეროში. მინდა მჯეროდეს, რომ ამ თანამდებობაზე ნოღაიდელის დანიშვნა უფრო მეტად, განპირობებულია მისი კვალიფიკაციით და არა პარტიული ნიშნით.

— თუმცა, გუნდური პრინციპით ქვეყნის მართვის ტრადიცია მაინც არ დაირღვევა და პრეზიდენტი ეცდება, პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კვლავ ერთსულოვნება შეინარჩუნოს.

— ჩემი აზრით, საკაშვილს ამგვარი ერთსულოვნების საწინააღმდეგო არაფერი ექნება, მაგრამ ეს ერთიანობა ბუტაფორიული და სიმულაციური არ უნდა იყოს. რევოლუციური ტრიუმვირატის — ბურჯანაძე-ჟვანია-საკაშვილის ერთსულოვნება ბუნებრივი გახლდათ. დღეს, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნებისმიერი ადამიანით ჩანაცვლება ხელოვნური იქნება და შესაძლოა, საბოლოოდ დაშალოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ერთიანობა.

— როცა პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო, აშკარად ჩანდა, რომ პრემიერის თანამდებობა უშუალოდ ბატონი ზურაბისთვის იქნა შემოღებული. მაგრამ თავისი უფლებამოსილებით ჟვანია პრემიერ-მინისტრის რანგსაც კი სცილდებოდა...

— რა თქმა უნდა, კონსტიტუციური ცვლილებები სწორედ ჟვანიას გაპრემიერებისთვის მიიღეს. ეს იყო ზუსტად მის პიროვნებაზე მორგებული ვარიანტი, რასაც საზოგადოების მხრიდან გარკვეული უკმაყოფილებაც მოჰყვა. ახლა, როცა ბატონი ზურაბი ცოცხალი აღარ არის, შესაძლებელია, უახლოეს მომავალში, ეს პოსტი საერთოდ გაუქმდეს და სახელმწიფო მინისტრის ინსტიტუტი აღდგეს.

— ე.ი. თქვენ გამორიცხავთ, რომ მისი უფლებამოსილება ნოღაიდელს სრულად გადაეცემა?

— ჩვენ გავიზარდეთ იმ ეპოქაში, როცა გვინერგავდნენ ბოლშევიკურ ფორმულას — შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს. მაგრამ ყველა ადამიანი ხომ უნიკალურია და აქედან გამომდინარე — შეუცვლელი. ტექნიკურად შესაძლებელია, რომ ერთმა მეორის ადგილი დაიკავოს და ზოგიერთ საკითხს უკეთესადაც გაართვას თავი. მაგრამ ახალი კანდიდატურა ძველი უფლებამოსილებით რომ აღიჭურვოს, ამისთვის თუნდაც, რევოლუციურ პროცესებში ის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, რომელსაც ჟვანია ასრულებდა...

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება და ეკონომიკური პროცესების გაძღოლა ევალება. ახალ პრემიერს რის ხარჯზე შეუმცირებენ ძალაუფლებას?

ამ თანამდებობაზე საჭიროა ადამიანი, რომელიც სწორად განსაზღვრავს ეკონომიკურ პრიორიტეტებს...



ბოლოს, მიაღწია შედეგს და სრული შემადგენლობით გამოცხადდა მოგების მისაღებად. საინტერესოა, რომ განვლილი დროის მანძილზე, მოგებულ თანხას, რომელიც საბანკო ანგარიშზე პატრონის გამოცხადებას ელოდა, სარგებლის სახით 21 ათასი გირვანქა სტერლინგი შემატებია. ლატარიის ორგანიზატორთა თქმით, ეს თანხა საქველმოქმედო საქმეს მოხმარდება.

■

სულიგანი მოსწავლე შესაძლოა, გისოსქმს მიღმა აღმოჩნდეს

ასეთმა პერსპექტივამ შესაძლოა, ხუმრობის ყოველგვარი ხალისი დააკარგვინოს ამერიკელ სკოლის მოსწავლეს, რომლემაც არცთუ ისე უწყინარი ოინი მოუწყო თანატოლებს. ნიუიორკის შტატის პატარა ქალაქ ვესტალში მცხოვრები 17 წლის ბიჭი „გენიალურმა“ იდეამ შეიპყრო, რომელიც მან დაუფიქრებლად განახორციელა კიდეც: ჯერ ბიოლოგიის კაბინეტში შეიპარა, საიდანაც დასპირტული ცხვრის ტვინი მოიპარა, შემდეგ კი — სასადილოს სამზარეულოში, სადაც სალათით სავსე ქვაბში ეს მასა ჩაუშვა... საბედნიეროდ, ამ კერძის დეგუსტაცია არც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და არც მოსწავლეებს არ მოუწიათ. ხუმარას თანასკოლელების თქმით, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მას ბოროტი განზრახვა არ ამოძრავებდა. მაგრამ ამ აზრს არ იზიარებენ მართლმსაჯულების წარმომადგენლები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ის უნდა დაისაჯოს. თუ სასამართლო ბიჭს დამნაშავედ ცნობს, მას 3 წლამდე პატიმრობა, 1.000-დოლარიანი ჯარიმა ან ორივე ერთად ემუქრება.

■

— პრემიერის ფუნქციაში შედის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთი ასპექტების მოგვარება, რომელთა გადაწყვეტითაც სააკაშვილი ვერ დაკავდება. ამ თანამდებობაზე საჭიროა ადამიანი, რომელიც სწორად განსაზღვრავს ეკონომიკურ პრიორიტეტებს, მიაღწევს მეურნეობის აყვავებას, გააკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობას და რაც მთავარია, გამოიჩენს პრინციპულობას ისეთ საფრთხილო საკითხთან მიმართებაში, როგორიცაა პრივატიზაცია. თუ პრემიერ-მინისტრი მართლაც, მოკლეს, არ გამოვრიცხავ, რომ დივერსიის მიზეზი სწორედ პრიტივატიზაცია იყო... უცხოური კაპიტალდაბანდების პროცესი უნდა გაგრძელდეს, უბრალოდ, ქვეყნის პირველ პირებს უფრო მეტი გამჭვირვალობა და სიფრთხილე მართებთ. წინასწარ დაგეგმილი საბოტაჟი კი, სათავეშივე უნდა აღიკვეთოს.

— თუ პრემიერის ფუნქციებს მომავალში, თავად პრეზიდენტი შეითავსებს, ამით ის პირადად გახდება პასუხისმგებელი იმ პროცესებზე, რომლებიც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს და რომლებზეც პრეზიდენტი ფაქტობრივად, ინფორმირებული არ არის...

— საქართველოს ჰყავს უდიდესი შესაძლებლობების პრეზიდენტი. პრობლემა ის არის, თუ როგორ შევძლებთ ჩვენ მისი შესაძლებლობების, ის კი — მოსახლეობის პოტენციალის, ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენებას. ეს არის ეროვნული თანხმობის საკითხი, რომელიც ახლო მომავალში, შეიძლება, სერიოზული კრიზისის საფუძველი გახდეს ერთხელ დე გოლმა თქვა — საფრანგეთი და ფრანგები ერთი და იგივე არ არის; ფრანგები დაიღალნენ ჩემით, ხოლო მე — მათითო... აი, ბეწვის ხიდი, რომელიც ჩატყდა დე გოლსა და ფრანგებს შორის. მაგრამ რაც ეპატიება დე გოლს და საფრანგეთს, არ გვეპატიება ჩვენ. ჩვენი პრეზიდენტიც სწორედ სტრატეგიულ ინტერესებზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ ყოველგვარ სტრატეგიას აქვს თავისი ტაქტიკა. არ შეიძლება, ყველაფერი მოსთხოვო ხალხს, როცა სახელწიფო აპარატის წევრთა მითითებით, ხელკეტებით უმოწყალოდ სცემენ გარე მოვაჭრეებს, როცა სოციალური პირობების გაუთვალისწინებლად, ყოველგვარი გარანტიისა და კომპენსაციის გარეშე, ათავისუფლებენ ათასობით ადამიანს, როცა ეკონომიკური ფონი მძიმდება და გამოსწორების პერსპექტივა არ ჩანს. მოსახლეობას უჩნდება კითხვა — ნუთუ, ასეთი რამ ნორმალურ სახელმწიფოში შეიძლება ხდებოდეს?! პასუხი მარტივია — არა. ეს ან არაპროფესიონალიზმის შედეგია, ან პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟთან გვაქვს საქმე. პრეზიდენტი აცხადებს — ფასებმა 5%-ით მოიმატაო. ის თავად არ წასულა ბაზარში და ოხრახუშის ან ხურმის ფასი არ დაუდგენია, მცდარი ინფორმაცია ვიღაცამ მაგიდაზე დაუდო. მოსახლეობა კი ისმენს პრეზიდენტის გამოსვლას და აღარ სჯერა მისი, რადგან იცის, რომ პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ზრდა 5%-ით კი არა — 50-ით, ცალკეულ შემთხვევებში — 100%-ით მოხდა...

— ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს გვესმოდა, რომ პრეზიდენტი ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა; მოგვიანებით, შევარდნაძის შეცდომებსაც ამავე მიზეზით ხსნიდნენ. თუ სააკაშვილსაც გარემოცვა ატყუებს, თქვენ, როგორც პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, რომელსაც პრეზიდენტთან ხშირად გაქვთ აუდიენცია, რატომ არ აცნობებთ, რომ მის წინააღმდეგ საბოტაჟი ხორციელდება?

— ჩვენ ემოციების დონეზე განცხადებების გაკეთება არ შეგვფერის. თუმცა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ერთობლიობა, შეშფოთების საფუძველს იძლევა. ამის შესახებ უახლოეს შეხვედრაზე ბატონ პრეზიდენტს აუცილებლად მოვახსენებ. საგარეო ურთიერთობების მოწესრიგება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე მუშაობა, სტრატეგიის განსაზღვრა — უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ხალხისგან მაქსიმუმი არ უნდა მოვითხოვოთ, მან ხელისუფლებისგან თავისი წილი მზრუნველობა უნდა მიიღოს...

■

მკურნალობა გარანტიით!

თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა, ამოდის თმა, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში, კანის და ფრჩხილის სოკო, ფსორიაზი.

ვის: ჭავჭავაძის გაზ. 2/2, ჩაის სახლთან, სამკურნალოგიურ პოლიკლინიკაში, 11-18 სთ-ზე, შაბათს 13-15 სთ-ზე

☎ 30-94-73; 35-32-62; 893-91-89-17 (საღამოს)

მკურნალობამდე და შემდეგ

ფრაქცია „21-ე საუკუნის“ ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე ამ ხელისუფლების ობიექტივში ვერ მოხვდა. მას ორჯერ მოუწია უნებლიეთ პოლიტიკური ასპარეზის დატოვება — პირველად 1992-ში, პუტჩის, მეორედ — 2003-ში, ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად. პირველად განათლების მინისტრის პოსტი დათმო, მეორედ — პარლამენტი და ბლოკი, რომელსაც „აღორძინება“ ერქვა. დაკარგა ორი მეგობარი — ზვიადი და ასლანი, თუმცა, ამ უკანასკნელს, პირველთან შედარებით, ერთი „პრივილეგია“ აქვს — ცოცხალია.

ჟურნალ „კრიტიკის“ ყოფილი რედაქტორი ახალი ხელისუფლების მიმართ კრიტიკას არ იშურებს. მასა და მიხეილ სააკაშვილს, ნათესაური კავშირის მიუხედავად, ურთიერთობა რატომღაც ვერ აეწყოთ. როგორც ბატონი ელიზბარი ამბობს, მიშამ თუ სხვის დაკრულზე ცეკვა გააგრძელა, მისი ფინჯანი ჩაის დალევა მალე სხვას მოუწევს.

ელიზბარ ჯაველიძე: მოსალოდნელია ეროვნული ჯანყი ჭინჭრებითა და ჯომბლებით

ნანა ფიცხელაური

— ბატონო ელიზბარ, თქვენი აზრით, ექსხელისუფლების წარმომადგენელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა რატომ არიდებს თავს მასმედიას?

— ზოგიერთები განსხვავებული აზრის გამოთქმას ერიდებიან. ამინდს ელოდებიან — იქნებ, ისეთმა სიომ დაუბეროს, რომ ეს ხელისუფლება მათკენ შემობრუნდეს.

— თქვენც გიფიქრიათ, რომ ხელისუფლება თქვენკენ შემობრუნდება?

— რომც შემობრუნდეს, ჩემი პოზიცია მაქვს. მე ვემსახურებოდი და ვემსახურები იმ ადამიანებს, ვინც იღვწის და იღვაწებს საქართველოსა და ქართველებისთვის. ამისათვის იბრძოდა ზვიად გამსახურდია და თავიც შესწირა საქართველოს გადარჩენას და დამოუკიდებლობას.

— გინდათ თქვათ, რომ ჩვენს ხელისუფლებას სამშობლო არ აფიქრებს?

— ესენი საქართველოზე ფიქრობენ, ოღონდ, მხოლოდ ცუდს. დღევანდელი ხელისუფლება, საკაშვილით დაწყებული და ჭიაბერაშვილით დამთავრებული, ებრძვის ქართულ ტრადიციებს, კულტურას, მეცნიერებას და სარწმუნოებას. მიზანი ერთია — მოხდეს სრული ინტეგრაცია საერთო ევროპულ სახლში. ეს არის საერთო „ქვაბი“, სადაც ყველა ეთნოსი იხარშება და ბოლოს იქიდან ერთი, უეროვნებო ხალხი გამოდის. ჩვენი ხელისუფლება საკუთარ თავს არ ეკუთვნის, ისინი დასავლეთის მასონური ორდენების დავალებებს ასრულებენ, რომლებიც ბოლო დროს, ფინანსურად ძალიან გაძლიერდნენ. ამათი მამა-მარჩენალი სოროსია, რომელიც დღეს ბრძანებს, არც „ვარდების“ და არც უკრაინის რევოლუცია არ დამფინანსებიაო, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ, ჩემი ყურით მოვისმინე — მე ეს ყმაწვილები დავაფინანსე (გვერდით მიშა და აწ გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია ესხდნენ), ექსპერიმენტი ჩავატარე და ახლა იგივე ექსპერიმენტი აფრიკაში უნდა გადავიტანოო. უკრაინაშიც, ცხადია, რევოლუციის უკან სოროსი და დასავლეთი იდგა. როცა ამერიკულ დემოკრატიაზე საუბრობენ, მეცინება, იმიტომ, რომ დემოკრატია არ შეიძლება, იარაღის ძალით დამკვიდრდეს. სისულელეა იმის თქმა, რომ ამერიკას ერაყში დემოკრატიის დამკვიდრება ადარდებს. მას ერაყის ნავთობის დაპყრობა, მსოფლიო ეკონომიკური ჰეგემონია და გავლენის სფეროები აინტერესებს. ამას მიაღწია კიდეც. ეროვნულ კაცს, ზვიად გამსახურდიას, ვისი მიზანიც ეროვნული სახელმწიფოს შექმნა იყო, დიქტატორი, ფიურერი და ათასი სამაგლობა უწოდეს. არც ევროპის და არც ამერიკის არც ერთ ტელევიზიას არ გადმოუცია, რომ ეროვნული ხელისუფლება რუსეთის იარაღის ძალით დაამხეს, რომ ეს პუტჩი იყო. აი, ნოემბრის გადატრიალება კი, ხავერდოვან რევოლუციად მონათლეს. განა, ეს „ვარდების რევოლუცია“ იყო?

— მაშ, რა იყო?

— ეს იყო ხელისუფლების ძალადობით დამხობა — პარლამენტში შემოცვივდნენ მორფინისტები, მთვრალები და იქიდან გამოგვყარეს. მათ ცალ ხელში ვარდი ეჭირათ, მეორეში — იარაღი. ეს იყო მშვიდობიანი გზა? მეორე დღეს, როცა პარლამენტში მივედი, იქაურობა შპრიცებით იყო სავსე. ჯემალ გოგიტიძემ დამიძახა კაბინეტში — იქაც ანალოგიური სურათი დამხვდა. ეს ყველაფერი შევარდნაძესთან იყო შეთანხმებული. ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო, ესენი კურდღლებივით გაცვივდებოდნენ. შევარდნაძის დაცვას ჰქონდა სროლის უფლება, მაგრამ არ ისროლეს. იმ დღეს, სანამ პარლამენტში შევიდოდი, 5 კორდონი გავიარე. სად გაქრა ეს კორდონები? არ შეიძლება, ყველაფერს ორმაგი სტანდარტებით ვაფასებდეთ. ვთქვათ, მოხდა ხავერდოვანი გადატრიალება. უკეთესობისკენ წავიდა საქმე? შევარდნაძეს დიდ დიქტატორს ვუწოდებდი, საკაშვილმა უფრო არ გაშალა ფრთები? ან სასამართლო არსებობს? თუ კანცელარიიდან არ დარეკეს, თუ ფული არ მიიტანე, ისე არაფერი წყდება. ნაგვის ურნებთან გაჭირვებული ხალხი ტრიალებს და ნარჩენებს ეძებს. რა გააკეთეს? ეს რევოლუცია კი არა, კონსტიტუციურად, სისხლის სამართლის დანაშაულია. ვინც ეს ჩაიდინა, საკაშვილის თავკაცობით, ყველა უნდა გასამართლდეს.

— გასამართლდესო, ამბობთ. ეს ადამიანი კი, სულ ახლახან, ნობელის პრემიაზე წარადგინეს... ინვესტორების მოზიდვა, ევროპასთან ინტეგრაცია, დასავლეთიდან წამოსული მილიონები, — ცოტაა, განა?

— რა ინვესტორების მოზიდვა, როცა მოგყავს კომპანია, ყიდი მნიშვნელოვან ობიექტს და არ იტოვებ პაკეტით სარგებლობის უფლებას?! ესენი საქართველოს ყიდიან. ბათუმის პორტი გამოგონილ ფირმაზე გაყიდეს. არადა, სინამდვილეში, თვითონ ყიდულობენ ყველაფერს. კონსტიტუციაში წერია, რომ სანაოსნოები, რკინიგზა,

ელკავშირები გაყიდვას არ ექვემდებარება, ვინაიდან სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებია. ქართველი ხალხის შექმნილ ქონებას ანიავებენ, იღებენ ფულს, ნაწილს — ბიუჯეტში, უფრო დიდ ნაწილს — ჯიბეში იდებენ. გაისად, როცა აღარაფერი იქნება გასაყიდი, თანაც, როცა ხალხი დასაქმებული არ გყავს, რას უპირებენ ამ ქვეყანას და ჩვენს შვილებს, რომლებიც იმთავითვე მონებად მოდიან? დღეს მეცნიერებათა აკადემიის შენობას აბრას ხსნიდნენ. ალბათ ამ ობიექტსაც გაყიდიან. ინტელექტი აღარ უნდათ, მოსამსახურეებად გვაყალიბებენ — შემოვა ევროპელი და მას უნდა ემსახურო, ოღონდ, უნდა იცოდე უცხო ენა და კომპიუტერი. მაღალ ინტელექტსა და ტექნოლოგიებზე საუბარი ზედმეტია. შეგნებულად გვიყალიბებენ არასრულფასოვნების კომპლექსს — რომ ქართველები უუნარო, არასრულყოფილი ერია. ეროვნული ხასიათით, თურმე, როგორც სუბიექტები, ჩვენ მსოფლიო ასპარეზზე ვერ გავალთ. მაგრამ სავალალოდ, როგორც ობიექტები ისეც ველარ ვიარსებებთ, რუკაზეღა თუ დავრჩებით. დავით აღმაშენებელზე ფილმი ამერიკელებმა უნდა გადაიღონო. უნდათ, ის ჯვაროსან მოთავედ გამოიყვანონ. ჯვაროსნები ქრისტეს საფლავს კი არ ეებღნენ, ქვეყნებს იპყრობდნენ. დავითმა ეს რომ გაიგო, მათ ზურგი აქცია. უნდათ, ის ეკუმენისტი გამოიყვანონ. დავითი, როგორც მოაზროვნე ქართველი კაცი, უშვებდა, რომ ყველა ადამიანს უფლება აქვს, თავისი რელიგია იწამოს. არავის უთქვამს, რომ ის მიზგითში ლოცულობდა. უბედურება კიდევ ის არის, რომ დღეს საქართველოში არა უცხოტომელი, არამედ ქართველი იჩაგრება მხოლოდ. სანამ ამ ხელისუფლებას როზგებითა და კეტებით არ განვდევნით, საქართველოს არაფერი ეშველება.

— თქვენ ვისი დაფინანსების იმედი გაქვთ?

— მე ქართველი ხალხის გონიერების იმედი მაქვს და მჯერა. იცით, ეს ყველაფერი ერთ დღეში არ მომხდარა. მათ თანდათან ეკონომიკურად გააჩანაგეს საქართველო. დღეს პატრიოტიზმი პროვინციულ ფაშიზმად მონათლეს: მერე უკვირთ, ოსებმა 50 ქართველი ყმაწვილი როგორ დააჩოქესო?! ისინი ეროვნულ ნიადაგზე არ არიან გაზრდილი და იმიტომ. მე ოსი ვერ დამაჩოქებს! ქართველის ბუნება ისეთია, საუკუნეების მანძილზე ათასი ჯურის დამპყრობს უძლებდა. ეს „ნაციონალური მოძრაობა“ კი არა, ანტიეროვნული, კოსმოპოლიტური მოძრაობაა. პენსია 28 ლარი გახადეს, რომელიც დღეს 7-8 ლარს უდრის. ისე მოიმატა ფასებმა, 14 ლარით უფრო მეტს იყიდდი ადრე, ვიდრე 28 ლარით — ახლა. მადლობა ღმერთს, ხალხი გამოფხიზლდა. ეს ხელისუფლება აუცილებლად უნდა მოვიშოროთ.

— არჩევნებით, თუ... იქნებ, ახალი რევოლუციით?

— არჩევნების გზით ამათ ვერ მოიშორებ. ესენი პირველი გამყალბებლები არიან, დღეს გოგორიშვილი და მისი თანამოაზრეები პარლამენტში გაჯგიმულები დადიან, 2.000 ლარი აქვთ ხელფასი, მე კი უმუშევარი დავდივარ. სისხლის სამართლის დამნაშავე ჭიაბერაშვილი ქართულ ეროვნულ



სააკაშვილი იბრალებს, გვირაბი გავთხარე, გზები გამყავსო. ეს საქმე ასლანმა დაიწყო. იმ კაცს ხომ აქედან არაფერი წაუღია, დედიშობილა წავიდა...

გრძნობას შეურაცხყოფას აყენებს და ასეთ ადამიანს აწინაურებენ. ჰაბიტუსით ან განათლებით მაინც ღირდეს რამედ. რის ფილოსოფოსია?! ფროიდი მაგას ისე ესმის... მასში ქვეცნობიერი უფრო სჭარბობს, ვიდრე ცნობიერი. როგორც ჩანს, მას ქალის შიში და სექსუალურ-ბიოლოგიური გადახრები აქვს, თორემ, ამისთანა ფრაზებს არ წამოროშავდა. პარლამენტში შეიხედეთ — ვინ არიან? ზოგიერთს საშუალო განათლებაც არა აქვს, 40-მდე კაცმა კი პირველად პარლამენტში გახსნა შრომის წიგნაკი.

— არც თქვენი დროინდელი პარლამენტი იყო სამაგალითო...

— მართალია, ვერ იტყოდი — დედა, ეს რა ვნახეო? — მაგრამ ამას მაინც ათი თავით სჯობდა. იქ თამაზ გამყრელიძე, რეზო მიშველაძე, გურამ შარაძე, მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე იყვნენ...

— სიტყვამ მოიტანა და, მუხრან მაჭავარიანი ერთ დროს, თქვენზე განაწყენებული იყო. ამჟამად როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— არ მინდა ამ საკითხზე საუბარი. მუხრანს ახლაც და ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. უბრალოდ, მეგობარს უფრო მეტს ვთხოვ. გული მწყდება და ფაქტია, ძველებურად აღარ ვმეგობრობთ. ვინ არის მართალი, ამას დრო გაამჟღავნებს.

— რევოლუციის შემდეგ რას საქმიანობთ?

— რევოლუციამ სამშობლო წამართვა, რაც ძალიან მაწუხებს... მართმევს ქართულ კულტურას, მეცნიერებას, ტრადიციებს, ცნობიერებას, მართლმადიდებლობას და რწმენას. ამას წინათ, ერთ წერილში ამოვიკითხე — მართლმადიდებლობამ მსოფლიო ცივილიზაციაში ადგილი უნდა იპოვოსო. ეს როგორ გავიგოთ? რა, კათოლიციზმივით პოლიტიკური მიმდინარეობა უნდა გახდეს?.. დღეს რომ უმუშევარი ვარ, ეს არაფერს ნიშნავს. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვარ, შინ ვზივარ და პენსიას ვიღებ. ზოგი ამბობს, ამათ პენსიას არ ავიღებო. ამათი კი არა, ჩემია — დამსახურებული. ვაგრძელებ მუშაობას წიგნზე, რომელიც გერმანიაში დავიწყე — „რაიც მეხსიერებას შემორჩა“. მასში მთელი ჩემი ცხოვრებაა წარმოჩენილი. იმედი მაქვს, მალე დაიბეჭდება.

— ამბობენ, დაქსაქსული ოპოზიცია გაერთიანებას აპირებსო. ვინ მოიაზრება ჭეშმარიტ ოპოზიციად?

— მე და ჩემი ფრაქცია ვცდილობთ, ყველა ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალის გაერთიანებას. დღეს შალვა ნათელაშვილი ერთადერთი კაცია, ვინც სიმართლეს ბოლომდე ამბობს. მას ყოველთვის გვერდით დავუდგები. არსებობს დიდი ეროვნული გაერთიანება, რომლის სპიკერიც მანანა არჩვაძე გახლავთ. იქ არის ხალხი, ვინც იდეების გამო იბრძოლებს. არის კოკო გამსახურდია — პატივსაცემი და შორსმჭვრეტელი კაცი. მაისაშვილიც ჩამოვა... თუ მოხდა ასეთი ადამიანების გაერთიანება — მათი, ვისაც სამშობლო უყვართ, მათთან ერთად სიამოვნებით ვიბრძოლებ. ძალიან მალე მოხდება ნამდვილი, ეროვნული ჯანყი, რომელშიც იარაღს კი არა — კომბლებს, ვარდებს კი არა — ჭინჭრებს გამოვიყენებთ და უწიგნურ ხელისუფლებას განვდევნით.

— თუმცა, კომბალი და ჭინჭარიც ძალადობის ატრიბუტია... ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრისთვის მისაღებია თუ

არა განათლების ახალი სისტემა?

— განათლების არანაირი სისტემა არ სჯობია ქართულს და ვერავინ შეცვლის გოგებაშვილს, მაგრამ მოვიდა ეს მასონი, სოროსისტი და ყოვლად გაუნათლებელი, ყინულისთვალებიანი მინისტრი და გვთავაზობს ისეთ სისტემას, რომელიც საერთოდ ანგრევს ქართული განათლების სისტემას. ჯერ შენი საგანძურიდან ამოდი და მერე გაიხედე ევროპისაკენ. ჯერ შენი დააფასე, მერე — სხვისი. მართალია, ცივილიზაციების დაახლოება ხდება, თავისთავად, ნაჭუჭში ჩაკეტვა არ ეგების, მაგრამ როცა ბავშვს ეროვნულ საფუძველს აცლი და ეუბნები, შენი მშობლიური ენა ინგლისური უნდა იყოსო, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერი აღარ არსებობს.

— ეს მინისტრს არ უთქვამს...

— მინისტრმა — არა, მაგრამ ერთმა მაღალ პოსტზე მდგომმა განათლების მუშაკმა თქვა — ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ იმას, რომ ინგლისური გახდეს მეორე მშობლიური ენაო. მეორე და მესამე მშობლიური ენა არ არსებობს. მართალია, რაც მეტი ენა იცი, მით უფრო მდიდარი ხარ, მაგრამ ენასაც ქართული, ტრადიციული აზროვნება უნდა. ესენი არც ევროპის კულტურას იცნობენ. იქიდან მხოლოდ ანტიკულტურა და ანტიმეცნიერება გადმოაქვთ. უნდათ, ადამიანი ცხოველს დაემსგავსოს — განათლებული ადამიანი ძნელი სამართავია, გაცხოველებულს კი პრეტენზია არა აქვს არც სამშობლოზე, არც განათლებასა და არც ამაღლებულ სიყვარულზე.

— მართლა ზვიად გამსახურდიამ გაუშვა სააკაშვილი კოლუმბიის უნივერსიტეტში სტაჟირებაზე?

— ზვიადმა არა, მიშას, სამწუხაროდ, საზღვარგარეთ პრაქტიკის მისაღებად რეკომენდაცია მე გავუწიე. იმ პერიოდში ომანიძე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, მე კი — განათლების მინისტრი. მიშა ჩემი ახლობელია. მისი პაპა, ნიკუშა წერეთელი, ვისითაც მიშა ამაყობს, დედაჩემის ძმა იყო. ჩემი შვილიც რომ იყოს, ასეთ შეცდომებს არ ვაპატიებდი.

— ბიძაშვილის შვილს თქვენთვის სამსახური არ შემოუთავაზებია?

— მან იცის ჩემი ხასიათი. რომც შემომთავაზოს, იქ არ დავდგები. ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. ის შეკვეთილ მუსიკაზე ცეკვავს, ნათესავად — კი, მაგრამ მიშას ერის პრეზიდენტად არ ვაღიარებ. ცოტა ხანში, იქით შევთავაზებ, პოლიტიკიდან წავიდეს, იმიტომ, რომ არ შეიძლება იმ გზით სიარული, რომელიც საქართველოს დაღუპვამდე მიიყვანს.

— ასლან აბაშიძესთან კონტაქტი თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა. მე ყოველთვის ასლანის მეგობარი ვიყავი, ვარ და დავრჩები. დევნილობიდან რომ ჩამოვედი, მან პირველმა შემიფარა და ბოლომდე მიპატრონა.

— თქვენც გჯეროდათ, რომ შევარდნაძის დაქცეულ ქვეყანას ასლანი აშენებდა, თუ როგორც გაირკვა, მხოლოდ საკუთარ იმპერიას აძლიერებდა?

— მჯეროდა და მერე როგორ!.. ის ჭეშმარიტი ქართველია. მან აჭარაში ეროვნულ-კულტურული ოაზისი შექმნა. როცა აქ თოფებს და ზარბაზნებს ისროდნენ, მან მსოფლიო მნიშვნელობის კაპელა, ბავშვთა ოპერა, თეატრი შექმნა. იცით, მას რატომ უტევდნენ? საქმეს რომ აკეთებდა იმიტომ. სააკაშვილი იბრალებს, გვირაბი გავთხარე, გზები გამყავსო. ეს საქმე ასლანმა დაიწყო. იმ კაცს ხომ აქედან არაფერი წაუღია, დედიშობილა წავიდა.

— აბა, ბიუჯეტიდან მილიონები ვინ წაიღო?

— სად არის მერე, თუ წაიღო? მილიონებს შოულობდა და არ გვირიცხავდაო. ესენი რატომ არ რიცხავენ ნაშოვნ მილიონებს? ეს ხელისუფლება პიარის ხელისუფლებაა. ან როგორ შეიძლება, მემედ აბაშიძის შვილიშვილი დიქტატორი იყოს. უბრალოდ, მკაცრი იყო. ასლანს არაფერი გაუყიდია, ამათ კი ყველაფერი გაყიდეს, ისევ თვითონ იყიდეს და გაინაწილეს. ასლანს არასოდეს წამოსცდენია, აჭარა საქართველოს გამოეყოსო. ესენი ზეიმობენ, აჭარა დავიბრუნეთო. კი არ დაიბრუნეს, საპარპაშოდ გაიხადეს, ცხვირმოუხოცავ ვარშალომიძეს და ხაბაზს ჩაუგდეს ხელში. მე ერთ დროს სამშობლოს სიყვარულისთვის მდევნიდნენ, ესენი კი შევარდნაძეს მფარველობენ. წესით, ის გასამართლებული უნდა იყოს. ახლა წადით და გამსახურდიას ოჯახი ნახეთ, კოლხურ კოშკში რა პირობებში ცხოვრობს. ბიჭების ფანჯრებზე, მინების ნაცვლად, ცელოფანები აქვთ გაკრული და კარადის უქონლობის გამო, ტანსაცმელს ლურსმნებზე კიდებენ. პენსია მაინც მისცენ იმ ადამიანს! არდადეგებს ხომ კარგად იწყობენ საზღვარგარეთ!..

— რას თვლით თქვენი პოლიტიკური კრახის მიზეზად? შემთხვევით, იმას ხომ არა, რომ თქვენი ფრაქცია ასლანის ბლოკში გაერთიანდა?

— პოლიტიკური კრახი ჩვენ კი არა, ამათ განიცადეს. გამარჯვება არ ნიშნავს აღზევებას — უფრო მეტად დაენარცხები. გამარჯვება ის არის, სინდისს რომ არ ღალატობ. სააკაშვილმა როცა გამოაცხადა, არიქა, მატარებელი დაიძრაო, — ვინც მოასწრო, მის მატარებელში გადავჯდა, მაგრამ მალე მასთან ერთად გადაიჩეხებიან.

— მართლა აპირებს ასლან აბაშიძე საქართველოში ჩამოსვლას?

— ასლანს ტელეფონით ხშირად ვესაუბრები. თავისთან მეპატიჟება, მაგრამ თვითმფრინავით მგზავრობის თავი არა მაქვს: საჯაროდ ვაცხადებ, რომ ამ კაცს დიდ პატივს ვცემ. არ ვიცი, კონკრეტულად რას საქმიანობს. ვიცი, რომ მეგობრები ეხმარებიან და ამით ცხოვრობს. ასლანი ცდილობს, სამშობლოში დაბრუნდეს, მაგრამ ამათთან არანაირ გარიგებაზე არ წავა.

— ჯემალ გოგიტიძეს, ცოტნე ბაკურიას და სხვებს რა ბედი ეწიათ?

— ჯემალიც რუსეთშია, ბიზნესი აქვს. მასთანაც მაქვს ურთიერთობა. ბაკურიას ხმა გაუვრცელეს, მილიონები გაიტაცაო. ის ამჟამად ამერიკაშია, წვალობს რაღაცას და იმით სულდგმულობს. ზვიადზეც ამბობდნენ, ოქროს ზოდები გაიტანაო, არადა, აქედან ერთი ხელი ტანსაცმლით წავიდა და სომხეთში შიმშილით კვდებოდა.

— თქვენ შევარდნაძეს არაერთგზის მოიხსენიებდით მასონად. ამას წინათ, მან ტელევიზიით ჟურნალისტთან საუბრისას უარყო პლატონოვის ბრალდება. მეტიც, შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ამ სიტყვის მნიშვნელობა არც იცოდა...

— აი, სწორედ მაშინ ჩაიჭრა შევარდნაძე, ამით გაყიდა თავი. პლატონოვის წიგნში ახსნილია, თუ რომელი ორდენის და გამაგისტერიუმის წევრია შევარდნაძე, გორბაჩოვთან ერთად. სხვა შემთხვევაში, მას საგარეო საქმეთა მინისტრად არავინ დანიშნავდა. სხვათა შორის, ბენდუქიძეც მასონია, ისიც მოხსენიებულია ამ წიგნში. ამით იშოვა მან ამდენი ფული. მან გაგვყიდა, რუსეთის დავალებებს ასრულებს. დანარჩენ „პირველებზე" ის ვიცი, რომ სომხურ ლობის წარმოადგენენ და სოროსის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

— ბოლოს, თუ შეიძლება, თქვენი ოჯახური მდგომარეობა გაგვაცანით.

— მყავს 15 წლით უმცროსი მეუღლე ნინო შენგელია. ის ჩემი სტუდენტი იყო. ისიც ჩემსავით აღმოსავლეთმცოდნეა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი და ამჟამად უმუშევარი. მყავს 2 ვაჟი — დიმიტრი და ლაშა. უფროსი, ებრაულის სპეციალისტია, უმცროსი — გერმანისტი. ორივემ გერმანიაში, ქალაქ გოტინგენში მიიღო განათლება. უფროსი ვაჟი არ მუშაობს, ლაშა კი ენერგეტიკის სამინისტროში მენეჯერია. მყავს რძალი და ერთი — წლინახევრის შვილიშვილი. ჩვენს ოჯახში 3 სეხნია ცხოვრობს — ცოლსაც, რძალსაც და შვილიშვილსაც ნინო ჰქვიათ. ასე ვცხოვრობთ... არ გვშია და არ გვწყურია. დრო იყო, როცა გვშიოდა და გვწყუროდა, დევნილობაშიც ვიყავი, მაგრამ პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია. ■

დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე „ცხელ“ — ქვემო ქართლის რეგიონში საგანგებოდ იმ მიზნით გავემგზავრე, რომ ოსი სეპარატისტების ტყვეობიდან ცოტა ხნის წინ გათავისუფლებულ, სოფელ ერედვის პოლიციის განყოფილების უფროსს ლადო ჩალაურს შევხვედროდი. რა იყო ბატონი ლადოს გატაცების ნამდვილი მიზეზი? რატომ სძულს ოსების ნაწილს ქართველები და რა ბრალდებები წაუყენეს ჩალაურს? — ამ ყველაფერზე თავად ლადო ჩალაური და მისი ოჯახის წევრები მოგვითხრობენ.

ცხინვალელი ტყვე – ლადო ჩალაური:

„გაქცევაზე ვფიქრობდი, მათ პრიმიტიული ცხე აქვთ...“

ნათია ქივიძე

— ბატონო ლადო, საუბარი იქიდან დავიწყოთ, თუ რა მოხდა 19 იანვარს, როგორ მოახერხეს ოსებმა თქვენი და გოჩა გვიმრაძის გატაცება?

— ცხინვალთან არის ნეიტრალური ზონა, რომელსაც ჩვენი პოლიცია აკონტროლებს. შესაბამისად, მე და გოჩა იქ სამსახურებრივ საქმეზე ვიყავით ჩასულები. გარკვეული დროის შემდეგ, როცა უკვე წამოსვლას ვაპირებდით, ჩვენი ავტომობილის წინ გაჩერდა მანქანა, რომელმაც გზა ჩამიკეტა და წასვლის საშუალება არ მომცა. აქამდეც გავუჩერებივარ ოსებს და როცა მითქვამს, პოლიციის თანამშრომელი ვარ-მეთქი, უპრობლემოდ მიშვებდნენ. ამჯერადაც, როცა 6 თუ 7 ოსი გადმოვიდა მანქანიდან და მკითხეს — ვინ ხართო? — ვუპასუხე — თანამშრომლები-მეთქი. ჰოდა, მაშინვე დაგვაკავეს.

— იარაღის გამოყენება არ გიფიქრიათ?

— არა, არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია: თავი შევიკავე, რადგან ვიცოდი, რომ ამით უფრო მეტი პრობლემა შემექმნებოდა. იარაღი რომ გამომეყენებინა, იქ სულ სხვანაირად წარიმართებოდა საქმე. საერთოდ, ოსურ ძალოვან სტრუქტურებში სულ ისეთი ხალხი შეყარეს, რომლებსაც არაფრის შეგნება არა აქვთ. ამიტომ დავემორჩილე. ვიფიქრე, ცხინვალში ჩაგვიყვანენ, იქ ყველაფერი გაირკვევა და გამოგვიშვებენ-მეთქი, მაგრამ საქმე იმაზე რთულად ყოფილა, ვიდრე მეგონა.

— თქვენი გატაცებისთანავე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნეიტრალურ ტერიტორიაზე თქვენმა ოსმა მეგობარმა გაგიტყუათ...

— არა. ეგ ყველაფერი ტყუილია. ისეთი ჭორებიც გავრცელდა, თითქოს მე რაღაც ბიზნესში ვიყავი ჩართული, ოსების ვალი მქონდა და ამ ვალის გადაუხდელობის გამო გამიტყუეს. რა თქმა უნდა, ეს აბსურდული ინფორმაციაა.

— დაკავების ადგილზე არ გითხრეს, რისთვის გაკავებდნენ?

— არა. მითხრეს — ცხინვალში რომ ჩავალთ, იქ გავარკვევთ ყველაფერსო.

— ცხინვალში რომ ჩახვედით, რა ბრალდებები წაგიყენეს?

— გასულ წელს სოფელ ერედვის საგუშაგოზე თავდასხმა მოხდა. ოსებს საქართველოდან მოპარული ავტომანქანები გადაჰყავდათ. რა თქმა უნდა, ჩვენ ამის საშუალებას არ ვაძლევდით და ამის გამო სროლა აგვიტეხეს. ჩვენც სროლითვე ვუპასუხეთ, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი ოსი, რომელიც იმ ძალოვან სტრუქტურაში მსახურობდა, ვინც მერე ჩვენ დაგვაკავა. მოკლედ, მათ ჩვენთან პირადი ანგარიში ჰქონდათ... დაკავებისთანავე, ის მოვახერხეთ, რომ ცხინვალის სამინისტროში დაგვერეკა. გავაფრთხილეთ, რომ მათმა ხალხმა აგვიყვანა (ჩვენ იქაურ სამინისტროსთან ყოველთვის გვქონდა კავშირი). ამათ შეიძლება სხვა რაღაცები ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ რადგან მათივე სამინისტრო უკვე საქმის კურსში იყო, ვეღარ განახორციელეს... თავიდანვე მივხდი, ვისთანაც მქონდა საქმე და არც მითქვამს, რომ ერედვის პოლიციის უფროსი ვიყავი — უბრალოდ, ვუთხარი, გორის პოლიციის თანამშრომელი ვარ-მეთქი. მაგრამ ცხინვალში ჩასვლისთანავე, ერთი მოწმე მოიყვანეს, რომელმაც ამომიცნო და დამალვას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. იცით, როგორი სიტუაცია იყო? — „თეთრი ბაირაღები“ ხომ გახსოვთ — ერთადერთი შავი მე ვიყავი და მაინცდამაინც მე დამადო ხელიო, — რომ ამბობს ტიგრან გულოიანი, სწორედ ასე დამემართა: ერთადერთი ქართველი ვიყავი და „ამომიცნეს“...

— როგორც ცნობილია, თქვენთან ერთად დაკავებული გოჩა გვიმრაძე მეორე დღესვე გაათავისუფლეს, თქვენ კი დაგტოვეს. რა იყო ამის მიზეზი?

— გოჩა ერთ-ერთ ოს ტყვეზე გაცვალეს. მე ცოტა „მსუყე ლუკმად“ მიმიჩნიეს და დამტოვეს. თავდაპირველად, იქ სამხედრო კომენდატურაში ვყავდით, მე-

მარცხნიდან მეორე გოჩა გვიმრაძე, მესამე — ლადო ჩალაური

ორე დღეს კი — კრიმინალურ პროკურატურაში გადაგვიყვანეს.

— ტყვეობის განმავლობაში, როგორ გექცეოდნენ ოსები? მხოლოდ ცემას დასჯერდნენ თუ საჭმელსაც არ გაჭმევდნენ?

— ვიდრე კომენდატურაში ვიყავით, დაჯდომის უფლებასაც არ გვაძლევდნენ, არც წყალს გვასმევდნენ. მერე ციხეში რომ გადამიყვანეს, არა უშავდა რა. თუმცა იქ უკვე მკვლელობაში ვიყავი ბრალდებული.

— ალბათ, იმის შიშიც გექნებოდათ, რომ თქვენი ლიკვიდაცია არ მოეხდინათ...

— ლიკვიდაციის შიში კომენდატურაში ყოფნის დროს ნამდვილად მქონდა. რას ვიზამდი?.. ბედის ანაბარა ვიყავი დარჩენილი.

— თქვენი იქ ყოფნის დროს, ოსები ქართველებზე რას ამბობდნენ? მართლა ბევრს ვძულვართ?

— ოსები მკვეთრად არიან ორ ნაწილად გაყოფილნი: ვისაც ქართველებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონიათ, ფაქტია, რომ ვუყვარვართ და პატივსაც გვცემენ, მაგრამ ისინი ამას ვერ ამჟღავნებენ — ეშინიათ; ზოგს კი, ქართველების დანახვაც არ უნდა. მე რატომღაც ასეთი კატეგორიის ხალხში ჩავვარდი. რომ მითხრეს, მკვლელობაში გედება ბრალიო, გამიკვირდა: ამიხსენით, ვინ მოვკალი-მეთქი. იცით, რა მითხრეს? ერთი დაჭრილი ოსი ერედვის განყოფილებასთან მოიყვანეს მანქანით, შენც მიხვედი ამ მანქანასთან, ნახე, რომ ცოცხალი იყო, შეგეძლო, გადაგერჩინა, მაგრამ შენი უმოქმედობის გამო დაიღუპა ის პიროვნება და მკვლელობაში გედება ბრალიო.

— მართლა იყო ასეთი ფაქტი?

— კი. ვიღაც ჩრდილოელი ოსი მართლა მიუყვანიათ. მე ამ დროს ახალნაოპერაციები ვიყავი, შინ ვიწექი და ეს ყველაფერი ტელევიზიით ვნახე, მაგრამ ვინ დამიჯერებდა?.. გადამიყვანეს ცხინვალის ციხეში...

— მეორე დღესვე მოგცეს ოჯახთან დაკავშირების საშუალება?

— დიახ. გორის პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი და გუბერნატორის მოადგილე კახა გოჩაშვილი მეორე დღესვე მოვიდნენ პროკურატურაში და მათივე ტელეფონით დავუკავშირდი ოჯახს, რომ მეთქვა, ცოცხალი ვარ-მეთქი.

— როგორ შეიტყვეთ, რომ გათავისუფლებული იყავით, ბოლოს რა გითხრეს?

— არაფერიც არ მითხრეს. იქაურ თანამშრომლებს ჩემთან ინფორმაცია შემოჰქონდათ ხოლმე და მათ მითხრეს, რომ გოგა ხაინდრავა იყო ჩამოსული და აუცილებლად გამომიყვანდნენ. სხვათა შორის, ძალიან თანამიგრძნობდნენ, ყველანაირად გვერდში დამიდგნენ და გათავისუფლებას მილოცავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოსები არიან, მაინც ასე კარგად მომექცნენ. ღამის 12 საათზე, ერთ-ერთ მათგანს ტელეფონით დაურეკეს და ჩემზე უთხრეს — წასასვლელად მზად იყოს — ან ამაღამ წაიყვანენ, ან ხვალ დილითო. მანაც გამაღვიძა და იმ ღამესვე წამომიყვანეს.

— ციხეში ადამიანს ბევრი დრო აქვს საფიქრელად. ძირითადად, რა გიტრიალებდათ გონებაში? არ ფიქრობდით, რომ პოლიციაში სამსახურს თავს დაანებებდით?

— პირველ რიგში, გაქცევაზე ვფიქრობდი. მათ ძალიან პრიმიტიულად მოწყობილი ციხე აქვთ და იქიდან გამოსვლა ადვილია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ მოვქცეულვარ, რადგან ამით უფრო მეტ პრობლემას შევიქმნიდი. რაც შეეხება



მეუღლე, სოფო ტატელიმვილი და შვილები — ანი და თენგო...

პოლიციიდან წასვლას — ამ შემთხვევამდე, უამრავი სხვა შემთხვევა მქონია, მაგრამ არსად წასვლაზე არ მიფიქრია. უკვე წლებია, პოლიციაში ვმუშაობ და მიყვარს ჩემი სამსახური. თანაც, არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ შემეშინდა. კიდევ ვიმეორებ, აქამდეც ბევრი რაღაც გადამიტანია...

— ვთქვათ, იგივე სიტუაცია რომ განმეორდეს, ოღონდ — თქვენ დააკავოთ ვინმე ოსი, ისევე მოექცევით, როგორც ისინი გექცეოდნენ?

— ჩვენ ისე ვერ მოვიქცევით, რადგან აქ კანონია და ჩვენ ამ კანონის შესაბამისად ვიქცევით. გამორიცხულია, განყოფილებაში ვინმე მსჯავრდებული მოვიყვანოთ და ის რეგისტრაციაში არ გავატაროთ, ან პიროვნული დათვალიერება არ ჩავუტაროთ, რომ სხეულზე რამე დაზიანება არ ჰქონდეს. ისინი როგორც გვექცეოდნენ, ჩვენ ისე ვერ მოვიქცევით — თავზე რაღაც ტომრები ჩამოგვაცვეს და სარდაფში ჩაგვყარეს, ელემენტარულად, საპირფარეშოში გასვლის საშუალებასაც არ გვაძლევდნენ...

მეუღლესთან სოფო ტატელიმვილთან ერთად

— მაშინ ჩვენმა ძალოვნებმა არ აღიარეს, მაგრამ ისეთი ინფორმაცია გავრცელდა, რომ შენც გაგცვალეს ოს კრიმინალ ალან ფუხაევში...

— ფუხაევი ჩემი გათავისუფლებიდან მეორე ღამეს გადაიყვანეს ნეიტრალურ ზონაში. შეიქმნა ორმხრივი საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც გაარკვევს, ფუხაევი ნამდვილად მკვლელია თუ არა. ახლა ეს დაუდგენელია, რადგან გამოძიებისას ფუხაევი მოწმეებმა ვერ ამოიცნეს; ისიც სასტიკად უარყოფს ბრალდებას. ერთი მოწმე, დაზარალებულის შვილი იყო, რომელმაც დაადო ხელი ფუხაევს და თამარაშენში მომხდარ მკვლელობაში დაადანაშაულა. თუმცა, ეს გასაგებიც არის, რადგან იგი დაზარალებულია, მას მამა მოუკლეს... მოკლედ, ეს ყველაფერი გავრცელებული ინფორმაციაა და კონკრეტულად გარკვეული ჯერ არაფერია. უფრო დეტალურად კი ამ ყველაფერს გამოძიება დაადგენს.

ამ საუბრის შემდეგ, ჩალაურების ოჯახს ვეწვიეთ და ლადოს 19 წლის მეუღლეს სოფო ტატელიშვილსა და დედას — გიული გრიგალაშვილს ვესაუბრეთ.

ძ-ნი გიული:

— ლადო სამსახურის გამო, ღამით შინ რომ არ მოდის, ყოველთვის გვიკავშირდება და გვაფრთხილებს. იმ ღამეს, არც დაგვირეკა და არც შინ დაბრუნდა. ვერც ჩვენ დავუკავშირდით, რადგან ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მეორე დილით, ჩემი მძახლები მოვიდნენ და მათ

მითხრეს, ლადო ოსებმა გაიტაცესო. თურმე, რადიოთი გადმოუციათ და ტელევიზიითაც ისაუბრეს ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინვე ერგნეთში წავედით, სადაც დამხვდა გუბერნატორის მოადგილე გოჩაშვილი. ის საქმეში გარკვევას ცდილობდა. ამ დროს, ლადოსთან ერთად დაკავებული გოჩა გვიმრაძე გამოუშვეს, რომელმაც მითხრა – მე უკვე დამკითხეს, ლადოსაც დაჰკითხავენ და გამოუშვებენო. მაგრამ ლადოს ტყვეობა 6 დღის მანძილზე გრძელდებოდა და მთელი ეს პერიოდი მეც, მთელი ჩვენი ნათესაობაც და ერედვის მოსახლეობაც სულ ერგნეთში ვიყავით. იმედი სულ გადაწურული მქონდა. აღარ მეგონა, თუ ლადოს ცოცხალს კიდევ ვნახავდი, მით უმეტეს, რომ ვიცოდი – ჩემი შვილი სასტიკად ნაცემი იყო. ჩვენი ძალოვნები ამ საქმეში რომ არ ჩარეულიყვნენ, ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით. ლადოს დატყვევებიდან მეორე დღესვე, მერაბიშვილის მოადგილე, გვაზავა ჩამოვიდა, რომელიც საქმეში გაერკვა და პირობა მომცა, რომ ლადოს აუცილებლად გათავისუფლებდნენ.

— როგორც ვიცით, ლადოს ადრეც ჰქონდა პრობლემები ოსებთან...

– დიახ, ასეა. დაახლოებით 9 წლის წინ ოსებმა გოგო გაიტაცეს, რის გამოც ქართულ პოლიციასა და ოსებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. მაშინ ლადო მუცლის არეში დაჭრეს და ისეთი მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. ახლაც ისეთი ამბავი დაემართა, რომ მტერსაც არ ვუსურვებ. ძალიან მადლიერი ვარ გოგა ხაინდრავასი და ყველა იმ ადამიანის, ვინც ლადოს გათავისუფლებაში წვლილი შეიტანა.

სოფო:

– დილით დედაჩემი მოვიდა და იმან მითხრა ლადოს გატაცების შესახებ. ღამით შინ რომ არ მოვიდა, ძალიან ვნერვიულობდი, რაღაც ცუდს ველოდი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ცოცხალი იქნებოდა. ერედვის განყოფილებაში რომ ავედი, მაშინ დამიკავშირდა ლადო და მითხრა – კარგად ვარ, არაფერზე ინერვიულოთო. რაც შეეხება ბრალდებებს, ლადოს საწინააღმდეგოდ ათასი რამ შეთითხნეს, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს. ლადოს იმდენად უყვარს თავისი პროფესია, რომ მის გამო ყველაფერს ვითმენ და მოვითმენ კიდეც.

— როგორ შეიტყვეთ, ლადოს რომ ათავისუფლებდნენ?

– ერგნეთში აქცია გვქონდა მოწყობილი. იქ ჩამოვიდა ბატონი გოგა ხაინდრავა, რომელმაც მითხრა, რომ ცხინვალიდან ლადოს გარეშე არ დაბრუნდებოდა. მან ეს პირობა შეასრულა კიდეც.

— როგორც ინფორმაცია გავრცელდა, ლადოს დაკავებისთანავე ქართველებმაც აიყვანეს ოსი ტყვეები, რათა ისინი ლადოში გაეცვალათ...

ძ-ნი გიული:

– ეგ ინფორმაცია ჩვენც შევიტყვეთ, მაგრამ ის ოსები ვინ აიყვანა, ნამდვილად არ ვიცი. ერთ-ერთი ოსი ტუსაღის ბებია ჩემთან მოვიდა და მითხრა – ჩემი შვილიშვილი შენ გყავს დაკავებული და ახლავე გამოუშვიო. გავოცდი. ვუთხარი – ქალო, როგორ მიბედავ მაგის თქმას? მე თვითონ გამწარებული დედა ვარ და სხვის შვილს როგორ დავიჭერდი-მეთქი?!. ჩემს შვილს რა ბრალდებებიც წაუყენეს, ყველაფერი ტყუილია. მის სიმართლეში ეჭვიც არ მეპარება. ბევრჯერ მინანია, ამ მხარეში რომ ვცხოვრობთ, მინდოდა კიდეც, რომ საცხოვრებლად სხვაგან გადავსულიყავით, მაგრამ ამაზე ოჯახის ვერც ერთი წევრი ვერ დავითანხმე. ლადო შეყვარებულია თავის სამსახურზე... ■

ჩვენი რესპონდენტი მარტვილის რაიონში ბებიასთან დროებით მცხოვრები მეათე კლასის მოსწავლეა. სულ ცოტა ხნის წინ, ანომ, მეტსახელად ჩორნამ მოგვწერა წერილი, სადაც გაგვანდო, რომ თავდავიწყებით არის შეყვარებული ქალბატონი ნინო ბურჯანაძის უფროს ვაჟზე, ანზორ ბიწაძეზე... რაზე ოცნებობს ანი, რით მიიპყრობდა ანზორის ყურადღებას და რას ჩაიდენს მისი გულისთვის — ყოველივე ამაზე თავად მოგვიყვება.

მარტვილელი გოგონა

ნინო ბურჯანაძის ვაჟზე უგონოდ შეყვარებულია

სოფო ყარალაშვილი

– პირველად ანზორით 1 წლის წინ მოვიხიბლე, როცა ტელევიზორში ვნახე. ჩემთვის სიურპრიზი იყო, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ დროს, თავისუფლების მოედანზე ქალბატონი ნინოს გვერდით შევნიშნე. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. მას შემდეგ, მის სურათებს და იმ ჟურნალ-გაზეთებს ვაგროვებ, რომლებშიც ანზორზე რამე დაბეჭდილა. მახსოვს, ერთ-ერთი სტატიის სათაური – ანზორ ბიწაძეს მკვლელი დასდევსო; ამაზე ძალიან ვინერვიულე...

— სურათები ალბათ, შენს ოთახში, კედელზე გაქვს გაკრული, ხომ?

– არა, რას ამბობთ?! კედელზე რომ გავაკრა, ხომ გაფუჭდება. საგულდაგულოდ მაქვს შენახული. როცა ვათვალიერებ, ყოველთვის ვტირი. ასეთ დროს, ბებია მაწყნარებს ხოლმე.

— ბებია როგორ გამშვიდებს?

– ნუ ტირი, მაგაზე ფიქრი არ შეიძლება, თავიდან ამოიგდეო, – მეუბნება. მაგრამ გულს ხომ ვერ უბრძანებ!.. ბაბუას რომ შევჩივლე, მითხრა – შენ ისწავლე, შენსას მიაღწიე და მერე გაიცნობო. დამაწყნარა – შავი კი ხარ, მაგრამ თეთრი გული გაქვსო...

ყოველღამე, ძილის წინ, ამ შეხვედრაზე ვოცნებობ

— როგორ წარმოგიდგენია შენი და ანზორის შეხვედრა?

— კაფეში, რომანტიკულ სიტუაციაში. ყოველღამე, ძილის წინ, ამ შეხვედრაზე ვოცნებობ.

— რომ შეხვდე და ისეთი არ აღმოჩნდეს, როგორიც ოცნებაში გყავს წარმოდგენილი?

— ყველაფრისთვის მზად ვარ. ვიცი, რომ ყოველთვის მეყვარება.

— პირველ შეხვედრაზე რაზე ესაუბრებოდი?

— ჯერ ვეცდები, ჩემი კარგი მხარე გამოვავლინო, მერე — პირდაპირ საქმეზე გადავალ: ავუხსნი, როგორ მიყვარს. აუცილებლად გავუკეთებ შოკმანჟეს ტორტს, რომელიც ძალიან უყვარს... სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს მისთვის.

— აქამდე თუ გყვარებია ვინმე?

— არა. ეს ჩემი პირველი სიყვარულია. სხვათა შორის, მისი სურათი გულსაბნევში მაქვს ჩაკრული და არასოდეს ვიხსნი.

— შენი ტოლი გოგონები მკითხაობით ცდილობენ ხოლმე საბედოს ვინაობის დადგენას. შენ თუ გიმკითხავია?

— კი. მითხრეს — შენზე ფიქრობს და ძალიან ენატრებიო.

— როგორ ფიქრობ — შენ და ანზორი ერთმანეთს გაუგებთ?

— დარწმუნებული ვარ, ის თავმდაბალი და სამშობლოს ერთგულია. მისგან მაინცდამაინც სიყვარულს არ ვითხოვ — მასთან მეგობრობაც დამაკმაყოფილებს... იცით, წერილი ბედობის დღეს გამოგიგზავნეთ და ალბათ ამიტომ გამიმართლა. იმედი მაქვს, გამომეხმაურება. წერილს რომ ვწერდი, ისე ვნერვიულობდი, რომ მთელი სახე მიხურდა.

— ანზორის მისამართით თუ აგზავნი წერილებს?

— ლექსებს ვწერ. აი, ერთ-ერთი:

ორშაბათს გნახე და მომეწონე,
სამშაბათს გულმა დამიწყო ძგერა,
ოთხშაბათს მშობლებს გამოვუცხადე,
ხუთშაბათს შენგან ავიღე ნება,
პარასკევს სახლი გავალამაზე,
შაბათს ქორწილი გაიმართება,
და დაიწყება ბედნიერება!

— რა გინდა, ანზორს უთხრა?

— მიყვარხარ და არ მინდა იფიქრო, თითქოს ფულის გამო ვამბობდე ამას. ჩემთვის მაგას მნიშვნელობა არა აქვს, ფულს მე თვითონაც ვიშოვი. მინდა გითხრა, რომ პირველი მამაკაცი ხარ, ვისაც ვაფასებ და მიყვარს. თუ მარტო ხარ, მოვალ და გაგათბობ...

რამდენიმე კითხვით ანის დედას, **ქალბატონ ნანასაც** *მივმართეთ.*

— რა რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვეთ, რომ თქვენი შვილი ანზორ ბიწაძეზეა თავდავიწყებით შეყვარებული?

— მე თბილისში ვმუშაობ, ბავშვები ბებიასთან არიან. ჰოდა, ერთხელ, ანის ბებიამ დამირეკა და მითხრა — ანის რაღაც სჭირს, მგონი, ბურჯანაძის ბიჭზეა შეყვარებულიო. სიცილით მოვკვდი — ზღაპრებს ნუ მიყვები-მეთქი. — იქნებ, დაელაპარაკო, ცოდოა, — მითხრა. ანის დაველაპარაკე და ვუთხარი, რომ მიუწვდომელზე არ უნდა იფიქროს.

— მიუწვდომელი რატომ არის?

— სასწაულების არ მჯერა. ჩვენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები ვართ. რასაკვირველია, მინდა, რომ ქალბატონი ნინო ჩემი შვილის დედამთილი იყოს, მაგრამ ეს რატომღაც ვერ წარმომიდგენია. ამიტომ, ანის ვურჩევ, რომ დაივიწყოს ანზორი. სულ ერთსა და იმავეს ვუმეორებ — სად შენ და სად — ის-მეთქი?! მაგრამ ძალიან ჯიუტია, მიზანმიმართულად ცდილობს მასთან შეხვედრას. ახლა ვცდილობ, ამ თემაზე საერთოდ აღარ ველაპარაკო... ხომ ასეთი შეყვარებულია, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, სწავლას მაინც ასწრებს. შეუძლია, ერთდროულად, სახლიც დაალაგოს, სარეცხიც გარეცხოს, საჭმელიც გააკეთოს, ისწავლოს და თან ანზორზეც იოცნებოს...



პირველად ანზორით 1 წლის წინ მოვიხიბლე, როცა ტელევიზორში ვნახე, ქალბატონი ნინოს გვერდით იდგა...

— თქვენი მეუღლე როგორ რეაგირებს ამ ამბავზე?

— თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული ბავშვი. სულ მეჩხუბება — სიყვარულს ნუ უშლით, თვითონ იცის თავისი საქმისო, — მაგრამ მე მაინც ვნერვიულობ, რადგან ფანატიკურად არის შეყვარებული. ასე არ შეიძლება... ■

23 წლის ახალგაზრდამ 5 თვის მანძილზე ზედიზედ სამი განზრახ მკვლელობა ჩაიდინა

23 წლის ხვიჩა დემინაშვილს სამი ადამიანის განზრახ მკვლელობისათვის ასამართლებენ. გამოძიების მასალების მიხედვით, მკვლელობები მან განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა. პირველი მსხვერპლი — 37 წლის გოგი კანაშვილი, ხვიჩა დემინაშვილმა, როგორც ამას ბრალდების მხარე აცხადებს, ცოლ-შვილის თვალწინ მოკლა რევოლვერით. ერთი კვირის შემდეგ — ახალი წლის საღამოს, მან 39 წლის გიორგი მირიანაშვილი გამოასალმა სიცოცხლეს. 5 თვის შემდეგ, პროკურატურის ინფორმაციით, უკვე ძებნასა და მიმალვაში მყოფმა დემინაშვილმა მორიგი სისასტიკე ჩაიდინა. ამ დანაშაულმა განსაკუთრებით შეძრა საზოგადოება და სამართალდამცველებიც. გამოძიების მასალების თანახმად, მან 21 წლის შალვა წითელაშვილი დანით სადისტურად აჩეხა და მძიმე ხარისხის 22 ჭრილობა მიაყენა სხეულზე.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მოკლედ „გზის“ 2004 წლის №10-ში ვწერდით. მაგრამ მას შემდეგ, როგორც ახლა ირკვევა, ძიებისას ბევრი რამ შეიცვალა. ამ საქმესთან დაკავშირებული სხდომა უზენაეს სასამართლოში ამჟამად მიმდინარე სხვა პროცესებისგან აშკარად გამოირჩევა ხმაურითა და დაძაბულობით. ბრალდების მოწმეები, რომლებიც ადრე დემინაშვილს ჩადენილ დანაშაულებში ამხელდნენ, სასამართლოში ჩვენებებს ცვლიან ან საერთოდ არ ცხადდებიან სხდომაზე. ეს ფაქტი კიდევ უფრო აღიზიანებს განსასჯელისადმი ისედაც აგრესიულად განწყობილ დაზარალებულებს. „სანიმუშო შვილები დაუნდობლად დაგვიხოცა და ისიც არ უნდა, რომ პასუხი აგოს“, — აცხადებენ აწ გარდაცვლილთა მშობლები და დემინაშვილის უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ. კანონის შესაბამისად, მას სამი ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა ემუქრება. თუმცა, დაზარალებულები იმასაც აღნიშნავენ, რომ მის გარდა მკვლელობებში სხვა პირებიც მონაწილეობდნენ და ისინი მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც მოითხოვენ.

დემინაშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებებში მხოლოდ ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ. ჯერჯერობით მას არ დაუკონკრეტებია, კერძოდ, რომელ დანაშაულს აღიარებს. ამას, როგორც მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები აღნიშნავენ, ის მოწმეების დაკითხვის შემდეგ ახსნის. თუმცა, წინასწარი გამოძიებისას დემინაშვილი ამბობდა, რომ გიორგი მირიანაშვილის მკვლელობის გარდა, ყველაფერს აღიარებდა. ამჟამად განსასჯელის პოზიცია სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხული მისივე ახლობლებისგან ნაწილობრივ ირკვევა. ისინი აღნიშნავენ, რომ დემინაშვილმა კანაშვილისა და წითელაშვილის მკვლელობები თავდაცვის ინსტინქტით ჩაიდინა. თუმცა, სრულიად საპირისპიროს მეტყველებს გამოძიების მასალები და დაზარალებულების ჩვენებები. რაც შეეხება მირიანაშვილის მკვლელობის ფაქტს, ამ ეპიზოდთან დაკავშირებით დემინაშვილის ახლობლები ჩვენებებს არ იძლევიან.

საქმის მასალების მიხედვით, ხვიჩა დემინაშვილმა პირველი დანაშაული 2002 წლის 24 დეკემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში ჩაიდინა. დემინაშვილი, მისი ნათესავი გურამ ბასილაშვილი და მეგობრები — დავით მენთეშაშვილი და ლადო ბიბილური, იმ საღამოს გოგი (გია) კანაშვილის ოჯახში ქეიფობდნენ.

გურამ ბასილაშვილი (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„მენთეშაშვილიც და დემინაშვილიც ჩემი ნათესავები არიან. რაც შეეხება ბიბილურს, ის ხვიჩას კლასელი იყო. ყველანი ერთად მივედით გია კანაშვილის ოჯახში. მაშინ, ალბათ, საღამოს 8 საათი იქნებოდა. წინა დღეებში გიამ ღორი დაკლა, სპეციალურად ჰქონდა გადანახული ხორცის ნაჭერი, რადგან იცოდა, რომ ვესტუმრებოდი. სუფრასთან დაახლოებით 4 საათი ვისხედით. ყველანი ვსვამდით, მაგრამ არანაირ კონფლიქტს ჩვენ შორის ადგილი არ ჰქონია. მართალია, კანაშვილსა და დემინაშვილს ადრე ჩხუბი მოუხდათ მწყემსი ბავშვის ცემის გამო, მაგრამ მალევე შერიგდნენ და იმ დღეს, სუფრასთან ეს არც გახსენებიათ.

ქეიფს რომ მოვრჩით, მასპინძლებს დავემშვიდობეთ და სახლიდან გავედით. მე, მენთეშაშვილი და ბიბილური ოდნავ წინ წავედით, დემინაშვილი და კანაშვილი კი უკან მოგვყვებოდნენ, დაახლოებით 50 მეტრის მოშორებით ჩვენგან. ამასობაში მენთეშაშვილსა და ბიბილურსაც გავასწარი და ორღობეს მივეფარე. ზუსტად იმ დროს, უკნიდან დემინაშვილის ხმა გავიგონე — შენ ვინ უნდა მოკლა, შენი დედაო... ამ გინებაზე გავჩერდი, ბიჭების გამოჩენას დაველოდე, მაგრამ დაახლოებით ერთ წუთში, იარაღიდან გასროლის ხმაც გაისმა. დავიბენი, ვერ გავარკვიე, რა ხდებოდა. მომესმა ქალის კივილის ხმაც. მივხვდი, რომ გია კანაშვილის მეულლე კიოდა. რაღაც ცუდი მოხდა-მეთქი, ვიფიქრე. მაშინ დავინახე, რომ დემინაშვილი ჩემკენ მორბოდა და ხელში პისტოლეტი ეჭირა. იქვე იდგნენ მენთეშაშვილი და ბიბილურიც. როცა ვიკითხე — რა მოხდა-მეთქი? — ხვიჩამ თქვა — კანაშვილმა იარაღი ამომიღო, უნდოდა, ესროლა, მაგრამ ხელი დავარტყი და პისტოლეტი გავაგდებინე და წართმეული იარაღიდან მისკენ ვისროლეო. ეს ამბავი რომ გავიგე, გავბრაზდი და თან შევშინდი. ბიჭებს ვუთხარი — გამცილდით, თავი დამანებეთ-მეთქი. შეშინებული ორი დღე და ღამე ტყეში ვიმალებოდი, შემდეგ თბილისში გავემგზავრე. ხვიჩას ადგილსამყოფელს ვერ მივაგენი. რამდენიმე თვის შემდეგ, მარტსა თუ აპრილში, ქუჩაში შემთხვევით მასა და მენთეშაშვილს შევხვდი. მაშინ შევიტყვე, რომ გლდანში მეგობარ გოგონებთან იმალებოდნენ“...

დაზარალებული — **მაია კანაშვილი** კი აცხადებს, რომ მის მეუღლეს ყველა ერთდროულად სცემდა. მისი თქმით, ჩხუბში აქტიურობდა როგორც ბასილაშვილი, ასევე მენთეშაშვილიც. *„ვიდრე ეზოში გასროლა მოხდებოდა, ოთახში სცემეს. მაშინ დემინაშვილი ხანჯლით მივარდა ჩემს ქმარს და რამდენჯერმე გამეტებით ჩაარტყა სხეულში. 13 ჭრილობა დააფიქსირეს ექსპერტებმა ჩემი მეუღლის სხეულზე. ის ხანჯალი დემინაშვილის იყო, როცა მოვიდა, მაშინაც ჰქონდა“*, — აღნიშნავს დაზარალებული.

სასამართლოში დემინაშვილის მიერ

გიორგი კანაშვილი

გიორგი მირიანაშვილი

შალვა (შაკო) წითელაშვილი

კანაშვილის ხანჯლით დაჭრის ფაქტი ბასილაშვილმაც და მენთეშაშვილმაც უარყვეს. ორივე მათგანმა აღნიშნა, რომ დემინაშვილმა დანაშაული თავდაცვის მიზნით ჩადინა. თუმცა, ამას არ ეთანხმება არც დაზარალებული და არც პროკურატურა.

მეორე დანაშაული 2003 წლის პირველ იანვარს მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, დემინაშვილი და მენთეშაშვილი სამარშრუტო ტაქსიში ავიდნენ. მგზავრთა შორის, ავტომანქანაში თბილისელი გიორგი მირიანაშვილიც იჯდა. დემინაშვილი მას გვერდით მიუჯდა. რამდენიმე წუთში კი, როგორც მასალებიდან ჩანს, ფეხზე დაბიჯების გამო დემინაშვილმა უხეშად მიმართა და მგზავრთა თანდასწრებით სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა მას. თავმოყვარეობაშელახულმა მირიანაშვილმა მას არ აპატია, სიტყვა შეუბრუნა და ამის გამო, მათ შორის ჩხუბი მოხდა. ჩხუბის დროს დემინაშვილმა ჯიბიდან დანა ამოიღო და მირიანაშვილს სხეულში ჩაარტყა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და დაჭრილი გარდაიცვალა. მოწმეების ჩვენებით, მენთეშაშვილი ამ დროს ცდილობდა დემინაშვილის შეკავებას და მირიანაშვილისგან მის გარიდებას. თუმცა, სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას, მენთეშაშვილმა საერთოდ უარყო შემთხვევის ადგილზე თავისი ყოფნის ფაქტი. *„ასეთ ფაქტს მე არ შევსწრებივარ და პირველ იანვარს დემინაშვილთან ერთად სამარშრუტო ტაქსით არ მიმგზავრია“*, — აღნიშნა მან.

ასეთი ჩვენება დაზარალებულისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

„დღევანდელ სხდომაზე, რადგანაც ვიცოდი, რომ მენთეშაშვილი უნდა დაეკითხათ, სხვა განწყობით მოვდიოდი. არსებობენ მოწმეები, რომელთა თქმით, ის მოჩხუბრებს აშველებდა და დემინაშვილს ჩემი შვილის დაჭრას უშლიდა. ამის გამო მე მის მიმართ მადლიერების გრძნობა გამიჩნდა და დღეს მისთვის, საჯაროდ მადლობის თქმასაც კი ვაპირებდი. ახლა კი, რა გამოდის? დამნაშავისთვის ხელის დაფარების მიზნით, ის საერთოდ უარყოფს შემთხვევის ადგილზე ყოფნას. ვთვლი, რომ განსასჯელის მშობლები და ახლობლები მოწმეებზე გავლენას ახდენენ. ამის დამადასტურებელია მენთეშაშვილის დღევანდელი განცხადებაც, ასევე ის, რომ დანარჩენი მოწმეები საერთოდ არ ცხადდებიან სასამართლოში“, — აღნიშნა მოკლულის მამამ — **ალექსანდრე მირიანაშვილმა**.

მესამე მკვლელობა, რომელიც 2003 წლის 3 მაისს მოხდა, დემინაშვილმა თავის საცხოვრებელ სახლთან ახლოს ჩაიდინა. საქმის მასალების მიხედვით, მენთეშაშვილი ამ ფაქტსაც შეესწრო. პროკურატურის ინფორმაციით, დემინაშვილსა და პოლიციის აკადემიის მე-4 კურსის კურსანტს, შალვა წითელაშვილს შორის უთანხმობა გოგონას გამო დაიწყო. თეა პატარიძე ორივეს იცნობდა. იმ პერიოდში, ის ხვიჩა დემინაშვილთან ერთად გლდანში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და არც თავად მალავს, რომ ორი კვირის მანძილზე, მისი საყვარელი იყო. გამოძიების მასალების მიხედვით, ის შალვა წითელაშვილსაც მოსწონდა. ეს უკანასკნელი, იმ ფაქტმა, რომ თეა ხვიჩასთან გადავიდა საცხოვრებლად, გაანაწყენა და გააღიზიანა. საქმის გასარჩევად ის დემინაშვილთან შეხვედრასა და მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენას ცდილობდა. ერთმანეთს ღამით შეხვდნენ, იქვე იყო მენთეშაშვილიც, რომლის გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების მიხედვითაც, დემინაშვილმა ჩხუბის დროს, ჯერ ერთი დანა ამოიღო, მერე — მეორე და ორივე დანით ერთდროულად აყენებდა წითელაშვილს ჭრილობებს. *„წითელაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ჩვენ იქიდან გავიქეცით... დემინაშვილმა ტანზე გამოიცვალა და სისხლიანი ტანსაცმელი დაწვა, დანები კი სად გადაყარა, არ ვიცი“*, — აღნიშნა წინასწარი გამოძიებისას **მენთეშაშვილმა**. სასამართლო პროცესზე კი, ჩვენების ეს ეპიზოდიც შეცვალა და აღნიშნა, რომ დემინაშვილს ერთი დანა ჰქონდა. *„მეორე ალბათ, წითელაშვილის იყო“*, — თქვა მან.

თეა პატარიძით წითელაშვილის დაინტერესების ფაქტს გამორიცხავს დაზარალებული. მისი თქმით, სინამდვილეში შალვა წითელაშვილი და მისი მეგობარი ვალერი ბეჟანიშვილი ამ უკანასკნელის დას დაეძებდნენ. *„ბეჟანიშვილის და ცოლად გაჰყვა მენთეშაშვილს და ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ გოგონას მშობლები და ძმაც. ამის მიზეზი, მენთეშაშვილისა და ბეჟანიშვილების ნათესაური კავშირი გახლავთ. მათი ბებიები დები იყვნენ, შვილიშვილები კი შეუღლდნენ... სწორედ ამის გამო დაეძებდნენ დემინაშვილს ბეჟანიშვილი და ჩემი შვილი. იცოდნენ, რომ მისთვის მენთეშაშვილისა და ნატო ბეჟანიშვილის ადგილსამყოფელი ცნობილი იყო და განგებ არ ამხელდა. ჩემს შვილს თეა პატარიძესთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია და არც ჰყვარებია ის ოდესმე,* — აცხადებს აწ გარდაცვლილი შალვა წითელაშვილის დედა **დონარა სახვაძე**. — *„იმ პერიოდში, ჩემი შვილი სტაჟირებას გადიოდა ისანი-სამგორის შს სამმართველოში, ვარკეთილის №1 განყოფილების სამძებრო ჯგუფის წევრი გახლდათ. რა თქმა უნდა, მისთვის ცნობილი იყო, რომ მენთეშაშვილი და დემინაშვილი იძებნებოდნენ. სწორედ სამსახურში მიაკითხა მას ვალერი ბეჟანიშვილმა და უთხრა — შაკო, დავიღუპე, ჩემი და — ნატა, დათო მენთეშაშვილს გაჰყვა ცოლად, გაიპარნენ და სად არიან, აუცილებლად უნდა გავიგო და წამყვეო. მან ჩემს შვილს დახმარება სთხოვა. შაკოს უფროსისთვის აუხსნია ვითარება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურიდან არ გაათავისუფლებდნენ. სამმართველოს უფროსს რომ შეუტყვია, მენთეშაშვილსა და დემინაშვილზე იყო საუბარი, ჩემი შვილისთვის უთქვამს — რამდენი ხნითაც გინდა, წადი, ოღონდ, როგორმე მათი ადგილსამყოფელი გაიგე და მე შემატყობინეო. აი, ეს გახლდათ მიზეზი, რისთვისაც ჩემი შვილი დემინაშვილსა და მის ძმაკაცს დაეძებდა. ის თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა და გოგოს სიყვარული აქ არაფერ შუაშია“.*

დონარა სახვაძის აზრით, შალვა წითელაშვილი მხოლოდ დემინაშვილს არ დაუჭრია სასიკვდილოდ. *„ფიზიკურად ჩემი შვილი იმდენად ძლიერი იყო, მას ორი კაცი და მით უმეტეს, ერთი — მხოლოდ დემინაშვილი — ვერ მოერეოდა. მენთეშაშვილი ამბობს — მე არც ჩხუბში, არც დაჭრაში მონაწილეობა არ მიმიღია, ვიდექი და გაოგნებული ვუყურებდი ხვიჩასო. მისივე თქმით, დემინაშვილს ორივე ხელში ეკავა დანები და ორივეს ერთდროულად ურტყამდა. ვფიქრობ, ეს სარწმუნო არ უნდა იყოს. ერთი დანით*

ალბათ, მენთეშაშვილი აყენებდა შაკოს ჭრილობებს, ან ამ დანაშაულში სხვა, მესამე პირიც მონაწილეობდა...“

წითელაშვილის მისდამი ინტერესი პროცესზე **თეა პატარიძემაც** უარყო. *„არ ვიცი, მოვწონდი თუ არა. მას ჩემთვის სიყვარული არასდროს აუხსნია“*, – განაცხადა მან, თუმცა წინასწარი გამოძიებისას, სრულიად საპირისპიროს აღნიშნავდა:

„...შალვას ვუყვარდი. 2003 წლის მარტის დასაწყისში, მან სიყვარული ამიხსნა. უარით ვუპასუხე, რადგან მის მიმართ არანაირი გრძნობა არ მქონდა, მასთან არც ინტიმური ურთიერთობა მქონია. მოგვიანებით, ჩემ მიმართ ხვიჩამ გამოიჩინა ინტერესი. მოვწონდი და ჩემთან ახლო ურთიერთობა უნდოდა. მეც სიმპათიით ვიყავი მის მიმართ განწყობილი და ამიტომაც დავთანხმდი. ეს რომ გაიგო, შალვა გაბრაზდა და მითხრა – ხომ გაგაფრთხილე, შენს თავს არავის დავუთმობ-მეთქი. ვუპასუხე – არ მიყვარხარ და შენი საქმე არ არის, ვისთან ვიცხოვრებ-მეთქი...

2003 წლის 21 აპრილს, ხაშურში, ჩემს საცხოვრებელ სახლში წასვლა გადავწყვიტე. ჩემი ნივთების ნაწილი ბეჟანიშვილების სახლში მქონდა. ამიტომაც იქ წაველი ტანსაცმლის წამოსაღებად... კარი წითელაშვილმა გამიღო, წვერს იპარსავდა, ცივად მომესალმა. მე ტანსაცმლის ძებნა დავიწყე, მაგრამ ვერ ვპოულობდი. მაშინ შალვამ მითხრა – შენი ტანსაცმელი ვალერიმ წაიღო, თავისი დის ნივთებთან ერთადო. მე ძალიან გავბრაზდი და ამის გამო შევკამათდით...“

„იმ დღეს წითელაშვილმა თეა სცემა და გაუპატიურება დაუპირა. ამის შესახებ მე და ხვიჩა დემინაშვილმა თავად თეასგან შევიტყვეთ“, – აღნიშნა სხდომაზე **მენთეშაშვილმა**, მაგრამ პატარიძემ ეს ფაქტი უარყო.

5 თვის მანძილზე ზედიზედ სამი საშინელი მკვლელობის ჩადენაში ბრალდებულ ხვიჩა დემინაშვილს ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზაც ჩაუტარდა. ექსპერტებმა დანაშაულების ჩადენის მომენტში მისი შერაცხადობა არ გამორიცხეს, აღნიშნეს, რომ მას ფსიქიკური გადახრა არ აღენიშნება და შეუძლია, სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობის მიღება, ასევე სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა. თუმცა, ამჟამად პროცესის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანია მოწმეთა დაკითხვა. იმ შემთხვევაში, თუკი ისინი პროცესზე არც მომავალში გამოცხადდებიან, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, იძულების წესით მათი მოყვანის შესახებ. ■

ყაჩაღები მძღოლებს სეზონით თიშავდნენ

თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ 3 ახალგაზრდა, ავტომანქანების გატაცებისთვის გაასამართლა. პროკურატურამ მათი საქმე 3 სხვადასხვა მუხლით (ყაჩაღობის, ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისა და ყალბი დოკუმენტების დამზადების მუხლებით) წარადგინა. სასამართლომ სამივე განსასჯელი დამნაშავედ ცნო. ორ მათგანს — გ. წერეთელსა და რ. ჯვარშეიშვილს 12-12, ხოლო ლ. წეროძეს — 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. გარდა ამისა, მსჯავრდებულებს 5 დაზარალებულისთვის სოლიდური თანხის გადახდაც დაეკისრათ.

როგორც საქმის განხილვისას გაირკვა, წერეთელი, ჯვარშეიშვილი და წეროძე ორგანიზებული და შეიარაღებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრები იყვნენ. როგორც ამბობენ, ეს ჯგუფი გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ სამართალდამცავებმა მხოლოდ 3 წევრის დაკავება შეძლეს. ყაჩაღური ბანდის სამიზნე დედაქალაქში მოძრავი, ძვირად ღირებული ავტომანქანები გახლდათ. ჯგუფის წევრები, როგორც ეს სასამართლოს განაჩენშია აღნიშნული, გატაცებული ავტომანქანების, ოსეთის ტერიტორიაზე რეალიზებას გეგმავდნენ და ხშირად, წარმატებითაც ახორციელებდნენ ამ ჩანაფიქრს.

სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელი აღნიშნავდა, რომ ამ ყაჩაღური დაჯგუფების წევრები მიზნის მისაღწევად საშიშ ძალადობასაც მიმართავდნენ და ყაჩაღური თავდასხმისას ცეცხლსასროლ იარაღსაც იყენებდნენ. თუმცა, საქმის მასალებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ყაჩაღები ავტომატებიდან ცეცხლის გახსნისგან ხშირად, თავს იკავებდნენ, სამაგიეროდ, „ურჩი“ მძღოლების დასამორჩილებლად, ისინი ვეტერინარულ პრეპარატ სეტონს იყენებდნენ...

პირველი დანაშაული, რომელიც სამართალდამცავების მიერ გამოვლინდა, 2001 წლის 27 ივნისს მოხდა.

აღნიშნულ დღეს, ელიავას ბაზრობაზე ავტომანქანის შესარჩევად ჯვარშეიშვილი წავიდა. მისი ყურადღება მიიპყრო ავტომანქანა „გაზელმა“, რომელიც ვინმე დ. შელიას ეკუთვნოდა. ჯვარშეიშვილი შელიას განგებ, საქმიანად დაელაპარაკა, მასზე კეთილსინდისიერი კლიენტის შთაბეჭდილება დატოვა და მოტყუებით, ვითომდა ტვირთის გადასაზიდად, იგი მუხიანის დასახლებაში წაიყვანა. სწორედ მუხიანში მდებარე ერთ-ერთ ავტოფარეხთან ჯვარშეიშვილს თავისი თანამზრახველები ელოდებოდნენ. წერეთელი და წეროძე, რა თქმა უნდა, წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულები და სათანადოდ მომზადებულები, სამივემ ერთად, იარაღის მუქარით, შელიას ჯერ ხელ-ფეხი შეუკრა, შემდეგ კი, მას ორგანიზმში ინიექციით ვეტერინარული პრეპარატი სეტონი შეუყვანა. წამლის გაკეთებიდან რამდენიმე წამში, შელიამ გრძნობა დაკარგა. ყაჩაღებმაც არ დააყოვნეს და მის გაძარცვას მიჰყვეს ხელი: ჯიბიდან ამოაცალეს საბუთები, მობილური ტელეფონი „ერიქსონი“; მერე, ავტომანქანა „გაზელის“ საჭეს წერეთელი მიუჯდა და ცხინვალისკენ აიღო გეზი. იქ მან მანქანა გამოძიებით დაუდგენელ პირს, ვინმე შამილს მიჰყიდა. აღებული თანხა ყაჩაღებმა ერთმანეთში გაინაწილეს.

დაახლოებით ერთ თვეში – 2001 წლის 25 ივლისს, ბანდის წევრებმა მეტროპოლიტენის სადგურ „ვარკეთილის“ ტერიტორიიდან გაიტაცეს ო. ტუტოვანის კუთვნილი, იმავე მარკის ავტომანქანა. მანქანა მაშინაც ჯვარშეიშვილმა შეარჩია. ტუტოვანი მან, ვითომდა ბარგის გადასატანად დაიქირავა და მოტყუებით, თვალჭრელიძის ქუჩაზე მიიყვანა. წინასწარ შეთვალიერებულ ადგილზე მას წერეთელი და წეროძე ელოდებოდნენ. ტუტოვანს, შელიას მსგავსად, ჯერ იარაღით დაემუქრნენ, შემდეგ გაკოჭეს და ნემსით სეტონი გაუკეთეს. გათიშულს, პირად საბუთებთან ერთად, 50 ლარიც ამოაცალეს ჯიბიდან. ავტომანქანა „გაზელი“ წერეთელმა იმავე დღეს გაყიდა ცხინვალის რეგიონში (არც მისი მყიდველის ვინაობაა დადგენილი) და აღებული თანხა თავის პარტნიორებს გაუნაწილა.

2001 წლის 2 სექტემბერს, ყაჩაღური ჯგუფის წევრებმა მსუბუქი ავტომანქანის გატაცება გადაწყვიტეს. ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ჯვარშეიშვილმა თბილისში, გლდანის მასივის პირველ მიკრორაიონში სპეციალურად დაიქირავა ბინა, იქ მიიყვანა წერეთელი და წეროძე, თავად

კი, დიღომში მდებარე ავტომანქანების ბაზრობაზე წავიდა მანქანის შესარჩევად. არჩევანი „ვაზ 21099“-ზე შეაჩერა. მანქანის პატრონს – მ. ჟამუტაშვილს, თითქოსდა სამუშაოზე მოსარიგებლად დაუწყო საუბარი, შემდეგ სთხოვა, წაჰყოლოდა სახლში, სადაც ფული ჰქონდა, რათა მისთვის საფასური გადაეხადა.

ჟამუტაშვილი ენდო „კლიენტს“ და წაჰყვა. ბინაში ყაჩაღებმა როგორც განაჩენში წერია, ჟამუტაშვილს ხელ-ფეხი შეუკრეს და სეტონით გათიშეს, ჯიბიდან ამოაცალეს ფული – დაახლოებით 55 ლარი, პირადი საბუთები, მობილური ტელეფონი, საქორწინო ბეჭედი. მისი მანქანა იმავე დღეს ჩაიყვანეს ცხინვალში და ვინმე ალიმას მიჰყიდეს.

ზუსტად ერთ კვირაში, მათ მორიგი დანაშაული ჩაიდინეს. ამჯერად, ჯვარშეიშვილმა ბინა იქირავა მე-3 მასივის დასახლებაში. დიღმის ბაზრობაზე კვლავ „ვაზ 21099“-ს დაადგა თვალი. მანქანა ზ. გურაბანიძეს ეკუთვნოდა. ჯვარშეიშვილი მასაც მოელაპარაკა და ვითომდა ფულის გადასახდელად, ნაქირავებ ბინაში მიიყვანა. აღსანიშნავია, რომ გურაბანიძე მარტო არ იყო: გზად, მას შემთხვევით მეგობარი – ა. საათაშვილი დაემგზავრა და ჯვარშეიშვილის ბინაში ისიც გაჰყვა. განაჩენის მიხედვით, ყაჩაღებმა ორივეს გაკოჭვა და გათიშვა მოახერხეს. გურაბანიძეს 90 ლარი, 10 დოლარი, მობილური ტელეფონი, პირადი საბუთები, ხოლო საათაშვილს – 58 ლარი და მობილური ტელეფონი ამოაცალეს. მანქანაც იმავე დღეს გაყიდეს ცხინვალში.

2001 წლის 13 სექტემბერს, ყაჩაღთა მიერ დაზარალებული, გ. საღირაშვილი აღმოჩნდა. მისი კუთვნილი „გაზელით“ ჯვარშეიშვილმა ის ვარკეთილის დასახლებაში, „გაჯის კარიერზე“ წაიყვანა. შეიარაღებულმა წეროძემ და წერეთელმა კი, საღირაშვილი სეტონით გათიშეს. შემდეგ ამოაცალეს მობილური ტელეფონი „სიმენსი“ და პირადი საბუთები. მისი მანქანაც იმავე დღეს გაყიდეს.

2001 წლის 25 სექტემბერს, ვითომდა საოფისედ ნაქირავებ ბინაში, რომელიც დავით აღმაშენებლის ქუჩის №193-ში მდებარეობდა, მორიგი დანაშაული იგეგმებოდა. ჯვარშეიშვილს „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა უკვე შერჩეული ჰქონდა და მძღოლს მიჰყავდა დანიშნულების ადგილას. თუმცა ამჯერად, ჩანაფიქრის განხორციელება ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს: ბინაში ჩასაფრებულ წერეთელსა და წეროძეს, მათ კვალზე დამდგარი სამართალდამცავები დაადგნენ თავზე და ორივე, ადგილზე დააკავეს. აიყვანეს ჯვარშეიშვილიც, რომელსაც ჩხრეკისას ყალბი პირადობის მოწმობა, ვეტერინარული პრეპარატი სეტონი, მობილური ტელეფონი „ერიქსონი“, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და გადაჭრილი თოფი აღმოაჩნდა. წერეთელს პოლიციის თანამშრომლებმა კუსტარული წესით დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი ჩამოართვეს.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, განსასჯელებმა აღიარებითი ჩვენებები მისცეს. წერეთელმაც აღიარა ჩადენილი ყაჩაღობა და აღნიშნა, რომ ჯვარშეიშვილს მართლაც, მიჰყავდა მასთან და მის მეგობართან დასაყაჩაღებელი პირები. თუმცა, სააპელაციო სასამართლოში მან ყველა ადრინდელი ჩვენება უარყო და განაცხადა, რომ დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია: *„ჯვარშეიშვილი ხელს იმიტომ მადებს, რომ ეშინია. იგი ზეწოლას განიცდის, როგორც პოლიციის მხრიდან, ასევე იმ ოსებისგანაც, რომლებთან ერთადაც ყაჩაღობები აქვს ჩადენილი“*, – განაცხადა მან პროცესზე.

მაგრამ პროკურატურისა და სააპელაციო სასამართლოს აზრით, არსებობდა სხვა მტკიცებულებებიც, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებები, სადაც აღნიშნულია, რომ ჩხრეკისას წერეთელს სკოჩის რგოლი (ლითონ-პლასტმასის კონსტრუქციის, შავი დამჭერით) და სხვა ნივთები აღმოაჩნდა. საქმის მასალების მიხედვით, მისგან ამოიღეს ასევე სასროლი მოწყობილობა, რომელიც ექსპერტთა თქმით, ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიას განეკუთვნება.

განსასჯელთათვის სასჯელის განსაზღვრისას, მოსამართლეებმა დაზარალებულთათვის მიყენებული ზიანიც მიიღეს მხედველობაში. პროკურატურის მასალებით, შელიას 10 ათასი ლარის, ტუტოვანს – 800 ლარის, ჟამუტაშვილს – 9 ათასი ლარის, გურაბანიძეს – 8.500 ლარის, საათაშვილს – 3.090 ლარის, საღირაშვილს კი – 9 ათასი ლარის ოდენობის მატერიალური ზარალი მიადგა. ამასთანავე გაირკვა, რომ შელია, ტუტოვანი და საღირაშვილი მომხდარი ფაქტის გამო უკიდურესად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან კუთვნილი სატვირთო ავტომანქანები მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. სწორედ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო საჩივარი, რომელიც განაჩენით უკმაყოფილო წერეთელმა უზენაეს სასამართლოში შეიტანა, არ დაკმაყოფილდა. რაც შეეხება წეროძეს და ჯვარშეიშვილს, მათ განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ. ■

„გამტაცებლების ამოცნობა ხმით შემიძლია“, – აცხადებს თამაზ მაღლაკელიძე

უზენაესმა სასამართლომ გენერალ გიორგი ვაშაკიძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა განაახლა. პროკურატურა ვაშაკიძეს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის – თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ადანაშაულებს. სასამართლო ამავე ბრალდებით დაკავებული ელდარ გოგბერაშვილისა და ბენიამინ სანებლიძის საქმესაც განიხილავს. შეგახსენებთ, რომ მაღლაკელიძე 2003 წლის 5 დეკემბერს გაიტაცეს და მომხდარი ფაქტიდან თვე-ნახევარში, სპეცოპერაციის შედეგად გაათავისუფლეს. პოლიციამ დანაშაულში ეჭვმიტანილები – ვაშაკიძე, გოგბერაშვილი და სანებლიძე 2004 წლის 10 იანვარს დააკავა.

სასამართლო პროცესზე, დაზარალებული თამაზ მაღლაკელიძე დაიკითხა. ჩვენებისას მან განაცხადა, რომ შემთხვევის დღეს, იგი იოსელიანის ქუჩიდან ათამდე ნიღბიანმა პირმა გაიტაცა. გამტაცებლები თავდაპირველად, გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას ცდილობდნენ, მოგვიანებით კი, გამოსასყიდ თანხაზე – 200 ათას დოლარზე შეთანხმდნენ.

დაზარალებულის თქმით, ტყვეობის პერიოდში, მას ორმოში არაადამიანურ პირობებში მიჯაჭვულს ამყოფებდნენ და მასზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ. *„35 დღის განმავლობაში, თვალებახვეული ვიყავი და მთელი ამ ხნის მანძილზე, გამტაცებელთა სახეები არ მინახავს, ამიტომაც მათი ამოცნობა მხოლოდ ხმით შემიძლია“*, – განაცხადა მაღლაკელიძემ.

პროცესზე მოწმეთა დაკითხვა გრძელდება. ■

„მარჯვენას მოვაჭრიდი იმ ქართველს, ვინც ღვინო პირველად გააფუჭა!“

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი თამადობას თავისი დიდი მოგვარის მშობლიურ კუთხეში — საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში შეუდგა. კეცით მირთმეული ღვინის ამბავსა და სხვა საინტერესო მოგონებებს ბატონი ირაკლის ცხოვრებიდან, მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ლევან ებრალიძე

— თამადობა ხშირად მიწევს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეროვნული მოძრაობიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, პოპულარული გავხდი. პირველად თამადად მამაჩემის მეგობრებმა აკაკი წერეთლის მშობლიურ სოფელში — სხვიტორში, რესტორან „კონწიალაში“ ამირჩიეს. მაშინ სტუდენტი ვიყავი. სხვათა შორის, საკმაოდ კარგად გამომივიდა.

— როგორი უნდა იყოს თამადა?

— სუფრის ლიდერი. თამადის თანამდებობრივ სტატუსში ჩანს ქართველი ერის მისწრაფება იმისკენ, რომ ყველგან და ყველაფერში ჰყავდეს ლიდერი. მსოფლიოში არც ერთ სუფრაზე თამადა არ არსებობს. თუ არის, საქართველოდანაა შესული. ეს კარგია თუ ცუდი — საკამათოა. სუფრას წინამძღოლი ნამდვილად უხდება. ლიდერს ეძლევა ძალაუფლება, რომ წესრიგი დაამყაროს.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ თამადა მკაცრი უნდა იყოს?

— სუფრა (გარდა სამგლოვიაროსი) არის დროს ტარების, გართობის, სიამოვნების მიღების ერთ-ერთი საშუალება. თამადა გამორჩეული უნდა იყოს არა სიმკაცრით, არამედ იმ თვისებებით, რომლებითაც სიამოვნებას მიანიჭებს სუფრის წევრებს. თავისი სიმკაცრით და აქტიურობით არავინ არ უნდა შეაწუხოს და არც ზედმეტად ლოიალური უნდა იყოს. თამადის თვისებებია: მჭევრმეტყველება, იუმორი, ნათელი აზროვნება, კონტაქტურობა და უშუალობა სუფრის წევრებთან ურთიერთობის დროს. თუ არ უსმენენ, კეთილი უნდა ინებოს და წავიდეს.

3 ლიტრს თავისუფლად ვიტან. მეორე დღეს, ნაბახუსევს — უფრო მეტს

— ეი. სიმკაცრე ცუდ თამადას სჭირდება?..

— რა თქმა უნდა. სუფრის ორი სახეობა არსებობს — ნადიმი და ღრეობა. ღრეობას თამადა არ სჭირდება. ესეც თავისებურად საინტერესოა. საქართველოს მთის კუთხეებში ხატობებზე ძირითადად, ღრეობები იმართებოდა, რომელსაც თავისებური წესები ჰქონდა. ყველა თავისი სასმლით მიდიოდა. ღრეობა ზოგს წარმოუდგენია, როგორც ღრიანცელი და აურზაური.

— გამორჩეული სადღეგრძელო თუ გაქვთ?

— მე მივყვები ტრადიციულ ქართულ ლხინ-ნადიმს. პირველი, სადიდებელია უფლის, მეორე — მეფის, მესამე — ერის, მერე — მშობლების, დედმამიშვილების და ა.შ. ბევრი ტრადიცია დაიკარგა. ნადიმს წინ უძღოდა პურობა. ვიდრე სადღეგრძელოების შესმას დაიწყებდნენ, საჭმელს მიირთმევდნენ. შემდეგ სუფრაზე მხოლოდ იმ კერძებს ტოვებდნენ, რომლებიც ღვინოზე „კარგად მიდის“. ახლა ნადიმი და პურობა აღარ იყოფა. ეს დიდ უბედურებად არ მიმაჩნია, მაგრამ სუფრა აუცილებლად ნაკურთხი უნდა იყოს.

— რომელ ღვინოს ამჯობინებთ?

— როცა ჭარბად სმა გიწევს, საქეიფოდ საქართველოში (სამედიცინო და ბიოლოგიური თვალსაზრისითაც სწორია), მიღებულია თეთრი ღვინო. შავი ღვინის სისტემატურად მიღება ორგანიზმისთვის საზიანოა, თორემ, გემოთი, რა თქმა უნდა, შავი ჯობია. ნატურალური, ყველა ღვინო კარგია. ბოლო წლებში, უფრო კახურს მივეჩვიე. ქართველები ხათრიანები გავხდით. მომხრე ვარ, რომ მასპინძელი, თუ ცუდ ღვინოს მოიტანს, თამადა სუფრიდან წამოდგეს და წავიდეს. უნდა დამკვიდრდეს წესად, რომ ღვინის გაფუჭება და მით უმეტეს, სტუმრისთვის მირთმევა, შეურაცხყოფაა. ჯობია, ეწყინოს მასპინძელს, იმიტომ, რომ ზედმეტი ხათრიანობით ჩვენს ქვეყანას ვაფუჭებთ. ხელს მოვაჭრიდი იმ ქართველს, ვინც ღვინო პირველად „გააკეთა“ და გააფუჭა. ტყუილი, სიყალბე არაფერს უხდება და პირველ რიგში — ღვინოს.

— თამადას მჭევრმეტყველებისა და სხვა თვისებების გარდა, სასმლის ატანაც უნდა შეეძლოს. თქვენ რამდენს სვამთ?

— 3 ლიტრს თავისუფლად ვიტან. მეორე დღეს, ნაბახუსევს — უფრო მეტს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი გამოძინებული ვარ. თუ გამოუძინებელი და დაღლილი ვარ, მალე ვთვრები. თამადის მოვალეობაა, არ შეეტყოს დათრობა. მთავარია, არ აერიოს ენა, ფეხი, გონება — ანუ, ერთი კარგი გამოთქმისა არ იყოს, არ უნდა დაკარგოს „უკანალის გასაღები“. ახლობლურ სუფრაზე ბევრჯერ ჩამომძინებია... ისე, კარგი სიმთვრალე მაქვს, როგორც წესი, კონფლიქტური არა ვარ.

— ნაბახუსევს, „პახმელიაზე“ როგორ გამოდიხართ?

— საუკეთესოა, არაყი, ხაში და გამოძინება. ღვინოსთან შეხებაში მყოფ კაცს, ყოველთვის ხელმისაწვდომ ადგილზე უნდა ჰქონდეს არაყი ან კონიაკი. 100 გრამამდე უნდა დალიო და თუ მაინც არ გეშველა, მაშინ ცუდად გაქვს საქმე.

— განსხვავებულ სასმისებს თუ ეტანებით?

— კი. ხომ არ შეიძლება, უფლის სადიდებელი და, სადმე რომ შეგხვდეს, ვიღაც შემთხვევითი ნაცნობის სადღეგრძელო ერთი და იმავე ჭიქით დალიო! ან — ქართველი ერისა და ამ მთავრობის... ერთხელ, ერთმა კაცმა თავის სახლში დამპატიჟა; თავი მოიკლა — გინდა თუ არა, ვიქეიფოთო. მე როცა ვიცი, რომ სუფრიდან პირდაპირ ლოგინში არ მივდივარ, არ მიყვარს დიდი რაოდენობით ღვინის დალევა. ამ კაცმა თიხის ყანწი მოიტანა. სასტიკად წინააღმდეგი ვარ თიხისგან ამ სასმისის დამზადების: ყანწისთვის არსებობს რქა... ჯერ ამან გამაბრაზა, მაგრამ თავი შევიკავე და ორივემ დავლიეთ. ახლა კეცი მოიტანა. კეცში მჭადი გამიგონია (იმერელი კაცი ვარ), ხაჭაპური და წიწილაც, მაგრამ ღვინის დალევა — არა... ახლა ამაზე ამეშალა ნერვები. რა უნდა მექნა?.. რადგან აღარ მეშვებოდა, ავდექი და დიდი თასი მოვ-



ითხოვე. თან, მაშინ ტანკივით ვიყავი და დავლიე. იმან ნახევრამდე რომ მიიყვანა, თასი ხელიდან გაუვარდა, თვითონ დაეცა და ერთ-ერთ კერძში დრუზა თავი... სუფრა არ უნდა გადააქციო სმაში შეჯიბრებად. ქართული სუფრა იმით განსხვავდება რუსულისგან, რომ ღვინის სმის პრინციპი დათრობა არ არის, არამედ დროს ტარებაა. ბევრჯერ კარგად მითამადია, ბევრჯერ — არა, რადგან გარემოცვა შემიწუხებია ზედმეტი კამათით. ლიდერის — როგორც თამადის, ისე პრეზიდენტის — პრინციპი ისიც კი არ არის, რომ თავისი „გაისწოროს"; ორივეს მოვალეობაა, რომ ვინც აირჩია, იმათ „გაუსწოროს"...

— თქვენი აზრით, ახალგაზრდა თაობაში ხომ არ დაიკარგა ქართული სუფრის ტრადიციები?

— ისეთ ახალგაზრდებს ვიცნობ, თუ არ გვჯობნიან, არაფერში ჩამოგვივარდებიან... არაფერი არ იკარგება — უბრალოდ, ყველა თაობას თავისი ინდივიდუალური ნიუანსები შეაქვს ყველა მოვლენაში — როგორც მწერლობაში, პოეზიაში, მუსიკაში, ასევე ცხოვრებისეულ ტრადიციებში, მაგრამ ძირითადი სახე არ დაიკარგება. არ შეიძლება, ერთი თაობა მეორეს ასლივით ჰგავდეს. არ უნდა გაიყინოს — უნდა განვითარდეს. თუ თაობამ თავისი სიახლე არ მოიტანა, ისტორიულ ერთფეროვნებას მივიღებთ.

— ძველ თამადებზე რას გაიხსენებდით?

— დედაჩემმა მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. რესტორან „ნაციონალში" ასკაციანი სუფრა გაიშალა. თამადა ჯანსუღ ჩარკვიანი იყო. იმავე სუფრაზე მჯდომმა ნოდარ დუმბაძემ დედაჩემს ჰკითხა — შენი ქმრის ხელში, როგორ მოახერხე დისერტაციის დაცვაო? დედაჩემმა უპასუხა — სიდამონი გვიან მოდიოდა ხოლმე სახლში; საქმე რომ არ მქონდა, ვიჯექი და ვწერდიო. ნოდარმა უთხრა — ეს იგივეა, შინ ორ საათამდე რომ აღარ მივიდე ხოლმე და ჩემმა მეუღლემ ნანულიმ რომანი დამახვედროს დაწერილიო... ჯანსუღი გაეხუმრა — შენ რომ ორ საათამდე სახლში არ მიხვიდე, შენი მეუღლე რომანს კი არა, რომანას დაგახვედრებსო... ერთ კაცს ღვინის დალევა არ უნდოდა ქართულ სუფრაზე, რადგან „გაქანებული" ბუასილი ჰქონდა და უკანალი აწუხებდა. სუფრაზე ხომ ვერ იტყოდა ნამდვილ მიზეზს და უთხრა — გული მტკივაო. შეეკითხნენ — საქართველო გიყვარსო? — როგორ არ მიყვარსო?! — უპასუხა. — შენი ერი, მეგობრები და ოჯახი გიყვარსო? — კიო. — აბა, ეს ყველაფერი რომ გიყვარს, გულიც იმიტომ გტკივა, თორემ, ვისაც უკანალი სტკივა, გავარტყით იმ უკანალშიო!.. თავიდანვე ჩაშვებული იყო... ერთხელ თბილისში, ერთ-ერთ სუფრაზე ჯანსუღ ჩარკვიანს შესთავაზეს თამადობა. ჯანსუღმა იხუმრა — იმ პირობით დავდგები, თუ ღვინო ნატურალური იქნება და პატარძალი — ქალიშვილიო... მთელი სუფრა სიცილით დაწყდა. გარკვეული ხნის შემდეგ, მამაჩემი ჯანსუღის მეგობარს, ფილიპე ბერიძეს შეხვდა. ფილიპე დალილავებულ-დალურჯებული იყო. რა მოგივიდა, ფილიპეო? — ჰკითხა. — ჯანსუღ ჩარკვიანმა დამღუპა: თვითონ რაღაცას იტყვის, ხალხი სიცილით კვდება, მე კიდევ, იგივე გავიმეორე კახეთში, ვაჩნაძიანში და ცემაში გამხეთქესო... ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რით ახალისებდნენ ესკალატორით მგზავრობის წინ, პირველ მგზავრებს?

ა) გასამხნევებლად ბრენდის ასმევდნენ;
ბ) ესკალატორისკენ ზურგით აყენებდნენ;
გ) როგორც კასკადიორებს, ფულს უხდიდნენ.

2. „ონ იშჩო ჩრასტულიტსია ნა ნაშიხ პახარანახ!" — ვისზე ამბობდა ამ სიტყვებს ვლადიმირ ჟირინოვსკი?

ა) ზურაბ წერეთელზე;
ბ) მიხეილ სააკაშვილზე;
გ) ბორის ელცინზე.

3. მერამდენე სერიაზე შეწყვიტეს სერიალი — „ძილის წინ"?

ა) 313-ზე;
ბ) 713-ზე;
გ) 913-ზე.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რა არის ამბიცია? როგორები არიან ამბიციური ადამიანები? როდის ხდება ამბიცია საშიში? — ეს ის კითხვებია, რომლის პასუხებიც ფსიქოლოგების აზრით, წლების წინ, რადიკალურად განსხვავებული იყო. ის დრო, როცა ამბიცია მანკიერებად მიიჩნეოდა, წარსულს ჩაჰბარდა. ახლა პიროვნების დადებითი მხარეების ჩამოთვლისას, თავისუფლად ამბობენ, რომ ის მიზანსწრაფული და ამბიციურია... ჩემი რესპონდენტები ფსიქოლოგები არიან, რომლებიც ამბიციური ადამიანის კრებითი პორტრეტის დახატვაში დაგვეხმარებიან.

მოითხოვეთ ცხოვრებისგან მაქსიმუმი, რომ მინიმუმზე მეტი მაინც მიიღოთ

ლელა ჭანკოტაძე

ლია ჭილაშვილი:

— ამბიცია ყველა ადამიანს აქვს. სიტყვასიტყვით ამბიცია გადაჭარბებული თავმოყვარეობა — ე.ი. პატივმოყვარეობაა. ამბიცია ადამიანს სტიმულს აძლევს, მიზანსწრაფულსა და წარმატებულს ხდის. თუმცა, ამბიციური ადამიანები ძალიან ხშირად აწყდებიან შინაგან წინააღმდეგობებს, რომელთა გადალახვა ზოგჯერ საკმაოდ ძვირად უჯდებათ. გინახავთ ალბათ, ბიზნესში ან სხვა საქმიან წრეებში, მრისხანე, მოძრავი, ენერგიული ადამიანები. ისინი ყოველთვის გაფრთხობენ და თქვენში ერთდროულად ორმაგ განცდას იწვევენ — ცუდსაც და კარგსაც. გამოდის, რომ ამბიციური ადამიანების მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

— რას ურჩევთ ამბიციურ ადამიანებს? უნდა გამოამჟღავნონ ამბიციურობა თუ პირიქით, მის დაფარვას შეეცადონ?

— გაქვთ ამბიციები? გსურთ, მიაღწიოთ უფრო მეტს, დიდსა და უკეთესს?.. თუ ასეა, უნდა გააგებინოთ ამის შესახებ გარშემო მყოფ ადამიანებს, პირველ რიგში კი — იმათ, ვისზეც თქვენი ამბიციების დაკმაყოფილებაა დამოკიდებული. იმისთვის, რომ ცხოვრებისგან რამე მიიღოთ, უნდა განაცხადოთ ამის შესახებ. თუ რა ფორმით გააკეთებთ განაცხადს, ეს მხოლოდ თქვენს პიროვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ არსებობს თამაშის გარკვეული წესები. ერთ-ერთი წესი ასეთია: თუ გსურთ, რომ შეგამჩნიონ, უნდა განრისხდეთ! მაგალითისთვის მოვიყვან ერთი დაწესებულების ხელმძღვანელის აზრს: მისი მტკიცებით, თუ რამეს მიაღწია თავის საქმიანობაში, მხოლოდ იმით, რომ გამუდმებით უხდებოდა გაბრაზება, განრისხება, ყვირილი; ეს თითქოს მის მთავარ ამპლუად იქცა. იმაზე არც ფიქრობდა, რომ მისი გაბრაზება ხშირად, სხვა ადამიანებს თრგუნავდა, ანერვიულებდა. თუმცა, გარშემო მყოფთა კეთილგანწყობა არც აღელვებდა, სანამ ერთ დღეს არ აღმოაჩინა, რომ მისი გამუდმებული რისხვით დაორგუნვილმა თანამშრომლებმა მუშაობისას შეცდომებს მოუხშირეს... ერთხანს იგი შეეცადა კიდეც, შედარებით მშვიდი და ლოიალური ყოფილიყო, მაგრამ ასე მოქცევა დიდხანს ვერ შეძლო. გამოკვლევების შედეგებით აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც გამოხატავენ რისხვას, უფრო ძლიერები და „დომინანტურები“ არიან, ვიდრე მათი ფლეგმატური „თანამომძეები“. ამბიციურები უფრო მეტ მისწრაფებას იჩენენ სტატუსის ამაღლებისკენ, ვიდრე ისინი, ვინც სხვა ემოციას — მაგალითად, სევდას — ამჟღავნებენ. სევდიანი ადამიანი გაიგივებულია სუსტ ადამიანთან. ამბიციურ, რიხიან, ხმაურიან ადამიანებზე კი ჩამოყალიბებულია აზრი, რომ მათ შეუძლიათ, საკუთარი ცხოვრება ისე წარმართონ, როგორც ჩაიფიქრეს. ის, რომ იყო საყვარელი და სასიამოვნო ურთიერთობისას, სოციალურად სასარგებლოა, მაგრამ ასეთი ქცევა ვერ მოგეხმარებათ იმაში, რომ გააკეთოთ განაცხადი თქვენს ღირსებებზე, მაღალ შესაძლებლობებსა და მაღალ სტატუსზე. კავშირი მრისხანების გამოვლენასა და სოლიდურ საზოგადოებრივ სტატუსს შორის საკმაოდ მარტივად ასახსნელია. რისხვის გამოხატვა არის საშუალება, ღიად განაცხადო, ვინ ხარ და რა გსურს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ რისხვა სამართლიანი უნდა იყოს — ე.ი. მკაცრად დოზირებული და დასაბუთებული. მცირედი გადაჭარბებაც კი იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანი ვეღარ აკონტროლებს საკუთარ ემოციებს და ამით რეპუტაციას შეილახავს. რისხვის გამოყენება ყოველ ნაბიჯზე არ შეიძლება. ამით შეიძლება ერთი საფეხურით ზევით აიწიოთ, მაგრამ მდგომარეობის შენარჩუნება გაგიძნელდებათ. ამბიციურმა ადამიანებმა ყველაზე მეტად იმაზე უნდა იზრუნონ, რომ გარშემო მყოფთა კეთილგანწყობა შეინარჩუნონ.

გადამეტებული პატივმოყვარეობის გარდა, კიდევ რა თვისებები ახასიათებთ ამბიციურ ადამიანებს და საერთოდ, როგორ უნდა მივხვდეთ, ამბიციურია ადამიანი თუ არა?..

ლია ანდღულაძე:

— თუ დააკვირდებით, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ როგორ საუბრობენ ის ადამიანები, რომლებიც ამ პოლიტიკოსებს აპიარებენ, დარწმუნდებით, რომ ხაზგასმით გამოყოფენ შემდეგ თვისებებს: მიზანსწრაფულია, ამბიციური და კომუნიკაბელური. ანუ ეს სამი თვისება კარგი იმიჯის განუყოფელი ნაწილია. პატარა ქვეყნის პრეზიდენტი თუ ამბიციური არ არის, მას არასდროს გაუჩნდება სურვილი, თავისი ქვეყანა ცხოვრების დონით გაუთანაბროს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს. ამბიციურია ჩვენი პრეზიდენტიც. მისი, როგორც პოლიტიკოსის მიზანი იყო, თავის ხალხს სათ-

ავეში ჩასდგომოდა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღედგინა. ხედავთ, რისი ამბიცია ჰქონდა? იმის, რაც წინა ხელისუფალმა, მასზე უფრო გამოცდილმა და ასაკოვანმა, ვერ განახორციელა. ედუარდ შევარდნაძეს არ ჰქონდა იმის ამბიცია, რომ ისტორიაში გამაერთიანებლის სახელით შესულიყო. არც იმის ამბიციით გამოირჩეოდა, რომ მისი მმართველობის დროს ეკონომიკური აღმავლობის რელსებზე გადაეყვანა ქვეყანა და ხალხის ცხოვრების დონე აემაღლებინა. რისი ამბიციაც არ გაქვს, იმას ვერც გააკეთებ. ამიტომ პოლიტიკოსისთვის ამბიციურობა მხოლოდ დადებითი მახასიათებელია. ცხადია, მას ამბიციების კონტროლი უნდა შეეძლოს, რათა მათ არც მშობლიური ერი შესწიროს და არც სხვა ხალხთა დათრგუნვის ხარჯზე მოახდინოს ამ ამბიციების დაკმაყოფილება. საერთოდ, პროფესიათა გარკვეული ნაწილი, თავისი ბუნებითაა „ამბიციური" – ე.ი. თვით პროფესია მოითხოვს ადამიანისგან ამბიციურობას, მაგალითად, ჟურნალისტობა. ამ პროფესიაში ჩადებულია იმის ამბიცია, რომ იქცეს შუამავლად საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, ასახოს და გააშუქოს ცხოვრების წვრილმანებიც კი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ჟურნალისტი ამბიციურია. ჟურნალისტი, რომელსაც არა აქვს რედაქტორობის ამბიცია, ვერასდროს გახდება რედაქტორი; ჟურნალისტს, რომელსაც არა აქვს იმის ამბიცია, რომ იმუშაოს ყველაზე მაღალრეიტინგულ გამოცემაში ან ტელეკომპანიაში, შეეჭიდოს ყველაზე რთულ თემებს, თუნდაც საამისო ძალებს საკუთარ თავში ვერ ხედავდეს, ვერასდროს დაეუფლება სრულად ამ პროფესიას. მისი საუკეთესო მასალა იქნება ის, რაც ისედაც ცნობილი იყო საზოგადოებისთვის. ამრიგად, ამბიციური პროფესია სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ამ პროფესიის ნებისმიერი ადამიანი ამბიციურია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ ადამიანს სჩვევია დაბალი თვითშეფასება. ეს სენია, რომელიც მას წარმატებისკენ მიმავალ გზას უკეტავს. ამბიცია გარკვეული დოზით, აუცილებელია. თქვენ ნიჭიერი, შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი თანამშრომელი ხართ, მაგრამ ვერ აღწევთ წარმატებას, რაღაც გაკლიათ. ამბობთ, რომ ეს არის იღბალი. სინამდვილეში ეს რაღაც, თქვენი უამბიციობაა. თქვენში თანამშრომლები ვერ ხედავენ წინსვლის ამბიციას. თვლიან, რომ იმითიც კმაყოფილი ხართ, რასაც მიაღწიეთ. თუ თქვენს მთავარ რედაქტორს მიაჩნია, რომ არ გაქვთ ვთქვათ, რედაქტორობის ამბიცია, არასდროს დაგნიშნავთ თავის მოადგილედ ჩათვლის, რომ თქვენ თვითონ ვერ წარმოგიდგენიათ თავი ხელმძღვანელ თანამდებობაზე. როგორღა დაინახავენ თქვენში რედაქტორსა და ხელმძღვანელს რიგითი თანამშრომლები?! ამიტომაც ხართ გულდაწყვეტილი და ვერ გაგიგიათ, თუ როგორ შეძლო თქვენზე უნიჭომ დაწინაურება. ცხოვრების ანაბანაა – მოითხოვეთ მისგან მაქსიმუმი, რომ მინიმუმზე მეტი მაინც მიიღოთ.

— ამბიცია რომელ თვისებასთან კომბინაციაში ქმნის წარმატებულ პიროვნებას?

მაკა ალთუნაშვილი:

– პიროვნებას, სხვა მრავალ თვისებასთან ერთად, უნდა ჰქონდეს ნებისყოფა. მაგალითად, როცა ადამიანი შიმშილს ან წყურვილს განიცდის, მას შეუძლია, ყოველგვარი მოფიქრების გარეშე, დაისხას წყალი და დალიოს, ან მოიტეხოს პური და შეჭამოს. მაგრამ საზრდოს შოვნის ზოგადი მოთხოვნილება წყურვილისა თუ შიმშილის აქტუალური განცდის გარეშე ასე უშუალოდ ვერ წარმართავს იმ მოქმედებას (შრომას), რომელიც ამ შემთხვევაშია საჭირო – მაგალითად, მიწის თოხნას ან წყლის მოტანას, როდესაც იმ მომენტში ადამიანს არ სწყურია. ამ მოქმედებათა შესასრულებლად აუცილებელია ნებისყოფა. ყოველი შრომა ნებისყოფის გამოვლინებას წარმოადგენს. ნებისყოფის საბოლოო დასაყრდენს, მისი ენერგიის სათავეს კი, პიროვნების დიდი მოთხოვნილებები ქმნის.

— ეი. ნებისყოფა და ამბიცია ქმნის წარმატებულ პიროვნებას?

– პიროვნების მაღალი ზოგადი მოთხოვნილებები აძლევს ადამიანს ნებისმიერი მოქმედების შესრულების უნარს. თუ ადამიანს არა აქვს უკეთესის ამბიცია, მას არ ეშნება „ქცევის ძრავის" ძალა, მისი ყოველი ქმედება ფორმალურ, უსაფუძვლო ქმედებად დარჩება. ამბიციური და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი შეუპოვარია, ძლიერია, თავგანწირულია. ლუარსაბ თათქარიძისთანა ადამიანი, რომლის მოთხოვნილებები, ამბიციები განისაზღვრება ორგანული მოთხოვნილებებით (ჭამა-სმა), უნებისყოფოა. მას არა აქვს უკეთესის ამბიცია, არ შეუძლია, ნამდვილი ნებისყოფა გამოავლინოს, თავის ქცევას დაეუფლოს და საზოგადოებრივად აქტიურ პიროვნებად გადაიქცეს. ამბიცია + ნებისყოფა = წარმატებულ პიროვნებას – ეს არის ფორმულა, რომელიც განხორციელების შემთხვევაში, ქმნის მისაბაძი, წარმატებული, ადამიანის ტიპს.

გიორგი, *32 წლის*:

– სკოლა რომ დავამთავრე, ოჯახში გამოვაცხადე, კიევში არ წავალ, თბილისის უნივერსიტეტში უნდა ჩავბარო-მეთქი. კიევში ნათესავი გვყავდა, რომელიც გვპირდებოდა, გიორგის უმაღლესში უგამოცდოდ მოვაწყობო. სკოლა ხუთებზე დავამთავრე. კლასში საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი. მინდოდა, ცხოვრების გზა დამოუკიდებლად გამეკვლია. მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოვახერხე, საბუთები უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შემეტანა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აბიტურიენტებს შორის, ერთი ჩემი თანაკლასელი აღმოვაჩინე. გადავწყვიტე, იურისტი გავხდეო, – მითხრა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გოგონა, რომელიც სამებზე სწავლობდა და საშუალო გაქანების მოსწავლედ ითვლებოდა, ასეთ რთულ პროფესიას შეეჭიდებოდა. მაგრამ მთავარი სიურპრიზი წინ მელოდა. მესამე გამოცდაზე დაბალი შეფასება რომ მივიღე, საბუთები გამოვიტანე და მეოთხე გამოცდაზე აღარ გავედი. იმ წელს, სასწაული მოხდა: ჭულადაკლებულები ჩარიცხეს; გოგონა, რომელსაც პირობითად ლალის დავარქმევ, სტუდენტი გახდა, მე კი არ გამიმართლა. მეორე წელსაც ვცადე ბედი, მაგრამ პირველივე გამომცდელმა ჩემი ცოდნა საქართველოს ისტორიაში ორზე შეაფასა.

— შემდეგ რა მოხდა?

– ვიფიქრე, რომ ჩემი ცოდნა საკმარისი არ იყო და ხელი ჩავიქნიე. მშობლებს

დავთანხმდი და საბოლოოდ, უმაღლესი სასწავლებელი კიევში დავამთავრე. საქართველოში რომ დავბრუნდი, სხვა თანაკლასელებთან ერთად ლალიც მოვინახულე. უმეშვეარი ვარ, გამომძიებლის ასისტენტად ხომ არ ვიმუშავებ, კარგი სამსახური მჭირდება, მთელი ცხოვრება პროკურორობა მინდოდაო, — მითხრა. ხედავთ, როგორი ამბიციები ჰქონდა! მაშინვე ვიფიქრე, — ამას გამომძიებლის ასისტენტად ვინ ამუშავებს?.. ალბათ, უნივერსიტეტიც ნაცნობობით დაამთავრა-მეთქი. თუმცა ვიცოდი, რომ არც გავლენიანი ნათესავები ჰყავდა და არც ფული ჰქონდა მის ოჯახს... გავიდა წლები. ერთ დღეს დედამ ახალი ამბავი მაუწყა: ლალი დააწინაურეს, საღამოს წვეულებას აწყობს და გეპატიჟებაო. ცხადია, წავედი. ლალი ვეღარც ვიცანი: იმიჯი შეეცვალა, გალამაზებულიყო და ბედნიერებისგან ბრწყინავდა. თქვა: მართალია, ჯერ მხოლოდ საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელად დამნიშნეს, მაგრამ იცოდეთ, პროკურორობასაც მალე მომილოცავთო. მას შემდეგ ხშირად მიფიქრია, როგორ მიაღწია წარმატებას? როგორ შეძლო ამბიციების დაკმაყოფილება?

— თქვენ თვითონ არ სცადეთ, ამ კითხვაზე პასუხი გეპოვათ?

— ერთმა თანაკლასელმა მითხრა: ლალი ძალიან ბევრს მიიღებს ცხოვრებისგან, რადგან ბევრსაც ითხოვს; მე ასლარიანი ხელფასიც მაკმაყოფილებს, ღმერთს ვთხოვ, ესეც არ დამაკარგვინოს; განა, ვაკეთებ რაიმეს უფრო მეტის მისაღწევადო?!. მისი სიტყვები მენიშნა. ვერც მე მივაღწიე რაიმე მნიშვნელოვანს. როგორც მშობლები მეუბნებიან: ცხოვრებას თავი დავაჩაგვრინე. დღეს, დიპლომიანი მძღოლი ვარ — ეს არის და ეს. თუმცა, კარგი ცოლი მყავს, ტყუპი ბიჭის მამა ვარ, ყველანი ჯანმრთელად ვართ და არც მშიერ-მწყურვალნი და ტიტვლები დავდივართ. იქნებ, უნამუსობაა, ცხოვრებისგან უფრო მეტის მოთხოვნა?..

როდის ხდება ამბიცია ადამიანისთვის საშიში? როდის იქცევა ამბიცია ნაკლად და იმ უარყოფით თვისებად, რომლისგანაც სწრაფად გათავისუფლება აუცილებელია? რატომ ხდება ისე, რომ ამ სიტყვას ვხმარობთ პიროვნების, როგორც დადებითი შეფასების დროს, ასევე მაშინ, როცა ადამიანის უარყოფითი მხარეების წინ წამოწევა გვსურს? სად გადის ზღვარი ჯანსაღ და მავნე ამბიციას შორის?..

მარიამ ეგანოიძე:

— როცა ადამიანი თავის ქცევებს ვეღარ აკონტროლებს, მას აუცილებლად სჭირდება ფსიქოლოგის კონსულტაცია. ჩემი პაციენტებისგან ხშირად მსმენია: მე მართალი ვარ, არ შეიძლება, ჩემნაირი მორალური პრინციპების მატარებელი ადამიანი ტყუილს ამბობდეს და ა.შ. ეს ფრაზები განსაკუთრებით ხშირია, როცა ოჯახური კონფლიქტები არსებობს. ადამიანთა ერთი ნაწილი საზოგადოებრივ ასპარეზზე უფრო იოლად აღწევს წარმატებას, ვიდრე — ოჯახურ ცხოვრებაში. არადა, მას აქვს ამბიცია, ყველგან იყოს პირველი, ლიდერი და შესაბამისად, სიტუაციის მაკონტროლებელი. ლიდერობის ამბიციაზე საუბრისას არ ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიკოსებს, რადგან პოლიტიკოსობის ამბიციაც იმ დროიდან იღებს სათავეს, როცა პიროვნების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს. ამ დროს ბავშვი იწყებს მოქმედებას იმ განუხორციელებელი ამბიციების „კოდით", რომლებიც მის მშობლებს ჰქონდათ — მაგალითად, თუ მამას უნდოდა, ექიმი გამოსულიყო და ეს არ გამოუვიდა, იწყებს ლაპარაკს იმაზე, რომ მისი შვილი მომავალი ნეიროქირურგია. არადა, ბავშვი ჯერ ორი წლისაც კი არ არის. ეს ამბიციების კოდირების საშიში და არასწორი გზაა. ამბიციები მემკვიდრეობით კი არ უნდა გადაეცეს, არამედ პიროვნებაში დამოუკიდებლად ჩამოყალიბდეს, პიროვნების მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალურად განსაზღვრის შედეგად.

— ეი. ამბიციური ადამიანი ჩვეულებრივ, სწორადაა გარკვეული საკუთარ შესაძლებლობებში?

— როცა ამ შესაძლებლობებს რეალურად ვერ აფასებს, სწორედ მაშინ ხდება ამბიცია დამთრგუნველი, მიუღებელი. თუ თქვენ ექიმობის სურვილი იმიტომ გაგიჩნდათ, რომ ასე სურდა თქვენს მშობელს, ეს არ არის ჯანსაღი ამბიცია, ამიტომ მის დაკმაყოფილებას იმიტომ ეცდებით, რომ მამას საკუთარი უპირატესობა დაუმტკიცოთ. იმავეს მეგობრებთან და ნაცნობებთანაც გაიმეორებთ — მაგალითად, საუკეთესო მეგობარს შეიძლება, ცხოვრება დაუნგრიოთ. თუ მეგობარი ცალმხრივადაა შეყვარებული და ვერ ახერხებს, სასურველ ადამიანშიც საპასუხო გრძნობა აღძრას, თქვენ მას კი არ დაეხმარებით, არამედ პირიქით — ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ იმ გოგონას ან ვაჟს თავი შეაყვაროთ და ამით მეგობარსაც და საკუთარ თავსაც დაუმტკიცო, რომ ყოვლისშემძლე ხართ, ადამიანთა გულთამპყრობელი ხართ. ეს უკვე საშიში ამბიციაა.

— თუ შეგიძლიათ, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ისაუბროთ?

— ხომ გყავთ გარშემო მყოფთა შორის ისეთი, რომელიც აცხადებს: „არ მინდა, თორემ გავაკეთებდი". „რომ მინდოდეს, რობერტ დე ნიროზე ცნობილი გავხდებოდი" ან „როცა მოვინდომებ, მილიონებს ვიშოვი" და ა.შ. ეს ის ადამიანია, რომელმაც ერთხელ, რეალურად ირწმუნა საკუთარი ყოვლისშემძლეობა და მისი ცნობიერება უფრო შორს ვეღარ წავიდა. ჩემმა ერთ-ერთმა პაციენტმა 18 წლის ასაკში თავისზე უფროს ქალს თავბრუ დაახვია. ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ მეგობრებისთვის დაემტკიცებინა — უბნის ყველაზე მაგარ ქალზეც კი მიმიწვდება ხელიო. სხვათა შორის, მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 11 წელი იყო. იმ ქალბატონმა პატარა ბიჭისგან შვილიც გაჩინა... გავიდა წლები. წესით ყმაწვილი, რომელიც დიდი ამბიციებით, გავლენიანი ოჯახის შვილობითა და კარგი განათლებით გამოირჩეოდა, ძალზე წარმატებული პიროვნება უნდა გამხდარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. 40 წლის ასაკში ის დაოჯახდა. ცოლად შეირთო 20 წლის გოგო, რომელმაც სულ მალე, უღალატა. ერთ დღეს ბარგი ჩააწყო, ქურდივით გაიპარა სახლიდან და ინგლისელ მეწარმესთან ერთად ქვეყნიდან წავიდა. კაცმა, რომელსაც თავი ყოვლისშემძლე ეგონა, ამით საშინელი დარტყმა მიიღო. ჩემი პაციენტიც სწორედ მაშინ გახდა. მთელი მისი ცხოვრება შევისწავლე და ერთ დასკვნამდე მივედი: ეს კაცი საკუთარმა ამბიციურობამ დაღუპა. ყველაფერი, რაც ცხოვრებისგან მიიღო, ეცოტავა. სულ უფრო მეტისა და დიდის, განსაკუთრებულისა და სხვებისთვის ხელმიუწვდომლის მიღების ამბიციამ ჩვეულებრივ ლოთად აქცია. ასე რომ, მხოლოდ ჯანსაღი ამბიციაა პიროვნების „სამშვენისი". წარმოიდგინეთ, შიშველი ადამიანი, რომელზეც დადებით თვისებებს სამკაულად ვკიდებთ. რა თვისებებით შევამკობთ? ესენია — სიკეთე, გონიერება, კაცთმოყვარეობა, მტკიცე ნებისყოფა და ჯანსაღი ამბიცია. ■

ნახევარი ქილა მაწვნით დაწყებული ბიზნესი და 10 ტორტიანი შემდეგი „მონტერი"

ნინო ანდღულაძე **პროფესიით უცხო ენის სპეციალისტი — ფრანგულის მასწავლებელი გახლავთ. მაგრამ დრომ და ცხოვრებისეულმა პერიპეტიებმა ერთ დღეს, ცხობისკენ უბიძგა. იძულებითი ნაბიჯი წარმატების საფუძვლად იქცა: ქალბატონმა ნინომ საკუთარი ოჯახი მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანა. თავად კი ახალ ხელობას დაეუფლა.**

ეკა მინდაძე

– ცხობა დავიწყე 10 წლის წინ. გაჭირვების პერიოდში, როცა უმუშევარი დავრჩი. პროფესიით ფრანგული ენის მასწავლებელი ვარ. ვმუშაობდი მშენებლობის სამინისტროში. ჩემი მეუღლე არქიტექტორია. მაშინ მუშაობდა, მაგრამ მისი ხელფასი ოჯახს არ ჰყოფნიდა, ამიტომ გავყიდეთ ავტომანქანა და ფული ბანკში შევიტანეთ. მაგრამ ხომ გაგიგონიათ – გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო! ბანკში შეტანილი თანხა მთლიანად დაგვეკარგა და პურის ფულის გარეშე დავრჩით. სწორედ ამ მდგომარეობამ გადამაწყვეტინა, პატარა ბიზნესი წამომეწყო. პირველად გამოვაცხვე 16 ცალი „სიგარეტი", ნახევარი ქილა მაწვნით და ერთ-ერთ ჯიხურში ჩავაბარე. ჩემდა საბედნიეროდ, იმ დღესვე ყველა გაიყიდა და იმდენად მოსწონებიათ, რომ მეორე დღისთვისაც შეუკვეთავთ. მერე თანდათან სხვა ნამცხვრებიც ვცადე. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სახლშიც მივიღე შეკვეთები. მიკვეთდნენ სხვადასხვა ნამცხვარს, ეს კი უფრო შრომატევადია. გარკვეული პერიოდის შემდეგ, თავი დავანებე ყველანაირ ნამცხვარს და მხოლოდ ტორტების ცხობაზე გადავედი. ასე დავიწყე ნახევარი ქილა მაწვნით ბიზნესი, რომ ლუკმაპური არ მოჰკლებოდა ჩემს ორ ვაჟს. სხვათა შორის, ჩემმა მეუღლემაც არაერთხელ სცადა საკუთარი ბიზნესის წამოწყება, მაგრამ არ გამოუვიდა. ამიტომ სულ მეუბნება – ბიზნესთან დაკავშირებით შენ წინაშე ორივე ხელს ვწევო... ალბათ ყველაფერს გამართლება უნდა, მე გამიმართლა. ამჟამად მხოლოდ შინ ვაცხობ. შემეძლო ჩემი ბიზნესის გაფართოება, მაგრამ 2 ბიჭის დედა ვარ და მათი უყურადღებოდ დატოვება არ შემიძლია.

ყოველდღიურად 10–11 ტორტს ვაცხობ. მეტ შეკვეთას არ ვიღებ

— დღეში რამდენ ტორტს აცხობთ?

– ყოველდღიურად 10-11 ტორტს ვაცხობ. მეტ შეკვეთას არ ვიღებ, რადგან ვერ მოვერევი. ძნელია დღეში 11 ბისკვიტის გამოცხობა და 11-ვეს სამყოფი ბეზესა და კრემის მომზადება. როგორც წესი, ტორტის გამოცხობას 11 საათზე ვიწყებ და სამზე ვამთავრებ.

— ამბობენ, მოხშირდა უხარისხო პროდუქტიო, მართალია?

– გეთანხმებით, ადრე უფრო ხარისხიანი იყო ყველაფერი – დაწყებული ფქვილით, დამთავრებული კვერცხითა და შედედებული რძით.

— მარტო მუშაობთ თუ ვინმე გეხმარებათ?

– მყავს მხოლოდ ერთი დამხმარე ქალბატონი, რომელიც მხოლოდ შავ სამუშაოს ასრულებს, ტორტის მორთვას მას არასოდეს ვანდობ. ადრე ტორტის ბისკვიტს ჩვეულებრივ, შუაში ჭრიდნენ კრემისთვის და სიროფით ნამავდნენ, მაგრამ მაინც მშრალი გამოდიოდა. ჩემი ტორტი სამად არის გაჭრილი, ვნამავ შედედებული რძისა და ორნაირი ყავის ნარევით. კრემში უმაღლესი ხარისხის კარაქს და თეთრ ნიგოზს ვურევ. მთავარია, ტორტს არაფერი დააკლო. გემრიელი რომ იყოს, უნდა ეცადო, რომ რაც შეიძლება ხარისხიანი პროდუქტისგან მოამზადო. თბილისში ძალიან ბევრი აცხობს და, სხვათა შორის, კარგადაც. აქედან გამომდინარე, კონკურენციაც დიდია. თუ გინდა, რომ ბიზნესში მოგება ნახო, საუკეთესო უნდა გააკეთო.

— გამიგონია, რომ თქვენთან არაერთი ცნობილი ადამიანი დადის ტორტის შესაკვეთად. ასეა?

– ცნობილი ადამიანები უფრო ხშირად, მძღოლებს აგზავნიან. ვინ არის შემკვეთი, ჩემთვის უცნობია. ალბათ იმიტომ, რომ არ სურთ, ბევრი ადამიანისთვის გაჭირვების პერიოდში, თავიანთი სახელი გაამჟღავნონ... მაგალითად,

ერთი ქალბატონი მოდის ხოლმე, რომელსაც ტორტი საგულდაგულოდ შეფუთული მიაქვს: როცა ხალხს ასე უჭირს, მე არ შემიძლია, ტორტი ღიად ვატაროო... სხვათა შორის, ჩემი ტორტი არაერთხელ მიურთმევიათ ედუარდ შევარდნაძისთვის. ჩემთან ხშირად დადის ლელა წურწუმია. მან ჩემი ტორტი ბადრი პატარკაციშვილის დედასაც მიართვა. ჩემი საყვარელი და მუდმივი კლიენტია ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი. მას თითქმის ყველა სუფრაზე თავის ოჯახში ჩემი ტორტი აქვს. სხვა არ ვიცი, ვინ არის ჩემი კლიენტი, ალბათ მათ თვითონ სურთ, ინკოგნიტოდ დარჩენა.

— განსხვავებული ფორმის ტორტი თუ გამოგიცხვიათ?

— დიახ. ადრე ხშირად ვუმზადებდი დაწესებულებებს საიუბილეო საღამოებისთვის. მახსოვს, ერთ კომპანიას გამოვუცხვე უზარმაზარი ტორტი, თითქმის მაგიდისხელა. 10 ტორტი იყო შეერთებული და მე-5 სართულიდან ოთხმა კაცმა ძლივს ჩაიტანა.

— ოჯახში როგორ აფასებენ თქვენს ნახელავს?

— მე ნამცხვრის მოყვარული ვარ, მაგრამ ჩემს გამომცხვარს ვერ ვჭამ. ძალიან მიკვირს, რა მასუქებს: მთელი დღე ისე გავა ხოლმე, ჭამის სურვილიც კი არ მიჩნდება. ალბათ ყურებისა და სურნელებისგან უფრო ვსუქდები... ჩემს მეგობრებთან ჩემი გამომცხვარი ტორტი ყოველთვის მიმაქვს, მაგრამ წინასწარ ვეხვეწები ხოლმე, სხვისი ნახელავიც დამახვედრონ, მეც რომ მივირთვა რამე. სხვათა შორის, ჩემი შვილებიც ნაკლებად ეტანებიან ჩემს ტორტს. მაგრამ როცა სადმე წვეულებაზე ტორტის ჭამა მოუწევთ, სახლში შემოსულებიც არ არიან, რომ მაშინვე მომახარებენ: შენი ტორტი უფრო მომწონს, ვიდრე ის, რომელიც ვჭამეო.

— ალბათ ძალზე დამღლელია, ყოველდღე ამდენი ტორტის გამოცხობა, არა?

— რა თქმა უნდა, ვიღლები. განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში, როცა არ იცი, რა დროს წავა შუქი ან გაზი. გარდა ამისა, კატორღული შრომაა, მაგრამ რა ვქნა? სხვა გზა არ არის. მე რომ 300-ლარიანი სამსახური მქონდეს, ალბათ ამ საქმეს თავს დავანებებდი. დღეს კი ამით ვცხოვრობ. მართალია, ახლა ჩემი მეუღლეც მუშაობს, მაგრამ მარტო ის ვერაფერს გახდება. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ დამეხმარა და გამოსავალი მაპოვნინა. ■

„დეტექტორის“ პირველი რესპონდენტი 2005 წელს, დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე გახლავთ, რომელმაც ჩვენი „გამოცდა“ მშვიდად და გაბედულად გაიარა, თუმცა რამდენად წარმატებით ჩაბარა, ამას ბოლოს, ფსიქოლოგის კომენტარიდან შეიტყობთ.



„ეს ეკი, სად ინახება დიდი სიძლიერე“

სოფო ყარალაშვილი

— წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ ტყეში, სმენას გიამებთ ფოთლების შრიალი და ჩიტების ჟღურტული. საცალფეხო ბილიკზე თქვენს შესახვედრად მოდის ავთო ცქვიტინიძე. რას მოიმოქმედებთ?

— გამიხარდება, ჩემნაირ სილუეტს რომ დავინახავ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, გამიკვირდება კიდეც. მივესალმები, შემდეგ შევეცდები, გავიგო, ვინ არის. თუ წამომყვება, შინ წავიყვან, ვიქეიფებთ და თან ბევრს ვილაპარაკებთ.

— დაასრულეთ წინადადება: ყველაზე მეტად მიყვარს ადამიანები, რომლებიც...

— ...არიან ინტელექტუალები და იციან, რა უნდათ ცხოვრებისგან.

— წარმოიდგინეთ, რომ დილით იღვიძებთ უცხო ოთახში და თქვენ წინ კიდია დიდი, ალისფერი ფარდა...

— ჯერ ოთახს შევათვალიერებ — იქნებ, გავიხსენო, საიდან მოვხვდი იქ. შემდეგ ფარდას გადავწევ და მივხვდები, რომელ ქუჩაზე ვიმყოფები.

— რას ხედავთ ამ ფარდის უკან?

— პატარა ჩიხს, რომელიც დიდ გზაზე გადის...

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შვილი სკოლიდან განაწყენებული დაბრუნდა, შემოგჩივლათ, რომ თანაკლასელებმა სცემეს და გთხოვათ, სხვა სკოლაში გადაიყვანოთ...

— დავარიგებ, რომ ასეთ შემთხვევაში, ამითვე უნდა უპასუხოს მოწინააღმდეგეს. ისე, ჩემი შვილი აუცილებლად ზრდილობიანი იქნება, მაგრამ თავს არავის დააჩაგვრინებს. მე ყოველთვის გავარკვევ, მართალია თუ არა ჩემი შვილი და ყველანაირად დავეხმარები, მაგრამ არა მგონია, ამ საქმეს სხვა სკოლაში გადაყვანამ უშველოს.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ არა ხართ ცნობილი ადამიანი. როგორ წარმართავდით თქვენს ცხოვრებას?

— ძალიან რთულია... ამაზე არასდროს მიფიქრია... ვფიქრობ, იმავე პროფესიას ავირჩევდი. ის გამოცდილება თუ მექნება, რაც ახლა მაქვს, ბევრ რამეს სხვანაირად გავაკეთებ, თუმცა, არც ახლა ვარ უკმაყოფილო...

— რას იზამთ, თუ შინ გვიან მისულს, მეუღლე პერანგის საყელოზე აღმოგიჩენთ პომადის კვალს?

— ასეთი რამ არასოდეს მოხდება — ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ. მაგრამ თუ მაინც მოხდა, მეუღლეს არაფერს დავუმალავ.

— წარმოიდგინეთ, რომ ზღვისპირა ქალაქში, სასტუმროს ბარში ზიხართ, უეცრად, გვერდით მოგიჯდათ ულამაზესი ქალი და ცდილობს თქვენს შებმას — არადა, ნომერში მეუღლე გელოდებათ...

— მმმ... ახლავე გიპასუხებთ. ვეტყვი, რომ ძალიან სასიამოვნოა მასთან საუბარი და ვუსურვებ, ისეთი მამაკაცი იპოვოს, რომელიც არ იქნება დაკავებული.

— წარმოიდგინეთ მდელო...

— ...ის ძალიან დიდია და მოფენილია ალისფერი ყაყაჩოებით. ყაყაჩოების მერე, პურის თავთავები იწყება.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ ბანკში თქვენს ანგარიშზე გაჩნდა 2 მლნ დოლარი, რომლის წარმომავლობაზე წარმოდგენა არ გაქვთ.

— გავარკვევ, საიდან გაჩნდა. თუ საჩუქარია, ჩემი გეგმების განხორციელებას დავაჩქარებ, მსოფლიო ბაზარზე დავიწყებ ბრძოლას. მაგრამ მანამდე, ბევრ გაჭირვებულს დავეხმარები.

— წარმოიდგინეთ მთა...

— ...დაბალი ხეები, ტყე, შემდეგ უკვე, მინდორი და ბოლოს — მაღალი დათოვლილი კლდეა.

— ახვალთ ამ კლდეზე?

— ტყეში გავისეირნებ და თუ მუღამში ჩავვარდი, ზემოთ ავალ.

— წარმოიდგინეთ წყალი...

— წარმოვიდგენ ზღვას, ოღონდ, აღელვებული ზღვა არ მიყვარს... სანახაობრივად ძალიან ლამაზი ზღვაა, წყნარი, ოდნავ შესამჩნევი ტალღებით.

— ახლა მითხარით, მამაკაცის სახელი, რომელიც ამწამს მოგადგათ ენაზე.

— ალექსანდრე.

— როგორი ადამიანია ალექსანდრე?

— ინტელექტუალური, მაღალი, გამხდარი, არისტოკრატიული გარეგნობის.

— წარმოიდგინეთ, რომ ბინის შემოსასვლელში გიკიდიათ ძველისძველი სარკე, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგეცათ. შინიდან გასვლის წინ იხედებით ამ სარკეში. რას ხედავთ?

— ძალიან კარგად გამოვიყურები, სოლიდურად ვარ გამოწყობილი და არა ჯინსში, როგორც ახლა.

— რას იზამთ, თუ კოლექციის ჩვენების წინადღეს გაგიტყდეს — მაშინ, როდესაც ამ ჩვენებაზე მოწვეული არიან მსოფლიოს საუკეთესო დიზაინერები?

— გავიკეთებდი სკანდალურ პიარს მსოფლიო მასშტაბით. 24 საათში შევქმნიდი 1 გრანდიოზულ კაბას, რომელზეც მთელი სახელოსნო იმუშავებდა და მხოლოდ ამ კაბის გამოფენას მოვაწყობდი — რა თქმა უნდა, თუ ქურდი ქსოვილს დამიტოვებდა.

— წარმოიდგინეთ, რომ 100 დღით აგირჩიეს პრეზიდენტად...

— მაშინვე გადავდგებოდი: პრეზიდენტობისთვის არ დავბადებულვარ.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ ოკეანეში ხართ ნავით. სიმძიმის გამო, ნავი იძირება. ჩამოთვლილიდან, რომელ ნივთებს გადაყრიდით: მოსკიტებისგან დამცავ ბადეს, სარკეს, ბენზინით სავსე კანისტრას, ასანთს, რადიოს, ერთ ბოთლ ვისკის, პეპლების საჭერ ბადეს თუ ფულით სავსე ჩემოდანს?

— ყველაფერს წყალში გადავყრი, იმიტომ, რომ ყველაფერი სველი იქნება. ბენზინს დავიტოვებ, მაგრამ იმასაც ასანთი სჭირდება!..

— წარმოიდგინეთ, რომ შეხვდით ლომს...

— დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი. ჩემი ზოდიაქოს ნიშანია, თანაც მოხიბლული ვარ მათი ცხოვრებით, ურთიერთდამოკიდებულებით („დისქავერიზე" ვუყურებ ხოლმე). წარმოვიდგენ, რომ ლომი დიდხანს მიყურებს დიდი ინტერესით და შემდეგ თავის გზას გააგრძელებს.

— წარმოიდგინეთ გუბე და ჩაიხედეთ შიგ...

— ჩემს თავს ვხედავ, კეპით და ზურგჩანთით. ჩემ უკან დიდი მთებია.

— წარმოიდგინეთ ვარდის ბუჩქი...

— ...ყველა ვარდი ბორდოსფერია და გაშლილი, ძალიან ბევრია ერთად და იმდენად დაბალი ვარდის ბუჩქებია, რომ მწვანე ტოტები არც ჩანს.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ მოხვდით კუნძულზე, კაციჭამია აბორიგენებთან, მაგრამ მათ თქვენი ენა ესმით. როგორ გადაირჩენთ თავს?

— ვეტყვი, რომ ვიცი, სად ინახება დიდი სიმდიდრე და მერე რამენაირად დავუძვრები ხელიდან.

— ვთქვათ, მოხვდით უცხო ქვეყანაში. არც ენა იცით და არც ფული გაქვთ...

— დავრეკავ თბილისში და ფულს გამოვაგზავნინებ.

— თქვენი მეგობარი, ძებნილია, ღამით კარზე მოგიკაკუნათ და თავშესაფარს გთხოვთ, როგორ მოიქცევით?

— აუცილებლად შევიფარებ.

— მამა და შვილი კატასტროფაში მოყვნენ. მამა გარდაიცვალა. ჰოსპიტალში ბიჭთან პალატაში შესული ქირურგი კი ირწმუნება — ეს ჩემი შვილიაო. შეიძლება თუ არა ეს მართალი იყოს?

— ქირურგი ნამდვილი მამაა?

— არ ვიცი.

— თუ ირწმუნება, ე.ი. მისი შვილია.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ დიქტატორულ სახელმწიფოში ცხოვრობთ და ქვეყნის მმართველის განკარგულებით, სახრჩობელაზე აჰყავხართ. გეძლევათ 2 წუთი. რას ეტყვით იქ შეკრებულ ხალხს?

— ნახვამდის, ხალხო, ძალიან სასიამოვნოდ ვიცხოვრე!..

ფსიქოლოგი **ვახტანგ ჯაფარიძე:**

— ამ ადამიანს არ ეშინია საკუთარი სისუსტეების აღიარების, მრავალმხრივ გამოავლენს საკუთარ „მეს" და შეუძლია, თავისი ნაკლოვანებები ღირსებად აქციოს. ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე და აქვს განვითარების უზარმაზარი პოტენციალი. მისი ფსიქოლოგიური კომფორტულობის არე ძალზე ვრცელი და ფართოა. მატერიალური დოვლათის პირობებში ცხოვრება, მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. შეუძლია დიდი მწვერვალების დაპყრობა, თუ ეს სიამოვნებას მიანიჭებს. არის ძალიან ენერგიული და მიილტვის იმ იდეალისაკენ, რომელიც საკუთარ თავს დაუსახა მიზნად: ინტელექტუალი, მაღალი, გამხდარი, არისტოკრატული გარეგნობის. ნებისმიერ ძალასთან შეუძლია გამონახოს საერთო ენა და იყოს ძალიან კონსტრუქციული. სიყვარულში კარგად გამოკვეთს პარტნიორის დადებით მხარეებს და იოლად ეგუება მის მინუსებს. ამ ადამიანს თავისუფლად შეუძლია იყოს ბედნიერი.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. სარკეების შიშს სპექტროფობია ჰქვია.
2. ბენიტო მუსოლინი მგზედლის შვილი იყო.
3. ო'ჰენრი 47 წლის ასაკში მარტოობაში გარდაიცვალა.
4. ხუან მორენო, ჟან რენოს ნამდვილი სახელი და გვარია.
5. გელა ჩარკვიანი რუსეთს „სუროგატულ ევროპას" ეძახის.
6. დაახლოებით ნახევარ მსოფლიოს არასოდეს უსარგებლია ტელეფონით.

7. ფილმის — „ლამაზმანი" — ეროტიკულ სცენებში ჯულია რობერტსს, შელი მიშელი ცვლიდა.
8. ნოეს კიდობანში 8 ადამიანი იყო: ნოე, მისი ცოლი, მისი სამი ვაჟი და მათი ცოლები.
9. რიო-დე-ჟანეიროსთვის კარნავალს 2 მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი შემოაქვს.
10. რვა წლამდე ასაკის ბავშვები ჰიპნოზს არ ექვემდებარებიან. ჰიპნოზის დროს ისინი უბრალოდ იძინებენ.
11. ჯონ ლენონის მკვლელი მაკ ჩაპმენი 1981 წლის აგვისტოს, სასამართლოზე ტყვიაგაუმტარი ჟილეტით გაიყვანეს.
12. ვიღაც „ნოვი რუსკი" ტრაბახობდა: „მნე კნიგუ პადარილი ცერკოვნუიუ, ს ავტოგრაფომ ავტორა. ტაკ ი ნაპისანო: „ევანგელეი ატ მატვეია"...
13. იოზეფ გებელსი მიტინგზე წარმოსათქმელი სიტყვის ტექსტს სხვადასხვა ფერის მელნით წერდა, იმის შესაბამისად, თუ მოცემული ფრაზით რა ემოციის გამოწვევა სურდა მსმენელში.
14. „ოხოხოია" — მეგრული ხალხური ცეკვაა, ორმწკრივად აგებული საფერხულო წყობით. იგი გამკილავი ხასიათის სახუმარო შაირების თანხლებით სრულდება.
15. მელ გიბსონს არ მოსწონს, რომ კათოლიკურ ეკლესიაში წირვა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. მან თავად ააგო ეკლესია, სადაც ლათინურ ენაზე მიმდინარეობს წირვა.
16. „ბურატინოს თავგადასავალი", ალექსი ტოლსტოის ფაქტობრივად, კარლო კოლოდის „პინოქიოდან" აქვს გადაწერილი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კოლოდის ნაწარმოებში პინოქიოს სანუკვარი ოცნებაა, ნამდვილ ბიჭად, ადამიანად იქცეს, ტოლსტოის ნაწარმოებში კი, ბურატინო გაურკვეველი დანიშნულების მქონე, იდიოტურ გასაღებს ეძებს.

ნეტავ, რამდენი წლის არის გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრილი ყველაზე ახალგაზრდა დიდედა? სიღნაღელი ციალა მარტაშვილი კი 58 წლის ასაკში გახდა დიდი ბებია. თუმცა ახლა, 60 წლის ახალგაზრდა, სიმპათიური, მოვლილი მანდილოსანი სულაც არ ჰგავს წელში მოხრილ, ჭაღარა, სათვალიან, ნაოჭებით დაღარულ „ტრადიციულ" დიდ ბებიას. ციალა მარტაშვილისთვის საკუთარი ბავშვობაც კი ჯერ ისევ სულ ახლოს, ლამის ხელის ერთ გაწვდენაზეა.

სიღნაღელი დიდედა

მაია გოგოლაძე

ციალა მარტაშვილი მეორე მსოფლიო ომის პირმშო გახლავთ. გაგანია ომის დროს დაიბადა და ომიდან დაბრუნებული მამა მხოლოდ ხუთი წლისამ იხილა.

თავისი ბავშვობის ნავსაყუდლიდან, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახიდან ორი უმძაფრესი მოგონება მოჰყვება: „საღირაულობა" 9 მაისს ტარდებოდა ხოლმე საღირაულის პარკში, სადაც თითოეული ნაძვი სიმბოლურად ატარებდა კარდანახელი შინმოუსვლელი, ღიმილის ბიჭების სახელს და გვარს. ამ დღესასწაულზე, ქვეყანა თუ არ იქცეოდა, აუცილებლად ჩამოდიოდა სტუმრად სახალხო მგოსანი იოსებ ნონეშვილი. მეორე მოგონება კი სტალინის გარდაცვალებას უკავშირდება: *„ბელადი მოკვდაო, დაიძახეს სოფელში. სკოლაში შავი დროშები გამოფინეს. ტიროდნენ უფროსები და ვტიროდი მეც, თუმცა, არ ვიცოდი, რა მატირებდა"*, — ახლა ღიმილის გარეშე ვერ იხსენებს ამ ამბავს ციალა მარტაშვილი.

დედის ფარმაცევტმა დაქალმა უბიძგა იქითკენ, რომ პატარისთვის ჩვეული სიმძაფრით ეოცნება თეთრხალათიანი, წამლების საიდუმლოს მცოდნის პროფესიაზე, თუმცა, მის ამ ოცნებას ასრულება არ ეწერა. თექვსმეტი წლის ასაკში მოიტაცა ასაკით უფროსმა სიღნაღელმა ვაჟმა. *„მაშინ სხვა დრო იყო. აზრადაც ვერ გავივლებდი, რომ უკან, ოჯახში დაბრუნების უფლება მქონდა. სამი თვე მშობლები რატომღაც შემომწყრნენ მე და არც კი მელაპარაკებოდნენ"*, — ამბობს ციალა მარტაშვილი.

თეთრ ხალათზე ოცნებას მაინც ვერ შეელია. უფროსი ქალიშვილი უკვე ოთხი წლის ჰყავდა, საექთანო კურსები რომ გაიარა. თუმცა, ეჭვიანი მეუღლის ნება კვლავ გადაეღობა წინ და მედიცინის სფეროში საქმიანობაზე ფიქრსაც კი სამუდამოდ დაემშვიდობა.

მხოლოდ მოგვიანებით მოახერხა ციალა მარტაშვილმა კავშირგაბმულობის სისტემაში მუშაობის დაწყება, რომელსაც ოცდაათ წელზე მეტია, შემორჩა კიდეც. საბედნიეროდ, ეს პროფესიაც შეიყვარა იმდენად, რომ სტუმრად მყოფი დედაც კი შეაშფოთა, რომელმაც უსმინა რა თავისი ქალიშვილის ძილში ამოძახილს: „ალო! ალო! გისმენთ! ალო!" — მეორე დილით შეწუხებულმა უთხრა: *„შვილო, არ გაგიჟდე, ეგ რა სამსახურში მისულხარ, წამოდი მანდედან, თავი დაანებე"*.

„მაშინ „ატეესი" არ არსებობდა. ყველაფერი პრიმიტიული იყო. შენობაც და ტექნიკაც. ლამპების სისტემაში თითოეული ლამპა თითოეული ოჯახისა იყო და იმ 700 ლამპიდან სულ ზეპირად ვიცოდი, ვისი აინთო და რა სახელის და გვარის ოჯახი რეკავდა. ამ სისტემაში ვიმუშავე თითქმის ყველა განყოფილებაში, სადაც კი ჩემს ხელმძღვანელს დავჭირდი. აქ რომ გადმომიყვანა და საქალაქთაშორისო ხაზები ჩამაბარა, უკვე ასაკოვანი, 52 წლისა ვიყავი. ვიფიქრე, ვაიმე, ალბათ ჩემი გათავისუფლება უნდა, თორემ ახლა მე ეს როგორღა უნდა ვისწავლო-მეთქი.

მოგვიანებით მითხრა სერგო ჭანუყვაძემ, აქ სწორედ შენისთანა ენერგიული და გამოცდილი მუშაკი მჭირდებაო,“ — ამბობს 60 წლის დიდი ბებია, რომლის მეკვლე წლევანდელ ახალ წელს სწორედ მისი შვილთაშვილი, წლისა და ცხრა თვის მარი იყო.

დიდი ბებო პატარა მეკვლეს მოკრძალებული სუფრითა და „სავარდო“ იმედგაცრუებით დაუხვდა: „ვარდების რევოლუციის ცვლილებებს ჩემს ქალაქში ვერ ვხედავ. გოძიაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობ, ეგრეთ წოდებული ორმილის დასახლებაში. იქიდან ქალაქში ამოსასვლელი უსასრულო გზა ჯოჯოხეთურ კოშმარად გვექცა. ორი წელია, გამსკდარი კანალიზაციის მილიდან შუა გზაზე იღვრება წყალი და ჩვენ იმ წყალში დავდივართ. ზამთარში ის წყალიც გაყინულია და ისე ვსრიალებთ, რაღა ჩვენ და რაღა სამთავრობო ელიტა, გუდაურსა და ბაკურიანში რომ დასრიალებდა ამ შობა-საახალწლოდ. ღმერთმა დაგვიფაროს, ამ საშინელ სიდუხჭირეში რაიმე მოტეხილობითი ტრავმა მივიღოთ. მეწყრისგან ჩანგრეული მეორე გზა, სარაჯიშვილის ქუჩის მხრიდან ვითომ ამოავსეს ღრავით, უკვე მეოთხედ. როგორც კი წვიმა მოვიდა, წყალმა ისე წალეკა ღრავი, რომ ორივე გზა ჩაიხერგა და ორი დღე, სანამ ტრაქტორი გაწმენდდა, ფაქტობრივად, ქალაქს მოვწყდით. გზის ამოსავსებად ჩაყრილ ღრავს ხომ საყრდენი სჭირდება, რომ დაიმაგროს! ინჟინერი არა ვარ და ამას მე ვხედები. დავიჯერო, ვინც გზას აკეთებს, ისინი ვერ ხედებიან? კარგადაც ხედებიან, მაგრამ სამუშაოები სრულყოფილად რომ შეასრულონ, როგორღა „გააშვებენ“ გამოყოფილ თანხას?

მარტო ორმილის გზა არა, ქალაქში თითქმის ყველა ქუჩა მოუწესრიგებელია. მანქანას ვერ გაუვლია და ადამიანს. ქუსლიანი ფეხსაცმელი ხომ საერთოდ დავივიწყეთ ქალებმა. მე თქვენ გეტყვით და ჩვენი მწირი ხელფასით კარგი ფეხსაცმლის ყიდვას მოვახერხებთ, ამ ქუჩებს რომ გაუძლოს?!“

რაც არ უნდა რადიკალურ-პესიმისტურად ჟღერდეს ციალა მარტაშვილის სიტყვები, ძნელია, არ დაეთანხმო: „აქ დავრჩით მხოლოდ პენსიონერები და ისინი, რომელთა სამსახურებიც, ბედის დიდი წყალობით, ჯერ არ გაუქმებულა. ეს კი ძალიან ცოტაა. ჩემს კორპუსში სამად სამი ოჯახიღაა დარჩენილი. ამ დღეშია მთელი ქალაქი, რომელიც ფაქტობრივად, ხალხისგან დაცლილია. ჩემი შვილიშვილიც და სიძეც გეგმავენ წასვლას, პატარა მარისაც წაიყვანენ და მეც, ალბათ, გადავბარგდები თბილისში და მეორე ქალიშვილის შვილებს მივხედავ. მათი დედა, უმაღლესი განათლებით ეკონომისტი, რომელსაც შვილები მე გავუზარდე, სხვის შვილს ზრდის. რა ვქნათ? სიღნაღში კი არა, მთელ რაიონში არ არის საარსებო წყარო“.

ციალა მარტაშვილი შეწუხებულია იმის გამოც, რომ ჯერაც ბურუსით არის მოცული ანაბრების საკითხი. „ჩემი ერთ-ერთი შვილიშვილი, 16 წლის გოგონა, რევოლუციის დღეებში ქუჩაში ათენ-ალამებდა და თითები ახლაც ჯერ კიდევ მოყინული აქვს. მიშა საკაშვილმა არ უნდა დაივიწყოს, როგორ დაუდგა მას მაშინ გვერდით ხალხი და ახლა თავადაც მშრომელების გვერდით უნდა დადგეს. გვესმის, რომ ამხელა თანხების ერთბაშად დაბრუნება არ მოხერხდება, მაგრამ ნაწილ-ნაწილ რომ დარიგდეს, როგორც ამას რუსეთში აკეთებენ, რა დაშავდება? თუკი სხვა მინისტრებს, რაც შეეძლოს, საკაშვილმა უკანვე მოატანინა, ვინც მაშინ ამ ანაბრების საქმეს ედგა სათავეში, მათაც დააბრუნებინოს თანხა. ხომ არ მოგვიპარავს? ეს ხომ ჩვენი შრომითა და ოფლით შეგროვებული ფულია! საჭმელს ვიკლებდით და დასამარხ თანხას ვაკოწიწებდით. ეს რომ დამიბრუნონ, ჩემს შვილებსაც ეშველებათ და მეც დაწყნარებული წავალ ამ ქვეყნიდან“, — ამბობს ციალა დიდი-ბებო. თუმცა, მისი სიმხნევე, სიხალისე და კახური მოთმინება მაფიქრებინებს, რომ ოციოდე წლის შემდეგ, პატარა მარის შვილსაც ასე უსათვალ-უჭაღარ-უნაოჭოდ და შარვალში კოხტად გამოწყობილი დახვდება ციალა მარტაშვილი. მით უფრო, რომ ამის პრეცედენტი მათ გვარში უკვე არსებობს: ციალას დედა, ბერბერა დარიკო მხნე და ჯანმრთელია და მარი მისთვის მეოთხე თაობაა.

■

ციალა მარტაშვილი შვილთან და შვილიშვილებთან ერთად

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

17. საახალწლოდ მოსკოვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური ძალზე გადატვირთულია. მორიგე ექიმებს დასვენების უფლება არა აქვთ. კომპიუტერი უთვალთვალებს, თუ რომელი მანქანა სად იმყოფება. იმისათვის, რომ ცოტა ხნით დაისვენონ, ექიმები რომელიმე ახლობელს არეკვინებენ სადისპეტჩეროში და ცრუგამოძახებაზე გადიან. ასეთი გამოძახების პერიოდში, ისინი თხუთმეტიოდე წუთით, მეგობრებთან შერბენასა და ორი-სამი ჭიქა შამპანურის დალევას ასწრებენ. უკან დაბრუნებულები აცხადებენ, რომ ავადმყოფმა უარი თქვა ჰოსპიტალიზაციაზე. „კინუც ლოჟნიაკ“ — ასე ეძახიან ამ ფანდს თავად ექიმები.

18. „ი სნიი ვსტრეტილის, კაკ ტრი რუბლია ნა ვოდკუ, ი რაზოშლის, კაკ ვოდკა ნა ტრაიხ“ — მღეროდა ვლადიმირ ვისოცკი.

19. არსებობს ტრადიცია, რომ უელსის პრინცებმა აუცილებლად უნდა გაიარონ სამხედრო სამსახური. პრინცი ჩარლზი რამდენიმე წელიწადი მსახურობდა ჯარში. ივი XVII ბატალიონის პოლკოვნიკია.

20. 1974 წელს, ფიდელ კასტრომ კუბიდან წასვლის მსურველთათვის იმუნიტეტი გამოაცხადა. ამით ბევრმა კუბელმა ისარგებლა, მათ შორის, ფიდელ კასტროს ორი და იყო.

21. „მისი ტილოები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სურათმა ჩარჩოები უნდა გადმოლახოს და დარბაზში გადმოხტეს“... — ამბობენ რუბენსის მხატვრობაზე.

22. ჯორჯ ჰარისონი კიბოთი გარდაცვალა. მისი ცხედარი, მისივე ანდერძის თანახმად, დაწვეს და ფერფლი ოკეანეში გაფანტეს.

23. აბრაამ ზაგრუდერმა კენედის მკვლელობა ფირზე სრულიად შემთხვევით გადაიღო. ეს ფირი რომ არა, ვერასოდეს გავიგებდით, როგორ მოხდა ეს ტრაგედია.

24. „მომავალი ევროპის მცირე მოდელი“ — ასე ეძახდნენ გერმანელები ოსვენციმს, სადაც ებრაელთა საკონცენტრაციო ბანაკი იყო განთავსებული. P.S. კაი საქმეებს აპირებდნენ, მე და ჩემმა ღმერთმა!..

25. ესენინი არაორდინარული საქციელით გამოირჩეოდა. იმის გამო, რომ შუაღამისას მელანი ვერსად იშოვა, ლექსი — „პოეტამ გრუზი“ — საკუთარი სისხლით დაწერა.

26. კვირას, ზურაბ ჟვანია დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. ძალზე დამენანა ეს ადამიანი... მაგარი კაცი წაიქცა.

rogor unda mixvdes adamiani, rom mis rCeuls igi namdvilad moewona?

ამქვეყნად ყველა ადამიანი ბედნიერებისკენ მიილტვის და უმეტესობისთვის ეს ბედნიერება — ორმხრივი და ჯანსაღი სიყვარულია. თუმცა, ურთიერთობის დასაწყისში, როგორ უნდა მიხვდეს ქალი, რომ მამაკაცს იგი ნამდვილად მოეწონა, ანდა როგორ უნდა მიხვდეს მამაკაცი, რომ მან ქალი ნამდვილად დააინტერესა? ამ კითხვაზე პოპულარული ქართველი ადამიანები გვიპასუხებენ.

სოფო ყარალაშვილი

ნინო ლეჟავა:

— არც ერთი მამაკაცი არ გაირჯება ტყუილად ქალის გამო, არც ყურადღებას გამოიჩენს, არც სითბოს და არც ინტერესს. თვალები არასოდეს იტყუება, თანაც თუ მამაკაცს კარგად იცნობ, ადვილად მიხვდები, თუ რა გრძნობა აქვს შენ მიმართ. მე დიდი ხანია, აღარ მაინტერესებს მამაკაცის გრძნობები. ვისგანაც მინდა, იმისგან საკმარის სითბოს ვიღებ და დარწმუნებულიც ვარ მის სიყვარულში.

დავით კირკიტაძე:

— როცა ქალი მამაკაცის მიმართ იჩენს სითბოს, ყურადღებას, ინიციატივას — ესე იგი, მასთან ყოფნის სურვილი აქვს. ქალი თავიდან შეიძლება, არც იწვოდეს შენი სიყვარულით, მაგრამ გარკვეული მზრუნველობის და სითბოს გამოხატვის შემდეგ, სერიოზული ინტერესი გაუჩდება. სამწუხაროდ, მე სითბოს ვერც ერთი ქალისაგან ვერ ვგრძნობ და ამიტომაც დავდივარ ასე ეულად...

მარიანა ნინიაშვილი:

— როცა მამაკაცი ბევრს ლაყბობს, აქ უკვე ზედმეტია სიყვარულზე ლაპარაკი. მე მსახიობი ვარ და ამიტომ, კარგად ვხვდები, როდის იტყუება მამაკაცი და როდის — არა. შეიძლება, ლექსებიც

მომიძღვნას, ბევრი მელაპარაკოს, მაგრამ არტისტობა ყოველთვის გაყიდის. სხვათა შორის, თვალებზეც ძალიან კარგად ეტყობათ, ნამდვილად უყვართ ქალი თუ არა.

ვახტანგ რჩეულიშვილი:

— საერთოდ, გულჩათხრობილი სიყვარული არავის სჭირდება, გრძნობა, გამოხატული უნდა იყოს. ქალს ძალიან აშკარად ეტყობა, თუ ნამდვილი გრძნობა აქვს შენ მიმართ — საუბარზე, გამოხედვაზე. ყველაზე იოლად ამას მიხვდები, როცა აკოცებ...

ეკა მანიჟაშვილი:

— ყველა ადამიანი სხვადასხვანაირად გამოხატავს სიყვარულს: ზოგი ყურადღებას იჩენს, ზოგი — სიტყვით, ზოგიც — მოქმედებით. ყველა ქალს სხვადასხვანაირი

მიდგომა სჭირდება. მე ინტუიცია მკარნახობს ხოლმე და ყოველთვის ვხვდები მამაკაცის ზრახვებს. თუ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ჯანსაღი იყო და უეცრად დაშორდნენ ერთმანეთს — ესე იგი, კაცმა იგრძნო, რომ ეს ქალი მისთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთია.

ირაკლი გათიაშვილი:

— ლაპარაკით, ჟესტიკულაციით, გამოხედვით, თუ კაი კაცი ხარ, ქალს თვალებშიც შეამჩნევ ნამდვილ გრძნობას. იცით, სიტყვა — „მიყვარხარ“ სულაც არ არის საჭირო, შეიძლება, აბსოლუტურად სხვა თემაზე საუბრობდეთ, მაგრამ ქალის ემოციებით ყოველთვის უნდა შეგეძლოს მისი ზრახვების გამოცნობა. ■

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში“!

„ჩემი სიდედრი შენსას სჯობია...“

„მაგარი ნაშაა, მინდა, მოვიტაცო და დავმალო...“

ყველამ ვიცით, რომ ღმერთმა პირველად შექმნა მამაკაცი. მერე, მისი ნეკნისგან მოახდინა ქალის „კლონირება“, თავისი ნახელავით კმაყოფილმა გაიღიმა და თქვა: ახლა სულს თვითონაც ამოაძრობსო... შემდეგ ამ ქალისგან ზოგი, ცოლი „გამოვიდა“, ზოგიც — სიდედრი... დღევანდელ „გზავნილებში“, „გზის“ ერთგულ მკითხველ სიძეებს სიტყვის სრული თავისუფლება მივანიჭეთ და საშუალება მივეცით, სიდედრებს თავიანთი „მოქარგული“ ენით „მიხმატკბილებოდნენ“. რაღა თქმა უნდა, ამ შანსს არც ერთი სიძე არ გაუშვებდა ხელიდან. ჰოდა, წამოვიდა მესიჯების „წვიმა“ ჩემს მობილურზე: „მარი, ჯიგარი ხარ, გულის მოფხანის საშუალებას რომ გვაძლევ“ — შემაქო ერთმა. „აუ, იცით, რა მაგარი რამ უნდა მოგიყვეთ!..“ — ინტრიგა ჩააგდო მეორემ. „მარი, გადამრევ, შენც „სიდედრზე“ ხომ არ ხარ გაბრაზებული?!“ — გაოცებული კითხულობს მესამე. „მართლა თავისუფლად შემიძლია, სიდედრზე გელაპარაკოთ?.. მერე, მე არაფერი მამივა?.. ღმერთო, დიდებულო! მგონი, ქვეყნის დასასრული მოახლოვდა!..“ — ფილოსოფოსობის გუნებაზე დამდგარა მეოთხე. „აბა, აბა! ხომ არაფერს გვიჩალიჩებ სიძეებს? მოგზავნილი ხომ არ ხარ?..“ — ეჭვს გამოთქვამს მეხუთე. ერთ-ერთი მათგანი კი, აი, ასეთ ამბავს გვიყვება.

მარი ჯაფარიძე

„კმარა სიდედრი!..“

„როცა ცოლი მომყავდა, თავიდანვე ვიცოდი, რომ „მზითევში“ სიდედრი მოჰყვებოდა. ეს რომ გავიგე, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ სასიდედროს პირველად რომ შევხვდი, ისეთი გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა და ისე საყვარლად აფახულებდა თვალებს, რომ ვიფიქრე — ეს რომ ჩემი სიდედრი არ გახდეს, იმ დღესვე თავს მოვიკლავ-მეთქი!.. დავქორწინდით. ქორწილი რესტორანში გადავიხადეთ, სტუმრები საკმაოდ გვიან დაიშალნენ და ასე, ღამის 3 საათი იქნებოდა, როცა ჩემს პატარძალთან ერთად, როგორც იქნა, საკუთარ ბინაში განვმარტოვდი... გამთენიის ხანს ჩაგვეძინა და დაახლოებით 9 საათზე კარზე ზარის ხმამ გაგვაღვიძა. ისე ვიყავი გათიშული, რომ ჯერ ტელეფონის ყურმილს დავწვდი. ზარის ხმა რომ არ შეწყდა, მერე წავედი კარის გასაღებად. კართან ჩემი სიდედრი იდგა, გვერდით უზარმაზარი ჩანთა ედგა და იღიმებოდა... იმ დღიდან, ჩვენთან ცხოვრობს. ძალზე აქტიური ქალია. მუშაობს, სახლსაც ენერგიულად ალაგებს, ლამისაა, ცეკვა-ცეკვით დადის. არც მიტინგებს აკლდება და არც ლხინსა თუ ჭირს. სადაც მე და ჩემი ცოლი მივდივართ, თან მოგვყვება ხოლმე. ბავშვი რომ შეგვეძინა, ვაპირებდი, მეთხოვა — სამსახურს თავი დაანებე, შვილიშვილი გაზარდე-მეთქი, მაგრამ ვინ დაგაცადა?! სანამ მე ამას ვიტყოდი, სიდედრმა გამოგვიცხადა — დროა, ბავშვს ძიძა მოვუძებნოთო. — თქვენ ხომ არ ისურვებდით ბავშვთან ყოფნას-მეთქი? — ამოვიკნავლე ძლივს გასაგონად, მაგრამ სიდედრმა ისეთი თვალებით შემომხედა, რომ მაშინვე გავჩუმდი... ვცხოვრობდით ასე, „შეხმატკბილებულად“ და თანდათან დაგროვილი წყენა და ბოღმა უკვე პროტესტის გრძნობად ყალიბდებოდა, მაგრამ თურმე, მარტო მე არ ვყოფილვარ ასე: ერთხელ, შინ მისულს, სამზარეულოში ასეთი პლაკატი დამხვდა გაკრული: „კმარა ფეხსაცმლით სიარული. გაუმარჯოს ოთახის ჩუსტებს!“ დავიხედე ფეხსაცმელზე და დერეფანში, ფეხსაცმლის კარადისკენ გავემართე. კარი გამოვაღე და ისევ პლაკატი: „კმარა ჩემი ჩუსტების ექსპლუატაცია!“ მოვძებნე საკუთარი ფლოსტები, გამოვიცვალე და კვლავ სამზარეულოს მივაშურე (კიდევ კარგი, შინ მარტო ვიყავი, თორემ...), გამოვაღე მაცივრის კარი და... „კმარა ამდენი კვერცხის ჭამა. გაუმარჯოს ბორშჩს!“. მაცივრის კარი გაბრაზებულმა მივაჯახუნე და „ზალას“ მივაშურე. დივანზე დავჯექი და ტელევიზორის პულტი მოვიმარჯვე. ტელევიზორის ზემოთ კვლავ წარწერა: „კმარა ფეხბურთი! გაუმარჯოს „შეყვარებულ გულს“ (სერიალი გადიოდა ასეთი)! თვალი საძინებლისაკენ გამექცა. სწრაფად შევაღე კარი და შვებით ამოვისუნთქე, რადგან საწოლთან არავითარი პლაკატი არ დამხვდა. მეგონა, ეწერებოდა: „კმარა სექსი, გაუმარჯოს შორით ტკბობასო!“... ყველა პლაკატი ჩამოვხსენი და გადავყარე. სასწრაფოდ წავედი შინიდან და მთვრალი დავბრუნდი (მტერმა იკითხოს ფხიზელი თვალით ამდენი „კმარა“!)... ასე გაგრძელდა მთელი კვირა. ყოველ საღამოს მთვრალი მოვდიოდი, ცოტას გავახურებდი, მერე — ვიძინებდი. ერთ დღესაც, ბინის კარზე, გარედან დამხვდა პლაკატი: „კმარა სიმთვრალე! ნასვამ ადამიანებს ვთხოვთ, არ დააკაკუნონ!“. გადავირიე, მაგრამ არ შევიმჩნიე. უკან გამოვბრუნდი და ერთ მეგობარს მივადექი კარზე, რომელიც თბილისში მოწყობილი ყველა მიტინგის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ. ყველაფერი მოვუყევი და ვთხოვე, კონსულტაცია გაეწია. საიდანღაც მეგაფონი გამოათრია, ტექსტი დამიწერა, იქვე რეპეტიციაც გავიარე და საკუთარი სახლის კარს მივადექი. დავაკაკუნე. კარი ცოლმა გამიღო. მეგაფონში მთელი ხმით ჩავძახე: „ძირს ყველა სიდედრი! კმარა სიდედრი! სიდედრებს

ვთხოვთ, დატოვონ არაპრივატიზებული ტერიტორია! ძირს ყველა სიდედრი! კმარა ჩემი სიდედრი!“ – თან, ოთახიდან ოთახში დავდიოდი... ჩემი 5 წლის გოგონა გახარებული დახტოდა ჩემ გარშემო და მეუბნებოდა – მამა, მეც მინდა მიტინგი, მამა, მეც დავიყვირებ, რა! ცოლი თვალებგაფართოებული მიყურებდა და – ვიმე, მგონი, გაგიჟდაო, – მხოლოდ ამას იმეორებდა. სიდედრმა კი თავისი სასაცილო ქუდი ჩამოიფხატა თავზე და – მე კი წავალ, მაგრამ შენ რა გეშველება, შე უბედუროო?! – მითხრა. მაგრამ იდილიამ მხოლოდ 3 დღე გასტანა. ახლა კვლავ „შეხმატკბილებულად“ ვცხოვრობთ და არ ვიცი, კიდევ როდის ჩავატარებთ „მიტინგს“.

რას ერჩის ეს კაცი ანგელოზივით სიდედრს?.. წავა და მერე მიხვდება, რომ „კმარელი“ სიდედრი თურმე, მის ცხოვრებას საინტერესოს ხდიდა... კარგი, კმარა „რევოლუციონერ“ სიდედრებზე საუბარი და ახლა, „ძველ“ და „კრიმინალ“ „მეორე დედიკოებს“ მივხედოთ.

„ძებნილი“ სიდედრი

„ტყუილად ნურავინ დაიკვეხნის, რომ ჩემნაირი სიდედრი ჰყავს. უკვე 11 წელია, მარინა ჩემი „მეორე დედაა“. მაგარი „ძველია“ და მაგარი „ბოევიკი“. იმასაც გეტყვით, რომ ომამდე ტანკისტი იყო... მოკლედ, ხუმრობა იქით იყოს და 3 წლის წინ, ღამის 2 საათზე, კარზე მოგვიკაკუნეს. თავზე პოლიციელები დაგვადგნენ. შეშინებულმა გადავავლე თვალი ბოლო დღეებში მომხდარ მოვლენებს, მაგრამ არაფერი მქონდა ჩადენილი ისეთი, რის გამოც შეიძლებოდა, დავეპატიმრებინე (გარდა იმისა, რომ ქვევით მცხოვრებ მეზობელთან წყალი ჩავუშვი). მე არაფერ შუაში ვყოფილვარ – პოლიციელები თურმე, ჩემს სიდედრს ეძებდნენ. ბინა გაჩხრიკეს, ქვაბებშიც კი ჩაიხედეს (თითქოს იქ ჩაეტეოდა), მაგრამ მარინას ვერსად მიაგნეს. დამავიწყდა მეთქვა, რომ მარინა ქვრივია და სრულიად მარტო, ჩვენგან მოშორებით ცხოვრობს. პოლიციელებს ვკითხე – რა ჩაიდინა ასეთი, შუაღამისას რომ ეძებთ, ხვალ ვერ მოახერხებდით მის ნახვას-მეთქი? – დღეს, საღამოს 11 საათზე, თქვენმა სიდედრმა მეზობელი კაცი დანით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალაო. რომ იტყვიან, ტანისამოსიანად გადავირე. მეგონა, სმენამ მიმტყუნა-მეთქი... მივადექი მის საცხოვრებელ სახლს. ეზოში ხალხი იყო შეკრებილი და მომხდარ ამბავს არჩევდა. საავადმყოფოში გავიქეცი. მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობა ღრმაა და ღვიძლია დაზიანებული, პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებაო, – მითხრა მორიგე ექიმმა. მეორე დღეს, სიდედრმა დამირეკა და ჩურჩულით დამისახელა თავისი ადგილსამყოფელი. თან გამაფრთხილა – იცოდე, „ხვოსტი“ აგყვება და ეცადე, ისეთი გზით მოხვიდე, გზა-კვალი აუბნიოო. ღამის იყო, საერთოდ ამერია გზა და დავიკარგე. ძლივს მივაგენი მარინას ადგილსამყოფელს. ქალო, მეზობლის კაცებს რატომ დაერიე-მეთქი? აღმოჩნდა, რომ კარგა ხნის განმავლობაში, მერაბი (დაჭრილი) აწუხებდა ჩემს სიდედრს, ხან შინ ესტუმრებოდა, ხან ათასგვარ მიზეზს იგონებდა, რომ შეხვედროდა; მიყვარხარო, – ეუბნებოდა. იმ საღამოს მიუკაკუნებია და უთხოვია – კარი ჩამეკეტა და თუ შეიძლება, შენი აივნიდან თოკით ჩავეშვებიო (ჩემი სიდედრი მე-8 სართულზე ცხოვრობს, მერაბი – მე-7-ზე). ამას კიდევ თავი მოუკლავს – დაჯექი, შვილს დაელოდე; რომ გადავარდე, ცოცხალი არ გადარჩებიო... ისიც დამჯდარა. ბოლოს, საქმე იქამდე მისულა, რომ მერაბს მარინასკენ ხელი „გაუპარებია“, იმას ვერ მოუშორებია და დანისთვის დაუვლია ხელი. დანარჩენი უკვე იცით. მარინა დავარწმუნე, რომ პოლიციას ჩაჰბარებოდა... მერაბი მაინც ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა. სასამართლოზე ყველაფერი სწორედ ისე მოჰყვა, როგორც სინამდვილეში მოხდა. ამიტომ მარინას მხოლოდ რამდენიმე თვის პატიმრობა აკმარებს და პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. ახლა მამალივით გაბღენძილი დადის და ვერავინ ვერაფერს უბედავს. მგონი, ქურდობასაც აპირებს. აბა, ვის ჰყავს ჩემნაირი სიდედრი?!.“

„რევოლუციონერი“ და „კრიმინალი“ სიდედრების ქცევის წესები დაწვრილებით განვიხილეთ. იმედია, მომავალმა სიძეებმა სწორი დასკვნებიც გამოიტანეთ. კერძოდ ის, რომ ამ „კატეგორიების“ სიდედრები სახიფათონი არიან... როგორ ვასწავლოთ მათ ჭკუა? ამ კითხვაზე პასუხს მომდევნო მკითხველი გაგვცემს. საინტერესოა, მკითხველი მამაკაცებიდან რომელიმეს თუ შეუძლია დაიტრაბახოს – ჩემს სიდედრს „მამალი ძროხა“ მოუწველიაო? აი, დათოს სიდედრს მოუწველია! ხოლო რა შედეგი მიიღო, ამას მისი მესიჯიდან შეიტყობთ.

„...მაინც მოგწველი, შე სამგლეევ, შენა!“

„ჩემი სიდედრი ერთ-ერთ მთის სოფელში ცხოვრობს. ზაფხულობით იქ ყოფნას არაფერი სჯობს. ქვეყანა რომ სიცხისგან იწვოდეს, იქ ისე გრილა, ლამისაა თეთრი დათვები მოშენდნენ. იქაურებსაც კარგად გავუგე და თითით საჩვენებელ სიძედაც ვითვლები. რა უნდა ვინატრო ან ვთხოვო ვინმეს, რომ არ შემისრულონ?!. ერთხელ ვიფიქრე, სიდედრს რამე უნდა გავუჩალიჩო-მეთქი და მალე მოვიგონე, როგორ მომეხერხებინა ეს. არ იფიქროთ, მოხუცი და დაუძლურებული ქალია ნანა, არა – ახალგაზრდაა და ენერგიით სავსე, მუხლს ქვემოთ კაბას არ იცვამს. ერთი ძროხა ჰყავს – ჭრელა – და ისე უვლის, შვილიშვილებისგან არ არჩევს. მეზობელს ზუსტად ისეთივე ჭრელი ბუღა ჰყავს. ჰოდა, ერთხელ გადავწყვიტე, მათთვის ადგილები შემენაცვლებინა. ნანას ბოსელს ორი კარი აქვს: ერთი ეზოდან – შესასვლელი, მეორე – ყანიდან. იმ ყანიდან კიდევ, მეზობლის ეზოში გადის პატარა კარი. ნანა ძროხას დილაუთენია, ჭრაქის შუქზე წველიდა ხოლმე. ორი მეზობლის ბიჭი შევიამხანაგე, ნანაზე ადრე ავდექით და მის ბოსელში ბუღა დავაბით, ძროხა კი – მეზობლის ბოსელში გავიყვანეთ. მე საწოლში დავბრუნდი, ბიჭებს კი დანარჩენი საქმე უნდა შეესრულებინათ... ნანა კარგა ხნის შემდეგ ადგა, წყალი გაათბო (ჯიქანი რომ დაებანა ძროხისთვის) და ბოსლისკენ წავიდა. მე ფანჯრიდან ჩუმად ვადევნებდი თვალყურს... ცოტა ხნის შემდეგ, ნანა თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა ბოსლიდან. პირდაპირ ჩვენს ოთახში შემოაჭრა და იკივლა – გაიღვიძეთ, ბოსელში მამალი ძროხა დამხვდა, ჩემი ძროხა სადღაც გაქრაო!.. მე განგებ ზანტად წამოვდექი, ნელ-ნელა ჩავიცვი და თვალების ფშვნეტით გავყევი იმის სანახავად, თუ როგორ გადაკეთდა დედალი ძროხა „მამალ ძროხად“. იქ ბიჭებმა უკვე მოასწრეს შეცვლა და ისევ ჩვენი ჭრელა დააბეს. ნანამ ჭრაქი ჯიქანზე მიანათა – აი, ნახეო... მე სიცილი ამიტყდა: – ქალო, მოლანდებები დაგეწყო თუ რა დაგემართა, ჩვენს ჭრელას ვეღარ ცნობ-მეთქი?.. მთელი დღე დავცინოდი ამის გამო, ის კი ჩუმად მიბღვერდა... მეორე დილით, ზუსტად იგივე გამეორდა. ისევ დამადგა ნანა თავზე – არც ახლა გჯერა? წამოდი, ნახე და დარწმუნდებიო!.. გავყევი. ისევ ჭრელა დაგვხვდა... მესამე დღეს კი, ისეთი რამ მოხდა, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდი. ბოსელში დიდი ალიაქოთი ატყდა. ბღავილი, კივილი, წივილი, ზმუილი ერთმანეთში ირეოდა. სასწრაფოდ გავიქეცი. ჭრაქის შუქზე ძლივს გავარჩიე ჩემი სიდედრი, რომელიც ბუ-

ღას იმ ადგილში ჩასჭიდებოდა, სადაც ჭრელას ჯიქანი აქვს. რა თქმა უნდა, ბუღა ეურჩებოდა, ღმუოდა, ტლინკებს ყრიდა, სიდედრი კი წიხლს ამოარტყამდა ხოლმე – მაინც მოგწველი, შე სამგლეკ, შენა! სამი ცური რა უყავი? სად დამალეო?!. ძლივს დავაშოშმინე ნანა, გარეთ გამოვიყვანე. ბიჭებმა კი, ჭრელა დააბეს ბოსელში და შეუმჩნევლად გაიყვანეს ბუღა, ყანის მხარეს რომ იყო, იმ კარიდან... ყველაფერი რომ მოგვარდა, ნანა ისევ ჩავიყვანე ბოსელში და ვუთხარი – რატომ ეჩხუბებოდი ჭრელას? მოეფერე და ისე მოწველე-მეთქი... შიშით მოუსვა ჯიქანზე ხელი და რომ დარწმუნდა, ნამდვილად ჩვენი ჭრელა იყო, საბოლოოდ დამშვიდდა. იმის შემდეგ, ასეთ ხუმრობებს თავი დავანებე. კიდევ კარგი, მართლა არ მოწველა მეზობლის ბუღა. ისე, რომ მეცლია, ნამდვილად მოწველიდა. აბა, კარგად იყავით...“

ბუღას კი არა, მე ისეთი სიდედრებიც შემხვედრია, სიძეებს რომ „წველიან“. თუმცა, ჩვენი შემდეგი რესპონდენტის შემთხვევაში, პირიქით მოხდა – სიძეს სიდედრის „მოწველის“ მარტივი გზისთვის მიუგნია. მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ... წაიკითხეთ მესიჯი და ამბის ფინალს თვითონ „მწველავი“ სიძისგან შეიტყობთ.

„ვიჩხუბეთ და ერთმანეთი ვცემეთ კიდეც...“

„ჩემი სიდედრი 40 წლისაა. უკვე 18 წელია, რაც დაქვრივდა. ჩემი ცოლი მარტომ გაზარდა. ეს ერთი შვილი ჰყავს და თან ყვება. გარეგნობით კი, ისე საუცხოოდ გამოიყურება, რომ იტყვი – 25-26 წლის გოგოაო. ტინეიჯერივით იცვამს და კიდეც იხდენს. როცა საქართველოში ცხოვრება გაჭირდა, მანანამ (სიდედრმა) საქმე მოძებნა, ააწყო და საკმაოდ კარგი შემოსავალიც აქვს, საკუთარი მანქანაც ჰყავს და სხვებსაც ეხმარება. დარწმუნებული ვარ, რომ საყვარელი არასდროს ჰყოლია. თავისი გარდაცვლილი ქმრის ერთგული გახლდათ და ისევ დედამთილ-მამამთილთან ერთად ცხოვრობდა. ამ ერთი წლის წინ კი, ძალზე შეიცვალა, დაიწყო შინ დაგვიანებით მოსვლა, ხანდახან მეგობართანაც რჩებოდა. წინათ ასე არასოდეს იქცეოდა. გამიჩნდა ეჭვი, რომ მის ცხოვრებაში მამაკაცი გაჩნდა. ერთ დღესაც, ჩემი მანქანით ავეკიდე. ვერაფერი დავადგინე. მეორე დღესაც ვერაფერში გამოვიჭირე. მესამე დღემ კი, ნაყოფიერად ჩაიარა: დაახლოებით ჩემი ასაკის ბიჭთან ერთად ვნახე. რამდენიმე ხნის განმავლობაში, კიდევ ვუთვალთვალებდი. დავრწმუნდი, რომ 15 წლით უმცროსი საყვარელი გაუჩენია. ერთ საღამოს, როცა შინ მარტონი ვიყავით, ვუთხარი, რომ ყველაფერი ვიცოდი. თვალები შიშით გაუფართოვდა, ლამის იყო, მუხლებში ჩამივარდა და მთხოვა, არ გამთქვაო. შევპირდი, რომ საიდუმლოს შევუნახავდი. მეორე დღეს, 100 დოლარი მაჩუქა. ბუნებრივია, მესიამოვნა. მერე მე თვითონ ვთხოვდი ხოლმე – მასესხე-მეთქი, მაგრამ რა თქმა უნდა, უკან აღარ ვუბრუნებდი. მერე, უფრო მსხვილი თანხის მოთხოვნა დავიწყე... ერთ დღესაც, მობილურზე უცნობი ნომრიდან დამირეკა ვიღაც მამაკაცმა და შეხვედრა მთხოვა. ადგილზე მისულს, ჩემი სიდედრის ახალგაზრდა საყვარელი დამხვდა. მისი მოთხოვნა იყო – არასოდეს გამომერთმია მანანასთვის ფული. მე უარი ვუთხარი – ვალდებულია, გადამიხადოს-მეთქი... ვიჩხუბეთ და ერთმანეთი ვცემეთ კიდეც. ვაღიარებ – მომერია, თუმცა თვითონაც კარგად დალურჯებული გავუშვი შინ. დამემუქრა – შენგან სველ ადგილსაც აღარ დავტოვებო... იმის მერე, მანანას შევეშვი და საერთოდ, ცალკე გადავედი საცხოვრებლად ჩემი ცოლ-შვილით“.

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

„ყველას თვალწინ სკამზე ჩაისველა“

„იცით, რა სიდედრი მყავს? 38 წლისაა და ჩემს 18 წლის ცოლს სჯობს. როცა მოდის, თვალს ვერ ვწყვეტ. მაგარი ნაშაა, მინდა, მოვიტაცო და დავმალო. ჩემო ნათია, შენ რას იტყვი?.. დემნა“.

„ისე მოხდა, რომ მე და ჩემს ძმას ერთდროულად შეგვიყვარდა გოგოები. გადაწყვიტეთ, ერთსა და იმავე დღეს მოგვეყვანა ცოლები. დავთქვით ქორწილის დღე. წინა საღამოს კი, სიდედრებზე ლაპარაკი დავიწყეთ. ჰოდა, ჩხუბი მოგვივიდა – არა, ჩემი სიდედრი სჯობია, არა – ჩემიო!.. ქორწილში კი, ორივე კარგად დალურჯებულ-დალილავებულები ვისხედით“.

„ჩემს ძმას რომ ჰყავს, იმაზე უარესი სიდედრი არავის ეყოლება – ნამდვილი გველია. ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ შვილთან და სიძესთან ერთად ცხოვრობს. სულ წუწუნებს და კრუტუნებს. ერთხელ კი, ისეთი რამ გააკეთა, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. ჩემმა ძმამ ახალი შეფი, ცოლთან ერთად შინ დაპატიჟა. ცდილობდა, უფროსისთვის თავი მოეწონებინა. ძვირფასმა სიდედრმა კი, ყველაფერი ჩააშხამა. თავისი ოთახიდან სწორედ მაშინ გამობრძანდა, როცა სუფრას მიუსხდნენ. გამარჯობაც არ უთქვამს; მიუჯდა სუფრას და ისე დაიწყო ჭამა, თითქოს დამშეული ყოფილყო. რასაც ვერ ერეოდა, თეფშზე ილაგებდა და ტოვებდა. ეს არ იკმარა და ყველას თვალწინ, სკამზე ჩაისველა. როგორც მოგვიანებით თვითონვე ბრძანა – სპეციალურად. ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, ჩემი ძმა და რძალი როგორ პირობებში ცხოვრობენ?!.“

„კაცებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, თქვენი ცოლებიც და დებიც ამ „ტიტულის“ მფლობელები გახდებიან. აი, მაშინ ნახავთ, როგორ „იჭიკჭიკებთ“. ასე რომ, არ გაწყენთ, ცოტათი გონს მოეგოთ და სიდედრებზე ნაკლები ილაპარაკოთ. მაიკო“.

„დარწმუნებული ვარ, ჩემს მეგობარზე მაგარი სიდედრი მეყოლება, იმიტომ, რომ მე ვარ მაგარი, მაგარ გოგოს მოვეწონები და თუ ის მაგარი იქნება, დედაც მაგარი ეყოლება. აი, ასე!“

„მართლაც რომ, ჩემი სიდედრი ყველას სჯობია! რატომ?.. იმიტომ, რომ ჩემი ცოლ-შვილის სახით, მძიმედ საწევი ტვირთი სამუდამოდ ჩამომხსნა მხრებიდან. ერთ დღესაც – აქაო და შენ არ შეგაჭმევინებო, – „გაირეკა“ წინ ჩემი ცოლი და ქალ-ვაჟი და ჩემს ნაცვლად, საკუთარ ვაჟსა და რძალს შემოასხა კისერზე. ახლა კი, ჩემო ექსცოლისძმაო, ჩიორა, იარეთ შენ და შენმა ლამაზმა მეუღლემ წელგაწყვეტილებმა. იცოდეთ, მზიას ხელში ეგ ყველაფერი ჯერ „ჟურნალია“. აწი ნახავთ კინოოოს! თქვენი სიძეყოფილი დინგო“.

„უსიყვარულოდ გავთხოვდი. ლევანმა სკოლის მერხიდან მომიტაცა. ახლა კი აღმოვაჩინე, რომ მისი მეგობარი მიყვარს. მასაც ლეო ჰქვია. სასაცილო ის არის, რომ ჩემი ქმარი თავის სიდედრზე გიჟდება. ისიც კალთაში ჩაისვამს ხოლმე და ეფერება... რა ვქნა, აღარ ვიცი“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ზამთარში, ბუხართან... დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა გადაგხდენიათ თავს ბუხართან მსხდომთ ან როგორი ამბები მოგისმენიათ, ბუხრის ცეცხლთან მიფიცხებულებს. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

წვენსაწური

რუბრიკას უძღვება ეკიმი
თამარ მამაცაშვილი

წვენები და ჯანსაღი ცხოვრების წესი, პრაქტიკულად სინონიმებად იქცა. ამიტომ დღეს წვენების სასარგებლო და მავნე თვისებებზე გესაუბრებით.

ბევრს აინტერესებს: შეგვიცვლის თუ არა წვენების სმა კომპლექსური ვიტამინური პრეპარატების სავალდებულო მიღებას. რა თქმა უნდა, არა — პასუხობენ სპეციალისტები, — ერთიც საჭიროა და მეორეც. ჩვენში ვიტამინთა დეფიციტი რეალურად არსებობს და წვენების მიღება სასურველია ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც.



ვიტამინიზებული ფორთოხალი

C ვიტამინის დღიური ნორმა 60 მგ-ია, რომლითაც ორგანიზმს ერთი 100 გ-იანი ფორთოხალი უზრუნველყოფს. ვიტამინი შენარჩუნებულია წვენშიც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაცულია წვენის წარმოების ტექნოლოგია. ამიტომ შესაძლოა, ყველანაირი კუსტარული წარმოების წვენმა ვერ შეგვესოთ ვიტამინის მარაგი.

გარდა ფორთოხლისა, C ვიტამინით მდიდარია სხვა ხილი და ბოსტნეული (წიწაკა, კივი, ქაცვი, შავი მოცხარი). ვიტამინის დეფიციტი რომ არ განვითარდეს, საჭიროა, ორგანიზმში მისი გარკვეული მარაგის შექმნა. მოზრდილმა ადამიანმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს თავისი დოზა, თუმცა არის ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც ვიტამინები მეტი დოზით ესაჭიროებათ, ესენია:

- ორსული და მეძუძური ქალები;
- ქალები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღებენ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს;
- სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები;
- მწეველები (მათ დღეში მინიმუმ 100 მგ C ვიტამინი ესაჭიროებათ);
- სპირტიანი სასმელების ხშირი მომხმარებლები, რადგან ალკოჰოლი აქვეითებს ვიტამინის ათვისებას.

ბროწეულთან სიფრთხილე გვმართებს!

ხილ-ბოსტნეულის წვენები მდიდარია აგრეთვე A პროვიტამინით (ბეტა-კაროტინით), ფოლიუმის მჟავით, პექტინებით, ანტიოქსიდანტებით. წვენები შეიცავს ვიტამინის მსგავს ნივთიერებებს — ფლავონოიდებს, რომლებიც ორგანიზმისთვის სასარგებლო ანტიოქსიდანტური (ჟანგვის საწინააღმდეგო) თვისებით ხასიათდება. ეს ნივთიერებები თავიანთ თვისებებს განსაკუთრებით ეფექტურად C ვიტამინთან კომპლექსში ავლენს.

წვენების ნაწილი სპეციალურად ვიტამინიზირდება (წვენში ემატება ვიტამინთა ნარევი ისეთი კონცენტრაციით, რომ ერთი ჭიქა წვენის დალევით, ადამიანი ნორმალური ცხოველქმედებისთვის საჭირო რაოდენობის ვიტამინებს იღებდეს.

მაგრამ ბიოლოგიური თავისებურებების გამო, ხილ-ბოსტნეულის წვენებში არ (ან ნაკლებად) შედის სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი ვიტამინი: D ჯგუფის, E და B ჯგუფების ვიტამინები და ამიტომ ისინი სხვაგან უნდა „მოვიპოვოთ“.

უნდა ვიცოდეთ, რომ სხვადასხვა ხილის (განსაკუთრებით ეგზოტიკურის) წვენების შერევა შეიძლება, ალერგიის წყარო გახდეს. ბევრი ნაყოფის წვენი შეუთავსებელია ბავშვთა კვების თავისებურებებთან. მაგალითად, 3 წლამდე ბავშვებისთვის არ არის რეკომენდებული ბროწეულის წვენი.

მკაცრად უნდა დავიცვათ წვენის შენახვის წესებიც. არ შეიძლება, ქარხნულად დამზადებული წვენების განუსაზღვრელი ვადით მაცივრის თაროზე შემოდება. პაკეტზე მითითებულია მათი შენახვის ვადა, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წვენი ნაწლავთა ფუნქციის დარღვევას გამოიწვევს.

წვენების მწარმოებლებისთვის დადგენილია პროდუქციაში ნიტრატების დასაშვები დოზა და მისი გადაჭარბება დაუშვებელია. წვენის შინ მომზადებისას, ამ მჩვენებლის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია სპეციალური ხელსაწყოების გარეშე.

წვენი სასარგებლო და გემრიელი პროდუქტია! მაგრამ მისი გამოყენებაც გონივრულად უნდა ხდებოდეს. ■

გაქვთ სურვილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!

გთავაზობთ!!!

წონაში დაკლებას ქომფორტული მეთოდით 5-დან 12კგ.-მდე ყოველგვარი ვარჯიშისა და შიმშილის გარეშე.

თქვენ მოგემსახურებათ კვალიფიციური სპეციალისტი.

ტელ.: 893-20-33-76
მდივანი: 76-66-04
ბ-ნი. კობა

ქალაქი ოზურგეთი საბჭოთა პერიოდში	1000სმ³	ჰერბერტ ... კარაიანი	ყვითელყვავილიანი ბუჩქი	სამიანი ნარდში	ძველებური ქართული შეჯიბრება ცხენოსნობაში	არეკლილი სხივი
ქ ა ლ ა ქ ი ო ზ ურ გ ე თ ი			ე ლ ვ ი ს ე ა ლ ი ბ ა ჩ ი ნ ი ნ ა ნ ა ხ ა			
გოია „შიშველი ...	მზის ღმერთი	იგივეა, რაც მორი	მ/ფ „შერეკილების“ პერსონაჟი	ადგილი პარიზში: ... მინდვრები	ჰარისონ ფორდის კინოროლი ... ჯონსი	გამის ნოტი

თქვენი ბიჭუნას სველი შარვალი

ენურეზი ღამით შარდის შეუკავებლობაა. ასალშობილი, უპირობო რეფლექსის გავლენით, დღე-ღამეში 25-ჯერ შარდავს. ერთი წლის ასაკისათვის ეს მაჩვენებელი 12-15-მდე მცირდება. ბავშვი მოუსვენრობით, ტირილით რეაგირებს სველ საფენზე. შემდეგ გამომუშავდება პირობითი რეფლექსი, რომელიც 2 წლის ასაკისთვის, მოშარდვის რეგულატორის ფუნქციას (ძილშიც კი) კისრულობს. სკოლის ასაკის ბავშვები შარდის ბუშტს დღეში 6-7-ჯერ ცლიან, მოზრდილები კი — დღის განმავლობაში 4-6-ჯერ და ამისთვის ზოგჯერ ღამითაც დგებიან.

სტატისტიკური მონაცემებით, ბავშვთა 6% სკოლის ასაკში ენურეზითაა შეწუხებული. დაავადების მიზეზი მრავალგვარია: ურეთრის (შარდსადენის) თანდაყოლილი შევიწროება, ფიმოზი, სათესლის წყალმანკი ბიჭუნებში; პარაზიტები ნაწლავებში, ადენოიდები, ქრონიკული ტონზილიტი, თანდაყოლილი სიფილისი, ენდოკრინული დარღვევები, ნერვული სისტემისა და ხერხემლის ორგანული დაავადებები; დაავადების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მემკვიდრეობითობა და ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები, რომლებზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ორსულობისას დედის მიერ სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება, წამლების მიღება, კლიმატური ზონების მკვეთრი ცვლილება, ვიწრო ტანსაცმლის ტარება, სტრესული სიტუაციები.

ენურეზის არსი ის გახლავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გავლენით, ბავშვი ღრმა ძილისას კარგავს კონტროლს შარდის ბუშტზე. ამ სნეულებას ბევრი უსიამოვნება მოაქვს დაავადებულისთვისაც და მის გარშემო მყოფებისთვისაც. განცდები, თანატოლებისგან დაცინვა, ხშირად მშობლების არაადეკვატური რეაქციები ბავშვში დეპრესიას, ჩაკეტილობას, აგრესიულობას, არასრულფასოვნების შეგრძნებას იწვევს. ბავშვები გაურბიან ურთიერთობებს. მეხსიერების, აზროვნების დაქვეითებისა და დაბნეულობის გამო, სკოლაში მათი მოსწრება სამჯერ ჩამორჩება თანატოლებისას.

ენურეზს მკურნალობენ ქიმიოპრეპარატებით, ჰორმონებით, ფიზიოთერაპიით, ფსიქოთერაპიით, ფიტო და არომათერაპიებით, დიეტით, წერტილოვანი მასაჟით, ნემსთერაპიით, იშვიათად — ოპერაციული ჩარევით. მკურნალობის აბსოლუტურად იდეალური საშუალებები და მეთოდები არ არსებობს. საჭიროა დრო იმისათვის, რომ კონკრეტული შემთხვევისთვის ეფექტურ საშუალებას მიაგნოთ. მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ „ამინდს“. უსიამოვნებები ოჯახში, დაავადების შემდგომი განვითრების მიზეზად შეიძლება იქცეს. ენურეზიანი ბავშვი არასოდეს უნდა ჩააყენოთ უხერხულ მდგომარეობაში სხვა ბავშვების თანდასწრებით, არ უნდა დაამციროთ, დასაჯოთ. უნდა მოუწესრიგდეს დღის რეჟიმი. აუცილებელია, მოიძებნოს ბავშვისთვის ოპტიმალური, დატვირთვისა და დასვენების მონაცვლეობის სისტემა. ფიზიკური დატვირთვა დღის მეორე ნახევარში მინიმალური უნდა იყოს. სასარგებლოა ძილი დღისით, 1-2 საათი. შეაჩვიეთ ბავშვი, დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს დაწოლას.

კვება დროული, მრავალფეროვანი, კალორიული უნდა იყოს. რაციონი უნდა შეიცავდეს ვიტამინებს. განსაკუთრებული დიეტა აუცილებელი არ არის, მაგრამ მკურნალობის დროს სასურველია, რაციონიდან გამოირიცხოს შარდმდენი ეფექტის მქონე ხილი, ბაღჩეული და ბალახეული (საზამთრო, ნესვი, მარწყვი, პამიდორი, ისპანახი, სალათი და სხვა), უშუალოდ ძილის წინ ბავშვს შეიძლება, მისცეთ მარილიანი საკვების (მაგალითად, ყველის) ერთი-ორი ნაჭერი, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზმში სითხის შეკავებას.

ბალახეულს შორის, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მრავალძარღვას. ერთ ს/კ გამხმარ ფოთლებს უნდა დაასხათ 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დადგათ 2-3 სთ-ით, გადაწუროთ და მისცეთ ბავშვს თითო ს/კ ნაყენი ჭამამდე 20 წთ-ით ადრე 2-3-ჯერ დღეში. შეგიძლიათ, გამოიყენოთ მრავალძარღვას მზა პრეპარატი — პლანტაგლუციდი.

ბავშვის საერთო ტონუსზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ***ნუში*** და ***გრეიპფრუტი***. კარგია ასევე ჟენშენის ნაყენი, რომელიც მიიღება დღეში ერთხელ, დაძინებამდე 15 წთ-ით ადრე. პრეპარატის დოზა ბავშვის წლოვანების მიხედვით განისაზღვრება, რამდენი წლისაცაა ბავშვი, იმდენი ორი წვეთი უნდა მისცეთ. მკურნალობის კურსი 7-10 დღეა.

ენურეზის მკურნალობისას იყენებენ ***მდოგვის საფენებს*** ან ***ულტრაიისფერ სხივებს*** გავა-კუდუსუნის არეში. მდოგვის საფენები ეფინება 15 წთ-ის განმავლობაში, გაწითლებამდე. კურსი 4 სეანსია (2 დღე ზედიზედ, შემდეგ — ყოველ მეორე დღეს).

ყველა ჩამოთვლილი მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას კომბინირებულად ან დამოუკიდებლად. წარუმატებლობა არ უნდა გახდეს უიმედობის მიზეზი. მკურნალობის არც ერთ ეტაპზე არ უნდა დაკარგოთ წარმატების რწმენა.

რაც უფრო დროულად დაიწყებთ მკურნალობას, მით მალე მიიღებთ შედეგს, რაც უფრო თბილი ატმოსფერო იქნება ოჯახში, მით მეტია განკურნების შანსი. მშობლებს უნდა ახსოვდეთ ეს! ■

იტალიური ღვეზელი	...-პირი, სახე	წამლის ფორმა	საზღვაო კურორტი საფრანგეთში	ინდიელისა და ევროპელის შთამომავალი	ბუდისტი ბერი	ვიოლინოსთვის განკუთვნილი ჯოხი	თვითმფრინავის მოძრავი კიბე
ნარი	ხე, იკეთებს თაფლოვან ყვავილებს	ებრაელთა მოძღვარი	რიცხვი — „ეშმაკის დუეინი“	ალიყური	ხაფანგი	მღვდლის მრგვალი თავსარქმელი	3,14

მირქმა

15 თებერვალს, მართლმადიდებლური სამყარო მირქმის დღესასწაულს მიეგებება. ამ დღესასწაულით, წმინდა ეკლესია იხსენიებს სვიმონ მართლისაგან, უფალ იესო ქრისტეს მირქმას ანუ მიგებებას, რომელიც მაცხოვრის შობიდან მეორმოცე დღეს მოხდა...

შორენა მერკვილაძე

მირქმის დღესასწაული ერთ-ერთი უძველესი საეკლესიო დღესასწაულია, მაგრამ მას VI საუკუნემდე, განსაკუთრებული ზეიმით არ აღნიშნავდნენ. იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565), დაახლოებით 541 წელს, ანტიოქიასა და მის მიდამოებს მოედო შავი ჭირის ეპიდემია. ამას მოჰყვა საშინელი მიწისძვრები, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ საყოველთაო უბედურების ჟამს, ერთ ღვთისმოსავ ადამიანს გამოცხადებით ეუწყა, რომ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად დიდი სასოებით და სადღესასწაულოდ უნდა აღენიშნათ მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამის შესახებ სასწრაფოდ მოახსენეს იმპერატორ იუსტინიანეს, რომელმაც არ დააყოვნა და ქრისტესშობიდან მეორმოცე დღეს, სადღესასწაულოდ აღნიშნა მირქმის დღესასწაული. დაიწყო თუ არა ღამისთევის წირვა-ლოცვა, უბედურებანი, რომელნიც ბიზანტიას დაატყდა თავს, შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს, ეკლესიამ განაჩინა, რომ უფლის მირქმა ყოველწლიურად სადღესასწაულოდ აღენიშნათ.

როგორ მოხდა მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი?

შობიდან მეორმოცე დღეს, მართალმა იოსებმა და წმინდა მარიამმა ჩვილი იესო მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში, ღვთის წინაშე წარსადგენად, რათა აღესრულებინათ მოსეს სჯული. ამ სჯულის თანახმად, დედაკაცს მშობიარობიდან ორმოცი დღის განმავლობაში, არ ჰქონდა უფლება ტაძარში შესვლისა. მეორმოცე დღეს კი, მშობლებს ყრმა მიჰყავდათ ტაძარში და ღმერთს სამადლობელ და განსაწმენდელ მსხვერპლს სწირავდნენ. ღარიბი ოჯახისთვის დადგენილი იყო ორი გვრიტის ან მტრედის ორი ხუნდის შეწირვა. ეს წესი აღასრულეს მაცხოვრის მშობლებმაც და შესწირეს ღარიბთათვის დადგენილი შესაწირი — მტრედის ორი ხუნდი (მიუხედავად იმისა, რომ ყოვლადწმინდა მარიამი განწმენდას არ საჭიროებდა, რადგან ქორწინების გამოუცდელად შვა წყარო სიწმინდისა, მაინც დაემორჩილა სჯულის განაწესს). როდესაც წმინდა მარიამი და მართალი იოსები ტაძარში შევიდნენ, მათ მიეგებათ ღრმად მოხუცებული კაცი — სულიწმიდის მადლით ცხებული, მართალი სვიმონი, რომელმაც ხელში აიყვანა („მიირქუა“) ყრმა იესო, აკურთხა იგი და წარმოთქვა: „აწ განუტევე მონასა შენსა, მეუფეო, თანახმად სიტყვისაებრ შენისა, მშვიდობით; რამეთა იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებაი ერისა შენისა ისრაელის“ (ლუკა, 2, 29, 32).

ვინ იყო სვიმონ ღვთისმიმრქმელი?

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ეგვიპტის მეფემ — პტოლემე II ფილადელფოსმა (285-247 წლები ქრისტესშობამდე) ისურვა, რომ თავის საქვეყნოდ ცნობილ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ბერძნულად ნათარგმნი „წმინდა წერილის“ წიგნები ჰქონოდა, ამიტომ მან მიმართა სინედრიონს, რათა ამ საქმისათვის შეერჩიათ განსწავლული და ღვთივგანათლებული ადამიანები. 72 სწავლულს შორის, რომლებიც „წმინდა წერილის“ მთარგმნელებად შეარჩიეს, ერთ-ერთი იყო მართალი სვიმონი, რომელსაც წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნების თარგმნა. როდესაც სვიმონი მიუახლოვდა ტექსტის ამ მონაკვეთს — „აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვას ძე“ — იფიქრა, რომ დედანში შეცდომა იყო გაპარული და გადაწყვიტა, „ქალწულის“ ნაცვლად, „ქალი“ დაეწერა. ამ დროს, მას გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი და აუწყა, რომ არ იხილავდა სიკვდილს მანამ, სანამ არ იხილავდა ძეს, რომელიც ქალწულისგან იშვებოდა. ამის შემდეგ, სვიმონი ამ სიტყვების აღსრულების მოლოდინით ცხოვრობდა და სასოებით მოელოდა აღთქმული მესიის მოსვლას... 300 წელს იყო მიტანებული სვიმონი, როდესაც ეს წინასწარმეტყველება აღესრულა. სულიწმიდის შთაგონებით კი, სწორედ მაშინ მივიდა იერუსალიმის ტაძარში, როდესაც მისმა მშობლებმა ჩვილი იესო მიიყვანეს. მართალი სვიმონი მიეგება მას და რადგან ამით მისი ცხოვრების მთავარი მიზანი აღსრულდა, უფალს მიმართა: „აწ განუტევე, მეუფეო შენს მონას, სიტყვისამებრ შენისა, მშვიდობით“ — ე.ი. უფალს შესთხოვა განსასვენებელი. რაც შეეხება მართალი სვიმონის წინასწარმეტყველურ სიტყვებს — „...რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა...“ — რომელიც მან წარმოთქვა ყრმა იესოს მიგებებისას, „ამ წინასწარმეტყველებით დადასტურდა მაცხოვარის ხორციელად შობა და ეუწყა კაცთა მოდგმას, რომ უფალი იესო ქრისტე, არა მხოლოდ ისრაელის, არამედ ყოველი ხალხის სახსნელად მოევლინა ქვეყნიერებას, რომელიც ჭეშმარიტ სჯულზე მოაქცევს („განანათლებს“) წარმართებს“.

მირქმისას, მართალმა სვიმონმა წმინდა მარიამსაც მიმართა შემდეგი სიტყვებით: „აჰა ესერა ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის... და თვით შენსა სულსა განვიდეს მახვილი, რაითა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი“ (ლუკა 2, 34-35). როგორ შეიძლება გავიგოთ მართალი სვიმონის ეს სიტყვები?

ამ სიტყვებით მართალმა სვიმონმა, სულიწმიდის შთაგონებით, იწინასწარმეტყველა მაცხოვრის მიერ ამა ქვეყნის უსჯულოების მხილება, საღმრთო სჯულის განახლება („ახალი აღთქმის“ მოცე-

მა) და საბოლოოდ, იესო ქრისტეს მიერ საკუთარი თავის შეწირვით ადამიანის მოდგმის გამოხსნა პირველქმნილი ცოდვის ტყვეობიდან, რასაც უნდა მოჰყოლოდა ცოდვილთა დაცემა და მართალთა აღდგინება: „დაცემად ურწმუნოთათვის იტყოდა და აღდგომად – მორწმუნეთათვის... რამეთუ დაეცა იუდა და აღდგა მატათია; დაცემაი მარცხენითისაი მის ავაზაკისაი და აღდგომაი – მარჯუენითისაი მის, რამეთუ ჰრწმენა და მყის სამოთხე მოიპოვა, ხოლო იგი ურწმუნოებითა დაეცა და წარწყმდა“ – წერს წმინდა ტიმოთე იერუსალიმელი. რაც შეეხება ღვთისმშობლისადმი თქმულ სიტყვებს – „თვით შენსა სულში განვიდეს მახვილი“ – უნდა ვიგულისხმოთ ის დიდი სულიერი ტკივილი, რომელიც ღვთისმშობელს უნდა განეცადა მაცხოვრის ჯვარცმისას.

მართალ სვიმონთან ერთად, ტაძარში ყრმა იესოს ანა წინასწარმეტყველიც მიეგება...

როგორც ლუკა მახარებელი გვამცნობს, ანა წინასწარმეტყველი იყო ასული ფანოელისი, ასირიის ტომიდან. ის ახალგაზრდა დაქვრივდა (ქმართან მხოლოდ 7 წელი ცხოვრობდა). დაქვრივების შემდეგ, ტაძარს არ განშორებია, მარხვითა და ლოცვით მსახურებდა ღმერთს. როდესაც შობიდან მეორმოცე დღეს, განკაცებული უფალი იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს, ანა 84 წლის იყო. მრავალ ჩვილს შორის, მანაც შეიცნო ძე ღვთისა, მიეგება მას და ყრმის შესახებ ესაუბრებოდა ყველას, ვინც კი იერუსალიმის გამოხსნას მოელოდა მესიისგან. წმინდა მამათა მოძღვრებით, არა მხოლოდ მართალი სვიმონი და წმინდა ანა წინასწარმეტყველი გახდნენ ღირსნი უფლის მიგებებისა, არამედ ყველა ადამიანს აქვს საშუალება, მიეგებოს უფალს, ეს კი ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრებითაა შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ღვთის ძე, ცისა და ქვეყნის მპყრობელი შობიდან მეორმოცე დღეს, ღვთის ტაძარში წარედგინა და მსხვერპლი შესწირა, რაში დასჭირდა მაცხოვარს, უსუსურ ყრმათა მსგავსად, ტაძარში წარდგინება?

როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი გვიქადაგებს: „მაცხოვარმა ეს გააკეთა, რათა მოგვცეს ჩვენ სახე, რათა ჩვენ გვახსოვდეს ყოველი სჯულის დებანი და მტკიცედ ვასრულებდეთ მას“ – ე.ი. მაცხოვარმა დაიმდაბლა თავი და დაემორჩილა სჯულს, რათა ჩვენთვის ესწავლებინა სიმდაბლე და მორჩილება სჯულისა.

■

აქვს თუ არა ერისკაცს ფსკვნილის ტარების უფლება?

მორენა მერკვილაძე

ფსკვნილი არის თოკისგან მოქსოვილი ნასკვებიანი (კვანძებიანი) კრიალოსანი, რომელზეც კვანძები (ფსკვნილები) შესრულებული ლოცვის რაოდენობას აღნიშნავს. ფსკვნილს ასევე ამზადებენ მრგვალად დამუშავებული ხის მარცვლებისგან ან ძვირფასი ქვებისგან. მას მრგვალი ფორმა აქვს და დაბოლოებულია მცირე უსუპით (უსუპი არის ნაკურთხი წყლის სასხურებელი).

ფსკვნილზე უმთავრესად წარმოითქმის „იესოს ლოცვა“ („უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალენ მე ცოდვილი“), მაგრამ მასზე სხვა ლოცვებიც შეიძლება აღესრულოს – მაგალითად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ტროპარები“, რომელიმე წმინდანის საგალობელი და სხვა.

ფსკვნილს გადასცემენ მონაზონს მონაზვნად აღკვეცისას. როდესაც ადამიანი მონაზვნად აღიკვეცება, მას ფსკვნილი ეძლევა – როგორც სულიერი მახვილი, რადგან ფსკვნილის მიღება „იესოს ლოცვის“ გამუდმებით წარმოთქმაზე თანხმობას ნიშნავს. თვითონ იესოს ლოცვა არის უძლიერესი ლოცვა, რომლის წარმოთქმითაც ყველაზე მეტად დაიძლევა და განიდევნება ბოროტი ძალა. როგორც მხედარი იცავს თავს მტრისგან თავისი მახვილით, ასევე უკუაგდებს და ამარცხებს მონაზონიც ფსკვნილზე „იესოს ლოცვის“ წარმოთქმით, სულიერ მტერს – ეშმაკს.

ფსკვნილს ლოცვის დროს ძირითადად, ბერმონაზვნები იყენებენ (მონაზვნების მიერ ფსკვნილის გამოყენების აუცილებლობას ადასტურებს მონაზვნად აღკვეცისას, ფსკვნილის გადაცემის დროს წარმოსათქმელი სიტყვები: „ძმა ესე ჩემი (სახელი) მიიღებს ბეჭედსა დიდსა და ანგელოზებრივისა სქემისასა“ – ეკლესიური მოძღვრებით, ამ სიტყვებით ნათქვამია, რომ ფსკვნილი ბეჭედია დიდი და ანგელოზებრივი სქემისა – ე.ი. ცხოვრებისა).

როგორც აღვნიშნეთ, ფსკვნილის ტარება აუცილებელია მონაზონთათვის, მას ატარებენ სამღვდლო ხარისხში მყოფი სასულიერო პირებიც, თუმცა სულიერი მოძღვრის კურთხევით, ფსკვნილის ტარების უფლება ეძლევათ ერში მცხოვრებ ადამიანებსაც, მაგრამ საეროთათვის ფსკვნილის ტარება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ფსკვნილი ძალიან ფრთხილად გამოსაყენებელი სიწმინდეა, ამიტომ მისი ტარება დაუშვებელია სამკაულად (სამაჯურად, ყელსაბამად და სხვა), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერში მცხოვრებ ადამიანს, ფსკვნილის ტარების და მასზე ლოცვის უფლება, მხოლოდ მოძღვრის კურთხევის შემდეგ ეძლევა.

■

თუ ვინმე მე მმსახურებს, მე მომდევდინ — იესომ უთხრა მოციქულებს: ვინც ჩემი ერთგულია, ჩემთან იყოსო.

იოანე 12, 26



ფრაზები გენიალური

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკაში ავადმყოფი ბავშვის დედასთან შესახვედრად მისულს, პატარა ლუკა მგელიაშვილი პალატაში არ დამხვდა. გაუარესებული მდგომარეობის გამო, ექიმებს ის რეანიმაციულ განყოფილებაში გადაეყვანათ. ლუკას ცარიელ საწოლთან მჯდომი დედამისი „ლოცვანს“ კითხულობდა...

შვილის გამუდმებული ავადმყოფობით გატანჯული მარინა მგელიაშვილი თხრობას შორიდან იწყებს:

მძიმე დაავადებით დასნეულებული ბიჭის გადასარჩენად დედა სასწაულს ელოდება

ემა ტუხიაშვილი

— პირველი შვილი გოგონა მყავს, როგორც ყველა ქართულ ოჯახს, ვაჟი ჩვენც გვინდოდა. ამიტომ მეორე ორსულობა შევინარჩუნე და როდესაც ულტრაბგერითი გამოკვლევის შემდეგ ექიმმა გვითხრა, ბიჭიაო, მე და ჩემი მეუღლე სიხარულით ცას ვეწიეთ. სწორედ მახარობელმა ექიმმა დაარქვა ჩვენს შვილს ლუკა. ორსულობა ყოველგვარი გართულების გარეშე მიმდინარეობდა. ჩვენ ახმეტაში ვცხოვრობთ, ამიტომ ადგილობრივ კლინიკაში ვიმშობიარე. როგორც ყველა ჯანმრთელმა ბავშვმა, ლუკამაც დაბადებისთანავე იტირა, ცოტა ხანში კი, ძუძუც მოწოვა. ბავშვთან ერთად პალატაში გადამიყვანეს, რომელსაც ფანჯრის მინის ნაცვლად, ხის ფანერი ჰქონდა ჩადგმული, ოთახის კარი არ იკეტებოდა. ჩემდა საუბედუროდ, იმ დღეს თითქოს ცა ჩამოიქცაო, საშინელი ქარი და წვიმა იყო. ფანერი ჩამოვარდა, ოთახში შემოვარდნილი ძლიერი ქარი კი, ყოველ წუთს აღებდა კარს. მე და ლუკამ ის ღამე ორპირ ქარში გავატარეთ. სამშობიაროდან ძალიან მალე გამოგვწერეს, ბავშვიც მშვენივრად გრძნობდა თავს. დაახლოებით ორ კვირაში კი, ლუკამ უმიზეზოდ დაიწყო ტირილი, ხოლო ჩვილის უჩვეულოდ რბილი თავი ჩემში არასასიამოვნო ეჭვებს ბადებდა. რაიონის ექიმმა მას ჰიდროცეფალიის დიაგნოზი დაუსვა და მირჩია, რომ დაუყოვნებლივ წამომეყვანა ბავშვი თბილისში. მაშინ ეს დაავადება ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი იყო. როგორც თავად რაიონის ექიმმა ამიხსნა, როგორც წესი, ასეთი დაავადების მქონე ბავშვებს წართმეული აქვთ ყველანაირი რეფლექსი ქვედა და ზედა კიდურებში, ჩემს შვილს კი ასეთი რამ არ აღენიშნებოდა, ამიტომ დიდი იყო შანსი იმისა, რომ მკურნალობა ბავშვს სასიკეთოდ წაადგებოდა. ორი თვის განმავლობაში ვმკურნალობდით ლუკას მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში, ექიმ სანდრო ეძგვერაძესთან. იკვლევდნენ დაავადების გამომწვევ მიზეზებს. ზოგჯერ ასეთად, სამშობიარო ტრავმა სახელდებოდა, ზოგჯერ კი, დაავადებას თანდაყოლილს უწოდებდნენ. ლუკას დროდადრო თავი საგანგაშოდ ეზრდებოდა და მხოლოდ შესაბამისი პრეპარატების მიღების შემდეგ იცლებოდა თავი ჭარბი სითხისგან. ამ ხნის განმავლობაში, ვეძებდი მსგავსი დაავადების მქონე ბავშვებს, რათა მათი მშობლებისთვის მეკითხა რჩევა. ამ დროს გავარკვიე, რომ იქვე ახლოს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკაში მუშაობდა ექიმი, რომელსაც თურმე არაერთხელ მოუხდა ასეთ დაავადებასთან გამკლავება. როდესაც ექიმმა გრიგოლ ჭაჭიამ ლუკა გასინჯა და ეძგვერაძის მიერ გამოწერილი დანიშნულება წაიკითხა, აღშფოთდა: ასე შეიძლებოდა, ბავშვი სითხისგან დაცლილიყოო, ლუკაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და დაგვაიმედა, რომ ჩვენს შვილს არც ქირურგიული ჩარევა დასჭირდებოდა და არც მთელი ცხოვრება შუნტით სიარული მოუწევდა. როგორც წესი, ასეთ ავადმყოფებს შუნტს უდგამენ ორგანიზმში, რომლის მეშვეობითაც, თავში დაგროვილი ზედმეტი სითხე მუცლის არეში გადაედინება და ორგანიზმში მისი ცირკულირება სწორედ ამ გზით ხდება... არც ჭაჭიას მიერ ჩატარებულმა მკურნალობამ გამოიღო შედეგი; ზუსტად მახსოვს, რომ მიღებული პრეპარატების მიუხედავად, ლუკას თავის გარშემოწერილობა ორ თვეში ოთხი სანტიმეტრით გაეზარდა. ისევ საჭირო გახდა ხელახალი კვლევის ჩატარება, რომლის პასუხიც რადიკალურად განსხვავდებოდა უკვე არსებული პასუხისგან. ლუკას დაავადების ისტორიაში ექიმმა ჩაწერა, რომ სითხის წარმოქმნის მიზეზი, ახალშობილის გაცივება გახდა. მხოლოდ მაშინ დავაკავშირე ერთმანეთთან, სამშობიაროში გატარებული გაუსაძლისი ღამე და ჩემი შვილის ავადმყოფობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ექიმმა ჭაჭიამ ოპერაციის დღე დანიშნა. ექიმმა ოპერაციის ჩასატარებლად 300 დოლარი მოითხოვა, შუნტის *(რეზინის მილი, რომლის საშუალებითაც მოჭარბებული სითხე თავის ტვინიდან მუცლის ან გულმკერდის არეში გადაჰყავთ. — ავტ.)* შესაძენად, ცალკე 500 დოლარი უნდა მიგვეტანა; ამას ემატებოდა ერთ საწოლდღეში გადახდილი 10 ლარი, ხოლო მედიკამენტებზე გაწეული ხარჯებისა და სამედიცინო საშუალებებზე დახარჯული ფულის დათვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს. თუმცა, მაშინ ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მართალია, მეც და ჩემი მეუღლეც უმუშევრები ვიყავით, მაგრამ ავტომობილი გავყიდეთ და ოპერაციისთვის საჭირო ყველა ხარჯი დავფარეთ.

— არასოდეს დაინტერესებულხართ, უზრუნველყოფდა თუ არა, ჰიდროცეფალიით დაავადებული ბავშვების მკურნალობას სახელმწიფო?

— ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის პოლისი ახლაც უსარგებლოდ დამაქვს თან. პირველი ოპერაციის დროს, ლუკა მხოლოდ 6 თვის იყო, ამიტომ პროგრამა, რომელიც 3 წლამდე ბავშვების უფასოდ მკურნალობას გულისხმობს, ჩემს შვილზეც უნდა გავრცელებულიყო. მხოლოდ ექიმთან პირადი გარიგების წყალობით მოვახერხეთ, რომ ოპერაციის საერთო ხარჯებიდან ჩვენთვის 100 დოლარის შეღავათი გაეკეთებინა. ოპერაციამ შედეგი გამოიღო, ლუკა გამომჯობინდა. მეტიც, სულ უფრო გვაცებდა თავისი გონებრივი შესაძლებლობებით. მაგალითად, 5-6 თვის იყო, როდესაც ლაპარაკს ცდილობდა და ცალკეულ სიტყვებს საკმაოდ მკაფიოდ

გამოთქვამდა. 8-9 თვის ასაკში ის საბავშვო ლექსებს ამბობდა. კიდევ ერთი სასწაული ის იყო, რომ ბავშვი გამართულად ლაპარაკობდა და არ ამახინჯებდა სიტყვებს. როგორც შემდეგ ექიმმა ამიხსნა, ასეთი რამ დამახასიათებელი ყოფილა ამ დაავადებისთვის.

— **შემდეგ რა მოხდა? რატომ გაუარესდა ბავშვის მდგომარეობა?**

— ლუკამ საკმაოდ გვიან აიდგა ფეხი. როდესაც ქუჩაში ინვალიდის ეტლში ჩამჯდარ ბავშვებს ვხედავდი, გული მეკუმშებოდა იმის გამო, რომ შეიძლებოდა, ჩემს შვილსაც იგივე ხვედრი რგებოდა. შეშფოთებული მივედი ბატონ გიგასთან და ვთხოვე, რომ რაღაც საშუალება გამოენახა, რათა ლუკას სიარული შესძლებოდა. ექიმმა სახლში თავისი ნაცნობი მასაჟისტი გამოგვიგზავნა და ხანგრძლივი კურსის შემდეგ, ჩემმა შვილმა პირველი ნაბიჯები გადადგა. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე ბავშვს ის ადგილი შეუწითლდა, სადაც კანქვეშ შუნტი გადიოდა. ექიმმა ეს ალერგიული ფონით ახსნა და მალამოს წასმა მირჩია. მდგომარეობა გაუარესდა. ერთ დღესაც, კანი გაიხსნა და შუნტი გამოჩნდა. ექიმებმა ეს ხარვეზი მალევე გამოასწორეს, შუნტი უკან ჩააბრუნეს და კანიც გაკერეს. მაგრამ მერე საქმე იქამდე მივიდა, რომ ლუკას გაუარესებული მდგომარეობის გამო, კვლავ საავადმყოფოში მოვხვდით. თუმცა იმის გამო, რომ ბავშვი მუცლის არეში ძლიერ ტკივილებს უჩიოდა, თერაპიულ განყოფილებაში დაგვაწვინეს. ვერაფრით გაეგოთ ექიმებს, რატომ ჰქონდა ბავშვს მუცელი უზომოდ შებერილი. მთელი 10 დღის განმავლობაში, ჭიის საწინააღმდეგო წამალს ასმევდნენ. ლუკამ ფერი დაკარგა, აღარაფერს ჭამდა... ბავშვის ხანგრძლივი წამების შემდეგ, გადაწყდა, რომ ავადმყოფის მუცლის ღრუ გაეშუქებინათ. აღმოჩნდა, რომ შუნტს ადგილმდებარეობა ჰქონდა შეცვლილი და სითხე ფილტვის მიმართულებით მიედინებოდა. ამის შემდეგ, საჭირო გახდა, ქირურგიული გაკვეთა მუცლის არეში, რის შემდეგაც გამოჩნდა კისტოზური წარმონაქმნი, რომელიც სითხის არასწორმა დინებამ წარმოშვა. მაგრამ ლუკას ჯანმრთელობა შეიძლება ითქვას, რომ არ გამოკეთებულა. ახლა ჩემი შვილი 2 წლისა და შვიდი თვისაა და რიგით მერვე ოპერაციისთვის ამზადებენ.

— **ახლა რატომ გახდა აუცილებელი, ლუკას მოთავსება რეანიმაციულ განყოფილებაში?**

— ერთ-ერთი ოპერაციის შემდეგ, ექიმმა გადაწყვიტა, რომ შუნტი გარეთ გამოეტანა და სითხე ჰერმეტულად დახურულ პაკეტში ჩაღვრილიყო. მაგრამ ამ შემთხვევაში, ბავშვის ორგანიზმი სხვა სითხით ხელოვნურად უნდა ეკვებათ. ექიმის განმარტებით, ასე გაგრძელება ხანგრძლივად შეუძლებელი იყო, ამიტომ გადაწყვიტა, რომ შუნტი საერთოდ გადაეკეტა ლუკასთვის — იქნებ, სითხეს ბუნებრივი გზით მოეხდინა ორგანიზმში ცირკულირება. მისი თქმით, ეს უკანასკნელი საშუალება იყო. იმ ღამეს, ლუკასთან მე და ჩემი და ვიყავით. როგორც ბატონმა გიგამ ამიხსნა, ყურადღება არ უნდა მომედუნებინა. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს გულის რევა დაეწყებოდა ან გონება დაებინდებოდა, სასწრაფოდ რეანიმაციულ განყოფილებაში უნდა გადამეყვანა. ასეც მოხდა. გვიან ღამით, ლუკას გულის რევა დაეწყო. ვიფიქრე, არ დაიხრჩოს-მეთქი და თავი წამოვაწევინე. ამ დროს შუნტი

პირველი შვილი გოგონა მყავს, როგორც ყველა ქართულ ოჯახს, ვაჟი ჩვენც გვინდოდა...

გაიხსნა. როგორც გითხარით, პალატაში მხოლოდ მე და ჩემი და ვიყავით, ამიტომ თავად ვცადე მილის გადაკეტვა, რაც სტერილური ხელთათმანების გარეშე დაუშვებელია, მაგრამ დრო არ ითმენდა, თანაც — დაბნეულობამაც მძლია. ბოლოს, ლუკა ხელში ავიყვანე და მეხუთე სართულიდან მეორეზე, რეანიმაციულ განყოფილებაში ბავშვი ხელში აყვანილი გადავიყვანე. ამის შემდეგ, ექიმმა ყველა იმედი გადაგვიწურა და აგვიხსნა, რომ მან თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ბავშვი ისევ პალატაში დაგვაბრუნებინეს. ამ ამბავმა ყველა ჩვენი ახლობელი და ნათესავი შეძრა. ჩვენი მატერიალური შესაძლებლობები ამოიწურა. ამიტომ ფულადი დახმარება ახლა ნათესავებმა გაგვიწიეს. ისინი პირადად ესაუბრნენ ექიმ გიგა ჭაჭიას და მაქსიმალური შესაძლებლობების გამოყენება სთხოვეს. არ ვიცი, რამ განაპირობა ის, რომ ჭაჭიამ გადაწყვეტილება შეცვალა, ბავშვი ისევ რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანა და მისი საოპერაციოდ მომზადება დაიწყო. ამ პერიოდში მოგვთხოვა, რომ კომპიუტერის მეშვეობით ლუკას თავის ქალა გაგვეშუქებინა. აღმოჩნდა, რომ ასეთი მოწყობილობა მხოლოდ ვაკეში, მე-9 საავადმყოფოში აქვთ. ჩვენ თვითონ გადავიყვანეთ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბავშვი აღნიშნულ კლინიკაში, მაშინ, როდესაც მისი ტრანსპორტირება რეანიმობილით უნდა მომხდარიყო. ამის გამო, ბავშვის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა... შემდეგ ლუკა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეაერთეს. მეორე დღეს კი, მშობლები დაგვიბარეს და გვითხრეს, რომ განვითარდა ტვინის შეშუპება, ჩაიჭედა ფოსოს ღერო, გათიშულია ფილტვები და ა.შ. ამის შემდეგ, ექიმები ყოველდღიურად თხოულობდნენ მედიკამენტებს, რისთვისაც ყოველ ჯერზე 300 ლარი იყო საჭირო — აღარაფერს ვამბობ ზონდებსა და სტერილურ ხელთათმანებზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ბავშვის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. როდესაც ბოლო თეთრიც კი ამოგვეწურა და იმედის ნაპერწკალიც გაგვიქრა, საავადმყოფოს პატარა სამლოცველოს მივაშურე და მამაო შალვას ვთხოვე, დახმარებოდა ჩემს შვილს. მისი რჩევით, შევიძინე „შენ ხარ ვენახის“ ხატი, რომელიც მამამ აკურთხა და მთხოვა, რომ ავადმყოფის თავთან დამედო. როგორც მამამ ამიხსნა, ამის შემდეგ, ღმერთი თავად განსჯიდა, რა უფრო უკეთესი იყო ლუკასთვის... ასეც მოვიქეცი. სასწაულია, მაგრამ ორ დღეში, ბავშვი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნეს, დამოუკიდებლად სუნთქავს და თვალებიც გახელილი აქვს... ახლა მას კვლავ ოპერაციისთვის ამზადებენ. როგორც გვითხრეს, ახალი შუნტი უცხოეთიდან უნდა ჩამოიტანონ და მისი ღირებულება 800–1.000 დოლარია; ამას ემატება ოპერაციის ხარჯები, მედიკამენტები...

— **იქნებ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვის მიგემართათ დახმარებისთვის?**

— ეს არც ისე ადვილია. ლუკას პირველი ოპერაციის დროს, სოციალ-

ური დაცვის ფონდმა 310 ლარი გადმოგვირიცხა, მაგრამ დღემდე არ ვიცი, რაში იყო დახარჯული ეს თანხა. რელიგიურმა უმცირესობებმა, კერძოდ – ბაპტისტურმა ეკლესიამ შემოგვთავაზა ფულადი დახმარება, მაგრამ ჩემმა მეუღლემ უარი უთხრა. მამაო შალვამ მითხრა: ღმერთი მოგცემსო. მეც მჯერა, რომ შევძლებ, ჩემი შვილი სიკვდილის კლანჭებიდან დავიხსნა...

ასეთი ამბის მოსმენის შემდეგ, ალბათ უპრიანი იქნებოდა, იმ პრობლემატიკაზე გვესაუბრა, რომელსაც ჩვენს რეალობაში ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა ჰქვია. მაგრამ მორალურზე მეტად, პატარა ლუკას მატერიალური მხარდაჭერა სჭირდებოდა, ამიტომ შევეცადეთ გაგვერკვია, ხომ არ ჰქონდა სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულებები მსგავსი ავადმყოფების მიმართ. 3 დღის განმავლობაში, ამაოდ ვცდილობდი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან მისივე პრესსამსახურის მეშვეობით დაკავშირებას. მაგრამ მისთვის ხმის მიწვდენა სხვა გზით მოვახერხეთ... მე და პატარა ლუკას დედა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს ვანო მოსიძეს შევხვდით. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ ჰიდროცეფალიის მაშუნტირებელი ოპერაციის ხარჯებს IV დონის (ყველაზე მაღალი დონის საუნივერსიტეტო კლინიკა) კლინიკაში, სახელმწიფო 1.500 ლარის ოდენობით ფარავს. ამას ემატება 30 უფასო საწოლდღე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, აღნიშნული ოპერაცია ყველა ცალკეულ შემთხვევაში დააფინანსოს, ეს კი ნიშნავს, რომ ლუკას ეს თანხა თითოეული ოპერაციის დროს უნდა მიეღო(!). ჯანდაცვის ომბუდსმენის სამსახურში კი შევიტყვეთ, რომ 15 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, ნებისმიერი გადაუდებელი დახმარება ჩვენს ქვეყანაში უფასოა. ამრიგად, პასუხგაუცემელი კითხვები მხოლოდ ექიმ ჭაჭიას მიმართ რჩებოდა.

ექიმი გიგა ჭაჭია პაციენტებთან ერთად (მარცხნივ – ლუკა მგელიაშვილი)

გრიგოლ (გიგა) ჭაჭია, *ექიმი-ნეიროქირურგი:*

– დაავადების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, 10 ათასი ბავშვიდან 6-7 მაინც იბადება წყალმანკით. თავდაპირველად ვცდილობთ, რომ კონსერვატულად (მკურნალობის საფუძველზე) აღვადგინოთ სითხის გამოყოფისა და შეწოვის ბალანსი. იმ შემთხვევაში, თუ მედიკამენტებით მკურნალობას შედეგი არ მოაქვს, ავადმყოფს უტარდება მაშუნტირებელი ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც, სითხე გადაგვყავს მუცლის ღრუში ან პლევრაში (ფილვტის არეში, თუმცა ეს უკანასკნელი ხერხი ახლა ნაკლებად აქტუალურია). მესამე მიმართულება, ტვინში ზედმეტად გამომუშავებული სითხის გადაყვანისა გახლავთ გულის წინა საკანი.

— როგორც ვიცი, ლუკა მგელიაშვილის შემთხვევაში, ყველა ჩამოთვლილი მიმართულება სცადეთ, ასე არ არის?

– ნამდვილად ასეა... საერთოდ, ეს დაავადება მთელ მსოფლიოში აქტუალურია და მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში წელიწადში 20-30 ათასი ამ სახის ოპერაცია კეთდება. მაგრამ იქაც ხშირია შემთხვევა, როდესაც საჭიროა, პაციენტისთვის განმეორებითი ანუ რეოპერაციის ჩატარება. ძალიან ბევრია დამოკიდებული თავად ბავშვის ორგანიზმზე – რამდენად ამტანი აღმოჩნდება მისი ორგანიზმი. საბედნიეროდ, ლუკას შემთხვევა პირველია, ჩემი აქ მუშაობის პერიოდში, როდესაც ასე გართულდა პაციენტის მდგომარეობა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ლუკას ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა მას შემდეგ, რაც მშობლებს მისი გადაყვანა ქალაქის მე-9 საავადმყოფოში საკუთარი ავტომობილით მოუხდათ?

– დღევანდელი გადასახედიდან შემიძლია გითხრათ, რომ ლუკას ჯანმრთელობის გაუარესების 60% სწორედ ამ შემთხვევამ გამოიწვია. ეს უკვე ჩვენი შეცდომაა: ჩემიც და დანარჩენების *(გულისხმობს აღნიშნული კლინიკის მედპერსონალს. – ავტ.)*, რადგან იმ დროს, არანაირი ეჭვიც კი არ გაგვჩენია, რომ ლუკას მდგომარეობა დამძიმდებოდა, იმდენად კარგად იყო ბავშვი.

— იცოდით, რომ ჰიდროცეფალიის მკურნალობასა და მაშუნტირებელ ოპერაციას ფინანსურად ნაწილობრივ სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს?

– რა თქმა უნდა, სახელმწიფო რაღაც თანხებით ანაზღაურებს ამა თუ იმ დაავადების ოპერაციას ან საოპერაციო მკურნალობას. მაგრამ არ იხდის შუნტის ფულს, რომლის გარეშეც ოპერაციას ვერ გავაკეთებთ. გამოდის, რომ სახელმწიფო მხოლოდ ექიმის შრომას ანაზღაურებს.

— აღნიშნულ შემთხვევაში, თუ მიიღეთ სახელმწიფოსგან ეს თანხები?

– არ ვიცი, იმდენად რთულია ჯანდაცვის სამინისტროს ფინანსური სისტემა, რომ გარკვევა ჭირს...

— ლუკას მშობლები თუ იყვნენ ინფორმირებულნი, რით ეხმარებოდა მათ სახელმწიფო?

– წესით, მშობლები არც უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ამის შესახებ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია სტანდარტზედა დახმარება, ვაგზავნით პაციენტის ახლობელს ჩვენი კლინიკის ეკონომისტთან და ვახდენთ მის ინფორმირებას.

— ლუკას მშობლებმა იმ მიზერულ 310 ლარსაც ვერ მიაგნეს, რომელიც სახელმწიფო სოციალურმა ფონდმა ავადმყოფს გადაურიცხა...

– როგორც გითხარით, თანხების განკარგვა ექიმის მოვალეობებში არ შედის...

როგორც ხედავთ, ბევრ კითხვაზე ვერც ჯანდაცვის სამინისტროში მივიღეთ პასუხი და ვერც პატარა ლუკას ექიმ გრიგოლ ჭაჭიასავან. ცხადია, ამ კითხვებს შორის უმთავრესი, ბავშვის მომავალი ბედია. სამწუხაროდ, ამ მომენტისთვის, ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს. როცა ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, შევიტყვეთ, რომ ლუკა მგელიაშვილს კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთეს და ის მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ■

„ოჯახი არ არის ციხესიმაგრე. მეორე ცოლი მყავს და შეიძლება მოვიყვანო მესამეც, მეოთხეც, მეხუთეც“... — აცხადებს პანტომიმის თეატრის დამფუძნებელი, რეჟისორი — ამირან შალიკაშვილი. როგორც თვითონ ამბობს, ის ყველასაგან განსხვავებულად მოაზროვნე, საკმაოდ ეჭვიანი და კონფლიქტური ადამიანია, რომელსაც შეუძლია ქალის სილამაზის აღქმა და ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს, თუ ღამით შინ საერთოდ არ მივა...

რატომ არ მოსწონთ ამირან შალიკაშვილი შეილებს?

...ხამდენი ცოლის მოყვანა შეუძლია ქართველ ჯაცს?..

ლიკა ქაჯაია

— მყავს მეუღლე — კირა მებუკე და ოთხი ვაჟი: ვალერიანი, გოჩა, დათო *(პანტომიმის თეატრის რეჟისორი. — ავტ.)* და ამირანი *(პანტომიმის თეატრის მსახიობი. — ავტ.)*, ორი შვილიშვილი, ორივე გოგონა — 10 და 6 წლის.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— კირას თეატრალურ ინსტიტუტში უნდოდა ჩაებარებინა. მე ამ დროს კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში *(ახლანდელი სერგო ზაქარიაძის სახელობის კოლეჯი. — ავტ.)* ვკითხულობდი ლექციებს. სწორედ ჩვენთან მოიყვანა კირა რეჟისორმა ასიკო გამსახურდიამ.

კირა:

— არა, ასიკოს უნდოდა, მოსკოვში წავეყვანე. გოგომ *(ასიკო გამსახურდიას ძმა. — ავტ.)* მომიყვანა...

ამირანი:

— გოგიც ჩვენთან კითხულობდა ლექციებს... ამბობდნენ, რომ კირასგან მსახიობი ვერ დადგებოდა, მე კი ვიცავდი: თავი დაანებეთ, იმუშაოს-მეთქი... კირამაც თავი არ დაზოგა, ინსტიტუტშიც მოეწყო და მერე...

კირა:

— როცა ვისწავლე, ყველაფერს სხვებზე უკეთ ვაკეთებდი. სხვათა შორის, წითელი დიპლომი არ მომცეს, რადგან პანტომიმის თეატრი ავირჩიე.

— ბატონო ამირან, ამბობთ — ვიცავდიო. მისით უცებ მოიხიბლეთ?

— არა. ყველაფერი შემდეგ, ნელ-ნელა მოხდა.

კირა:

— მეც არ მომწონებია პირველი ნახვისთანავე, მაგრამ მერე შევეჩვიე.

— ქალბატონო კირა, როგორ გამოგიტყდათ სიყვარულში ბატონი ამირანი?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ყველა მისი მეგობარი უკან დამდევდა. ამირან, გახსოვს, ბეჭედი რომ გამიკეთე?

— ჰო, მახსოვს.

— ჯვარი დაიწერეთ?

კირა:

— არა, ჯვარი არ დაგვიწერია. უბრალოდ, ხელი მოვაწერთ.

— გაიპარეთ თუ დაგნიშნათ?

— დამნიშნა, მაგრამ არა ოფიციალურად.

— მშობლებმა როგორ მიიღეს თქვენი გადაწყვეტილება?

ამირანი:

— კირას მშობლები ვერ შეეგუენენ. დედამისი გაგრაში ცხოვრობდა. მამა კი — ადრე გარდაიცვალა.

კირა:

— სიკვდილის წინ ხომ შეგვირიგდა!

ამირანი:

— სხვათა შორის, დედამისი 5 წელია, რაც ლოგინად ჩავარდა და ჩვენს სახლში წევს...

— როგორი დიასახლისია კირა?

— ჩვეულებრივი. მე თვითონაც არა ვარ პრეტენზიული, მივირთმევ იმას, რასაც მომიტანენ.

— და მაინც, ყველაზე უკეთ რა გამოსდის?

— სალათები.

კირა:

— რატომ, ბორშჩი არ მოგწონს?

ამირანი:

— ჩიხირთმაც...

— კერძის მომზადებაში ბატონი ამირანიც მონაწილეობს?

— ადრე მეხმარებოდა, მაგრამ ახლა ამისთვის დრო არა აქვს.

— პრეტენზიული მართლა არ არის?

— არა, პრეტენზიას იშვიათად გამოთქვამს.

— რის გამო შეიძლება მოხდენს ოჯახში კონფლიქტი?

კირა:

— მე უკონფლიქტო ადამიანი ვარ.

ამირანი:

— მე — პირიქით. ოჯახში შეიძლება, ყველაფერზე იჩხუბო. მაგალითად, როცა რაღაცას შევინახავ და ის ადგილზე არ დამხვდება...

— ეჭვიანები თუ ხართ?

— ყველაფერზე ვეჭვიანობ. ეჭვი — ნიჭიერებაა. ჩვენ ცუდად გავიგეთ ეს ცნება. კარგია, როცა ეს ნიჭი გაქვს, მაგრამ ამ დროს, მტრულად არ უნდა განეწყო.

სცენა სპექტაკლიდან „ფიროსმანი“

სცენა სპექტაკლიდან „ფიროსმანი“, წინა პლანზე კირა მებუკე და ამირან შალიკაშვილი

კირა:

— მეც ეჭვიანი ვარ.

— **ამბობენ — თუ ოჯახში ორი ეჭვიანი ადამიანია, იქ გამუდმებით დაძაბული სიტუაცია სუფევსო...**

ამირანი:

— თვითონ ცხოვრების წესია დაძაბული. სადაც ნეიტრალიტეტია, იქ ცხოვრებას აზრი არა აქვს. თითქოს თავისუფალი ხარ, როცა ვთქვათ, ქეიფობ, სუფრიდან ადგები და იცეკვებ. მაგრამ მაშინაც იძაბები, რადგან გინდა, კარგად იცეკვო. ან კიდევ, როცა ზიხარ შენთვის, წელს ზევით შიშველი, ამ დროს კი ოთახში ქალი შემოდის... წამოხტები, იცვამ და ჯდები. ეს ცხოვრებიდან გამომდინარე ხდება.

კირა:

— მაგას დაძაბვა კი არა — კულტურა ჰქვია.

ამირანი:

— კულტურა მეორე მხარეა. იმ წუთში, ადამიანი იძაბება. რეჟისორი ვარ და ეს არ მეშლება.

— **რა არის თქვენთვის ოჯახი?**

— ოჯახი არც ცხესიმაგრეა და არც სახელმწიფო. ასეთი შედარებაც კი არ შეიძლება. ოჯახი ჩემი პატარა კუთხეა, სადაც არის ინტიმი, სიყვარული, შვილები, მოფერება... პრეზიდენტს ისე ვერ მოვეფერები, როგორც ჩემი ოჯახის წევრებს. მე ერთ მეუღლეს დავშორდი, კირა მეორეა და არაფრისგან ვართ დაზღვეულნი...

— **ვინ იყო თქვენი პირველი მეუღლე?**

— ნათელა ფირცხალავა. მასთან ორი ვაჟი მყავს, ორიც — კირასთან...

— **რა ურთიერთობა გაქვთ ყოფილ მეუღლესთან?**

— არ ვიტყვი, რომ მეგობრული. მე ვიცი — ვარ ვალდებული მის წინაშე. თუ რაიმეს მთხოვს, შეძლებისდაგვარად, შევასრულებ.

— **როგორ შეეგუვნენ შვილები ოჯახის დანგრევას?**

— ჩემმა შვილებმა ვერ გამიგეს მანამ, სანამ მეგობრებმა არ უთხრეს: მამათქვენს სიყვარული შეუძლია და რატომ ეწინააღმდეგებითო?.. სხვათა შორის, კირა რომ მოვიყვანე ცოლად, მერეც ვიყავი სხვა ქალზე შეყვარებული, ახლაც ვარ... მე არც წლოვანების განსაზღვრა ვიცი. მიმაჩნია, რომ ეს პირობითია. რა იცით — იქნებ, ახალგაზრდაში უფრო მეტი წილი ბებერი ზის, ვიდრე ჩემში!.. პანტომიმაზე მუშაობა რომ დავიწყე, ის არავის მოსწონდა. თავს რკინის კედელს ვურტყამდი, მაგრამ რკინა გატყდა, თავი შემრჩა. მერე ვერიკო ანჯაფარიძე ამბობდა: მარგალიტი, ნაგავში ჩაგდებული, შალიკაშვილმა ამოიღო და ასე შესანიშნავად მოგვართვაო... ჩემს შვილებს ახლაც არ მოვწონვარ, მაგრამ რას იზამენ?! მათი მამა ვარ!..

— **ეი. სიყვარული მარადიული არ არის?**

კირა:

— სიყვარული მიჩვევაა უბრალოდ...

ამირანი:

— თვითონ სიყვარული მარადიულია. ადამიანი ყოველთვის შეყვარებულია, მაგრამ — არა ერთ პიროვნებაზე. მე ლექსებსაც ვწერ და მაქვს ასეთი ფრაზა: „უნდა უღალატო ყველა ლამაზ ქალს“. ხანდახან ისე მავიწყდება ჩემი მეუღლე, რომ...

— **ასე ბევრი ფიქრობს, მაგრამ არ აღიარებს...**

— როგორ შეიძლება ეს დამალო?! როცა სუფრასთან ვზივარ, დავინახავ ლამაზ ქალს, სადღა მახსოვს ოჯახი და ცოლი?! მე ვარ გართული იმ სილამაზით, რომელსაც ვუყურებ. რატომ არ უნდა აღიარო ეს?.. ეს არ არის მეუღლის შეურაცხყოფა. პირიქით, მან უნდა იამაყოს იმით, რომ მის ქმარს შეუძლია სილამაზის აღქმა. ყოფილა შემთხვევა — ქალი გამიცილებია შინ და იმ ღამეს სახლში არც კი მივსულვარ. რას ან ვის უნდა შეეწუხებინა ჩემი ოჯახის წევრები? არავის არავინ მოუკლავს, შეურაცხყოფა არ მიუყენებია... ის ღამე იყო საოცრებებით სავსე, რომელიც მორჩა. და თუ გაგრძელდება — კი, ბატონო, არ არის პრობლემა — მოვიყვან მესამე, მეოთხე, მეხუთე ცოლს. ჩვენი უკვირთ, უცხოელების — არა. რატომ?

— **ეს ჩვენი მენტალიტეტისთვის მიუღებელია.**

— არა, ბატონო. ჩვენ ბევრი ლამაზი გოგონა და ბიჭი გვყავს. ამით უნდა ვისარგებლოთ. უფრო ლამაზებიც ვიქნებით თუ რუსის ჩექმას — ჩვენს ჭირს მოვიშორებთ, რომელიც თავიდან მოვიცილეთ, მაგრამ მხარზე გვადევს...

— **თქვენს ოჯახს რაიმე გამორჩეული ტრადიცია ხომ არა აქვს?**

— ჩემი ოჯახი ჩემით იწყება. მე არც სახლ-კარი მქონდა, არც ტრადიცია. გავიზარდე ყანაში, ჩაიში, ვენახში, ქუჩაში, გარაჟში, კინოსტუდიაში (მუშად), გამწვანების ტრესტში, სასაფლაოზე და გამოვედი ის, რაც დღეს ვარ *(შალიკაშვილების ოჯახი გადასახლებაში იმყოფებოდა. — ავტ.)*

— **ახალ წელს სად ხვდებით ხოლმე?**

— ახალი წლის ტრადიცია გვაქვს — თეატრში ვხვდებოდით ყოველთვის. ამ ბოლო დროს, ეს ტრადიცია დაირღვა, პრობლემების გამო მაგრამ წელს აუცილებლად აღვადგენთ. მომავალში კი, საახალწლო შოუსაც მოვაწყობ.

— **წელს მაყურებელს რა სიურპრიზს უმზადებთ?**

— სიურპრიზი უკვე გავუკეთეთ პანტომიმის თეატრის მაყურებლებს: რეპერტუარში 12 სპექტაკლი გვაქვს. ასეთი პრეცედენტი მსოფლიოში არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი ხელფასები გვაქვს *(თვეში 31 ლარი. — ავტ.)*, ჩვენ მაინც ვმუშაობთ — არ გვინდა, მაყურებელს იმედი გავუცრუოთ.

■



„კრიმანჭული“ (ამირან შალიკაშვილი-უმცროსი)

მარგალიტი, ნაგავში ჩაგდებული, შალიკაშვილმა ამოიღო და ასე შესანიშნავად მოგვართვაო... (წინა პლანზე დავით შალიკაშვილი)

ლუბა ელიავილი

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

(დასაწყისი იხ. „გზა“ 52-5)

ჟურნალ „რეიტინგის“ ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა, ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის მოსე კრიხელის მკვლელობის ერთადერთი მოწმე ხდება. ეს საქმე მას იმდენად დააინტერესებს, რომ გადაწყვეტს, თავადვე გამოიძიოს მისი გარემოებები. აეროპორტში, დაღუპული კრიხელის ნეშტის თბილისიდან გადასასვენებლად ჩამოსულ მის ნათესავებთან შესახვედრად მისულ მარიანას, ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი დაეკონტაქტება. უკრაინელი ვიკა მარტინიუკი თავისი შეყვარებულის — ტატოს საპოვნელად ჩამოსულა თბილისში და შემთხვევით ჩაუხედავს მისი სიმამრის დანაშაულებრივ საქმიანობაში: საუნაში — „ნიმფა კალიფსო“, რომლის მეპატრონეც ტატოს სიმამრია, პროსტიტუცია ყვავის... ნიორა და ვიკა ამ საუნის მასაჟისტის — მანოლის ნახვას გადაწყვეტენ, მაგრამ ისიც, კრიხელივით, მკვლელობის მსხვერპლი ხდება...

ნიორასა და ვიკას ყველგან თან დაჰყვება „ბეემვეს“ მარკის შავი მანქანა; მის საჭეს ტატოს მეგობარი ანდრო უზის, რომელსაც ქალაქიდან წასულმა ძმაკაცმა ვიკასთვის მასპინძლობის გაწევა სთხოვა. დღის ბოლოს, ტელევიზიით გადასცემენ სიუჟეტს ამ მანქანის აფეთქების შესახებ. თუმცა, ანდრო უვნებლად გადარჩა: აფეთქების მომენტში, ის ვიკასთან სასტუმროში იმყოფებოდა. ტელეფონით საუბრისას, ნიორა შეშინებულ ვიკას ჰპირდება, რომ დილით თავისთან გადაიყვანს. გოგონები მანოლის დეიდას, ლოგინად ჩავარდნილ ქალბატონ ნინოს ესტუმრებიან, რომელიც მათ თავისი დისა და მოსე კრიხელის სიყვარულის ამბავსა და მამაშვილის — მოსესა და მანოლის ურთიერთობების გულის ამაჩუყებელ ამბავს მოუყვება, თან დის — ოლიკოს დღიურებსაც გადასცემს.

ნიორა ბანკში შეაღწევს და კრიხელის სეიფში მოთავსებულ ნივთებს ჩაიგდებს ხელში. ამ ნივთებს შორისაა ვიდეოკასეტები და კრიხელის ანდერძი, სადაც ნათქვამია, რომ ქალიშვილს, მაგდას მისი წილი ქონება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადაეცეს, თუ ის თავის კრიმინალ ქმარს გაეყრება... რედაქციაში მისულ ნიორას ვიკა დაურეკავს და შეხვედრას სთხოვს. ცოტა ხანში კი, სანდრო უკავშირდება და თავის აგარაკზე ეპატიჟება, სადაც ნიორას, მოსე კრიხელის ვიდეოკასეტების ნახვის საშუალება მიეცემა. მაგრამ ქალაქგარეთ მოხვედრიდან სულ ცოტა ხანში, მარიანა მწარე რეალობის მოწმე გახდება: სანდრო და ვიკა შეკრულები არიან და ნიორას მოკვლას უპირებენ...



ვაშლით უნდათ, მომწამლონ, როგორც ფიფქია — ბოროტმა დედინაცვალმა, — გული დამეკაწრა მე. — ხედავდეს ახლა, ჩემი ყოვლისმცოდნე დედიკო, როგორ მოიმწყვდიეს მისი შვილი მახეში. სწორედ ისეთი მწვანე ვაშლით მიპირებენ დაბანგვას, ლანგარზე რომ მიწყობს ხოლმე გარეცხილს და მეხვეწება, ყოველ დილას ვჭამო... სწორედ ასეთი ვაშლი უნდა მედოს ჩანთაში, იმ დილის შემდეგ, შოთას ხათრით მარტომ რომ ვერ შევჭამე და ჩანთაში ჩავუძახე... ვაშლი ჩანთიდან ამოვიღე და ზურგს უკან დავმალე. კამერასთან სერიოზული სახით ვზივარ.

კადრში ახლა, პოლიტლიდერი აბაზაძე ჩანს, მეძავებთან ერთად. ოჰო, მისი პრესმდივანი ირმაც საუნაში გახლავთ. მისი შიშველი მკერდი აშკარად სილიკონისაა — თუმცა, ნამდვილად შესანიშნავად გამოიყურება. აქაც ვერ ტოვებს შეფს, პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, — გავიფიქრე ირონიულად. რა მეხუმრება მე, უბედურს!..

ვიკა და სანდრო ოთახში ბრუნდებიან. სანდრომ ლანგარი მაგიდაზე ჩამოდგა, ჭიქა წყალი და ვაშლი მომიჩოჩა. ვიკამ თავის ყავას ხელი დასტაცა და სავარძლის კიდეზე ჩამომისკუპდა.

— კასეტას გაჩვენებ, ოღონდ, სანდროსთან ერთად არ შემიძლია, უხამსობაა, — ვიპრანჭები მე და „სტოპს“ ვაჭერ თითს.

— საეჭვო რაღაცებით ერთობით, გოგებო, — უგერგილოდ იღრიჭება სანდრო. — კარგი, დაგტოვებთ, ოღონდ — დიდი ხნით არა. მეც მაქვს კასეტა, მინდა, გადაგიღოთ, — ამბობს და ვიკას თვალს თვალში უყრის.

„ფლეის“ დავაჭირე და ეკრანისკენ გადმოხრილ „დაქალს“ მხარი უხერხულად გავკარი.

— ვაი, დავიწვი! — კივილით წამოხტა ვიკა და კალთაზე დაქცეულ ყავას იფერთხავს. დრო ვიხელთე, ლანგრიდან აღებული ვაშლი სავარძლის ქვეშ შევტენე და ზურგს უკან დამალულს ვტაცე ხელი.

— ვაიმე, ძალიან დაიწვი? — მზრუნველად ვეკითხები „მეგობარს“.

— არც ისე... არა უშავს, გადავიტან...

ისევ სავარძელში ვჯდები და მის თვალწინ მადიანად ვკბეჩ ვაშლს...

ოთახში ვიკას შეკივლებით შეშინებული სანდრო შემოვარდა. ვიკა ხელსახოცით კაბას იწმენდს, სანდრო მის მოძრაობებს აყოლებს თვალს, მე კი დემონ-

სტრაციულად ვახრამუნებ ვაშლს, მერე დივანზე თავქვე ვწვები და ვირინდები. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ჩემი ქცევა დასაძინებელი წამლის თუ საწამლავის ქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის მოქმედებას, მაგრამ შიშისგან ცივი ოფლი მასხამს და ხელ-ფეხი მეყინება.

— შეხედე, დაიძინა! — შეყვირა ვიკამ. წყვილმა, როგორც იქნა, მომაქცია ყურადღება.

— სასწრაფოდ აიღე კამერა და კასეტები! წავედით, ანდერძი უნდა ვიპოვოთ.

— ანდერძი როგორ ავიღოთ? — ჩურჩულებს ვიკა.

რედაქციაში მიხვალ და ეტყვი, მარიანამ გამომგზავნა-თქო. თავისი ხელით მოგცემენ, — მოკლედ უჭრის სანდრო.

— მე იქ არ წავალ! — გაჯიუტდა ვიკა. როგორც ჩანს, ახლა მაინც შერცხვა... ენა კარგად მიუტანა!.. — ბოღმა მახრჩობს მე.

— კარგი, არ შეგაწუხებ, მე თვითონ წამოვიღებ! — სიბრაზე შეერია ხმაში სანდროს.

ვიკამ ჩემი ჩანთა გადმოაბრუნა და კასეტები სათითაოდ აკრიბა.

— თერთმეტია.

— ასეც უნდა იყოს.

ისინი ჩურჩულით ლაპარაკობენ, მაგრამ სმენა საოცრად მაქვს გამახვილებული და არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენია.

სანდრომ პირაღმა გადმომაბრუნა. შიშისაგან გული გამეყინა. ხელ-ფეხიც ცივი მაქვს.

— მშვიდობით, ჩიტუნიავ... — მეჩურჩულება ჩემი არშემდგარი სიყვარული და შესამოწმებლად ხელს ხელზე მკიდებს. — გაცივებულა.

— რა თქვი? — ეკითხება ვიკა და ხმაში შიშს ვატყობ. ალბათ, სიკვდილისთვის მაინც არ ვემეტები.

— ჩქარა წავიდეთ, ამ კასეტებზე ჩვენი მომავალი კეთილდღეობაა დამოკიდებული. — სანდრო ხელს ატყაპუნებს კამერის შავ ჩანთაზე.

ვიკა კიბეს ჩაუყვა და უცებ, ჩემს სმენას უცნაური ხმა მოსწვდა. ფრთხილად გავახილე თვალი. სანდრო ჩემგან სანახევროდ მიბრუნებული დგას, ხელში პისტოლეტი უჭირავს და ზედ მაყურს ამაგრებს. „უნდა მომკლას. — გამიელვა გულგახეთქილს — თუმცა, რატომ უნდა მესროლოს, როცა ისედაც მკვდარი ვგონივარ?.. იქნებ, საკონტროლოს გაისვრის და მეც ისე მიპოვიან, როგორც მანოლი და კრიხელი ნახეს, აკურატული ნახვრეტით თავში?..“

შიშისაგან ლამისაა, გონება დავკარგო. მაგრამ მოულოდნელად, კიბის ჭრიალი მომესმა და მივხვდი, რომ სანდრო კიბეზე დაეშვა. „ვიკას მოკლავს! — მივხვდი უცებ. — რაში სჭირდება ზედმეტი მოწმე? მით უმეტეს, რაც ანდერძის წამოღებაზე უარი უთხრა. თვითონაც კარგად მიბრძანდება რედაქციაში, დააბამს რომელიმე სულელ კორესპონდენტს და ჩემს უჯრას გაახსნევინებს. ვიკას მოკვლის შემდეგ, მეც მომიღებს ბოლოს. საკონტროლოს მესვრის — ეჭვიც აღარ მეპარება... უნდა გავიქცე!“

წამოვდექი. ჩანთიდან გადმოვარდნილ მობილურს ხელი დავტაცე და აივნიდან გადავძვერი. კედელს მივეფარე. სანდროს ვხედავ, მანქანის კარს აღებს, ცოცხალი და საღ-სალამათი ვიკა, მანქანაში ჯდება. მოულოდნელად, სანდრო ისევ გადმოდის მანქანიდან და სახლისკენ მოიჩქარის. ვიკაც გადმოჰყვა.

— ღმერთო ჩემო, სახლში რა უნდა? ახლა ნახავს, რომ აღარ ვარ და მომკლავს, — გამაცივა მე.

— ტატო, სად მიდიხარ? — ყვირის ვიკა.

— ახლავე, ტელეფონს წამოვიღებ და წამოვალ, — პასუხობს ტატო თუ სანდრო... მობილური თუ არ ავიღე, მალე მიაგნებენ.

ვიკა ფეხდაფეხ შეჰყვა სანდროს სახლში და მეც თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი ძველი თონისკენ. ფიცარი ავწიე და თონეში ჩავხტი. ძალიან გამიმართლა, ჭა რომ არ აღმოჩნდა ფიცარგადაფარებული, გალესილი ცილინდრის ქვეშ.

თითქმის დამჯდარი ტელეფონი ჩავრთე და ირაკლის ნომერი ვიპოვე.

მიპასუხე, გეხვეწები!.. — ვაწვები ღილაკს.

— თქვენ დარეკეთ ნომერზე... — მესმის ავტომოპასუხის ხმა.

— ირაკლი, მიშველე, მკლავენ! — ჩავჩურჩულე ყურმილს. ციფერბლატი ჩაქრა, ტელეფონი გაითიშა. თითქოს ამის პასუხად, სულ ახლოდან მესმის სანდროს ხმა:

— სად მოტყდა ეგ კახპა, მაგის დედა!..

— ტატო, წავიდეთ, გეხვეწები, რა უნდა დაგიშავოს? — ემუდარება ვიკა.

— შენც მომწყდი თავიდან! — ახლა ვიკას უკურთხებს სანდრო რუსულად. — გგონია, მართლა წაგიყვან ამერიკაში?

ჯერ უცნაური ტკაცუნი გავიგონე, შემდეგ — სროლის ხმა, რომელიც სულ არ ჰგავდა მაყუჩიანი იარაღიდან გასროლას. ყურებზე ხელი ავიფარე. რაღაც ყრუ ლაპარაკი მომესმა, სიტყვები ვერ გავარჩიე. უცებ, ვიღაცის ღონიერმა ხელმა ერთი მოსმით გადახადა ჭას სახურავი, შიშისაგან დახუჭული თვალები გავახილე და ჭის თავზე, დახრილი, ჭაღარა მამაკაცის ნაცრისფერ თვალებს წავაწყდი.

— Сиди и не рыпайся! — გამოცრა კბილებში.

ეს კაცი სადღაც მინახავს, — გამიელვა გონებაში. უეცრად ვიგრძენი, როგორ ჩამეღვარა სიმძიმე სხეულში, თვალები დავხუჭე და შავმა სიბნელემ მშთანთქა...

გონს ჭიშკრის გაღების ხმამ მომიყვანა. ჭიშკართან ხელებგასისხლიანებული, წელში მოხრილი სანდრო ბარბაცებს და გაღებას ცდილობს. მისი მანქანა ჭიშკრის წინაა გაჩერებული. მე სამალავიდან ამოყოფილი თავი სასწრაფოდ ისევ ჩავმალე და მივაყურადე.

საცოდავი ვიკა! სანდრომ ალბათ, მისი გვამი სადმე სახლის უკან გადამალა... ისევ გამახსენდა, როგორ დასჭექა იარაღმა და უცხო მამამაკაცის სახე თვალწინ დამიდგა. ნეტავ, ვინ იყო?.. ვლადი, — მეცნო ვაჟა-ფშაველაზე, კორპუსიდან გამოსული მამაკაცის აღნაგობა და გამახსენდა, თუ როგორ გაუყვა ქუჩას, პროფესიონალი სამხედროსათვის დამახასიათებელი ნაბიჯით.

ჭიშკრის დახურვის ხმა გავიგონე, შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოწვა, რამდენიმე წუთის შემდეგ, კიდევ ერთხელ გავბედე თონიდან თავის ამოყოფა. ეზო ცარიელი მომეჩვენა. სამალავიდან ამოვცოცდი და წელში მოხრილი, სახლისკენ გავიქეცი.

კიბესთან სისხლის გუბე დამხვდა. კიბის ქვეშ რაღაც, შავად ბზინავდა: ბალახში სწორედ ის იარაღი ეგდო, რომელსაც სანდრომ მაყუჩი წამოაცვა. ხელი შევყავი და პისტოლეტი გამოვაცოცე. „მაგნუმი“. ზურგს უკან, ლითონის ჭიშკრის ჭრიალის ხმამ კვლავ ჩართო ჩემი თვითგადარჩენის ინსტინქტი.

იქით გავიხედე. ვიღაც კვლავ აღებს ეზოს მძიმე ალაყაფის კარს. კიბის ქვეშ გავმაგრდი და მაყუჩიანი ლულა საფეხურებს შორის გავყავი, პირდაპირ ჭიშკარს დავუმიზნე, შებინდებულზე კარგად ჩანს, თუ როგორ შემობრუნდა სანდრო ეზოში, მაგრამ ახლა, რატომღაც აღარ ბარბაცებს და წელში გამართული ცქვიტად აღებს ალაყაფს ფართოდ. ეტყობა, მანქანა უნდა შემოიყვანოს. შეძრწუნებულმა იარაღს მაგრად მოვუჭირე ხელი და შევკივლე:

— ფეხი არ გადმოდგა, თორემ გესვრი! — ძალა მოვიკრიბე, წამოვიმართე და ორივე ხელში ჩაბღუჯული იარაღი წინ გავიშვირე.

— რა მოგივიდა, მარიანა? მე ვარ, ირაკლი, ძლივს მოგძებნე. ნუ მომკლავ, კიდევ გამოგადგები, შენც და სამშობლოსაც.

შეფის ხალისიანმა ხმამ ჩემზე პარადოქსულად იმოქმედა: ბალახში ჩავჯექი და ხმამაღლა ავტირდი. ასე, აღრიალებული ჩავუვარდი მკლავებში ირაკლი მაღრაძეს, რომელმაც ხელში ამიყვანა და მანქანისკენ წამიღო.

კართან ადამიანების ჯგუფი შევნიშნე, ორ მათგანს პოლიციელის ფორმა ეცვა.

— ოთახში, სავარძლის ქვეშ, მოწამლული ვაშლი აგდია, არავინ შეჭამოს!.. სანდრო გაიქცა; მგონი, ტატოა... ვიკა მოკლა... ან იქნებ, ჯერაც ცოცხალია?.. კასეტები წაიღო. მე მარტო ერთი გადავმალე, სავარძელში... გველისთვლიანი ბეჭედი ვიდეოკამერაა... — ვლუღლუღებ, შეფის მკერდში თავჩარგული.

— დაწყნარდი, ყველაფერი დამთავრდა, გადარჩი და ეგ არის, — თავზე ხელს მისვამს ირაკლი. — ტატო დაკავებულია, მის მანქანაში შენი გადაღებული ფოტოები ნახეს და შენი გატაცების ეჭვის საფუძველზე დააკავეს. შენც ასე მოგაგენით, ვიკასაც ვიპოვით, ნუ გეშინია, ნიორ, — ჩემსავით დაბნეულად მეჩურჩულება შეფი და მის ხმაში ჩემდა უნებურად, უფრო სხვა, თბილი და შინაურული ინტონაცია დავიჭირე, ვიდრე უბრალოდ, თანაგრძნობით შეპყრობილ ირაკლი მაღრაძეს სჩვევია.

ირაკლის მანქანას სხვა მართავს. შეფი გვერდით მიზის, მე მხარზე თავი მივადე და დღევანდელი დღის განმავლობაში პირველად, სასიამოვნო თვლემა მომერია. „გადავრჩი, — ვფიქრობ და მიხარია. — ირაკლიმ გადამარჩინა, ვერავინ ვერაფერს დამაკლებს“, — ასე შევცურე ძილის ღმერთის — ჰიპნოზის ბანგიან სამყაროში...

თავს გადამხდარმა შოკმა თავისი შედეგი გამოიღო: ლოგინად ჩავვარდი, ორი დღე მაღალი სიცხე მქონდა და ირაკლი მაღრაძე მზრუნველი მამასავით მივლიდა. ჩემმა რეიტინგმა რედაქციაში მაქსიმუმს მიაღწია, მაგულიც კი მობრძანდა ჩემს მოკრძალებულ ბინაში ანანასებითა და ბანანებით ხელდამშვენებული.

ჟურნალისტთა დელეგაციებს მედგრად იგერიებდა ირაკლი მაღრაძე. ორი ადამიანი, ვისაც მისი აზრით, ჩემთან შემოსვლისა და საუბრის უფლება ჰქონდა, გამომძიებლები — ლევანი და ალეკო იყვნენ. თუმცა, ვინ ვის მოუწყო დაკითხვა, ძნელი სათქმელია, რადგან მათ ერთ შეკითხვას, ათით ვპასუხობდი. ისინიც, რატომღაც, განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდნენ ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას.

— ტატო აგიაშვილი, იგივე სანდრო თოფურიძე, კრიხელის სიძე გახლავს, — ალეკომ მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა.

— კი, მაგრამ კრიხელის სიძე ხომ, აეროპორტში რომ ახალგაზრდა კაცი დაქროდა, ის არის!

— ისიც სიძეა, — თავი იმართლა ლევანმა. თავის დროზე, სწორედ მისგან მივიღე ეს ინფორმაცია. — ოღონდ, ის დის ქმარია.

— როგორ? და ორმოცდაათი წლის იქნება, ის კი სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო!..

— ჩვენში ჯერ არავინ კრძალავს, ოცი წლით უმცროსი, ახალგაზრდა კაცის ცოლობას, — გაიღრიჭა გამომძიებელი. — როგორც ამბობენ, ამ ქორწინების შემდეგ, მედეა კრიხელი შესამჩნევად გაახალგაზრდავდა და დამშვენდა. ტატო, კრიხელის ქალიშვილის, მაგდას ქმარია. უფრო სწორად — ყოფილი ქმარი, რადგან შენი აღმოჩენილი წერილისა და ანდერძის გაცნობის შემდეგ, მაგდამ კასეტაც ნახა და გადაწყვეტილებაც მიიღო. ასე რომ, დარდიანი მეუღლე, ტატო აგიაშვილთან ორთაჭალის ციხეში მოსაკითხებით არ დადის.

— კრიხელი რატომ მოკლეს?

— მოსე კრიხელმა რესტორნები და საუნები საპატრონოდ სიძეს ჩააბარა. თვითონ იშვიათად ჩამოდიოდა ამერიკიდან, უფრო სერიოზული პროექტების განვითარებაზე მუშაობდა. ტატოს მთავარი უბედურება ქალებია და ის, რომ კაზინოში შესვლისას, საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს. თამაში მისი ცხოვრების წესია. ფორტუნაც ხშირად არ წყალობს, ამიტომაც ვალებში დაიხრჩო. ხელგაშლილი ცხოვრებაც უყვარს. აკი, ვიკაც მონტე-კარლოში გაიცნო. ჰოდა, სიძემ გადაწყვიტა, სიმამრის ბიზნესში საკუთარი შტრიხები შეეტანა და თავის მეგობარ ანდროსთან ერთად, სარფიანი საქმეც ააწყო. სხვათა შორის, მედეა კრიხელის „ბოდიგარდსა“ და მძღოლს მართლა ანდრო ჰქვია. მანოლის მასაჟის ოთახის უკან სამონტაჟო პულტი მოაწყვეს, საუნაში პატარა ვიდეოკამერა ჩაამონტაჟეს. კრიხელის სიძე კლიენტების აგდებაზე მუშაობდა. ხალისიან და კონტაქტურ ტატოს ყველა იოლად უმეგობრდებოდა. გართობაში აყოლილი მეგობრები მამაკაცურ ღრეობებს აწყობდნენ, ალკოჰოლი და მსუბუქი ნარკოტიკი თავისას შვრებოდა, ტატოს წინადადებას, საუნაში ორგია მოეწყოთ, ყველა სიამოვნებით თანხმდებოდა. ბევრი მათგანი, ვინც ჩვენ დავკითხეთ, დღესაც გაკვირვებულია, საიდან დაებადათ ასეთი უცნაური სექსუალური ფანტაზიები. ტატოს დავალებით, ქალები მაქსიმალურად ცდილობდნენ, საუნის ორგიებში ისეთი დეტალების შეტანას, რომელთა გამჟღავნება კლიენტებს განსაკუთრებით შეაწუხებდათ. ლამაზმანების მაცდურ შემოთავაზებებს, ამჩატებული ვიპ-პერსონები იშვიათად უწევდნენ წინააღმდეგობას. იქ ერთი კასეტაა: მეძავი, ალბათ, თერთმეტიოდე წლისაა; მამაკაცი კი გვიმტკიცებდა, რომ ამას მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, რაც ვულგარულად შეღებილ გოგონას საუნაში მაკიაჟი მოშორდა, მანამდე, იგი ოცდაოთხ წლამდე ასაკის, კარგად გამოცდილი და სტაჟიანი პროფესიონალი ეგონა, უბრალოდ — ძალიან გამხდარი და სუბტილური. სამწუხაროდ, სტატუსიც და გამოცდილებაც მცირეწლოვან სიყვარულის ქურუმს მართლაც, დიდი აქვს. ის ტრეფიკინგის ტიპური მსხვერპლია. ტატომ შუა აზიიდან ჩამოიყვანა და როგორც ირკვევა, მშობლებისგან იყიდა... სხვათა შორის, პორნობიზნესის მამები კლიენტის ნებისმიერი სურვილის შესასრულებლად კონტინგენტის რასობრივ მრავალფეროვნებაზეც ზრუნავდნენ. ამ ხალისიანი გართობის საბოლოო შედეგი კი, შანტაჟი და ფულის გამოძალვა იყო.

— ტრეფიკინგი დღემდე, მხოლოდ აქედან უცხოეთში წაყვანილების გასაჭირი მეგონა.

— რას ამბობ!.. ტატო ქალებისთვის პასპორტების მოპარვის და მათი კაბალურ პირობებში ჩაყენების დიდოსტატი იყო.

— კი, მაგრამ რა უშლიდათ ხელს,

პოლიციისთვის მიემართათ?

— აქ ბევრი ფაქტორი მუშაობს. ჯერ ერთი, ამ ქალებიდან, განსაკუთრებული გონიერებით არავინ გამოირჩევა. მეორეც, ტატოც და ანდროც მათ უმტკიცებდნენ, რომ პოლიციას ძალადობის მეტს, ვერაფერს გამორჩებოდნენ. ამ აზრს, ქართული ტელეარხებით პოლიციის ქმედებების შესახებ გადაცემული ინფორმაციაც ამყარებდა. ქალებსაც დუმილი ერჩიენათ და რაც მთავარია, მათი უმეტესობა, ტატოზე უგონოდ შეყვარებული იყო, ამიტომ მის ყველა სურვილს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ხავერდოვანი ხმით და გალანტური მანერებით, ქართველმა კაზანოვამ არაერთი გული მოინადირა. — მომეჩვენა, რომ ამ სიტყვებზე ლევანს ჩემკენ გამოექცა თვალი და ჭარხლისფერი დამედო.

— მაინც ვერ გავიგე, ვინ და რატომ მოკლა მოსე კრიხელი და მანოლი?

— ო, ამის მიზეზი, მანოლის ზედმეტი ცნობისმოყვარეობა იყო. ერთ დღეს, ტატო აგიაშვილს სამონტაჟოს კარი ღია დარჩა. სწორედ იმ დღეს, იგი განსაკუთრებით ღელავდა... იმ კადრების გადაღებას, რომლებიც იმ დღეს დაგეგმილი ჰქონდა, ვერავის ანდობდა: არ ვიცი, რაში დასჭირდა თავისი და ვიკას სექსის გადაღება, მაგრამ ვფიქრობ, მომავალში, მდიდარი ქალიშვილის შანტაჟს აპირებდა... მოკლედ, სწორედ იმ დღეს შეაღო მანოლიმ სამონტაჟოს კარი. იგი მაშინვე მიხვდა ყველაფერს, მით უმეტეს, რომ შანტაჟის შესახებ ჭორები გაგონილი ჰქონდა. როგორც მოსე კრიხელის დაცვის უფროსისგან გავიგეთ, ჯერ საქმიან წრეებში შეექმნა პრობლემები კრიხელს, — საუნის რამდენიმე უიღბლო კლიენტმა მასთან კონტაქტი გაწყვიტა. კრიხელს ეჭვები ღრღნიდა. ბოლოს, მანოლის გამოუტყდა თავის ეჭვებში იმ ღამეს, როცა გაიგო, რომ მანოლი მისი შვილი იყო. მანოლიმ, როცა კასეტა აპარატიდან ამოიღო, არ იცოდა, რომ მოსე მამამისი იყო. კონკრეტულად არც ის იცოდა, რაში გამოიყენებდა გადაღებულ კადრებს. იქნებ, იფიქრა, მოსეს სიძის მაკომპრომეტირებელი მასალა მის დასაშანტაჟებლად გამოეყენებინა. ან იქნებ, მაშინ არც არაფერი უფიქრია, უბრალოდ მიხვდა, თუ რა ბომბს წააწყდა და იმიტომ აიღო კასეტა. მოტივზე იგი არაფერს წერს თავის დღიურში. დღიური მანოლის სახლში ვიპოვეთ, ფოტოაპარატის ჩანთის ორმაგ ძირში. სამაგიეროდ აღწერს, თუ როგორ მოიქცა: ვიდეოკამერაში სხვა კასეტა ჩადო (ერთნაირი, გაუხსნელი კასეტები სამონტაჟოში ბლომად ეყარა), თითი დააჭირა „პაუზას“ და ოთახიდან ჩუმად გაიპარა. დღიურების წერის სიყვარული მანოლის, როგორც ჩანს, დედისგან გამოჰყვა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მისი ეს თვისება ძალიან გამოგვადგა... ტატოს გული დასწყდა, როცა გაიგო, რომ კადრები ვერ გადაიღო. ეს შეცდომა სიჩქარეს და გამოუცდელობას დააბრალა — სამონტაჟოში ხომ ძირითადად, ანდრო მუშაობდა. მოკლედ, ცოტათი იდარდა და დამშვიდდა. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ვიღაცამ გამოცვალა კასეტა. მანოლიმ მამამისს გაცნობის ღამეს დაუდო მაგიდაზე ვიკასა და ტატოს სიყვარულის საბუთი — კასეტა, თან დაჰპირდა, რომ სხვა კასეტებსაც მოუტანდა. მისგანვე შეიტყო კრიხელმა, თუ რა ხდებოდა საუნაში. რამდენიმე ხანში, მანოლიმ უცხოეთში ტატოს გამგზავრებით ისარგებლა და სამონტაჟოს კარი ჩუმად გააღო. მას კასეტების აღება და მათ ადგილას ცარიელების დადება არ გასჭირვებია. კარადებს საუნაში ერთნაირი, კოდიანი საკეტები ჰქონდა, სამი ციფრისგან შემდგარი. მასაჟისტმა მათი გაღება კარგად იცოდა. მანოლიმ კასეტები კრიხელს მიუტანა. მან ჩათვალა, რომ გაბრაზებული კრიხელი სიძეს თავიდან მოიშორებდა, თვითონ კი, მისი ჩაშვებისთვისაც მიიღებდა საჩუქარს და მამის სიყვარულსაც დაიმსახურებდა.

— ტატო კასეტებს საუნაში ინახავდა? — გავიკვირვე მე.

— ეს გადაღებული მასალის მხოლოდ ნაწილი იყო, დანარჩენს მისი პენსიონერი დედის ბინაში მივაგენით. დამსახურებული პენსიონერის საწოლის ქვეშ ისეთი პორნოვიდეოთეკა აღმოვაჩინეთ, რომ ნახო, გაგიჟდები.

— ნუ ღელავთ, ნანახი მაქვს, — ცხვირი ავიბზუე მე.

— შენ რაც ნანახი გაქვს, ამასთან შედარებით, უმანკო მელოდრამაა. თან, მთავარ როლებში ბევრად უფრო მაღალი რანგის პერსონებიც მონაწილეობენ — შესაბამისად, ასეთი ვარსკვლავებით, ფილმების საკასო შემოსავალიც ბევრად სერიოზული უნდა იყოს.

— თუ კრიხელმა არაფერი იცოდა, რატომ ეკეთა ბეჭედი?

— ბეჭდის ამბავიც ძალიან სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ამ ბეჭედს, რომელიც იაპონური მაღალი ტექნოლოგიების შესანიშნავი პროდუქტია, საქმეში სულ ორი ადამიანი იყენებდა: ტატო და მისი უახლოესი კომპანიონი ანდრო. ყოფილი ოქრომჭედელი, მოსე კრიხელი მოხიბლული იყო ბეჭდის დიზაინით და თავისი აღტაცება ხშირად გამოუხატავს. მაგდამაც გადაწყვიტა, მამა გაეხარებინა: ქმრის ბეჭედს ჩუმად გადაუღო ფოტო და იუველირს ზუსტად ასეთივე დაამზადებინა, იმ განსხვავებით, რომ ტატოს ბეჭედს ბრილიანტი ეხსნებოდა და მის ქვეშ ღილისხელა ობიექტივი იყო ჩასმული, რომელიც ტატოს სამაჯურში ჩამონტაჟებულ მინიგადამცემს უერთდებოდა. ვიდეოსიგნალი პირდაპირ სამონტაჟოში მიდიოდა. საუნაში მეორე, უძრავი კამერაც იყო დამონტაჟებული, მაგრამ კლიენტებზე განსაკუთრებულად მძიმე შთაბეჭდილებას მსხვილი ხედით გადაღებული კადრები ახდენდა.

მკვლელობის დღეს, სტადიონზე სიმამრი სიძეს ხაზგასმით ცივად ექცეოდა, სერიოზული საუბრისთვის ოფისშიც დაიბარა და როცა მოსე კრიხელმა მკერდზე მრისხანედ გადაჯვარედინებული მკლავები გაშალა, ტატოს ელდა ეცა: მის ხელზე ბეჭედი დაინახა და გადაწყვეტილებაც მაშინ მიიღო. მან იცოდა, რომ ბეჭედი ანდროს უნდა ჰქონოდა. ძმაკაცის ტელეფონი გათიშული იყო, ის საუნაში მუშაობდა კლიენტთან. ტატოს ბევრი აღარ უფიქრია, სტადიონთან, ბოშისგან შავი ქუდი და სპორტული ქურთუკი იყიდა, ქუდში თვალებისთვის ნახვრეტები ფრჩხილის მაკრატლით ამოჭრა. იარაღი თან ჰქონდა. მას შემდეგ, რაც სამონტაჟოდან თერთმეტი კასეტა დაიკარგა, ძალიან დაფრთხა. მან, კასეტების დანაკლისი იმ დილით აღმოაჩინა და ისინი, შანტაჟის რომელიმე მსხვერპლის მიერ წაღებული ეგონა. ბოლო დროს, ბევრი მტერი გაუჩნდა... ათიოდე წუთში, ტატომ მოიმიზეზა — ტელეფონი დამიჯდაო, — და მანოლის მობილური სთხოვა... მოსე უკვე ლოჟაში იყო. მანოლი კი სტადიონზე მოგვიანებით მივიდა და ტატოს გადააწყდა.

ტატომ მაგდასგან გაიგო, მამამისი რაღაც სერიოზულის თქმას რომ აპირებდა მანოლის შესახებ. დიდხანს არ უფიქრია, მანოლის აპარატი გამოართვა და მოსეს მისი ტელეფონით დაურეკა. სტადიონის ხმაურში მოსემ ხმა კარგად ვერ გაარჩია, მაგრამ ნახა, რომ მანოლი ურეკავდა და აღელდა. მამაშვილი აპირებდა, ასლების გადაღების შემდეგ, კასეტები ისევ თავის ადგილზე დაედო და ტატო ფაქტზე დაეჭირა. ცოტა ხანში, მოსემ „მანოლის“ მესიჯიც მიიღო, რომელიც სტადიონის ტუალეტში იბარებდა სასწრაფოდ. მოსე კრიხელი ვერ მიხვდა, რომ მესიჯს ტატო უგზავნიდა. თან სეიფის გასაღებიც ჰქონდა წამოღებული მანოლისთვის გადასაცემად და ამიტომ, მიღებულ შეტყობინებას ენდო... მოსე მთელი ღამე მანოლის სახლში კასეტებს იწერდა და უყურებ-

და. მანოლი კი, საუნაში იყო ჩასაფრებული და დილით ადრე, სულ ერთი საათით გავიდა სათვალთვალო პოსტიდან, ინვალიდი დეიდისთვის წამლის მისატანად. ბედის ირონიით, ტატო დილაუთენია გაქანდა საუნაში, კასეტის ასაღებად. იგი ამერიკიდან სერიოზული ვალებით დაბრუნდა და მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებას ჩქარობდა. მამა-შვილი აპირებდა, სტადიონზე ტატოს ყოფნით ესარგებლა და კასეტები დაებრუნებინა. ამიტომ მოსე არც დაფიქრებულა, ისე წავიდა ტუალეტში. კაბინაში შესულ კრიხელს მანოლიმ ქალაქის ტელეფონით დაურეკა. მათ გაარკვიეს, რომ შეცდომა დაუშვეს. მანოლი ტუალეტისკენ გაიქცა. კრიხელმა კი, ყოველი შემთხვევისათვის, კონვერტი დამალა და ის იყო, გაქცევა დააპირა, რომ გვერდითი ტუალეტიდან თავზე შავქუდჩამოფხატული სიძე გამოუხტა, იაფფასიან სპორტულ ქურთუკში გამოწყობილი. ტატო სიმამრს მამაკაცების ტუალეტში ელოდა. ასო „ძ“ კარზე ფანქრით ეწერა და კრიხელმა ვერ შენიშნა, ამიტომ შენსავით, პირველივე კარში შევიდა.

კრიხელმა სიძე ასეთ ფორმაში ვერ იცნო და ტატოს დაქირავებულ კილერად ჩათვალა. ტატომ სიმამრს ესროლა. ამ მომენტში, ტუალეტში მანოლიმ შეიხედა, დაფრთხა და უკან გაიქცა. სწორედ მაშინ გადაგეყარა დერეფანში „შრამიანი“ კაცი. მანოლი ტატომაც დაინახა და გამოეკიდა, მაგრამ შენი ქუსლების ბაკუნის გაგონებაზე გაბრუნდა და მეორე ტუალეტში დაიმალა.

— ეს ყველაფერი საიდან გაიგეთ?

— ნაწილი — მანოლის დღიურიდან, რაღაც ინფორმაცია — მანოლის და კრიხელის მობილური ტელეფონებიდან: მესიჯები ვნახეთ. ნაწილს მივხვდით. ცოტაც ტატომ გვიამბო.

— მანოლი რატომ რეკავდა ჩემთან?

— ამის მიზეზიც, მისი დღიურიდან გავიგეთ. მან იცოდა, რომ მოსეს მისთვის კასეტები უნდა დაებრუნებინა. შენ ტუალეტში დაგინახა, პოლიციელთან მოლაპარაკე. დათოს მანქანაში რომ ჩაჯექი, უკან გამოგყვა და სახლში დაგირეკა.

— ტელეფონის ნომერი როგორ გაიგო?

— ქუჩაში, ბირჟაზე, მეზობლის ბიჭებისგან. მათ მანოლი შენი თაყვანისმცემელი ეგონათ და ნომერი მისცეს.

— მანოლი რატომ მოკლა ტატომ?

— ჯერ ერთი, ბევრი იცოდა. მერე, ტატო შენი ინტერვიუდან იმასაც მიხვდა, რომ მანოლი მოსესთან ერთად მოქმედებდა და კასეტები მისი წაღებული

იყო.

სამონტაჟო ოთახში ჩვენ უამრავი აპარატურა აღმოვაჩინეთ. რაც შეეხება მისი და ვიკას კასეტას, რის გამოც შენ ყველაფერს მიხვდი, ტატო დარწმუნებული იყო, რომ ეს კასეტა ბუნებაში არ არსებობდა.

— მაინც ვერ გავიგე, ვიკასთან სექსის გადაღება რაში დასჭირდა ტატოს? როგორ დააშანტაჟებდა ქალს? — იმ კასეტაზე ხომ არაფერი აკრძალული არ ხდებოდა: ვიკა ახალგაზრდა, თავისუფალი ქალია, — ირაკლიმაც ამოიღო ხმა.

— როგორც თვითონ ამბობს, წარმოდგენაც არა აქვს, საიდან გაჩნდა კასეტა მანოლისთან. მისი თქმით, სალაპარაკოდ მივიდა და არა მოსაკლავად. ვიკა კი შენთან იმისთვის გამოგზავნა, რომ ფიქრობდა — კასეტების გზა-კვალი შენთვის ცნობილი იყო. კრიხელებთან ბოლო, ოჯახური სადილის შემდეგ, ეჭვი გაუჩნდა, რომ მისი და ვიქტორიას სიყვარულის შესახებ სიმამრმა რაღაც შეიტყო და არ უნდოდა, რომ ეს ამბავი მაგდას გაეგო.

მე უეცრად, ვიკას პარიზული ამბავი გამახსენდა და მივხვდი, რომ ეს კასეტა ტატოს არ გადაუღია. როგორც ჩანს, ვიქტორიამ კარგად იცოდა სამონტაჟოს არსებობა. ეს მან ჩართო ჩაწერაზე კამერა-ბეჭედი, ისე, რომ ტატოს არაფერი უთხრა. იმიტომაც იქცეოდა ტატო ასე გაუფრთხილებლად და კამერა სარკეშიც გამოაჩინა. ალბათ, ვიკა მერე გამოუტყდა ტატოს თავის ცელქობაში და ისიც დაიძაბა.

— მე კი მგონია, ამ სიტუაციაში მთავარია ანდერძი, — განაგრძო ალეკოს შემდეგ თხრობა ლევანმა.

— ტატომ იცოდა, რომ კრიხელმა ანდერძში რაღაცის სწორება გადაწყვიტა. ესეც მაგდასგან გაიგო. მაგდა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამით მამამისს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა... და კიდევ — ბეჭედი. ტატო ამ ბეჭედმაც შეიყვანა შეცდომაში: ის დარწმუნდა, რომ მოსემ ყველაფერი იცოდა და ამიტომ დაანახვა ბეჭედი.

— ეს ბრილიანტი თავის დროზე, ვასილესკუებს მოჰპარეს? — გამახსენდა ქალბატონი ნინოს დანაბარები.

— არა, ბეჭდის თვალი ორი წლის წინ მოიპარეს მუზეუმიდან. მაგდა აქ არაფერ შუაშია. მან იგი იუველირისგან იყიდა და ბეჭდის დამზადება შეუკვეთა ოსტატს. ამერიკიდან დაბრუნებულმა კი, მკვლელობის დილას, მამას მიართვა საჩუქრად. იმ დღეს, მოსე კრიხელის დაბადების დღე იყო, — ამჯერად ალეკო ჩაერთო საუბარში.

— როცა შენ ვიკას უთხარი, რომ ანდერძი იპოვე, მან მაშინვე ტატოს დაურეკა შენი სახლიდან... ეს ჩანაწერი არსებობს, შენი ტელეფონი ისმინებოდა.

ახლა ლევანმა აიღო ინიციატივა:

— ვიკამ, ტატოს დავალებით, სახლი კარგად გაჩხრიკა, მაგრამ ანდერძს ვერ მიაგნო. წყვილს ძალიან აინტერესებდა, რა ეწერა ანდერძში: კრიხელის ქონება არ ეთმობოდათ. მანოლი კი, როგორც ტატო აცხადებს, აფექტის მდგომარეობაში შემოაკვდა, როცა შეიტყო მისი და ვიკას კასეტის კრიხელისთვის გადაცემის ამბავი.

— შენც ასე ადვილად იმიტომ გაგიმეტა, რომ ანდერძის შინაარსი იცოდი, — დაამატა ალეკომ.

— რას ნიშნავს — გამიმეტა?

— რას და ის ვაშლი რომ შეგეჭამა, სულაც არ დაგემინებოდა ფიფქიასავით, ჯერ კიდურების დამბლა დაგემართებოდა, მერე კი — ლეტალური შედეგი...

— რა შედეგი?

— მოკვდებოდი!..

— ვიკა, ვიკა სად არის? რატომ ვერ იპოვეთ?

— ჩვენ აგარაკიდან წამოსული ტატო სახლის გზაზე დავაკავეთ. შეუძლებელია, ასე მოკლე ხანში, ვიკას გვამის საფუძვლიანად დამალვა მოეხერხებინა, თანაც — თვითონაც ხელში იყო დაჭრილი. თავიდან ვფიქრობდით, რომ ვიკამ დაჭრა, ალბათ თვითონაც დაჭრილმა, რადგან ეზოში აღმოჩენილი სისხლის ლაქები ორი სხვადასხვა ჯგუფის იყო. ტატოც ამბობდა, რომ ვიკამ დაჭრა და ამიტომ იძულებული გახდა, ქალისთვის ესროლა. მთავარ დამნაშავედ მარტინიუკის გამოყვანას ცდილობდა.

— ვიკას იარაღი არ ჰქონია, მისი

პატარა ჩანთა თითქმის გამჭვირვალე იყო.

— ვიცით. ეგეც რომ არ იყოს, შენც გვიამბე უცხო მამაკაცზე, რომელმაც ჭაში ჩაიხედა.

— ვლადი, — წამოვიკნავლე მე. — ის კაცი ვლადია!

— სწორედ ასე უნდა იყოს და ჩვენც ვფიქრობთ, რომ ვლადმა გადაარჩინა ვიკა უეჭველ სიკვდილს, როცა ტატოს ესროლა და ვიკაზე დამიზნებული, მაყუჩიანი პისტოლეტი ხელიდან გააგდებინა. ვფიქრობთ, ანდროს მანქანის აფეთქებაშიც მაგის ხელი ურევია.

— ტატო რატომ არ ახსენებს ვლადს?

— არ ვიცი. როგორც ჩანს, ან ძალიან დაშინებულია, ან რაღაცის იმედი აქვს.

— რისი იმედი? — გავიკვირვე მე.

— აბა, რა გითხრა... თუმცა, რას გაუგებ სიყვარულს?!. — ამოიოხრა ალეკომ და ტრადიციულად მდუმარე, მაგრამ ღიმილით სახეგამთბარ ლევანს გახედა...

ეპილოგი

ტატო აგიაშვილის საქმის განხილვა სასამართლოში საკმაოდ გაიწელა. ერთადერთი, რაც მან აღიარა, მანოლის მკვლელობა და ჩემი მკვლელობის მცდელობა იყო.

მასაჟისტის სახლში აღმოჩენილ სიგარეტის ნამწვზე მისი ნერწყვი აღმოჩნდა. ტატომ ყავის ჭიქები გარეცხა და სახლში საკუთარი თითის ანაბეჭდები არსად დატოვა, მოწეული სიგარეტის ნამწვი კი საფერფლეში ჩარჩა... სიკვდილის წინ, მანოლიმ ისიც ჩაწერა დღიურში, რომ ტატოს მოსვლას ელოდა. თუმცა, ტატო ამბობს, რომ მანოლი თავად უპირებდა მოკვლას, მან კი თავი დაიცვა. კრიხელთან, მისი თქმით, ტუალეტში შელაპარაკება მოუვიდა, მაგრამ არ მოუკლავს — მას მანოლიმ ესროლა, რადგან კრიხელის მამობის ამბავი სიცრუეა და ეშინოდა, რომ მოსე ამას გაიგებდა. მან არ იცის, რომ მოსემ გენეტიკურ ანალიზზე დადებითი პასუხი მიიღო. შანტაჟს და ვიდეოკასეტებს მთლიანად მანოლის აბრალებს. ადვოკატებიც კარგი და მაღალანაზღაურებადი ჰყავს. ასე რომ, იქნებ, რამდენიმე წლით ციხეში ჩასმაც აკმარონ.

არ გეგონოთ, თითქოს ამ ამბებს სპეციალურად ვიძიებ. პრესა გადაჭრელებულია კრიხელის მკვლელობაში ბრალდებული აგიაშვილის ამბებით და მეც ძალაუნებურად ბევრი რამ ვიცი. ერთ-ერთ გაზეთში ისიც იყო ნახსენები, რომ ტატოს ადვოკატებს ფულს ვიღაც უცხოელი ქალი უხდის. „ესეც ვიკას კვალი“ — გავიფიქრე ჩემთვის. მაგდა ქმრის გამოსახსნელად ერთ ცენტსაც არ გადაიხდის. ამის დასტური ის წერილია, რომელიც მან რედაქციაში გამომიგზავნა: „ძვირფასო მარიანა, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გმირობისა და თავდადებისათვის, — მწერდა მილიონერის ქალიშვილი. — თქვენ რომ არა, შესაძლოა, მამაჩემის მკვლელი ურჩხულის მსხვერპლი გავმხდარიყავი“. ძალიან მაღალფარდოვანია, მაგრამ რას ერჩი, — გავიფიქრე ჩემთვის, — ქალი მადლობას მიხდის, რომ ქმრის გარეშე დავტოვე. თურმე, მთავარი სიურპრიზი წინ მქონდა: „გეცოდინებათ, რომ მამის სიკვდილის შემდეგ, დავაარსეთ მისი სახელობის ფონდი და ამ ფონდის პირველი პრიზი, საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიებისათვის, ჟიურის გადაწყვეტილებით, თქვენ გარგუნეთ. დაწესებულ 50.000 (ორმოცდაათი ათას) ამერიკულ დოლარს და სერტიფიკატს საზეიმო ვითარებაში გადმოგცემთ ჩვენი ფონდის პრეზენტაციაზე, 10 სექტემბერს.

მოსაწვევს დამატებით გამოგიგზავნით. უმორჩილესად გთხოვთ, შეგვატყობინოთ თქვენი ანგარიშის ნომერი.

ღრმა პატივისცემით და დიდი სიყვარულით — მარად თქვენი მაგდა“. მოულოდნელობისაგან გავშრი და ფურცელი ხელიდან გამივარდა. იქვე მდგარი დათო დაიხარა ფურცლის ასაღებად და უცებ, ისეთი ყიჟინა დასცა, რომ მთელი რედაქცია შეყარა.

ასე ვიქეცი მდიდარ საპატარძლოდ და კიდევ ერთხელ „გამომაქვეყნეს“ ჟურნალ „რეიტინგის“ გარეკანზე. მოდი და ამის მერე ნუ დაიჯერებ, რომ ჩიტის სკინტლს ფული მოაქვს! ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ: ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სტადიონზე ჩიტმა დამასკინტლა...

მე და მაგდა პრეზენტაციის შემდეგ, დაქალები გავხდით და ხშირად ვსტუმრობთ დეიდა ნინოს, რომელსაც მაგდამ პატიოსნად გადაუფორმა მანოლის მემკვიდრეობის წილი.

ცნობისმოყვარეობა მკლავდა და ერთხელ, მორიდებულად ვკითხე დეიდა ნინოს — როგორ დაისერა სახე მანოლიმ? მანაც არ დაიზარა და მიამბო, რომ სკოლაში დაჭერობანას თამაშისას დაეჯახა შემინულ კარს და შუშის ნატეხი შეერჭო.

ოლიკოს და მოსეს სიყვარულის ამბავი „რეიტინგში“ დაიბეჭდა. მაგდამ წაიკითხა და იმდენი იტირა, რომ ეჭვი მაქვს, საუკეთესო მელოდრამისთვისაც მომცემს პრიზს. მას დიდი გეგმები აქვს და ფონდის დაარსების შემდეგ, რადიოს გახსნას აპირებს — რასაკვირველია, ჩემთან ერთად.

— არა, შენი მარტო დატოვება არ შეიძლება! — განაცხადა, ლონდონიდან დაბრუნებულმა დედაჩემმა, ეს ამბები რომ შეიტყო.

კიდევ ერთი უცნაური ღია ბარათი მივიღე რედაქციაში. მაგრამ მის შესახებ მაგდასთვის არაფერი მითქვამს.

„მარიანა ნიორაძეს, ჩიპოლინოს“, — ეწერა კონვერტზე. წარწერა მთელმა რედაქციამ წაიკითხა და ჩემი ახალი მეტსახელი აიტაცა, თორემ მანამდე, „კერძო გამოძიების დიდოსტატ ნიორა ვულფს“ მეძახდნენ: ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟის, ნირო ვულფისგან მხოლოდ „ერთი ასოთი“ განსხვავდებიო, — უშნოდ მეშაყირებოდა დათო.

ასე შემრჩა „ჩიპოლინო“ მეტსახელად. რაც შეეხება ღია ბარათს, მასზე რიო-დე-ჟანეიროს ფესტივალის მოცეკვავეები იყვნენ აღბეჭდილი; მოცეკვავეებს კაბებად ეგზოტიკური ფრინველების ბუმბული ჰქონდათ დაწებებული; ბუმბული ლამაზი, ლაჟვარდისფერი იყო, ისე მომეწონა ეს ორიგინალური ფოტოარტი, რომ მოღალატე დაქალის გზავნილი დასახევად დამენანა და ყურადღებით წავიკითხე კიდეც: „ძვირფასო ჩიპოლინო, იმედია, მაპატიებ ჩემს დანაშაულს. შენს ამბებს ქართული ინტერნეტ-გამოცემებიდან ვიგებ და ვიცი, რომ კარგად ხარ. ძალიან მენატრები, თუ დამიჯერებ, გამიხარდება. „იმას“ ვერ ვივიწყებ. შენც კარგად იცი — სიყვარული ბრმაა. შენი ვ.“.

— ჰმ, სიყვარული ბრმაა, — ინგლისური ანდაზებით იმართლებს თავს ჩემი დაქალი. კარგი იქნება, ყრუც რომ იყოს, თორემ, როცა სასამართლოში ჩაწერილ, ტატოს ინტერვიუს ატრიალებენ ხოლმე ტელევიზორში, „ძვირფასი მკვლელის“ ხავერდოვანი ბარიტონის გაგონებაზე, გული ტკივილით მეწურება და ჩემი ხანმოკლე გატაცების გამო ყველასი მრცხვენია — განსაკუთრებით მაგდასი, რომელმაც არაფერი იცის და ირაკლი მაღრაძის, რომელიც ყველაფერს ხვდება და ყოველთვის დელიკატურად უვლის გვერდს ტატო აგიაშვილის თემას.

მაღრაძე ჩემი ერთგული მომვლელისა და მცველის როლიდან, კვლავ ჩემს უფროსად გარდაიქმნა. როცა გაიგო, რომ ტუალეტში ნაპოვნი გასაღების ამბავი მასაც დავუმალე, ცოტა ხნით გამებუტა. ვიქტორიას გამოგზავნილი ღია ბარათი მაინც ვუჩვენე. ბარათი გამომართვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შევრიგდით. სათვალე წამოიცვა, ყურადღებით წაიკითხა, თვალები მოჭუტა და ალეკო ბაღაშვილის ფრაზა გაიმეორა: „რას გაუგებ სიყვარულს!..“

დასასრული

მის ფილმოთეკაში სერიოზული დრამატული როლები ძნელად თუ მოიძებნება. მსუბუქი ჟანრის მსახიობთა შორის გოლდი ჰოუნი ის იშვიათი გამონაკლისია, რომელსაც საკუთარი იმიჯი სრულიად აკმაყოფილებს და ტრაგიკულ როლებზე არ ოცნებობს. გოლდი კომედიური ჟანრის მსახიობის ბედს არ უჩივის და კომედიურ ფილმებში უდიდესი სიამოვნებით თამაშობს.

უბერებელი გოლდი ჰოუნი

სხვებსაც ახარებს და თავადაც სიცოცხლით ტკბება

გოლდი ჰოუნის სამსახიობო კარიერა სტაბილურად და წარმატებით ვითარდებოდა. მისი პერსონაჟები რაღაცით ერთმანეთს ჰგვანან, ხოლო გამომსახველ საშუალებათა არსენალი ერთგვარ სიმწირესაც კი განიცდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, კინოკრიტიკა მის ნამუშევარს ყოველთვის სიამოვნებით იღებს, რადგან მის მიერ განსახიერებული ქალები, მსახიობის პროფესიონალიზმის წყალობით მაყურებელს გულწრფელობითა და მომხიბვლელობით აღაფრთოვანებს.

გოლდი ჰოუნი 1945 წლის 21 ნოემბერს ვაშინგტონში დაიბადა. მეკიოლინისა და ცეკვის მასწავლებლის უმცროსმა ქალიშვილმა სიმღერისა და ცეკვის შესწავლა 3 წლის ასაკში დაიწყო და სხვადასხვა დასთან ერთად ხშირად გამოდიოდა. 16 წლისამ სცენაზე შექსპირის ჯულიეტა განასახიერა, 17 წლის ასაკში კი, უკვე თავად ასწავლიდა ცეკვას და ამ ფულით კოლეჯში სწავლის გადასახადს იხდიდა. მოგვიანებით გოლდიმ ამერიკის უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტზე ჩაბარა, მაგრამ უნივერსიტეტი მალევე მიატოვა და პროფესიონალი მოცეკვავის კარიერის გასაგრძელებლად ნიუ-იორკში გაემგზავრა. ამ პერიოდში მას ხშირად ხედავდნენ ამერიკისა და პუერტო-რიკოს კლუბებში, სადაც გოლდი „კანკანს“ ასრულებდა. მისი დღემდე წერწეტა ტანის, მსუბუქი მიხრა-მოხრისა და რიტმის არაჩვეულებრივი შეგრძნების საიდუმლოც აქ იმალება.

კომპანიის სული და გული, მხიარული გოლდი ყველას უყვარდა. მის მიერ მოყოლილ ანეკდოტებსა და პაროდიებზე ხალხი გულიანად იცინოდა. ნიჭიერი მსახიობი მალე შეამჩნიეს და ენდი გრიფიტის ტელეშოუში „კორდებალეტის მოცეკვავე გოგონას“ ეპიზოდურ როლზე მიიწვიეს. შემდეგ კომედიურ სერიალში „დილა მშვიდობისა, სამყაროვ!“ პატარა როლი ითამაშა. სწორედ მაშინ შეიქმნა მხიარული, ეშმაკი და მომხიბვლელი ქერათმიანი გოგონას იმიჯი, რომელსაც გოლდი ჰოუნი მთელი სამსახიობო კარიერის მანძილზე წარმატებით იყენებს.





როდესაც ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი პროდიუსერთა ყურადღებასა და ინტერესს დაიმსახურებს, მისთვის ტელეეკრანიდან ჰოლივუდისაკენ მიმავალი გზა ხსნილია. ეს ხომ შოუბიზნესის დაუწერელი კანონია!

გოლდის მიერ დიდ ეკრანზე განსახიერებული მეორე როლი ტრიუმფალური აღმოჩნდა. ფილმში „კაქტუსის ყვავილი“ (1969), სადაც გოლდის პარტნიორი თავად ინგრიდ ბერგმანი იყო, ნათამაშებმა როლმა ახალგაზრდა მსახიობს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო მოუტანა (მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის). გოლდისათვის ამ ჯილდოს მიღება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დაჯილდოების ცერემონიაზე არც კი წასულა და საკუთარი ტრიუმფის შესახებ მხოლოდ მეორე დილით შეიტყო.

„ოსკარმა“ საშუალება მისცა, რომ როლები თავად აერჩია და გოლდიც დაუფიქრებლად გადაეშვა კომედიის სამყაროში.

მეორე დიდი წარმატება მსახიობს სტივენ სპილბერგის 1974 წელს გადაღებულმა ფილმმა „შუგარლენდის ექსპრესი“ მოუტანა. რეჟისორი ერთგვარ რისკზეც კი წავიდა, როდესაც დამწყებ მსახიობს ეს სერიოზული, დრამატული როლი შესთავაზა. ჰოუნმა შესანიშნავად განასახიერა ქალი, რომელსაც დედობის უფლება ჩამოართვეს და რომელიც თავის დაკარგულ შვილს მთელ ტეხასში დაეძებს. ამ როლმა გოლდი ჰოუნს ნიჭიერი, ჩამოყალიბებული მსახიობის რეპუტაცია დაუმკვიდრა. ფილმები მისი მონაწილეობით უდიდესი წარმატებით სარგებლობდა. 70-80-იან წლებში გოლდი ექვსჯერ იყო წარდგენილი „ოქროს გლობუსზე“ კომედიისა და მუზიკლის საუკეთესო მსახიობის კატეგორიაში.

მსახიობობასთან ერთად გოლდი ჰოუნს შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭიც აღმოაჩნდა. 1980 წელს ის ფილმ „რიგითი

ბენჯამინის“ აღმასრულებელი პროდიუსერი გახდა, ამასთან ერთად გენიალურად ითამაშა ემანსიპირებული ამერიკელი ქალის როლი, რომელმაც არმიაში სამსახური გადაწყვიტა და საბოლოოდ მაღალი სამხედრო ჩინიც მიიღო.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს სურათი ბევრად ადრე გამოვიდა ეკრანებზე, ვიდრე გახმაურებული ფილმი – „ჯარისკაცი ჯეინი“, სადაც დემი მურმა მსგავსი პერსონაჟი განასახიერა. 1980 წელს „რიგითი ბენჯამინი“ „ოსკარზეც“ წარადგინეს, რაც ამასთანავე, თავისთავად მრავლისმეტყველი აქტიცაა.

1992 წელს გოლდი ჰუნმა „შავი კომედიის“ მოყვარულნი გაახარა, როდესაც მერილ სტრიპთან, ბრიუს უილისთან და იზაბელა როსელინისთან ერთად ფილმში – „მას სიკვდილი შვენის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი განასახიერა, სადაც მასხრად აიგდო ქალის პარანოიამდე მისული ლტოლვა მარადიული ახალგაზრდობისა და მომხიბვლელობისაკენ. ეს ფილმი ნებისმიერი „შავი კომედიის“ მსგავსად, გროტესკის უდიდეს ხელოვნებას ითხოვდა. უნდა ითქვას, რომ გოლდის გმირი უფრო მრავალმხრივია, ვიდრე მის პარტნიორთა პერსონაჟები. გოლდის მედლინი – ფილმის დასაწყისში ინტელექტუალური ქალია, რომელიც საქმროს დაკარგვამ დაცემულ ურჩხულად აქცია. მაგრამ შემდეგ კი შურისძიების წყურვილით აღსავსე, მაცდურ და დიდებულ ქალად გვევლინება. „რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, როდესაც ერთ როლში სამ აბსოლუტურად განსხვავებულ ქალად იგრძნობ თავს და თანაც მშვენიერ დროსაც გაატარებ?!“ – ამბობს მსახიობი.

„მას ცხოვრებით ტკბობის გასაოცარი უნარი აქვს“ – ამბობს დაიან კიტონი, რომელსაც გოლდი ჰუნმა შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია ფილმში – „პირველი ცოლების კლუბი“ (1996). „ის ყოველ დილით სვამს კაპუჩინოს და ეს სასმელი მისთვის ყოველ მრომევაზე „არაჩვეულებრივია“. დარწმუნებული ვარ, რომ გოლდი გარშემო მყოფ ადამიანებზე თერაპევტულ ზემოქმედებას ახდენს“ – ასე მიაჩნია ალან ალდას, რომელთან ერთად გოლდი ჰუნმა

ვუდი ალენის სურათში – „ამბობენ, რომ მე შენ მიყვარხარ“ ითამაშა.

წელს გოლდი ჰუნს 60 წელი შეუსრულდება, მაგრამ დღესაც ოპტიმიზმით და ფილმებში თამაშის სურვილითაა აღსავსე. 2000 წელს, ეკრანებზე გამოვიდა სურათი „ქალაქი და სოფელი“, სადაც მსახიობმა კვლავ გაახარა მაყურებელი. სულ მალე კი სიხარულის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებას აპირებს. „ბავშვი დღე-ღამეში 72-ჯერ იცინის, რა ხდება შემდგომ? სად იკარგება მოზრდილებში სიცოცხლისადმი სიყვარული? – ეს ამოუხსნელი ამოცანაა!“ – ამბობს მსახიობი, რომლის სიხარული წლების მანძილზე საყვარელი მამაკაცი – მსახიობი კურტ რასელი იყო. გოლდი ჰუნს პირად ცხოვრებაში დიდხანს არ გაუმართლა. 24 წლის იყო, როდესაც ცოლად გაჰყვა მსახიობსა და რეჟისორს გას ტრიკონისს. 1973 წელს წყვილი ერთმანეთს გაეყარა და მეუღლემ საკომპენსაციოდ... 75 ათასი დოლარი მოითხოვა. გოლდის მეორე ქმარი ბილ ჰადსონი პირველზე უარესი აღმოჩნდა. 1980 წელს, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა, გოლდის ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, ჰადსონს კი – სახლი მალიბუში. კურტ რასელისა და გოლდი ჰუნის რომანი ფილმის – „პარტნიორთა ცვლა სვინგის რიტმში“ გადაღებების დროს დაიწყო. მოგვიანებით, მათ კიდევ ერთ კინოფილმში ითამაშეს. ეს იყო სურათი „ბორტს მიღმა“ – სადაც შესანიშნავად განასახიერეს „შემთხვევითი“ ცოლ-ქმრის როლები. პირველ ქორწინებათა მწარე გამოცდილებამ გოლდი ჰუნი ცრუმორწმუნე გახადა. მან კურტთან ჯვრის დაწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა და მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას დათანხმდა. 20 წლის განმავლობაში წყვილი ბედნიერად ცხოვრობდა და სხვადასხვა თუ



საერთო ქორწინებაში შეძენილ 4 შვილს ზრდიდა.

მასზე 6 წლით უმცროსი მამაკაცის შენარჩუნება გოლდი ჰუნს არასოდეს გასჭირვებია, რადგან ის დღესაც ისევე მომხიბლავად გამოიყურება, როგორც 30 წლის წინათ, რაც მედიტაციისა და სპეციალური დიეტის შედეგიცაა. ბუნებამ კი ნებისმიერი უსიამოვნების, ცხოვრებით ტკბობისა და სხვებისთვის სიხარულის მინიჭების არაჩვეულებრივი ნიჭით დაუჯილდოვა; მაგრამ ბოლოს მათი, ჰოლივუდისათვის უჩვეულოდ მყარი ოჯახიც დაინგრა. ამბობენ, რომ უკანასკნელ ხანებში გოლდი დროის უმეტეს ნაწილს ინდოეთში ატარებს, სადაც ხშირად ხედავენ კროკეტის ლეგენდარული მოთამაშის იმრან ხანის გვერდით.

კურტ რასელმა კი, რომელიც ამ მეგობრობას ყოველთვის ამრეზით უყურებდა, ეჭვიანობის ნიადაგზე მოსვენება დაკარგა და განქორწინებას მტკივნეულად განიცდის.

გოლდის უფროსმა ქალიშვილმა დედისაგან სიმღერისა და ცეკვის ნიჭი და მებრძოლი ხასიათი მემკვიდრეობით მიიღო. ისიც დედის კვალს გაჰყვა და 1998 წელს, ფილმში Desert Blue მისი დებიუტი შედგა, სადაც კრიტიკისა და მაყურებლის კეთილგანწყობა დაიმსახურა. 2000 წელს ფილმში – Almost Famous განსახიერებულმა როკჯგუფის ფანატის სახემ კეიტს „ოსკარის“ ნომინაცია მოუტანა.

■

ორლანდო ბლუმი კვლავ თავისუფალია

ყოველკვირეული ჟურნალი People მორიგი ჰოლივუდური წყვილის დაშორების შესახებ იუწყება. ამ გამოცემის ინფორმაციით, ორლანდო ბლუმმა და კეიტ ბოსუორსმა ურთიერთობა გაწყვიტეს.

„მათ გადაწყვიტეს ცოტა ხნით ერთმანეთს დაშორდნენ და ცალ-ცალკე იცხოვრონ“ – განაცხადა მათმა წარმომადგენელმა რობინ ბაუმმა და განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება ბლუმისა და ბოსუორსის გადატვირთულმა სამუშაო გრაფიკმა გამოიწვია და მიუხედავად ამისა, წყვილი კვლავ ერთად რჩება.

შეგახსენებთ, რომ 28 წლის ორლანდო ბლუმს პოპულარობა ფილმებში „ბეჭდების მბრძანებელი“ და „ტროა“ მონაწილეობამ მოუტანა. 22 წლის კეიტ ბოსუორსი ორლანდო ბლუმს 2002 წლიდან ხვდება. იგი პირველად სურათში „ცისფერი ტალღა“ გამოჩნდა, შემდეგ კი კევინ სპეისისთან ერთად ითამაშა დრამაში „ზღვასთან“. ■

ჯონ დეპი „ოსკარი“-ს მიღებას

მსახიობ ჯონი დეპს „ოსკარის“ მიღების პერსპექტივა სრულიად არ ხიბლავს, რადგან ამ საპატიო ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიას ვერ იტანს. ასე რომ, იმ დროს, როდესაც მთელი ჰოლივუდი კინოაკადემიის ყოველწლიური – ცერემონიისთვის ემზადება, ჯონი დეპი მხოლოდ

იმაზე ოცნებობს, იქნებ, რამენაირად „ოსკარის“ მოპოვებას გადარჩეს!

2004 წლის კონკურსზე ჯონი დეპი ფილმში „ჯადოსნური ქვეყანა“ განსახიერებული როლისათვის საუკეთესო მსახიობის ნომინაციაზე იყო წარდგენილი. იგი თვლის, რომ მან და ვანესა პარადიმ მძიმე წუთები გადაიტანეს. დღესაც კი შეძრწუნებული იხსენებს შარშანდელ ცერემონიას, რომელსაც მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინანტის რანგში ესწრებოდა (ჯეკი-ბელურის როლისათვის ფილმში „კარიბის ზღვის მეკობრეები“).

„მე და ვანესა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, რომ ეს სატანჯველი მალე დამთავრებულიყო და სიგარეტის მოსაწევად გარეთ გავსულიყავით. „ოსკარის“ ბედნიერ მფლობელს ტაშს ვუკრავდი და ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ჯილდო ვერ მოვიპოვე“, – იხსენებს მსახიობი.

სამწუხაროდ, ჯონის წელსაც მოუწევს მტანჯველი ცერემონიის გადატანა, რადგან იგი კვლავ აღმოჩნდა საუკეთესო მსახიობის საპატიო სახელის პრეტენდენტთა შორის, ამჯერად ფილმში Finding Neverland განსახიერებული მთავარი როლისათვის. „ცნობამ იმის შესახებ, რომ კვლავ ნომინანტთა რიგებში აღმოვჩნდი, შოკში ჩამაგდო. რისი გულისთვის? – ასეთი იყო ჩემი პირველი რეაქცია. რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ, მაგრამ „ოსკარისათვის“ ნამდვილად არ მიმუშავია“, – ამბობს მსახიობი. ■

რომი უილიამსს მულტფილმების აღარ ეშინია

ბრიტანელმა მომღერალმა რობი უილიამსმა ახლაღა აღიარა, რომ ბავშვობაში საშინელი შიში ტანჯავდა... მას მულტფილმების ეშინოდა! ახლა კი ბავშვობის კოშმარი გადალახა და შიში თითქმის დასძლია.

„განსაკუთრებით „სკუბი-დუ“ და „ჯადოსნური კარუსელი“ მაშინებდა, რა იყო ამის მიზეზი დღემდე ვერ გავრკვეულვარ, მაგრამ კარგად მახსოვს, – რომ ეკრანზე მათი გამოჩენისთანავე დივანის უკან ვიმალებოდი“ – იგონებს მომღერალი. მართლაც ბედის ირონიაა ის, რომ რობი ახლა „ჯადოსნური კარუსელის“ რიმეიკს ახმოვანებს. მასთან ერთად მულტფილმის გახმოვანებაზე მუშაობენ იენ მაქკელანი, რეი უინსტონი, ლი ევანსი და სხვები. როგორც რობი უილიამსი ამბობს, „ჯადოსნური კარუსელის“ გახმოვანებაზე მუშაობამ სარგებლობა მოუტანა – ახლა შეუძლია, მულტფილმებს შიშის გარეშე უყუროს. ■

მისტერ მინის დამრუნება

მისტერ ბინის სახელით ცნობილი კომედიანტი როუენ ატკინსონი, 3 წლის შესვენების შემდეგ, ისევ მაყურებლის გამხიარულებას შეუდგა.

ბრიტანულ კომედიაში Keeping Mum როუენი პასტორის როლს განასახიერებს, რომელიც იდეალური ქადაგების შეთხზვამ ისე გაიტაცა, რომ ვერც კი შეამჩნია, რომ მეუღლე ღალატის გზას დაადგა და გოლფის მწვრთნელთან რომანი გაბა, შვილები კი ბნელ საქმეებში გაებნენ.

მოღალატე ცოლის როლს კრისტინ სკოტ-ტომასი განასახიერებს, გოლფის მწვრთნელი კი პატრიკ სუეიზი იქნება. დებიუტანტი რეჟისორი ნიალ ჯონსონი ფიქრობს, რომ 17-მილიონიან ბიუჯეტში ჩაეტევა. მისი თქმით, Keeping Mum მერი პოპინსზე მუქ ტონებში შესრულებული იუმორისტული პაროდია იქნება. მიმდინარე წელი როუენისათვის ფრიად დაძაბული იქნება, რადგან ამ კომედიის გარდა, სტუდია Working Title „მისტერ ბინისა“ და „აგენტ ჯონ ინგლიშის“ სიქველებსაც დაამუშავებს. ■

ჟიზელ მიუნდჰენმა, როგორც იქნა, დი კაპრიოს თანხმობა მიიღო

დიდხანს ლეონარდო დი კაპრიოს თავის შეყვარებულთან ჟიზელ ბიუნდჰენთან ქორწინებაზე საუბარიც კი არ სურდა, მაგრამ ახლა, როგორც იქნა, დანებდა და რამდენიმე დღის წინ, სენსაციური განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ მზადაა ჟიზელთან ერთად სრულყოფილი ოჯახის შესაქმნელად და შვილების გაჩენაზეც კი ფიქრობს.

„ერთმანეთი თავდავიწყებით გვიყვარს, უკვე 4 წელია, რაც ერთად ვცხოვრობთ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მზად ვარ, დარჩენილი ცხოვრება მასთან ერთად გავატარო. მონოგამია – ოჯახური ჰარმონიისა და საუკეთესო ურთიერთობის გასაღებია. როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, მხოლოდ გართობასა და დროს ტარებაზე ვფიქრობდი, ახლა კი მზად ვარ, დავდგინდე და ღირსეულ მეუღლედ ვიქცე“, – აღიარა ლეომ.

თავად საპატარძლო – სიხარულისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავს. „მინდა, რომ 3 შვილი მყავდეს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ჰარმონიულ და ბედნიერ ოჯახზე ვოცნებობ“, – განაცხადა ბრაზილიელმა სუპერმოდელმა. ■

რინგო სტარი სუპერგმირი

ჯგუფ The Beatles-ის ყოფილი მუსიკოსი რინგო სტარი სუპერგმირად გადაიქცა. „ადამიანი-ობობას“, ჰალკასა და „X-ის ადამიანების“ ცნობილმა ავტორმა სტენ ლიმ გადაწყვიტა, რომ მუსიკოსისგან კომიქსების გმირი შეექმნა. 64 წლის რინგომ მულტფილმის გახმოვანებასა და ფილმისათვის მუსიკის შექმნაზე თანხმობა განაცხადა. ამ პროექტმა რინგო სტარი აღტაცებაში მოიყვანა. როგორც სტენლიმ განაცხადა, ყველა სუპერგმირის მსგავსად, რინგოც ბოროტებას შეებრძოლება. მისი თქმით, მთელ მსოფლიოში მომღერალი საოცარი მახვილგონიერებისა და იუმორის გამო უყვართ და ნახატი რინგოც სწორედ ასეთი იქნება. რინგო სტარის თავგადასავლებზე შექმნილი კომიქსების მასალების მიხედვით, ანიმაციურ ფილმს და ტელესერიალს გადაიღებენ.

კომიქსების პირველი გამოშვება 2006 წელს გამოვა. მულტფილმის გმირის როლში რინგოს დებიუტი პირველად 60-იან წლებში შედგა, როდესაც ეკრანებზე ანიმაციური სერიალი Beatles გამოვიდა. უკანასკნელად კი რინგოს ნახატი პერსონაჟი „სიმფსონებში“ გამოჩნდა. ■



ჯენიფერ ლოპესი რეპორტიორის როლში

რეჟისორმა გრეგორი ნავამ, რომელმაც ჯენიფერ ლოპესი ფილმში „სელენა“ გადაიღო, მსახიობი ამჯერად კვლავ მიიწვია თრილერში – „საზღვრისპირა ქალაქი“ (Borderdown) მონაწილეობის მისაღებად, სადაც ჯენიფერი Chicago Sentinel-ის ვნებიან რეპორტიორს განასახიერებს, რომელიც მექსიკის ქარხნებში მომუშავე გოგონების საიდუმლოებით მოცული მკვლელობათა სერიის გამოსაძიებლად საზღვრისპირა ქალაქ ხუარესში მიემგზავრება. რეპორტიორი ქალი ქარხნის მუშების ნდობას იმსახურებს, მაგრამ გამოძიების გამო სერიოზული საფრთხე ემუქრება. ფილმის გადაღება მეხიკოში 7 მარტს დაიწყება. ■

მომ დილანი ლიტერატურულ პრემიაზე წარადგინეს

ამიერიდან „როკ-ენ-როლის თაობის პოეტად“ წოდებული სახელგანთქმული მომღერალი და კომპოზიტორი ბობ დილანი წარმატებულ მწერალთა რიგებს შეუერთდა. სხვა მწერლებთან ერთად, ის წიგნის კრიტიკოსთა კონკურსის National Book Critics Circle-ს პრემიაზე წარადგინეს. ბობ დილანის წიგნმა – „ქრონიკები. ტომი I“ მკითხველის გარდა კრიტიკის მოწონებაც დაიმსახურა, რაც ძალზე იშვიათად ხდება ხოლმე. ახლა კი ეს წიგნი „საუკეთესო ბიოგრაფიული ან ავტობიოგრაფიული წიგნის“ ნომინაციაზეა წარდგენილი. ამ ნომინაციაში „ქრონიკებს“ კონკურენციას ალექსანდრე ჰემილტონისა და უილიამ შექსპირის ცხოვრებაზე შექმნილი ბიოგრაფიული წიგნები გაუწევს.

როკვარსკვლავთა ლიტერატურულ მცდელობებს კრიტიკა, როგორც წესი, უარყოფითად აფასებს ხოლმე, მაგრამ ბობ დილანმა ტრადიციის დარღვევა შეძლო. ექსპერტები აღიარებენ, რომ მან საინტერესო და ინფორმაციული წიგნი შექმნა. დაჯილდოების ცერემონია 18 მარტს ჩატარდება. კონკურსის ორგანიზატორი – 1974 წელს შექმნილი არაკომერციული სტრუქტურა Book Critics Circle 600-მდე კრიტიკოსსა და რედაქტორს აერთიანებს. ■

მარია ანასტასიას შეურიგდა, ანა ცუნამით დაზარალებულებს ეხმარება

მარია შარაპოვასა და ანასტასია მისკინას შორის კონფლიქტი, პრაქტიკულად ამოწურულია. ამას წინათ, მსოფლიო რეიტინგით მესამე ჩოგანმა ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთის ნაკრებში ასპარეზობის დიდი სურვილი აქვს. „ბედნიერი ვიქნებოდი, რუსეთის გუნდის სახელით რომ მეთამაშა“, – დასძინა მარიამ, რომელმაც მასა და რუსეთის ნაკრების წარმომადგენელ სხვა ჩოგბურთელებს – კერძოდ, ანასტასია მისკინას – შორის რაიმე უთანხმოების არსებობა უარყო. სპორტის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, მეტისმეტად დაიძაბა ურთიერთობა ერთი მხრივ, მარია შარაპოვას მამასა და მეორე მხრივ, რუსეთის ჩოგბურთელთა ნაკრების წევრებსა და მწვრთნელებს შორის. დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებას ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შამილ ტარპიშჩევიც ცდილობდა. „შარაპოვასა და მისკინას შორის არავითარი კონფლიქტი არ არსებობს, – ამბობს ტარპიშჩევი, – და მაშას მამასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყვეტილია. მან უკვე თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ მარიამ აპრილის ბოლოს, ნაკრების პირველი წრის მატჩში მიიღოს მონაწილეობა. მთავარია, იმ მომენტისთვის შარაპოვა ტრავმირებული ან გადაღლილი არ იყოს“. შეგახსენებთ, რომ შარშან, რუსეთის ნაკრებმა პირველად მიაღწია გამარჯვებას ე.წ. ფედერაციის თასის გათამაშებაში. აპრილის ბოლოს კი, ჩრდილოელები იტალიის გუნდთან გამართავენ პირველ შეხვედრას. აქვე ორიოდე სიტყვით, რუსი ლამაზმანის მამის, იური შარაპოვის შესახებაც მოგახსენებთ, რომელმაც საჩოგბურთო მატჩებზე არაეთიკური შეძახილებით საქვეყნოდ გაითქვა სახელი. კერძოდ, ყოველ ტურნირზე იური თავისი ქალიშვილის მეტოქე გოგონებს უხამსი ეპითეტებით ამკობს. მაგალითად, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მას რუსეთის ნაკრების წარმომადგენელი ერთ-ერთი ცნობილი სპორტსმენის მისამართით დაუყვირია: „ჩაძაღლდი, ძუკნავ!“ პირველად იური შარაპოვის საქციელის გამო საჯარო პროტესტი სწორედ ანასტასია მისკინას გამოუთქვამს. მაშინ მას ისიც კი განუცხადებია, რომ რუსეთის ნაკრებს დატოვებდა, თუ გუნდის სახელით მარია იასპარეზებდა (როგორც ცნობილია, შარშან ფედერაციის თასის გათამაშებაში გამოსვლისას რუსეთის ნაკრებს შარაპოვა არ დახმარებია). იური შარაპოვი კი, თავს იმით იმართლებს, რომ ის თურმე, მაშას მატჩების მსვლელობისას ძალიან ნერვიულობს, და ამის გამო, საკუთარ ქცევაზე კონტროლს კარგავს. უფრო მეტიც, იური მიიჩნევს, რომ მან ბევრი გააკეთა თავისი ქალიშვილის ბედნიერებისა და წარმატებისთვის და ამიტომ, ყველაფრის უფლება აქვს. იური ხშირად იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც პატარა მარიასთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა, რათა ეს უკანასკნელი, ნიკ ბოლეტერის სახელგანთქმულ საჩოგბურთო აკადემიაში შეეყვანა. საინტერესოა, რომ რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შამილ ტარპიშჩევი ირწმუნება, რომ ბოლეტერის აკადემიაში მარიას სწავლისთვის საჭირო თანხის გადახდის მიზნით, სპონსორის მოძებნა სწორედ მისი დამსახურებაა და არა იური შარაპოვისა.

რაკი რუსი ჩოგბურთელი გოგონების თემას შევეხეთ, ორიოდე სიტყვით ანა კურნიკოვაზეც მოგახსენებთ. საქმე ის გახლავთ, რომ ამას წინათ, მან საქველმოქმედო მატჩებში მიიღო მონაწილეობა. ამ აქციის საშუალებით შეგროვილი თანხა, ცუნამით დაზარალებულთა დასახმარებლად საგანგებოდ გახსნილ ფონდში გადაირიცხება. ანა კურნიკოვასთან ერთად საჩვენებელ შეხვედრებში ჯონ მაკინროი, ჯიმ კურიე, ენდი როდიკი და ტომი ჰაასიც თამაშობდნენ. „ისინი მელბურნიდან ჩამოფრინდნენ, – ამბობს საქველმოქმედო მინიტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი კრის ევერტი, – რათა ამ კეთილშობილურ საქმეში თავიანთი წვლილი შეეტანათ. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიის ღია პირველობაში ენდი როდიკმა მარცხი განიცადა, მას საქველმოქმედო აქციაში თამაშზე უარი არ უთქვამს. არ მახსოვს, რომ ადრე სატურნირო სეზონში ჩოგბურთელებს საქველმოქმედო შეჯიბრებებში მიეღოთ მონაწილეობა“. აქვე გაცნობებთ იმასაც, რომ ერთ-ერთმა ანონიმურმა მაყურებელმა 50 ადგილი იყიდა, რაც მას 250 ათასი დოლარი დაუჯდა. ■

„ქრონიკული"

პატიმარი მსოფლიო რეკორდზე "იქაჩება"

ქართველები რომ უნიკალური ხალხი ვართ, ამას ფიცი-მტკიცი აღარ სჭირდება. ამ ცოტა ხნის წინ შემატყობინეს, რომ ერთ-ერთი პატიმარი ზონაში რეკორდის დამყარებას აპირებს. დავადგინე მისი ვინაობა და „ქსივი" შევუგზავნე — ინტერვიუზე შევთანხმდეთ-მეთქი. — უარზე არ ვარ, მაგრამ ჯერ ციხის ადმინისტრაციას შეუთანხმდიო, — მომივიდა პასუხად. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ შოთა კოპაძეს რომ ვთხოვე, ნებართვა მოეცა, სიხარულით დამთანხმდა — თუკი ამ კაცს დაეხმარებით, მადლობის მეტი რა გვეთქმისო?! ჰოდა, რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენს ფოტოკორესპონდენტთან ერთად ქსანში, ე.წ. „ტუბზონას" მივადექი. ზონის უფროსმა, ტარიელ ტყემალაძემ გულთბილი მასპინძლობა გაგვიწია და „რეკორდსმენ" პატიმარს გუგული ივანაურს შეგვახვედრა.

მარი ჯაფარიძე

გუგული 45 წლის, სიმპათიური მამაკაცია. 20 წელი ციხეში აქვს გატარებული, ორჯერ გაიქცა კიდეც, თანაც — ძალზე ორიგინალური ხერხით. რა სფეროში აპირებს რეკორდის დამყარებას და კიდევ რა სასწაულების ჩადენა შეუძლია — ამის შესახებ და თავისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს თვითონ მოგვითხრობს.

— ცხოვრების ნახევარი ციხეში მაქვს გატარებული. ახლაც, შვიდწლიან სასჯელს ვიხდი ქურდობისთვის. ეს ბოლო „სროკია", წესრიგს არ ვარღვევ და არც გაქცევაზე მიფიქრია, თორემ, წინათ, ან გავრბოდი, ან მცდელობა მქონდა. ერთხელ, მაგალითად, 27 მეტრი სიგრძის „პადკოპი" გავთხარე და ისე გავიქეცი.

— იქნებ, უფრო დაწვრილებით მიამბოთ ამ გაქცევის შესახებ?

— კარგი. ეს მოხდა 1986 წელს. მაშინაც ამ ზონაში ვიჯექი. წონის უკანა კედლიდან, ასე, 20-25 მეტრის მოშორებით, არის „კაჩიგარია". მაშინ ის მუშა მდგომარეობაში იყო. ჩვენი საქმისთვის საჭირო იყო, რომ საქვაბეში ჩვენს კაცს ემუშავა. როგორც იქნა, მოვახერხეთ და ერთ პატიმარს იქ დავაწყებინეთ მუშაობა. მისი მორიგეობის დროს, ღამღამობით ვთხრიდით ხოლმე. თვე-ნახევარში გავთხარეთ. ამოღებულ მიწას იქვე, ნახშირში ვურევდით ხოლმე. „პადკოპი" რომ გათხარო, თავიდან 2 მეტრი სიღრმის ორმო უნდა ამოთხარო და მერე დაიწყო ჰორიზონტალურად მიწის ამოღება. ზონის კედელს რომ გავცდით, დავტოვეთ გასათხრელი, სულ მცირე მიწის ფენა — ე.წ „პრობკა". ორი-სამი ნიჩბის მოქნევა უნდოდა და უკვე გარეთ იყავი. ამის შემდეგ, დავიწყეთ გასაქცევად შესაფერისი დროის შერჩევა. ამასობაში, ჩემს სანახავად ზონაში ჩამოვიდნენ ჩემი მეუღლე და მამაჩემი. მამა მპირდებოდა — საქმეს ვაწყობ და სულ მალე გარეთ იქნებიო. პაემანზე რომ მივედი, ვკითხე — ჰა, რას შვრები? მიკეთებ საქმეს თუ არა-მეთქი? ხან რა მოიმიზეზა, ხან — რა. დრო იწელება, მაგრამ საქმე აუცილებლად გამოვა, ცოტა ხანს კიდევ მოითმინეო, — მიპასუხა. მე ვუთხარი — დროზე მიხედე ამ საქმეს, თორემ იცოდე, სანამ შენ შინ მიხვალ, მე უკვე იქ დაგხვდები-მეთქი... ისინი წავიდნენ და იმ ღამით თბილისში, ბიძაჩემთან დარჩნენ. დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩემი მშობლები თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტაში ცხოვრობდნენ. მამაჩემი და ჩემი მეუღლე რომ წავიდნენ, იმ დღეს, კარგად რომ დაღამდა, ბიჭებს ვუთხარი — ამაღამ მივდივართ-მეთქი. ჩემს ცოლს მოვპარე ჟაკეტი, ზონის ექთანს — ქვედაკაბა და თავშალი. უცებ ამოვთხარეთ დარჩენილი მიწა და 6 კაცი გავიქეცით. ერთი იქვე, „ზაპრეტკაში" მოგვიკლეს. მე და ჩემი ძმაკაცი გავძვერით. ხომ ხედავთ, რომ ზონის გარშემო შიშველი მთებია და მხოლოდ ბუჩქები. პატიმრები ხშირად ვხედავდით, რომ ამ ბუჩქებში ვიღაცებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალები შეჰყავდათ. ჰოდა, ამაზე გათვლით, ხვრელიდან ამოვძვერი თუ არა, შარვლის ტოტები ავიკეცე, ქვედაკაბა და ჟაკეტი ჩავიცვი, თავზე შალი მოვიხვიე, ჩემს ძმაკაცს ხელკავი გამოვდე, თავი მხარზე დავადე და უკანალის ქნევით გვერდით გავყევი... საშინი ზონა მშვიდობით გავიარეთ. „ვიშკიორებს" *(სათვალთვალო კოშკურაზე მდგომი დარაჯი. — ავტ.)* ეჭვიც არ შეჰპარვიათ, რომ პატიმრები ვიყავით. მოგეხსენებათ, ქსანში მატარებლის ლიანდაგებია და სადგურიც არის. იქ გავიხადე ქალის ტანისამოსი და მატარებლით თბილისამდე ჩამოვედით. ნათესავს ვთხოვე დახმარება და რამდენიმე წუთის შემდეგ, მისი მანქანით თიანეთის გზას დავადექით. გამთენიისას, უკვე შინ ვიყავი. დედამ რომ დამინახა, ხელები თავში შემოირტყა — ვაიმე, შვილო, საიდან მოდიხარო? — არ იცი, საიდანაც მოვდივარ? საგზალი გამიმზადე, ტყეში მივდივარ-მეთქი, — ვუთხარი. ჩავალაგეთ საჭმელ-სასმელი, ავიღე თოფი და ტყეში წავედით. დედას დავუბარე — მამა რომ მოვა, უთხარი, ამა და ამ ადგილზე ველოდებიმეთქი. შუადღე იქნებოდა, როცა შევნიშნე, რომ მამაჩემი გვიახლოვდებოდა. ახლოს

რომ მოვიდა და დამინახა, თავი გადაქნია – შენი გამოსწორება არ იქნებაო... ორი კვირის განმავლობაში, ტყეში ვიყავით გახიზნულნი. შემდეგ, ჩემი ნათესავი ბიჭი მოვიდა და თბილისში წაგვიყვანა. მიმიყვანა გლდანში, ერთ-ერთ სახლში, სადაც მარტოხელა, ახალგაზრდა, სტომატოლოგი ქალი ცხოვრობდა. მასთან ვცხოვრობდი 2 თვის განმავლობაში. ერთ დღეს, მაგრად ვიჩხუბეთ. ერთ საათში ისევ შევრიგდით. ამ დროს, მეგობარი მესტუმრა და იმ ქალს ვთხოვე, სუფრა გაეშალა. გავიდა სამზარეულოში და ცოტა ხნის შემდეგ, რაღაც-რაღაცები მოგვიტანა. მე არ დამინახავს, როგორ გავიდა სახლიდან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეზობელთან გასულა და ტელეფონით პოლიციისთვის შეუტყობინებია ჩემი ადგილსამყოფელი... ჩემი მეგობარი წავიდა. ცოტა ხანში, კარზე კაკუნი გაისმა. ჯერ გაიხედე და მერე გააღე-მეთქი, – ვუთხარი. – ვიღაც ქერა ქალიაო, – მიპასუხა და კარი გააღო. პოლიციელები რომ დავინახე, მისკენ გავიწიე, მაგრამ ვინ მიმიშვებდა?! – მტაცეს ხელი და კიბეზე წისქვილის სარეკელასავით მარტყმევინეს თავი. წამიყვანეს. მერე განყოფილებაში ისე მცემეს, სულ საკატლეტე ხორცივით მაქციეს. ეტაპით გადამიყვანეს და იქაც, ბადრაგის ბიჭებმა რომ გაიგეს, გაქცეული ვიყავი, კარგად „გაივარჯიშეს“ ჩემზე: აქაოდა, ჩვენი ძმები, ბადრაგის თანამშრომლები გააწვალე და თავი აძებნინეო!.. მოკლედ, ისევ ციხეში ამოვყავი თავი... სასჯელი რომ მოვიხადე, იმ ქალს მივაკითხე, მაგრამ საცხოვრებელი ადგილი შეუცვლია. სიმართლე რომ გითხრათ, მისი გზა-კვალის ძებნა აღარც დამიწყია.

— მეორედ როგორ მოახერხეთ გაქცევა?

– მეორედ 1992 წელს გავიქეცი. ერთ საღამოს „ვიშკიორთან“ მივედი. მაშინ ისეთი სიტუაცია იყო, რომ „ვიშკიორები“ არაყს ყიდდნენ ხოლმე. ამიტომ არ გაჰკვირვებია ჩემი მიახლოება. ვუთხარი – ახლა უნდა გავიქცე, გარეთ ჩემი ახლობლები დგანან, სროლა არ გაბედო, თორემ, იქიდან ბომბს შემოგიგდებენ და ჩიტივით ჩამოგაგდებენ-მეთქი. თავიდან ცოტა გააპროტესტა, მაგრამ რომ ვუთხარი – ეს სიმართლე რომ არ იყოს, ასე თამამად არ გეტყოდი-მეთქი, – მერე გაჩერდა. ღობეზე ავძვერი და გავიპარე. ჩემთან ერთად 20 კაცი მაინც გამოიქცა, თუმცა უმეტესობა აქვე, ახლომახლო იპოვეს და მხოლოდ ოთხმა მოვახერხეთ წასვლა. ძალზე დიდხანს ვიარეთ ფეხით, ვიდრე დიდი დიღმის ახლოს არ აღმოვჩნდით. წელიწადი და 4 თვე ვიმალებოდი. შემდეგ სოფელში, ჩემს სახლში ამიყვანეს...

— ახლა „სპორტულ“ მიღწევებზე მოგვიყევით. რა სფეროში აპირებთ რეკორდის დამყარებას?

– საერთოდ, სპორტული ადამიანი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი ციხეში მაქვს გატარებული, გამუდმებით ვვარჯიშობ. 6 წელი, იოგას ვარჯიშებსაც ვსწავლობდი და ცხოვრების ჯანსაღ წესს ვამჯობინებ. არ ვსვამ, „წამალზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შარშან გაზაფხულზე, სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში ქართული ჟურნალი, სადაც წავიკითხე, რომ ტურნიკეტზე ხელებით დაკიდებულ მდგომარეობაში ყოფნის მსოფლიო რეკორდი, 4 წუთი და 12 წამი ყოფილა. იქვე ეწერა, რომ ეს ძალზე რთული შესასრულებელია და ნუ ეცდებით რეკორდის მოხსნასო. თუ ვინმეს მაინც სურს, რომ ძალები მოსინჯოს, დამნაძლევებელი დიდ „კუშს“ ჩამოდისო. გადავწყვიტე, მომესინჯა – ისე, ინტერესის გულისთვის. პირველსავე ცდაზე, 5 წუთზე მეტხანს გავჩერდი. ახლა უკვე 10 წუთამდე ვძლებ... გარედან მართლაც, იოლი ჩანს: ჩამოეკიდები ტურნიკეტზე ორი ხელით და მორჩა. მაგრამ აბა, მოსინჯეთ! ძალზე ძნელია. აქაც ბევრმა სცადა, მაგრამ 2 წუთიც ვერ გაძლო. თვითონ ბატონი ტარიელი (ზონის უფროსი) ძველი სპორტსმენი გახლავთ – ძიუდოისტი. მოსინჯა, მაგრამ დიდხანს ვერ შეძლო ასეთ მდგომარეობაში გაჩერება. დეპარტამენტის თავმჯდომარიდან დაწყებული, პატიმრებით დამთავრებული, ყველა მოწადინებული იყო, რომ ჩემთვის ხელი

შეეწყო და წარმატებისთვის მიმეღწია, მაგრამ რაღაც ეტაპზე საქმე გაჩერდა.

— რაღაც განსაკუთრებული ფიზიკური შეგრძნებები ხომ არ ახლავს თან ტურნიკეტზე ჩამოკიდების პროცესს?

– როგორ არა?! თავიდან, თითქოს არაფერია, მაგრამ ერთი წუთის გასვლის შემდეგ, ფეხისგულებიდან რაღაც დაჭიმულობის ძალას ვგრძნობ. შემდეგ ეს ძალა გადადის ფეხის კუნთებზე, მთელ სხეულზე და ბოლოს – კისრის არეში. მერე თავი იწყებს გახურებას და ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს თავი გამეზარდა. შემდეგ გული გამალებით ძგერას იწყებს, მერე ჩერდება, ცოტა ხანში კი, ძალზე იშვიათ ბაგაბუგს იწყებს. საოცარი შიშის გრძნობა მეუფლება ამ დროს. ტურნიკეტიდან რომ ჩამოვდივარ, თითებს ვეღარ ვშლი ხოლმე, სახეზე ვლურჯდები, წნევა კი, საგრძნობლად მაღლა მიწევს... კარგა ხანი მჭირდება ხოლმე იმისათვის, რომ ჩვეულებრივ მდგომარეობას დავუბრუნდე.

— კიდევ რისი გაკეთება შეგიძლიათ?

– კიდევ შემიძლია, 220-ვოლტიან დენს გავუძლო – ის ვერაფერს მაკლებს. აი, ნახეთ... *(და გუგულიმ ამის დემონსტრირება მოახდინა: შიშველი სადენის ორივე წვერს მოჰკიდა ხელი... თუმცა თავიდან, შეშინებულმა, თვალები დავხუჭე, მაგრამ თვითონვე დამიძახა – გაახილე, ნუ გეშინიაო; ხელით ისევ ის სადენი ეჭირა, რომელზეც რამდენიმე წამის წინ, ელექტროგამათბობელი იყო ჩართული. – ავტ.).* კიდევ შემიძლია, ერთ პატარა ჩემოდანში ჩავეტიო. სულ ადვილად ვძვრები ჩვეულებრივ ტუმბოში, თავფეხიანად. შეგიძლიათ, კარიც მომიხუროთ. ერთხელ, „რეზბალნიცაზე“ *(ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. – ავტ.)* ვიყავი. იქ ბიჭებთან ვთქვი, შევძვრები-მეთქი. არ დამიჯერეს და იქვე, მათ თვალწინ მოვიკეცე, დავიგრიხე და ტუმბოში შევძვერი. მეორე დღეს მთხოვეს – ისევ შეძვერი, ახლა სოფიკო ექიმი მოვა და გავეხუმროთო. შევძვერი. მესმის ხმა – მობრძანდით, სოფიკო ექიმო, თქვენთვის ყავა და ნამცხვარი გვაქვს შენახული, თქვენი ოქროს ხელებით გამოხსენით „ტუმბოჩკა“ და მიირთვითო. ექიმმა გამოაღო კარი და მე რომ დამინახა, შიშისგან 2 მეტრით უკან გადახტა. მერე დაიხარა, შემოიხედა და – აბა, გამოძვერიო, – მითხრა. წელში რომ გავსწორდი, ქვემოდან ამომხედა და მკითხა – ამხელა კაცი შენით შეეტიე მანდ თუ ვინმემ შეგტენაო?..

— მოკლედ, ამ ხერხით ციხი-

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი მრუდიციაზე

1. დემოსთენე, მოლიერი, მოლოტოვი, მერილინ მონრო. რა საერთო აქვთ ჩამოთვლილ ადამიანებს?

ა) ერთი და იმავე თვის ერთსა და იმავე დღეს იყვნენ დაბადებულნი;
ბ) ენა ებმოდათ;
გ) ობლები იყვნენ.

2. როდის არის ადამიანის გემოს რეცეპტორები ყველაზე მგრძნობიარე?

ა) დილის 8-დან 11 სთ-მდე;
ბ) შუადღის 14-დან 17 სთ-მდე;
გ) საღამოს 21 სთ-დან 24 სთ-მდე.

3. სადაური ტყვეები აგებდნენ დიდი სამამულო ომის შემდეგ, თბილისის უნივერსიტეტის წინ ტრამვაის ხაზებს?

ა) გერმანელი;
ბ) იაპონელი;
გ) იტალიელი.

4. გალაკტიონ ტაბიძე 17 მარტს გარდაიცვალა. ვისი დაბადების დღე იყო ეს დღე?

ა) სტალინის;
ბ) ილია ჭავჭავაძის;
გ) ლავრენტი ბერიას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დან გაქცევასაც მოახერხებთ...

— ამ წლების განმავლობაში, ერთ რამეს მივხვდი: გაქცევას უნდა ჰქონდეს აზრი და მიზანი, ისე, უმიზნოდ გაქცევას რა აზრი აქვს?! თავს იღუპავ და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, ამას ძალზე გვიან მივხვდი. ამიტომ, თამამად ვიტყვი, რომ ბოლო „სროკის“ დროს, ამაზე ლაპარაკიც კი არ მქონია, არამცთუ მცდელობა. რამდენჯერ შეიძლება, კაცმა თავი დაიღუპოს?! ჩემთვის მთავარია, აქედან გავიდე და მერე მოვძებნი საშუალებას, რითაც ცხოვრებასა და არსებობას შევძლებ. ჭკვიანი კაცი ჩემით თვითონაც იშოვის ფულს და მეც მაშოვნინებს. ისეთი შესაძლებლობები მაქვს, არ დავიკარგები. რამდენიმე წლის წინ, სამხიდიან მანქანას — „ზილს“ დავუწექი და სხეულზე გადავატარებინე. იცით. ესეც რა რთულია? 2 ფიცარი დავიდე იმ ადგილებში, სადაც მანქანის ბორბლებს უნდა გადაევლო. ჯერ წინა თვლებით ამოღოდდა, მერე გასწორდა, ბოლოს კი — უკანა ბორბლებით. ამოსუნთქვას ვასწრებდი მაშინ, როცა ბორბალი მკერდზე გადაივლიდა ხოლმე — ე.ი. ბორბალსა და ბორბალს შორის; თუ ვერ მოვასწრებდი, გავიჭყლიტებოდი: ამ დროს, გულმკერდის ღრუ უნდა აავსო ჰაერით, თანაც, უნდა იცოდე, როგორ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაღუპული ხარ... მერე იმავე ექსპერიმენტის ტრაქტორით ჩატარებას ვაპირებდი, მაგრამ არ დამცალდა — დამიჭირეს... ახლა ჩემი ოცნება იცით, რა არის?.. ყველაზე ღრმა ხეობაზე გადებულ ხიდზე დავაყენო ამწე, ზედ მოვაწყო ტურნიკეტის მაგვარი მოწყობილობა; დავეკიდები ტურნიკეტზე და ამწემ გადამიყვანოს ხეობის თავზე; ასე გავჩერდები 10 წუთის განმავლობაში, თანაც ამ დროს, არავითარი „სტრახოვკა“ არ დამჭირდება. არც ქამრით მივებმები და არც ქვემოთ გაჭიმული ბადე იქნება საჭირო.

ამ წლების განმავლობაში, ერთ რამეს მივხვდი: გაქცევას უნდა ჰქონდეს აზრი და მიზანი, ისე, უმიზნოდ გაქცევას რა აზრი აქვს?!

*რამდენიმე კითხვით ბატონ **ტარიელ ტყემალაძესაც** მივმართე:*

— **ბატონო ტარიელ, გუგულიმ აღნიშნა, რომ თქვენც და დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი შოთა კოპაძეც ეხმარებოდით მას, რომ თავისი სარეკორდო მიღწევა დაეფიქსირებინა. რატომ ვერ მიიყვანეთ საქმე ბოლომდე?**

— ჩვენ მივმართეთ სპორტკომიტეტს. მათ განიხილეს გუგულის საქმე და გვითხრეს, რომ საჭიროა სპონსორი. ვინაიდან ვერ შევძელით ისეთი ადამიანის მოძებნა, ვინც ამ საქმისთვის ფულს გაიღებდა და გავჩერდით. ახლაც, თუ ვინმე გამოჩნდება, დაგვიანებული კი არ არის — გუგული ისევ ფორმაშია და დარწმუნებული ვარ, არ შეგვარცხვენს.

— **იმაშიც დარწმუნებული ხართ, რომ უკან აღარასოდეს მობრუნდება?..**

— რა თქმა უნდა. სეთ ასაკშია, რომ ვფიქრობ, ებს მოვლენებს და იცის, რ კუთარ ცხოვრებას მიხედოს. არც ერთი დარღვევა არ აქვს ბოლო სასჯელის განმავლობაში. უკვე 4 წელი და 8 თვეა, ზის და შეიძლება ითქვას, რომ როგორც პატიმარი, ნამდვილად სამაგალითოდ იქცევა.

ინტერვიუს შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩვენი თვალით გვენახა, თუ როგორ ხსნის მსოფლიო რეკორდს გუგული ივანაური. მას სხვა პატიმრებიც გულშემატკივრობდნენ და აფრთხილებდნენ — ყოჩაღად იყავი, თავი არ შეირცხვინო, თორემ, დაგსჯით „სპორტული აფერისტობისთვისო“!.. „ტურნიკეტი“, მიტოვებული სამრეცხაოს ერთ-ერთ კუთხეშია მოწყობილი. გუგულიმ იქვე, კედლის მეშვეობით „გაიცარციანა“ ხელისგულები და ტურნიკეტზე დაეკიდა. ბიჭებისა და ბატონი ტარიელის გამამხნევებელი შეძახილების თანხლებით, 6 წუთი გაძლო ამ მდგომარეობაში!.. მოგახსენეთ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე. დანარჩენი ალბათ, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გააკეთონ.

■

Tigra Twin Top ახალი დიზელით

2004 წლის დამლევს, ავტობაზარზე გამოჩნდა კომპაქტური გერმანული ფირმა Opel-ის ორადგილიანი კუპე-კაბრიოლეტის – Tigra Twin Top – დიზელისძრავიანი ვერსია. მანქანა 70 ცხ.ძ სიმძლავრის, 1,3-ლიტრიანი ძრავათია აღჭურვილი. ეს აგრეგატი ადრე აპრობირებული იყო მინიატურულ მოდელში – Opel Corsa, აგრეთვე, Fiat Punto-სა და Suzuki Ignis-ის დიზელისძრავიან ვერსიებში.

„ტიგრას“ ძრავა, უმკაცრესი ეკოლოგიური მოთხოვნების შემცველ სტანდარტს – Euro-4-ს შეესაბამება. ოთხცილინდრიანი აგრეგატი მხოლოდ 5-საფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფით აღჭურვილ მანქანას დაერთვება თან.

აღნიშნული მოდელის მაქსიმალური სიჩქარე 167 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 15,5 წმ-ში ავითარებს; მანქანა 100-კილომეტრიან გარბენზე სულ 4,6 ლ საწვავს ხარჯავს. ყველაზე მოკრძალებულ კომპლექტაციაში, დიზელისძრავიანი კუპე-კაბრიოლეტი გერმანულ ბაზარზე – 17.895, კომპლექტაცია Sport – 18.945, ხოლო Cosmos – 19.045 ევრო ღირს. ■

Golf-ს ჰლუს 10 სანტიმეტრი

წლევანდელი წლის იანვრიდან, ევროპულ ავტობაზარზე გამოჩნდა „ფოლკსვაგენის“ ახალი მოდიფიკაცია – Golf Plus, რომელიც პირველად შარშან, იტალიის ქალაქ ბოლონიაში წარდგა ავტომოყვარულთა წინაშე. VW-ის სამოდელო რიგში ეს მანქანა, ტრადიციულ Golf-სა და მინი-ვენ Touran-ს შორის დგას. სიმაღლით (1,58 სმ) Golf Plus ჩვეულებრივ Golf-ს 9,5 სმ-ით აღემატება. გაბარიტების გაზრდის წყალობით, გაცილებით ტევადი (395 ლ) გახდა მანქანის საბარგული, რომელიც წინამორბედთან შედარებით 45 ლ-ით მეტია. უკანა სავარძლის შუა ნაწილი იოლად გარდაიქმნება პატარა მაგიდად, წინა სავარძლის საყრდენში კი, ელექტროხელსაწყოების ჩასართავად, შესაერთებელია მოთავსებული.

Golf Plus იმავე ძრავებით იქნება აღჭურვილი, რომლებსაც ჩვეულებრივ Golf-ს ურთავენ თან. ესენია: 1,4 ლ მოცულობის 75, 115 და 140- ცხ.ძ-იანი ბენზინის აგრეგატები. ახალი „გოლფ-ის“ მინიმალური ფასი 16.740 ევრო. ■

Mini, ოღონდ იაპონური

იაპონურმა კომპანიამ – Daihatsu მოდელი – Mira Gino – გამოუშვა ბაზარზე. ეს პოპულარული ინგლისური მანქანის – Mini-ს სტილიზებული ასლი გახლავთ, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული. სერიულ წარმოებაში Mira Gino-ს ჩაშვებამდე, კომპანიამ ის საზოგადოების სამსჯავროზე შარშან, ტოკიოს ავტოსალონზე წარმოადგინა, სადაც მანქანას კონცეპტ-ავტო – XL-C ერქვა. მოდელმა პუბლიკის ყურადღება და მოწონება დაიმსახურა და ფირმამაც მისი სერიულ წარმოებაში ჩაშვება გადაწყვიტა.

მანქანის კაპოტქვეშ 58 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატი „სუნთქავს“. მის კომპლექტაციაში შედის კლიმატ-კონტროლის მქონე კონდიციონერი და ტონირებული მინები. Mira Gino-ს სალონი გაცილებით კომფორტულია, ვიდრე ძველი Mini-სა. იაპონელ დიზაინერებს განსაკუთრებით მოხდენილი გამოუვიდათ ხელსაწყოთა პანელი, რომელშიც გამორჩეული ადგილი მოხდენილ სპიდომეტრს უკავია.

თავდაპირველად, ეს მანქანა მხოლოდ იაპონიაში გაიყიდება. ევროპაში მისი ექსპორტირების შესახებ კომპანიის მესვეურებს ჯერჯერობით არაფერი გამოუცხადებიათ. ■

„ნავალ იქ, სადაც ჯანის საქმობლოა...“

უმზითვო მომღეიალს მონიფული მამაკაცები ხიბლავს

ამჯერად მკითხველი მამაკაცების გულს გავახარებთ და „საპატარძლოდ“ „ნუცას სკოლის“ ერთ-ერთ გამარჯვებულს, თათია ხაბურზანიას წარმოგიდგენთ. ჩემი რესპონდენტი აღიარებს, რომ დიასახლისის ამპლუაში მაინცდამაინც თავს ვერ მოგაწონებთ, მაგრამ სამაგიეროდ, ძალზე შრომისმოყვარე, მიზანდასახული და იღბლიანი ადამიანია. რა საქმესაც ხელს მოჰკიდებს, უპრობლემოდ გამოსდის.

მარი ჯაფარიძე

– მე ვარ თათია ხაბურზანია, 21 წლის. პროფესიით, შეიძლება ითქვას, უკვე მუსიკოსი, რადგან დავამთავრე მუსიკალური ტექნიკუმი და

ემოციების შეკავებაც შემიძლია...

მუსიკალური გიმნაზია, საფორტეპიანო განხრით. ასევე ვარ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.

— ახლა შენი ოჯახის წევრები გაგვაცანი.

– ვცხოვრობ მშობლებთან ერთად. მამა ორი დღის წინ დაბრუნდა საზღვარგარეთიდან, სადაც ხანგრძლივი დროით გახლდათ წასული. დედა პედაგოგია. ასევე მყავს პატარა დაიკო, რომელიც ჯერ სკოლის მოსწავლეა და ბებია. გვაქვს ძალზე მეგობრული ოჯახი.

— „ნუცას სკოლაში“ მონაწილეობის მიღება შენი ინიციატივა იყო?

– არა, ეს გახლდათ დედაჩემის იდეა. მან ტელევიზიით ნახა რეკლამა და მითხრა, რომ საბუთები მომეგროვებინა და კონკურსში მონაწილეობა მიმეღო. უარი ვუთხარი, რადგან მე განსხვავებულ სტილში ვმღერი. ჯაზი შესაძლოა, ბევრმა ვერ გაიგოს, ამის გამო, ამ ჟანრს ძალზე ცოტა მსმენელი ჰყავს და ვფიქრობდი, რომ კონკურსში ჩემს მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა. დედამ ისე მოაგროვა საჭირო საბუთები და ისე მიიტანა ადგილზე, რომ მე ამის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა. ბოლოს, დამირეკეს და დამიბარეს...

— როგორც ვიცი, ფინალში ვერ გახვედი, მაგრამ მერაბ სეფაშვილმა საკუთარი ინიციატივით გამოგაცხადა გამარჯვებულთა შორის.

– დიახ, მართლაც ასე იყო. ეს ჩემთვის ძალზე დიდი სიურპრიზი იყო. ტელევიზიით ისე ჩანდა, თითქოს წინასწარ ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო. სინამდვილეში, ყველაფერი ასე მოხდა: კონკურსის დასასრულს კულისებში გამოაცხადეს, ყველანი სცენაზე გავდივართო. მე სცენაზე არ გავსულვარ. იქვე ახლოს იდგა კორკოტა (ერთ-ერთი მონაწილე) და მას ჩავეხუტე – გული არ დაგწყდეს, ძალზე ნიჭიერი გოგო ხარ, სხვა დროს აუცილებლად გაგიმართლებს-მეთქი. კულისებში მერაბის ხმა არ ისმოდა. უცებ, რაღაც ჟრიამული შემომესმა, ვიღაც მკოცნის, ვიღაცას სცენისკენ მივყავარ... გუმანით მივხვდი, რომ გამარჯვებულებს შორის დამასახელეს. ძალზე ბედნიერი ვიყავი. დიდი მადლობა ყველას, ვინც დამეხმარა და მიგულშემატკივრა. ამ კონკურსმა მომიტანა ძალზე დიდი გამოცდილება და შემძინა ახალი მეგობრები.

— მერაბი თუ ინტერესდება შენი კონკურსის შემდგომი შემოქმედებითი წარმატებებით?

– შარშან შემოდგომაზე ვიყავი მოსკოვში, ფესტივალზე Песня – Грузия 2004. მერაბ სეფაშვილთან, თემურ თათარაშვილთან, დავით გომართელთან და „ქუჩის ბიჭებთან“ ერთად. ძალზე კარგი ფესტივალი ჩატარდა და უამრავი მაყურებელიც დაესწრო. ჩემმა სიმღერამ საკმაოდ მხურვალე ტაში დაიმსახურა, მაგრამ სიმართლეს გეტყვით, მე ჩემი თავით კმაყოფილი არ ვიყავი. ვღელავდი და ჩემი აზრით, შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვამჟღავნე. სამაგიეროდ, ძალზე კარგი მოგონებები დამრჩა. მამაკაცთა საზოგადოებაში ერთადერთი ქალი ვიყავი და ისე მექცეოდნენ, თავი დედოფალი მეგონა. განსაკუთრებით დავუახლოვდი „ქუჩის ბიჭებს“, რადგან ისინი თითქმის ჩემი თანატოლები არიან და ერთმანეთს კარგად გავუგეთ.

— ახლა რას საქმიანობ? მხოლოდ სწავლით ხარ დაკავებული?

– იცით, ვიდრე აქ ვარ, გადავწყვიტე, დავწერო სიმღერა. ეს გახლავთ ინგლისურენოვანი სიმღერა, ბოსანოვას სტილში. ტექსტიც ჩემია და მუსიკაც. ვფიქრობ, ძალზე საინტერესო სიმღერა

იქნება. შემდეგ, გეგმაში მაქვს ამ სიმღერაზე კლიპის გადაღება და ბოლოს, ამ კლიპის პრეზენტაცია.

— რას ნიშნავს შენი სიტყვები — „ვიდრე აქ ვარ“?

— ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად წავალ საზღვარგარეთ, კერძოდ — ამერიკაში, სადაც ჯაზის სამშობლოა. მე მინდა, რომ ჩამოვყალიბდე პროფესიონალად. აქ ამას ალბათ ვერ მოვახერხებ. თითქოს ჩამოყალიბდა ისეთი აზრი, რომ თათია ხაბურზანია ქართულ სიმღერებს არ მღერის. ეს არასწორი ნათქვამია. მე თავიდან ქართულად ავმღერდი და ეს ჩემი პედაგოგის ინგა ასათიანის დამსახურებაა. უბრალოდ, ალტერნატიული მუსიკალური ჟანრები ყოველთვის მიზიდავდა. საქართველოში არსებობს ბლუზის და თუნდაც კარგი „პოპ“-ის მსმენელი. „ნუცას სკოლის“ შედეგებმა, უფრო სწორად, ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ქართველი მსმენელი არ არის განწყობილი ჯაზის მოსასმენად. თუ კონკურსის მიმდინარეობას თვალს ადევნებდით, ნახავდით, რომ ძალზე ცოტა ხმას ვაგროვებდი. 15%-ს ვერ ავცდი... თუმცა, თავიდანვე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა.

— როგორც ჩანს, მიზანდასახული ადამიანი ხარ. სხვა რომელ თვისებას აღნიშნავდი შენში?

— ვარ ძალზე პრინციპული, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანი, რომელსაც პრინციპები არ გააჩნია, ჩამოყალიბებული ინდივიდი არ არის. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი კი ასეთი გახლავთ — Надо уметь, отказывать себе“. ვარ კომუნიკაბელური. განსაკუთრებით მიადვილდება ურთიერთობა ბავშვებთან და მოხუცებთან, რადგან ეს ადამიანები გამოირჩევიან დანარჩენებისგან. უფროსები — გამოცდილებითა და სათნოებით, პატარები — სისუფთავითა და მიამიტობით. მიყვარს თანამედროვე ფილოსოფია, ხელოვნება და უცხო ენების შესწავლა.

— ბუტია ხარ?

— არა, არასოდეს ვიბუტები. ვერ ვიტან გაურკვევლობას. მირჩევნია, ადამიანს თვალებში ჩავხედო და ყველაფერი გავარკვიო, ვიდრე ვიწვალო, ვიფიქრო ან სხვა ჩავრიო საქმეში. ვარ ძალზე წუწუნა, რადგან ზარმაცი ვარ. ყველაფერი მეზარება. მაგალითად, ახალი საქმის დაწყება. იმიტომ არა, რომ მეშინია. ცვლილებები მიყვარს, მაგრამ ცხოვრების რიტმის შეცვლა მეზარება. რაღაც პერიოდში, ერთ ადგილზე რომ გავიყინები, მერე მეზარება ამოძრავება, რადგან ვიცი, რომ ამ მოძრაობას რაღაც შედეგი მოჰყვება. რასაც ხელს მოვკიდებ, ყველა საქმე ძალზე იოლად გამომდის. სწორედ ამიტომ სულ ვწუწუნებ — აუ, ამის გაკეთება მეზარება, არ მინდა და ა.შ...

— ჯიუტი ხარ?

— არა, რადგან შემიძლია ნებისმიერ კომპრომისზე წასვლა. მაგალითად, ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ჩემი საყვარელი ნივთი დავთმო. მაქსიმალურად ვერიდები კონფლიქტებს. პრეტენზიული ვარ. მინდა, რომ ყველაფერი ისე იყოს, როგორც მე მსურს, მაგრამ თუ ვხვდები, რომ ჩემი სურვილი შეუსრულებადია, მაშინვე ვწყვეტ მისი განხორციელების მცდელობას და ვიწყებ სხვა რამეზე ფიქრს. არასოდეს ვკარგავ დროს წვრილმანებში. არ ვიშლი ნერვებს სხვების უაზრო საქციელზე. საერთოდ, ყველა ადამიანს შეუძლია იყოს ინდიფერენტული. განსაზღვრულ მომენტებში თუ შენ არ გინდა, რომ გული გეტკინოს, ვერავინ მოახერხებს ამას.

— ხშირად ბრაზდები ხოლმე?

— არც ისე ხშირად, მაგრამ როცა ვბრაზდები, საშინლად ვყვირი ხოლმე, თუმცა ძალზე სწრაფად, მომენტალურად ვმშვიდდები. შესაძლოა გაოცდეთ კიდეც, რომ ადამიანი, რომელიც წუთის წინ აღშფოთებული ყვიროდა, ახლა ასე მშვიდად როგორ ზისო. ემოციების შეკავებაც შემიძლია. მაგალითად, როდესაც „ნუცას სკოლაში“ ფინალში ვერ გავედი, ისე მინდოდა ტირილი, როგორც არასდროს, მაგრამ თავი შევიკავე. ტირილი მინდოდა იმიტომ, რომ ჩემი ნამღერი „სპეინი“ (ჯგუფის — „ჩიკ-კორეა“ — თემა) ჟიურის წევრმა არ (ან ვერ) შეაფასა. პირდაპირ ეთერში ცრემლი წამსკდა, რომ გამოვედი კი კარგად წავუტირე: ხშირად არ ვტირი, რადგან თუ ერთი დავიწყე, მერე ვეღარ გამაჩერებთ. ხომ იცით, გულზე რომ მოგაწვება რაღაც და ატირდები? სწორედ ასე ვტირი ხოლმე, არასდროს ვიცი ცრემლის მიზეზი.

— „ნუცას სკოლის“ მერე თაყვანისმცემლები მოგიმრავლდნენ?

— იცით, ვფიქრობ, რომ ბევრი თაყვანისმცემელი არასდროს მყოლია, არასდროს მომწონდა ჩემი ასაკის ბიჭები. გაცილებით უფროსი ასაკის მამაკაცები მომწონს. არასდროს ჩამიმოყალიბებია რაღაც სტერეოტიპი — „იდეალური ოცნების მამაკაცის“. ცხოვრება ხომ აბსოლუტურად გაუთვალისწინებელია... შესაძლოა, სწორედ ისეთი ადამიანი შეგიყვარდეს, როგორზეც ვერც კი იფიქრებდი. ზოგადად, მომწონს მამაკაცური მამაკაცები.



ტელევიზიით ისე ჩანდა, თითქოს წინასწარ ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო...

— რას ნიშნავს ეს?

— ამაში არ ვგულისხმობ აუცილებლად ორ მეტრ სიმაღლესა და „ნაკაჩავებ“ კუნთებს. მამაკაცურობა გახლავთ კაცის თვისება, რომელიც გაგრძნობინებს, რომ ქალი ხარ (ანუ სუსტი, მასთან შედარებით) აბსოლუტურად ყველა ასპექტში, განსაკუთრებით — ინტელექტუალურ ასპექტში.

— მზითვი გაქვს?

— ჩემი მზითვი გახლავთ ჩემი ინტელექტი, ჩემი ლამაზი თვალები... მოკლედ, მე თვითონ მზითვი ვარ. დედას და ბებიას არასოდეს შეუგროვებიათ საბნები და ბალიშები სამზითვოდ. შესაძლოა, ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველთვის ვამბობ: — ყველაფერს ჩემით უნდა მივაღწიო. არ მინდა, ვინმეზე დამოკიდებული ვიყო ფინანსურად. თავისუფლებას ვაღმერთებ — ნებისმიერ ასპექტში.

— ასეთი ტიპის ქალები მოგწონს?

— დიახ, და სწორედ ასეთი ვარ. ვარ საქმიანი და არა — დიასახლისი. სახლში არაფრის გაკეთება არ მიყვარს... გულწრფელად ვაღიარებ, რადგან მეზარება. მეორეც — მირჩევნია წავიკითხო, ვხატო, ვწერო, კომპიუტერთან ვიმუშაო,

ან თუნდაც ქუჩაში ვიხეტიალო, ვიდრე შინ ვრეცხო და ვალაგო, შინ დიდხანს ჯდომა მღლის. ოჯახში სულ მსაყვედურობენ: – სად დადიხარ? რატომ აგვიანებ? რა არის ამდენი სიარული? შინ ყოფნა საერთოდ აღარ გინდა? – არ შემიძლია ერთ ადგილას გაჩერება და რა ვქნა?..

— როგორც ჩანს, ძალზე ცელქ ბავშვი იქნებოდი...

– მოსწავლეობის პერიოდში ნამდვილი „შკოლნიცა“ ვიყავი. ამის გამო ბიჭები ხშირად დამცინოდნენ. სულ პირველ მერხზე ვიყავი გამოჭიმული. ყოველთვის წიგნში მქონდა თავი ჩარგული და ხუთოსნობისთვის შემეძლო ღამეებიც გამეთენებინა და მემეცადინა. „ბარბებით“ თამაში მიყვარდა. მულტფილმებს კი, დღემდე დიდი სიამოვნებით ვუყურებ.

— ვიცი, რომ „ნუცას სკოლაში“ გამარჯვებულებს ტელევიზიამ კლიპები უნდა გაუკეთოს. შენ როგორი კლიპის გადაღება გაქვს ჩაფიქრებული? თუ ეს შენზე არ არის დამოკიდებული?

– კლიპი? კლიპის გაკეთება იყო მხოლოდ საჯარო დაპირება. ჯერჯერობით, არაფერი გაკეთებულა, თუმცა ტელევიზიის მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერის იმედი ყოველთვის მაქვს.

— დაპირების შეუსრულებლობის შესახებ კანონი ხომ არსებობს?

– მე, როგორც იურისტი, გეტყვით, რომ საჯაროდ ჯილდოს დაპირების შეუსრულებლობას მოჰყვება გარკვეული სანქცია, თუმცა ჩივილს არავინ აპირებს. ტელევიზიის დიდად მადლიერი ვარ, საეთერო პრომოუშენისთვის. ასე რომ, კლიპს მხოლოდ ჩემი ხარჯებით გადავიღებ... ალბათ... თუ რომელიმე მეცენატი არ გამოჩნდება...

— შენს ინტერვიუს თაყვანისმცემლების გამოხმაურებები მოჰყვება. თუ დაინტერესდები მესიჯებით?

– აუცილებლად წავიკითხავ. ძალზე საინტერესოდ მეჩვენება თქვენი რუბრიკა. თითოეულ მესიჯს გავეცნობი. ჩემთან დაკავშირებული, თითოეული ადამიანის აზრი საინტერესოა, განსაკუთრებით ის, რომელიც ეხება ჩემს მუსიკალურ შემოქმედებას.

აი, ასეთია ჩვენი „საპატარძლო“. თათიასთან დაკონტაქტების მსურველებს შეუძლიათ დამირეკონ ან დამიმესიჯონ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მე კი თქვენ შესახებ თათიას ვუამბობ.

■

რამდენიმე თვეა, რაც ახალგაზრდა მომღერალი ქეთა თოფურია რუსული ჯგუფის — „ა სტუდიოს“ სოლისტი გახდა, რის გამოც მან სამშობლო დროებით დატოვა და საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. კითხვებზე, რომლებიც თბილისში ისმება — თუ როგორ მიაღწია მან ამ წარმატებებს, მღერის თუ არა მოსკოვის რესტორნებში და გათხოვდება თუ არა უახლოესი 3 წლის მანძილზე — ქეთას „ა სტუდიოში“ მოხვედრის ინიციატორი, პროდიუსერი ნატო დუმბაძე გვიპასუხებს.

„ქეთა შაჯი „ა სტუდიოს“ სრულუფლებიანი წევრია“

ნათია ქივიძე

— ნატო, თავდაპირველად ის გვიამბეთ, თუ როგორ გაიცანით ჯგუფი „ა სტუდიო“ და როგორ დაუკავშირეთ მათი და ქეთას კარიერები ერთმანეთს?

– „ა სტუდიო“ ჯერ კიდევ 7 წლის წინ იყო ჩამოსული საქართველოში, კრისტინა ორბაკაიტესთან ერთად და მაშინ გავიცანი. მერე ისინი აქ ძალიან ხშირად ჩამოდიოდნენ და დავმეგობრდით. როდესაც მათი სოლისტი პოლინა გათხოვდა და გადაწყვიტა, რომ სოლო კარიერა დაეწყო თავის მეუღლესთან ერთად, მაშინ ვკითხე – აიყვანდნენ თუ არა სხვა მომღერალს სოლისტად, რაზეც უარყოფითად მიპასუხეს. მათ მითხრეს, რომ უკვე ახალ ალბომზე მუშაობდნენ და ახალ სოლისტზე არ ფიქრობდნენ. ამის შემდეგ, რატომღაც ერთ ღამეს მომივიდა იდეა, რომ მათთვის სოლისტის ადგილზე ქეთა თოფურიას კანდიდატურა შემეთავაზებინა.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ ყოფილიყო ქეთა და არა ვთქვათ, ბუკა?

– პროდიუსერობაც ის არის, რომ რაღაც იდეა მოგივიდეს, განახორციელო და გაამართლოს.

— თუმცა, თქვენ ქეთას პროდიუსერი არასოდეს ყოფილხართ...

– დიახ, ასეა. მე და ქეთას მხოლოდ ახლა გვაქვს ასეთი საქმიანი ურთიერთობა, აქამდე მხოლოდ მეგობრობა გვაკავშირებდა. მე მას 5 წლის ასაკიდან ვიცნობ.

— ბუკას არ ეწყინა, რომ ასეთი პროექტი ქეთას გაუკეთეთ და არა მას?

– ბუკას ამ ამბავზე გული არ დასწყვეტია, რადგან იგი აბსოლუტურად შეგნებული ადამიანია. მან იცის, რომ მოსკოვთან ჩემი კავშირი ამ პროექტით არ დასრულებულა, თუმცა, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა მოსკოვში წავიდეს. ბუკას სხვა პროექტს გავუკეთებ, ვიღაცას – სხვას. ასე რომ, ჩემს, ასე ვთქვათ, ქვეშევრდომებს ისე არ დავტოვებ, ყველა მათგანს აუცილებლად შევთავაზებ სიურპრიზს... ისინი ქეთას ამბავმა ძალიან გაახარა. საერთოდ, ჩვენ-

თან ერთიანობაა, არანაირი შური, არანაირი გესლი არ იჩენს თავს...

— მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ბუკასა და ქეთას ერთმანეთთან არცთუ ისე სახარბიელო დამოკიდებულება ჰქონდათ...

— დიახ, ასეთი ჭორი ტრიალებდა. ახლაც, ვიღაც-ვიღაცები და ბუკა ვერ არიან ერთმანეთთან კარგად, მაგრამ ეს იმათი პრობლემაა და არა ბუკასი. ვიღაცას ალბათ საკუთარი თავის კომპლექსი აწუხებს და მან ქეთა აამხედრა ბუკას წინააღმდეგ. ჩვენ ეს არ გვანერვიულებს. ჩვენი ლოზუნგი არის ის, რომ ვიმუშაოთ და ვაკეთოთ ის, რისთვისაც ვართ.

— მოდით, ახლა, „ა სტუდიოს“ დავუბრუნდეთ. რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ქეთამ, როცა მისი კანდიდატურა შესთავაზეთ?

— რომ ვთქვა, აღფრთოვანებული შეხვდნენ ჩემს წინადადებას-მეთქი, მოგატყუებთ. მათ უკვე ნათქვამი ჰქონდათ, რომ სოლისტი არ სჭირდებოდათ, მაგრამ ჩვენი მეგობრობის გამო მითხრეს — გვაჩვენე ეგ გოგონაო. მაშინ გავუგზავნე ქეთას სურათები და მისი სიმღერების დისკი, სადაც შესული იყო „ა სტუდიოს“ ერთ-ერთი სიმღერის ქართული ვარიანტი — „ღამე გადის“, რომელსაც ქეთა ასრულებდა. გარკვეული დროის შემდეგ დავუკავშირდი მათ და მითხრეს — იქნებ, დრო გამონახოთ და ჩამოხვიდეთო?.. ჩვენ ვიზების მიღება გაგვირთულდა, ამის გამო მაშინ წასვლა ვერ მოვახერხეთ და გადაწყდა, რომ ისინი ჩამოვიდოდნენ. თუმცა, ამის გამო ძალიან ვინერვიულე, რადგან ისინი ქეთასთან ერთად ვინმეს რომ ენახა და მერე ეს პროექტი არ შემდგარიყო, ათასგვარი ჭორი გავრცელდებოდა, რაც ქეთას კარიერას ხელს შეუშლიდა. ამიტომ „ა სტუდიოს“ აქ ჩამოსვლა ძალზე საიდუმლოდ მოხდა. მათ აქ ნახეს ქეთა, მოისმინეს მისი სიმღერები, ვიდეოკამერით გადაიღეს და მეორე დღეს, ისევ მოსკოვში გაბრუნდნენ. 2-3 კვირის შემდეგ, მე მოსკოვში ჩავედი და შევთანხმდით, რომ ისინი გამოსაცდელი ვადით აიყვანდნენ ქეთას. მინდა გითხრათ, რომ ეს ვადა უკვე გავიდა. უახლოეს დღეებში, მოსკოვში გავემგზავრები, რათა კონტრაქტს მოვაწეროთ ხელი. შესაბამისად, ქეთა უკვე „ა სტუდიოს“ სრულუფლებიანი წევრია. ჯგუფის პრეზენტაცია ახალ სოლისტთან ერთად სულ მალე, მოსკოვის ერთ-ერთ კლუბში შედგება. ისინი ახალ ალბომზე მუშაობას ამთავრებენ, მხოლოდ 2 სიმღერა დარჩათ ჩასაწერი. 9 დეკემბრიდან დღემდე, უკვე 18 კონცერტი ჩაატარეს.

— როგორ მოერგო ქეთა ჯგუფს?

— არაჩვეულებრივად. რუსებმა ქეთა კარგად მიიღეს. მან ბევრი მოსკოველი მსმენელი გააოგნა. იქაური ბომონდის წარმომადგენლები სიამოვნებით უსმენენ მას. ქეთაც კარგად შეეგუა მოსკოვს. ქალაქის ცენტრში აქვს ბინა, რომელიც იმ სტუდიის გვერდითაა, სადაც მუშაობს და ღამეებს ათენებს. კიდევ ერთ ახალ ინფორმაციას მოგაწვდით: თავად ქეთამ დაწერა ახალი სიმღერა, რომელიც მათ მუსიკალურ პროდიუსერს — ბორია სირკიპაევს ძალიან მოეწონა. ახლა უკვე ამ სიმღერის არანჟირება კეთდება და ახალ ალბომში ისიც მოხვდება. ქეთა ძალიან მიზანდასახულია.

— ქეთას იმიჯი ხომ არ შეუცვლია?

— არა. ისევ ისეთია, როგორიც იყო. ჯგუფის წევრებს ასეთი ქეთა მოსწონთ და მისთვის რაიმის შეცვლა არ უთხოვიათ.

— ნატო, თბილისში დადის ხმები, რომ ქეთა იქ დიდ სცენაზე არ გაჰყავთ და მხოლოდ რესტორნებში ამღერებენ. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

— ეს ყველაფერი ხელოვნურადაა აგორებული. „ა სტუდიო“ უკვე 10-11 წლისაა, აკადემიურ ჯგუფად არის აღიარებული და ისინი ვერანაირად ვერ იმღერებენ რესტორანში, თუ ის დახურული არ იქნება. შორს რომ არ წავიდეთ, ისინი საქართველოში ქორწილში იყვნენ ჩამოსულები, სადაც პოლინა 1 საათისა და 15 წუთის განმავლობაში მღეროდა. ასე რომ, თუ დიდ ჰონორარს გადაიხდი, მაიკლ ჯექსონსაც ჩამოიყვან და სადაც გინდა, იქ ამღერებ... ამ ბინძური ჭორების ავტორებს მინდა შევთავაზო, რომ 14 თებერვალს, რუსეთის არხზე — CTC ნაჩვენები იქნება კიევში გამართული კონცერტი, სადაც

ნატო დუმბაძე

ქეთას დიდ სცენაზე იხილავენ. რაც შეეხება რესტორნებს — გარწმუნებთ, რომ თუ ვინმე ბევრ ფულს გადაუხდის, აუცილებლად იმღერებენ.

— კლიპი ჯერ არ გადაუღიათ?

— ალბომის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთ სიმღერაზე კლიპსაც გადაიღებენ, რომელიც საქართველოშიც იტრიალებს. ეს ჩემი ვალდებულებაა, რადგან საქართველოში ექსკლუზივის უფლება, ჯგუფთან გაფორმებული კონტრაქტით მაქვს მონიჭებული. მე ამ პროექტის იდეის ავტორი ვარ, თუმცა, იქაურ ამბებზეც ხშირად ვმსჯელობთ ერთად.

— ქეთას მოსკოვში წასვლამდე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კონტრაქტის თანახმად, ის 3 წელი არ შეიძლება გათხოვდეს. კიდევ რა პირობებს შეიცავს ეს კონტრაქტი?

— მთლად ასეც არ არის საქმე. მათ ასე კატეგორიულად არ დაუსვამთ საკითხი — არ უნდა გათხოვდეო. თუ საჭირო იქნება, გათხოვდი, მაგრამ ამით საქმე არ უნდა გაფუჭდესო, უთხრეს. დანარჩენი პირობები, ჩვეულებრივი სამუშაოა და აბსოლუტურად მისაღებია. ყველა ქვეყანაში ასე ხდება. მხოლოდ მე ვერ ვისწავლე, რომ მომღერლებს კონტრაქტი უნდა გავუფორმო...

— მოდით, ახლა, ირაკლი ფირცხალავას პროექტზეც გვესაუბრეთ, რომელიც მარტში უნდა განხორციელდეს...

— ირაკლისთანაც დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. მოგეხსენებათ, იგი კომპანიის — „ფაბრიკა ზვიოზდ“ — მომღერალია. თავდაპირველად, გვქონდა იდეა, რომ მთლიანად ამ „ფაბრიკის“ კონცერტი ჩაგვეტარებინა საქართველოში, მაგრამ სპონსორი ვერ ვიპოვეთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჯერ ირაკლის სოლო კონცერტი გაგვემართა. ამას 22 დეკემბრისთვის ვგეგმავდით, „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“, მაგრამ 18 დეკემბერს, ეს კლუბი დახურეს. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მარტში, სპორტის სასახლეში განსხვავებული კონცერტი გავმართოთ.

— დანარჩენ ე.წ. ქვეშევრდომებზე რას გვეტყვით?

— ახლა „სეიშენის“ ალბომი მზადდება. ჯაბა ქარსელაძეც ახალ სიმღერაზე მუშაობს, რომელზეც კლიპსაც გადავიღებთ. მერე ბუკას და თიკას ჯერია და ისინიც შემოგვთავაზებენ ახალ-ახალ პროექტებს. უახლოეს მომავალში, ყველა ჩემი „ქვეშევრდომის“ ალბომი გამოვა.

■

კვირის (14-20 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ძალიან სასიამოვნო თავგადასავალი გელით. რამდენიმე მამაკაცი ერთდროულად გამოგიტყდებათ სიყვარულში. ვისაც რამე აქვს თქვენთვის სათქმელი, ყველა ამ კვირაში გადაგიშლით გულს.

მამაკაცი: დიდია საწარმოო ტრავმების რისკი. გაფრთხილდით გადასასვლელებზე და ელექტროხელსაწყოებთან ურთიერთობისას. კვირის ბოლოს დიდი ხნის მოუგვარებელ პრობლემებს გადაჭრით.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: თუ საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებთ, ამ კვირაში თავის შეკავებას გირჩევთ. შემდეგი კვირიდან კი შეეცადეთ ყველა ნოვატორული წამოწყება სისრულეში მოიყვანოთ.

მამაკაცი: გაურკვეველ სიტუაციაში დიდხანს ნუ დარჩებით. მოიშველიეთ მეგობრები, კარგად გააანალიზეთ შექმნილი მდგომარეობა და მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: კვირის ბოლოს ახალი თაყვანისმცემელი გამოჩნდება. კარგად დაფიქრდით, თუკი ის დაქორწინებას შემოგთავაზებთ. აჩქარება კარგს არაფერს მოგიტანთ.

მამაკაცი: დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. ამიტომ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ამ კვირაში ნუ მიიღებთ. შეეცადეთ, დრო გართობას დაუთმოთ. ამ საქმეში მშვენიერ კომპანიონობას გაგიწევენ ძველი მეგობრები.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ჯობს, ამ დღეებში კარგად დაისვენოთ და ძალები შემდეგი კვირისთვის მოიკრიბოთ. არ არის საჭირო, პირადი ცხოვრების შესახებ ილაპარაკოთ. მაქსიმალურად აარიდეთ თავი ჭორიკანა ადამიანებთან დისკუსიას.

მამაკაცი: მეგობრების მხარდაჭერით საინტერესო საქმეს წამოიწყებთ. ამ კვირაში დაწყებული საქმე კი უდავოდ წარმატებას მოგიტანთ. კარგი დროა პოლიტიკური საქმიანობისათვის.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ლომები ამ კვირაში ძალიან დაბნეულები არიან და ბევრ შეცდომებს უშვებენ. დიდია დანაკარგის ალბათობაც. ასე რომ, გაფრთხილდით, ტაქსიში არ დაგრჩეთ საქაღალდე, ხელჩანთა ან ქოლგა...

მამაკაცი: წინ ბრწყინვალე კვირა გელით. თქვენით გარშემომყოფნი აღფრთოვანებულნი არიან. ახალი იდეებით კი ხელმძღვანელები დაინტერესდებიან.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: მართალია, ძალზე საქმიანი კვირა გელით, მაგრამ ნურც ინტელექტუალურ დასვენებასა და გართობაზე იტყვით უარს. მიიღეთ მონაწილეობა თამაშებში, ეს წარმატებას და პოპულარობას მოგიტანთ.

მამაკაცი: კვირის შუა რიცხვებში სიურპრიზი გელით. მშვენიერი მანდილოსანი პირველი გადმოდგამს ნაბიჯს თქვენკენ, მაგრამ მაინც ჯობს, ინიციატივა თქვენს თავზე აიღოთ და მის აქტიურობას არ დაელოდოთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: საყვარელი ადამიანი თუ გისაყვედურებთ, მორჩილად მოისმინეთ თქვენი მისამართით ნათქვამი სიტყვები. თუ თავდაცვას შეეცდებით, უფრო დიდი უსიამოვნება არ აგცდებათ.

მამაკაცი: ფულის შოვნის ახალი გზა გამოგიჩნდებათ. კვირის შუა დღეებში საინტერესო წვეულებაზე მოხვდებით და ბევრ ისეთ ადამიანს გაიცნობთ, რომელთა კეთილგანწყობაც წარმატებას მოგიტანთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ფულს უაზროდ ნუ დახარჯავთ. თავისუფალი დრო შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ. უარი არ თქვათ მეგობრების მიერ შემოთავაზებულ წინადადებზე. საქმიანი საუბრები კი შემდეგი კვირისთვის გადადეთ.

მამაკაცი: ნუ გადაუშლით ახალგაცნობილ ადამიანს გულს. თავი აარიდეთ თქვენთვის არასასურველ საუბრებს. ამ კვირაში ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. დიდია შეცდომის დაშვების რისკი.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: დაისახეთ ახალი პერსპექტივები. უარი არ თქვათ მეგობრების რჩევებზე, რადგან მათი დახმარებით თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები მოხდება.

მამაკაცი: შეეცადეთ, უსიამოვნო სიტუაციამ, რომელიც თქვენ გარშემო შეიქმნება, წყობილებიდან არ გამოგიყვანოთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. ვარსკვლავები ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას სიფრთხილის და მათ მიმართ ყურადღების გამოჩენას გირჩევენ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ამ კვირაში ზედმეტად ოპტიმისტურად ნუ შეაფასებთ მდგომარეობას. შესაძლოა, მოვლენების არარეალურმა აღქმამ გამოუსწორებელი შეცდომა დაგაშვებინოთ.

მამაკაცი: ბედისწერა გამოცდას გიმზადებთ. ახლა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, შეძლებთ თუ არა, ხელიდან არ გაუშვათ ბედნიერება, რომელიც თავისი ფეხით მოვა თქვენთან.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ამ კვირაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის შენიშვნები, რომელსაც ახლობლებისგან მიიღებთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კოლეგები კრიტიკის ქარცეცხლში გაგატარებენ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ამ კვირაში მხოლოდ ეს სტრატეგია გაამართლებს.

მამაკაცი: ნაკლები იფიქრეთ საქმეზე და მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებს. ამ დღეებში კარგი დასვენება გჭირდებათ, რადგან შემდეგი კვირა მეტისმეტად დაძაბული გექნებათ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ახლობლების თანადგომა მეტისმეტად ნუ გაგათამამებთ. გაგიჩნდებათ ისეთი იდეები, რომელიც მხოლოდ თქვენთვისაა ხელსაყრელი, დანარჩენებს კი აზარალებს. იფიქრეთ ახლობლების კეთილდღეობაზეც.

მამაკაცი: მოგეცემათ საშუალება შეიძინოთ ნივთი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობთ. ხელსაყრელი დროა ფინანსური გარიგებებისთვისაც. ვაჭრობაში დასაქმებულ ადამიანებს წარმატება ელით.





19 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ.
ე 4 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ; 4-გ.

ანეკდოტები

***

— ცხოვრების დონით ჩვენ მეზობლებს ვერასოდეს დავეწევით, — ეუბნება ცოლი ქმარს, — ისინი უკვე მესამედ გაძარცვეს, ჩვენ კი — ერთხელაც არა...

***

— მიხო, სად იყავი, შე ვერანა, შენა, ჰაა?.. დილით გეძახდი და ვერა და ვერ გაგაგონე!

— ი!.. აბა, როგორ გამაგონებდი?! — „სუხარსა“ ვჭამდი!

***

— ბატონო გამომძიებელო, შეიძლება, თქვენთან ერთად სურათი გადავიღო? სამახსოვროდ მექნება და ზედ წავაწერ — ორი ყაჩაღი!

***

კონცერტზე კონფერანსიემ გამოაცხადა:

— ახლა სოლისტი იოანე ათონელი შეასრულებს სიმღერას — „ეზოს წინ შადრევანთან“.

მსმენელთა შორის კახელიც იყო და წამოიძახა:

— კარგი, რა, ჯო... ამოდენა ხალხის ეზოში გასვლასა, არა ჯობიან, აქვე იმღეროს?!

***

— რა ღირს თქვენი თუთიყუშები?

— „პასტაიანნად“ მოლაპარაკე — ორმოცდაათი, „პასტაიანნად“ მდუმარე კი — ასი.

***

ჟურნალისტი, ხანდაზმული ფრანგი არისტოკრატი ქალისგან ინტერვიუს იღებს:

— მითხარით, რატომ არ გათხოვდით თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, თუნდაც ერთხელ?

— იმიტომ, რომ მყავდა ძაღლი, რომელიც სულ იყეფებოდა და იღრინებოდა, თუთიყუში, რომელიც სულ იგინებოდა, ბუხარი, რომელიც შეუჩერებლივ ბოლავდა და კატა, რომელიც ღამღამობით სადღაც დაწანწალებდა. ყოველივე ამის პატრონს, ქმარი რაღად მინდოდა?!

***

ვაგონის კუპეში ორი ტიპი ზის, ერთი მეორეს ეუბნება:

— მომისმინე, ულვაშები რომ არა, ზედგამოჭრილი ჩემი ცოლი ხარ!

— ვაა... მერე, მე რო ულვაშები არა მაქვს?

— „ზატო“ ჩემს ცოლს აქვს!

***

ორი ნარკომანი ერთმანეთს შეხვდა.

— გუშინ ავტობუსიდან დაგინახე, ტოო. ძლივს მიათრევდი გაზეთს... მაგრად შემეცოდე... ვიფიქრე კიდეც, ძმაკუშა, ცუდად არ გამიხდეს, ჩავალ, მივეხმარები-მეთქი, მარა მერე გადავიფიქრე: სიმძიმის თრევით თუ რამე დაემართა, „ზნაჩიტ“, მაგის ბედი ეგ ყოფილა-მეთქი...

***

— მეორე რაუნდში მაგრად შეაშინე მოწინააღმდეგე, — აშშვიდებს მოკრივეს მენეჯერი.

— როდის?

— რომ წაიქეცი... ეგონა, მოკვდი...

***

ქუთაისელ მოკრივეს ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი ეკითხება:

— რეიზა შეგარქვეს „კროსვორდ“?

— იმიზა, რომე რინგზე ვერტიკალურად შევდივარ, იქიდან კი ჰორიზონტალურად მოვფორთხავ... აპა!..

***

მთვრალი კაცი ცოდვილობს, რომ როგორმე ავტობუსში ავიდეს. მგზავრებმა სიცილი დაიწყეს.

— ჰო, იცინეთ, იცინეთ, — გაბრაზდა მთვრალი, — ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს: მე ამ ავტობუსის მძღოლი ვარ...

***

პაციენტი უფასო კლინიკაში მივიდა:

— გამარჯობა, უფასო ექიმო!

— გაგიმარჯოს, უიმედო ავადმყოფო!

***

ცოლ-ქმარი წვეულებიდან შინ დაბრუნდა. ქმარს გული ერევა. ცოლი მიჩვეულია უკვე ამ ამბავს და გაიქცევა ვედროს მოსატანად. ქმარი ვედარ მოითმენს და ფანჯარაში გადაეყუდება. ქუჩაში ხალხი სეირნობს...

— ვახ!.. თქვენი დედა კი ვატირე, ჩემ ვედროში რას აკეთებთ?!

***

ახალგაზრდა თერაპევტი ავადმყოფს წნევას უსინჯავს. უყურებს აპარატს და თავს დანანებით აქნევს.

— რა მოხდა, ექიმო? — კითხულობს პაციენტი.

— ან აპარატია გაფუჭებული, ან თქვენ აღარა ხართ ცოცხალი.

***

მიხოს ჩეჩნები დაეცემიან, ფულის გამოძალვის მიზნით, მაგრამ ვერაფერს გააგებინებენ. მოიყვანენ თარჯიმნად მიტოს, რომელიც თარგმნის:

— გვითხარი, ფული სადა გაქვს?

მიხო დუმს.

მიტოს კვლავ ათარგმნინებენ:

— გვითხარი, თორემ მოგკლავთ!

მიხო შეშინდება და ამბობს:

— ეგერა, კაცო, იმ გორაზე მუხა რომ დგას, იმის ძირშია ჩაფლული.

მიტო კი მიხოს სიტყვებს ასე თარგმნის:

— ხოტ უბეიტე, ნე სკაჟუო (გინდა მამკლათ, არ გეტყვითო).

***

რაჭველი პირს იბანდა და... გაიგუდა!

***

— აბრამ სეფიაშვილო, რატომა ხარ ასეთი მოწყენილი?

— გუშინა დოლარები ვიყიდე და ლარები აღარ დამრჩა, დაგენაცვლე...

***

ჯარში ზემდეგი ბრძანებას გასცემს:

— გათხარეთ აქ, აქ და აქ! მე კი მანამდე, წავალ და გავიგებ, სად არის საჭირო.

***

— ჭიჭიკია, რავაა შენი ჯანრთელობის ამბავი?

— ვერ მეესწრებით, ვერა!..

***

სვანი არჩევნებზე მივიდა და იკითხა:

— არადანი ვინ არის?!

მაშენებელი ნატურა ხართ თუ მომხმარებელი?

ძველი გერმანული ანდაზა გვამცნობს: „ღმერთი გვაძლევს კაკალს, მაგრამ თავად როდი გვიმტვრევს მას“. წარმატება თავისთავად იშვიათად მოდის — ის უნდა მოიპოვო. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება იღბლიანი მომენტები, მაგრამ ეს მომენტები იშვიათადაა ბედის ისეთი საჩუქარი, რომელსაც გამოყენების მეტი არაფერი სჭირდება. ხშირ შემთხვევაში, ეს გახლავთ ხელსაყრელი გარემოებები, რომლის გამოყენებასაც აქტიური და მიზანდასახული ადამიანები გონივრულად ახერხებენ. როგორი პოზიცია გაქვთ თქვენ? ხელსაყრელ გარემოებათა მოლოდინში, ძალზე პასიური პოზიცია ხომ არ გიკავიათ? იქნებ, პირიქით, საკუთარი ცხოვრებისა თუ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მთების გადასადგმელადაც კი მზად ხართ? ეს ტესტი დაგეხმარებათ საკუთარ თავში გასარკვევად. ყოველ დასმულ შეკითხვაზე, პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი შეარჩიეთ.

1. როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუკი საპასუხისმგებლო თანამდებობას შემოგთავაზებენ?

ა) ალბათ უარს ვიტყვი, რადგან დიდ პასუხისმგებლობას ვერ ვიტვირთებ;

ბ) ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, დავთანხმდები;

გ) ამგვარ წინადადებას დიდი ენთუზიაზმით შევხვდები.

2. რომელი გეომეტრიული ფიგურა უფრო მოგწონთ?

ა) კვადრატი;

ბ) წრე;

გ) სამკუთხედი.

3. თქვენი აზრით, წარმატებული სიტყვის სათქმელად რა უფრო მნიშვნელოვანია?

ა) მოხსენების წინასწარ მომზადება;

ბ) გააზრებული გეგმის შემუშავება;

გ) იმპროვიზაციის უნარი.

4. თქვენი შემოსავლის წყარო:

ა) შემოსავლის ერთი სტაბილური წყარო მაქვს (სტიპენდია, ხელფასი, პენსია და ა.შ.);

ბ) შემოსავლის რამდენიმე წყარო მაქვს;

გ) საკმაოდ მაღალი, მაგრამ არასტაბილური შემოსავალი მაქვს (პროცენტი გაფორმებული კონტრაქტიდან, ჰონორარი და სხვა).

5. ჩამოთვლილთაგან, რომელი აფორიზმი უფრო მოგწონთ?

ა) როცა არ არის ის, რაც გიყვარს, გიწევს გიყვარდეს ის, რაც არის (ტ. კარლაილი);

ბ) წარმატება – შემთხვევითობის შედეგია, რომელიც საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოხატვის შესაძლებლობას გვაძლევს (ლ. ვოვენარგი);

გ) ცხოვრება – უმნიშვნელო გარემოებებიდან მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების ხელოვნება გახლავთ (ს. ბატლერი).

6. რომელი ფერი უფრო მოგწონთ?

ა) ნაცრისფერი;

ბ) ლურჯი;

გ) მწვანე.

7. როგორი დამოკიდებულება გაქვთ სპორტთან?

ა) სრულიად გულგრილი ვარ სპორტის ნებისმიერი სახეობის მიმართ;

ბ) კარგი ფორმის შესანარჩუნებლად, ზოგჯერ ვვარჯიშობ, ზოგიერთ სპორტულ ტელეგადაცემასაც ვუყურებ;

გ) სპორტის ამა თუ იმ სახეობის აქტიური გულშემატკივარი ვარ და სპორტულ თამაშებში მონაწილეობაც ძალიან მიყვარს.

8. მოულოდნელად დიდი მემკვიდრეობა რომ მიგელოთ ან ლატარიაში დიდძალი თანხა მოგეგოთ, როგორ მოიხმარდით?

ა) თანხის ძირითადად ნაწილს, დიდი ხნის სურვილების ასრულებას მოვახმარდი;

ბ) საიმედო აქტივებში ჩავდებდი, საიდანაც შემოსავალი გარანტირებული მექნებოდა;

გ) საკუთარ ბიზნესს წამოვიწყებდი.

დაანგარიშეთ ქულები: პასუხის ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა.

ტესტის შედეგები

8-12 ქულა: მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებით, ცხოვრებაში უფრო დიდი წარმატების მიღწევა გსურთ. მიგაჩნიათ, რომ ხშირ შემთხვევაში, თქვენ ირგვლივ არახელსაყრელი გარემოებები იქმნება ხოლმე. თუმცა, ეს ხდება იმიტომ, რომ თქვენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ გარემოებებს, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს კი სათანადოდ არ აფასებთ. დარწმუნებული ხართ, რომ როგორც კი ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნება, თქვენ მისი გამოყენების შანსს ხელიდან არ გაუშვებთ. მაგრამ თქვენი მხრიდან ასეთი პასიური პოზიციის შენარჩუნების შემთხვევაში, შესაძლოა, ხელსაყრელ სიტუაციას ვერც კი ეღირსოთ. ნუ დაგავიწყდებათ: აქტიური ადამიანი საკუთარი მიზნის მისაღწევად საშუალებებს თავადვე პოულობს, ხოლო როცა ვერ პოულობს — ამ საშუალებებს თავადვე ქმნის.

13-20 ქულა: აქტიური და მიზანსწრაფული ადამიანი ბრძანდებით. შექმნილი გარემოებების მიუხედავად, საკუთარი უნარის რეალიზებას თითქმის ყოველთვის ახერხებთ. უფრო დიდი წარმატებების მოპოვება თუ გსურთ, გაითვალისწინეთ: იქნებ, სათანადოდ შეგეფასებინათ თქვენი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობები და უფრო პროდუქტიულად გამოგეყენებინათ ისინი?

21-24 ქულა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მაშენებელი ნატურა ხართ. საოცარი შეუპოვრობით გამოირჩევით და ნებისმიერ სიტუაციიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობთ. მარცხის შემთხვევაშიც კი, სულით არასოდეს ეცემით და გზების ძიებას იწყებთ სარევანშოდ. ამგვარი პოზიცია, უდავოდ წარმატებას გიქადით, მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ: საქმისადმი თქვენმა ზედმეტად გადაყოლილმა დამოკიდებულებამ, შეიძლება, თქვენი ახლობლები და ირგვლივ მყოფები გააღიზიანოს.

60 წლის წინ დამუნჯებულმა ჯაცმა ენა ამოიდგა



ამ ამბავმა მთელი ბურიატია აალაპარაკა: კაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომიდან დამუნჯებული დაბრუნდა, უეცრად ალაპარაკდა. დარჯო დუგაროვი 1942 წელს დამუნჯდა. ცხადია, თავის დროზე შეეგუა ამ უბედურებას და ახლობლებთან წერილობით ურთიერთობდა. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ, უკვე 89 წლის ბერიკაცმა ყველასათვის მოულოდნელად კვლავ ამოიდგა ენა. პირველად მან თავის ძმისწულს, ბურიატიაში ცნობილ პოეტ ბაირ დუგაროვს ბურიატიულ ენაზე მიმართა, უთხრა: „მომიახლოვდი, ძვირფასო“. ბუნებრივია, თავიდან მას ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ თანდათან, გამართული მეტყველება აღუდგა. მედიკოსთა აზრით, ბერიკაცს განცდილმა სტრესმა დაუბრუნა მეტყველების უნარი: ცოტა ხნის წინ, მას ცოლი და შვილი გარდასცვლია. ■

მობილური ჯავშირი... საიქიოსთან

ამიერიდან გერმანიაში მიცვალებულთან მობილური ტელეფონის მეშვეობით „დაკავშირება“ იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, ქალაქ ოსნაბრიუკის მცხოვრებმა დააპატენტა მოწყობილობა, რომელსაც „ტელეფონი-ანგელოზი“ დაარქვა და რაც ყველაზე საინტერესოა, უკვე 3 ეგზემპლარიც გაყიდა, თითოეული – 1.500 ევროდ. მოწყობილობა წარმოადგენს, ფეხსაცმლის კოლოფის ზომის კონტეინერში ჩადებულ მობილურ ტელეფონს, რომელიც საფლავში, სასახლის თავზე, მიწის ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეზე თავსდება. ჩვეულებრივი აპარატისგან ის ძირითადად იმით განსხვავდება, რომ აღჭურვილია მძლავრი აკუმულატორით, რომელიც სალაპარაკო რეჟიმში 200 სთ-ის, ხოლო მოლოდინის რეჟიმში – ტელეფონის ერთწლიან მუშაობას უზრუნველყოფს. „ავადმყოფი ან უბრალოდ ის ადამიანები, რომლებიც შორს ცხოვრობენ და არ აქვთ საშუალება, მივიდნენ ახლობლების საფლავებზე, შეძლებენ, დაურეკონ თავიანთ მიცვალებულებს, – აღნიშნა გამომგონებელმა, რომლის ვინაობასაც გერმანული პრესა არ ასახელებს და დასძინა: – ჭირისუფლისთვის ის კი არ არის მთავარი, რომ იმ ქვეყნად წასულმა ახლობელმა უპასუხოს, არამედ ის, რომ განმარტოებულმა ილაპარაკოს და გამოხატოს ტკივილი, რომელსაც დანაკლისის გამო განიცდის“... ■

უეცრად გამდიდრებული მანანწალები

რამდენიმე ჰოლანდიელი მაწანწალა, რომელსაც სრულიად შემთხვევით 130 ათასი ევრო ჩაუვარდა ხელში, შესაძლოა, ახლა ესპანეთის კურორტზე ნებივრობდეს – ვარაუდობენ ქვეყნის სოციალური სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოლანდიაში უმუშევრებს ურიგებენ სპეციალურ ბარათებს, რომლითაც მათ შეუძლიათ, მიიღონ 200-დოლარიანი შემწეობა. მაგრამ იმ ბანკის კომპიუტერში, რომელიც აღნიშნული სოციალური პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს, რაღაც აირია და როტერდამში განთავსებული ბანკომატებიდან ერთ-ერთმა ნაღდი ფულის უთვალავად გამოყრა დაიწყო. ამგვარად, სულ ცოტა, 20 მაწანწალის ხელში 500-დან 20 ათას ევრომდე მოხვდა... ■

ქალის საშოში შესაძლოა, მისი ტყუპის ცალი იყო მოხვედრილი

საავადმყოფოში მუცლის ტკივილის ჩივილის გამო მოთავსებული, 75 წლის ვიეტნამელი ქალის საშოში ექიმებმა აღმოაჩინეს ნაყოფი, რომელსაც იქ 50 წლამდე გაეტარებინა. პაციენტმა, დინხ ტი ტუმ გაიხსენა, რომ დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ, მან შეამჩნია, რომ მუცელი ეზრდებოდა და თანაც, რაღაც მოძრაობებსაც გრძნობდა; მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, ეს შეგრძნება შეწყდა და მასაც ამისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. საავადმყოფოს დირექტორის, ნგუენ ნგოკ ტაის თქმით, ქალს უთუოდ, საშვილოსნოს გარე ორსულობა ჰქონდა, მაგრამ რადგან ნაყოფი მუცლის ღრუში იმყოფებოდა, ამან არ შეუშალა მას ხელი, რომ 3 შვილი გაეჩინა. მეორე ვერსიის თანახმად, გამორიცხული არ არის, რომ ნაყოფი თავად დინხის ტყუპის ცალი იყო, რომელიც დედის საშოდან მისი ორსულობის დროს მოხვდა შვილის მუცლის ღრუში. გამოკვლევამ უჩვენა, რომ ნაყოფს ჩამოყალიბებული ჰქონდა ჩონჩხი და მისი ზომები 8 თვის ნაყოფის ტოლი იყო. ექიმის თქმით, დაღუპული ჩვილი მთლიანად კალციფიცირებული (კალციუმის მარილებით გაჟენთილი) იყო. ■

ფოტოკუჩიოზები





სიახლე!

მხიარული „ატრაქციონი" თქვენი პატარებისთვის

638/6



ყველაზე საბავშვო ჟურნალი